




მანო სარაჯიშვილი  
(1879 — 1924)

ქალის ვაჟების



კ ა ნ ი  
საკანკალიძე

ქალის ვაჟების



საქართველოში  
თბილისი





ვანო სარაჯიშვილი!

რა სიამაყით აღავესებს ეს სახელი ქართველი ადამიანის გულს. რა სინანულის გრძნობას განვიცდით ჩვენ დღეს, ოპერის ბალში ვანოს სამარეს რომ ჩაუვლით!

თითქოს ეს მხოლოდ გუშინ იყო... თითქოს ახლაც ჩვენ წინ დგას მხარბეჭიანი, წერწეტა ქაბუჯი და თვალმინაბული მღერის:

ხუჭუჭა თავი ოდნავ გვერდზე გადაუხრია, წარბი შეუკრავს. ცალი მკლავი გულ-მკერდზე უძევს, ფეხი წინ წაუდგამს და თვითონაც წინ გადაწვდილა. კაეშნიან შუბლს ზოგჯერ ნათელი ეფინება. მაშინ ცალი წარბი თამაშობს და გრძელი თითები უფრო ძალუმად სწვდება მკერდს.

მოთენთილი მკლავი კვლავ ძირს ეშვება.

უკანასკნელი ბგერა მისწყდა, დარბაზში ტაში აგრიალდა. გაფითრებული ვანო ხალხს თავს უკრავს. ჩქარი ნაბიჯით სტოვებს სცენას. ტაშის ქუხილი ათკეცდება—მსმენელის დაძაბული ძარღვი ჯერ ისევ თრთის.

ვანო სარაჯიშვილმა გვაგრძნობინა ქართული სიტყვის ეშხი სიმღერაში, ჯადოსნური სიმით ააქლერა ჩვენი პანგი—ხან ნიავევით მსუბუქი და იდუშალი, ხან კი თერგივით მგრგვინავი და ბობოქარი. ვანო სარაჯიშვილში, როგორც ერთ წყაროს-თვალში, თავმოყრილი იყო ქართველი ერის მუსიკალური კულტურის გენია. მან პირველმა გაიტანა შორს, საქართველოს საზღვრებს იქით ჩვენი „ურმული“, ჩვენი ხალხური კილოები და ასახელა ქართველი ერი, კირსა და ლხინში ნაწრთობი და შემმართველი: მშვენიერი „მაყრულის“ მთქმელი, „იავნანით“ შვილის. გამზრდელი, გლოვის „ზარით“ მოქირისუფლე, მოყვა-სი „ხელხევაიანი“.

ვანო სარაჯიშვილი ქართული ოპერის მერცხალია, მისი შედროშე და მესვეური. ვანო ქართული რომანსის პირველი დიდი ოსტატი და უბადლო ინტერპრეტატორია. თავისი დიდი ნიჭისა და ვოკალური კულტურის მეოხებით, ქართული მუსიკალური ფრაზის შეგრძნობისა და აქლერების გასაოცარი უნარის წყალობით, ვანო სარაჯიშვილმა შექმნა ორიგინალური ქართული საოპერო შემსრულებლობა. ამიტომ ვანო სარაჯიშვილი ქართული ჰანგის კლასიკოსია, დიდი გემოვნებითა და კულტურით შეიარაღებული იდეალური ქართველი ვოკალისტი.

მგზნებარე პატრიოტმა—ვანო სარაჯიშვილმა, ჩვენი მუსიკალური კულტურის აყვავებას შესწირა მთელი სიცოცხლე. უარპყო ოქრო, ფუფუნება და სამშობლოს სამსახურში დაღია სული.

არც ერთ ქართველ მომღერალს არ ღირსებია ესოდენ დიდი სიყვარული და დაფასება. ვანო სარაჯიშვილის სახელი ლეგენდასავით დადის ხალხში. მის ხსენებაზე მთელი სამშობლო იღიმება. სამშობლოს ღიმილი კი ყველაზე დიდი ძეგლი გახლავთ.

ძეგლი, მარადისით შეუბღალავი!

### სარაჯიშვილთა გვარეულობა

„ვეფხისტყაოსანში“ ორჯერ გვხვდება სიტყვა „სარაჯი“. აი ეს ადგილები:

„შეფემან კოშკი ააგო, შიგან სამყოფი ქალისა;  
ქედ ფაზარი სხდა, კუბო დგა იაგუნდისა, ლალისა,  
კარხედა ბაღა, საბანლად ხარაჯი ვარდის წყალისა;  
იგი მუნ იყვის, მედების ვისგან სახმილი ალისა!“

(სტროფი 329).

და

„ბაღა ვნახე უტურფესი ყოვლისავე სალხინოსა,  
მფრინველთაგან ხმა ისმოდა უამესი სირინოსა,  
მრავლად იყო სარაჯები ვარდის წყლისა აბანოსა,  
კარსა ხედა მოჭარვიდა ფარდაგები ოქსინოსა.“

(სტროფი 383).

საბა-სულხან ორბელიანი განმარტავს:

„ხარაჯა—ქვისა და ძელისა ლარივით რუსათვის“.

ცნობილი ლექსიკოგრაფის დ. ჩუბინიშვილის განმარტებით:

ხარაჯი (ირანული სიტყვაა) — შადრევანი.

თანამედროვე გაგებით, ხარაჯი არის შეეხებ, შეუნაგირე (აკი კეხიც ღარს მოგვაგონებს).

სარაჯიშვილი, როგორცა სჩანს, აქედან წარმოსდგება და ძველი ქართული გვარია.

სარაჯიშვილები „შთამომავლობით საპატიო მოქალაქეებად“ იწოდებოდნენ. ვანო აზნაურად ეწერა პასპორტში. ჩვენ არ დაგვისახავს მიზნად სარაჯიშვილთა გენეალოგიის საფუძვლიანი გამოკვლევა. ვებებით მხოლოდ ვანოს მშობლებსა და ზოგ ნათესაეს უკანასკნელი საუკუნის მანძილზე.

უკვდავ შოთას ვარდის წყლის შადრევანი აქვს მხედველობაში. ვანოც ქართული ჰანგის სარაჯია, ვარდის წყლის შადრევანია!

## ვანო სარაჯიშვილის ნათესავთა წრე

უკანასკნელი ასი წლის მანძილზე სარაჯიშვილთა გვარეულობამ ბევრი თვალსაჩინო ადამიანი მისცა ქართველ ერს. მათ შორის არიან მეცნიერების, ტექნიკის, მრეწველობის, ლიტერატურის, მუსიკისა და თეატრის სფეროებში მოღვაწენი.

ვანოს პაპას — მიხეილ სარაჯიშვილს — 12 შვილი ჰყავდა. მიხეილი სურსათ-სანოვაგით ამარაგებდა კავკასიაში მყოფ რუსის ჯარს და მსხვილ აღებ-მიცემობას ეწეოდა. ერთ ღროს გაკოტრდა კიდეც, მაგრამ მთავრობამ დახმარება აღმოუჩინა და ფეხზე წამოაყენა.

მიხეილს სამი ძმა ჰყავდა: სოლომონი, ივანე და ზაქარია. მათ შორის — სოლომონი თბილისის ქალაქის თავი იყო. თავის მხრივ, მასაც მაღალ წრეებში ედგა ფეხი. 1837 წელს რუსეთის იმპერატორი ნიკოლოზ პირველი ეწვია საქართველოს. 10 ოქტომბერს, თბილისში, ყოფ. სასულიერო სასწავლებლის შენობაში იმპერატორის პატივსაცემად დიდი მეჯლისი (ბალი) გაიმართა. იმპერატორმა პირველად იცქევა სილა-

მაზით განთქმულ მართა სოლოლაშვილთან, მეორედ კი — სოლომონ სარაჯიშვილის მეუღლესთან, რომელიც არ ჩამოუვარდებოდა მართას სილამაზით.

მიხეილის მეგობარი იყო მეფის ნაცვალის მ. ს. ვორონცოვი, რომელიც ხშირად უმართავდა ხოლმე ხელს.

სოლომონ სარაჯიშვილი უშვილოდ გარდაიცვალა. მისი ქონების შემკვიდრე გახდა მისივე ძმისწული, დავით ზაქარიას-ძე სარაჯიშვილი.

ცნობილი მრეწველი და ქველმოქმედი დ. ზ. სარაჯიშვილი დაიბადა 1848 წელს. თბილისის გიმნაზიის კურსის დასრულების შემდეგ, 1866 წელს, დავითი პეტერბურგის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე შევიდა. მაშინდელი რუსი სტუდენტობის ცხოვრება, უნივერსიტეტის შინაგანაწესი და ზოგიერთ პროფესორთა ბიუროკრატიული დამოკიდებულება ვერ აკმაყოფილებს ბუნებით ქვეიანსა და დაკვირვებულ დავითს. იგი მეორე წელსვე გამოდის უნივერსიტეტიდან და ჯერ გერმანიას, ხოლო იქიდან საფრანგეთს მიემგზავრება. ხანგრძლივმა სწავლამ 35 წლის ასაკამდე გასტანა. დ. სარაჯიშვილს ჰქონდა ქიმიის მაგისტრისა და ფილოსოფიის დოქტორის ხარისხები, მრეწველობის ხაზით კი — მთელი რიგი მაღალი ჯილდო.

ევროპიდან დაბრუნების შემდეგ დავითმა შეირთო ივანე ფორაქიშვილის ასული — ეკატერინე. შეილი არ გასჩენიათ. დავითმა კავკავში არაყის ქარხანა გამართა, იქვე მოაწყო ბავა: სადაც ნახადის ლუფხით საკლავ პირუტყვს კვებავდნენ. ამ ბავებში ხუთი ათასზე მეტი სული საქონელი ეტეოდა. ამასთან, დ. სარაჯიშვილმა ხელი მიჰყო თბილისში მაგარი სასმელების — ლიქიორისა და კონიაკის დამზადებას. საფუძვლიანად განსწავლულ დავითს იშვიათად ჰყავდა მეტოქე რუსეთის იმპერიის მეწარმეთა შორის. თავისი ნაწარმის გასასაღებლად მან გახსნა საწყობები რუსეთის დიდ ცენტრებში და ფართო გზა გაუკაფა ქართულ კონიაკს. პროფ. ა. ვაგნერმა თავის ყოფილ მოწაფეს დ. სარაჯიშვილს მიუძღვნა დიდი ნაშრომი — „მიწათმოქმედი და მრეწველი ქვეყანა“ (იხ. „ივერია“, 1903 წ., № 112).

გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან იწყება ქართული საზოგადოებრივი აზრის გაცხოველება და ჩვენი კულტურის საერთო დონეს აღმავლობა: არსდება „ქართული გალობის აღმადგინებელი კომიტეტი“, სამუსიკო სასწავლებელი, ლადო აღნიაშვილისა და ი. რატილის გუნდები, საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, ცხოველდება დრამატული დასის საქმიანობა. ასობით ნიჭიერი ქაბუკი მიემგზავრება რუსეთსა და დასავლეთ ევროპაში ზემალესი ცოდნის მისაღებად. სარაჯიშვილმა დიდი დახმარება აღმოუჩინა ამ კულტურულ ორგანიზაციებსა და ახალგაზრდობას. მხოლოდ მისი შემწეობით შესძლეს კომპოზიტორმა დ. არაყიშვილმა და სხვებმა 1900-იან წლებში ექსპედიციების მოწყობა საქართველოს პროვინციებში ხალხური სიმღერების ჩასაწერად.

თავის მაღალნიჭიერ ნათესავეს — ვანო სარაჯიშვილს დავითი დაუსრულებელი მეცადინეობისაკენ მოუწოდებდა. ი. მანსვეტაშვილი დასწრებია მატარებელში დავ. სარაჯიშვილისა და ერთი რუსი მომღერალი ქალის საუბარს. ამ მომღერალს უთქვამს: ხშირად მიმღერია ვანოსთან. რა მომხიბლავი ხმა ჰქონდა! მშვენიერი, საუცხოო იყო აგრეთვე როგორც ადამიანი და ამხანაგი; ისე მიყვარდა, როგორც ღვიძლი ძმაო. დავითს უპასუხნია — უფრო მეტი უნდა ესწავლაო, და საყვედური გამოუთქვამს ვანოს მიმართ. გაცუებულ მომღერალს ისე სწყენია დავითის პასუხი, რომ მასთან ლაპარაკი შეუწყვეტია<sup>1</sup>.

დავითს ზედმიწევნით უყვარდა ვანო: სწამდა დიდი რომ იყო, გულით სწყუროდა უფრო დიდი ყოფილიყო. უცხოეთის უნივერსიტეტებში გამოწრთობილ დავითს აფრთხობდა ვანოს ლალი ბუნება და დაუდევარი ტემპერამენტი.

დავით სარაჯიშვილი გარდაიცვალა 1911 წელს.

---

<sup>1</sup> იხ. ი. მანსვეტაშვილის „მოგონებანი“. ლევ. ასათიანის რედაქციით, წინასიტყვაობითა და შენიშვნებით. „ფეფრატია“, 1936 წ., გვ. 231—233.



დავითთან ერთად უნდა აღენიშნოთ სარაჯიშვილთა გვარეულობის კიდევ ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელიც. ვანოს პაპის — მიხეილის მეორე ძმისწული იყო ალექსანდრე ივანეს-ძე სარაჯიშვილი. ალექსანდრე დაიბადა ქ. თბილისში 1851 წელს, ობერ-ოფიცრის ოჯახში. ორი წლისა არც კი ყოფილა, როცა მამა გარდაეცვალა, მაგრამ განათლებული დედის ხელშეწყობით ბავშვობიდანვე შეისწავლა ფრანგული, გერმანული და რუსული ენები. 1868 წელს დაამთავრა თბილისის გიმნაზია. პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ჩაირიცხა. სტუდენტთა მოძრაობაში მონაწილეობისათვის უნივერსიტეტიდან გარიცხეს და ყაზანის უნივერსიტეტში განაგრძო სწავლა ფიზიკურ-მათემატიკურ ფაკულტეტზე. 1871 წელს ისევ იურიდიულ ფაკულტეტს დაუბრუნდა კიევის უნივერსიტეტში. 1873 წელს შვეიცარიას გაემგზავრა და ჟენევის უნივერსიტეტის სიტყვიერების ფაკულტეტზე ჩაირიცხა. კურსი 1876 წელს დაასრულა. უცხოეთში ალექსანდრე სარაჯიშვილი დაუკავშირდა ქართველ ახალგაზრდობას და ჩაება საზოგადოებრივ მოღვაწეობაში. საქართველოში დაბრუნების შემდეგ მუშაობდა დალისტინს ოლქში სხვადასხვა ადმინისტრატიულ თანამდებობაზე (სასამართლოს ხაზით).

1878 წელს დაარსდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“. ალექსანდრე იყო ამ საზოგადოების გამგეობის წევრი და მდივანი დაარსების დღიდანვე. 1878—79 წლებში სისტემატურად თანამშრომლობდა „დროებაში“. 1884 წელს ილია ჭავჭავაძისა და პ. უმიკაშვილის მონაწილეობით გამოაქვეყნა „ვისრამიანი“ ვარიანტებითა და წინასიტყვაობით. გარდა ამისა, სისტემატურად აქვეყნებდა ისტორიული ხასიათის ნარკვევებს, სხვადასხვა სტატიებს, ფელეტონებსა და პაწია მოთხრობებს „რიშ-ბაბას“ ფსევდონიმით. ალ. სარაჯიშვილი ცნობილია, როგორც ძველი ძეგლებისა და სიგელ-გუჯრების მკვლევარი, აგრეთვე მთარგმნელი გერმანული და ფრანგული ენებიდან. ის ხშირად კითხულობდა საჯარო რეფერატებს, ზრუნავდა მუზეუმის გამშენიერებისათვის.

მისი კაპიტალური ნაშრომია „ვეფხის-ტყაოსნის ყალბი ადგილები“ (იბეჭდებოდა „დროებაში“ ექვსი წლის განმავლობაში, 1895—1901 წ.). ა. სარაჯიშვილმა საფუძვლიანად შეისწავლა და განიხილა „ვეფხის-ტყაოსნის“ არტანუჯის ვარიანტი. განსვენებულმა აკადემიკოსმა ივანე ჯავახიშვილმა მაღალი შეფასება მისცა ა. სარაჯიშვილის ნაშრომს.

1901 წლის დამლევიდან 1902 წლის ივლისამდე ა. სარაჯიშვილი იყო „ივერიის“ რედაქტორი (ილია კი გამომცემელი). 1903 წლიდან „ივერია“ მთლიანად ა. სარაჯიშვილის ხელში გადავიდა.

ა. სარაჯიშვილი იყო საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების დამფუძნებელი წევრი, პირველი ხაზინადარი და მუზეუმ-ბიბლიოთეკის გამგე. აკაკი წერეთლის რეკომენდაციით ცენზორობა შესთავაზეს. უარი განაცხადა.

ალექსანდრე დიდ პატივს სცემდა თავის ნიჭიერ ნათესავს ვანო სარაჯიშვილს, აღფრთოვანებული იყო მისი შესანიშნავი წარმატებებით.

ალ. სარაჯიშვილი გარდაიცვალა 1914 წლის 14 ივნისს, 63 წლისა. მის ხსოვნას მიეძღვნა კრებულ „ძველი საქართველოს“ IV ტომი (1914—15 წ.).

\*

არა ნაკლებ მდიდარი და შინაარსიანი ნათესაობა ჰყავს ვანო სარაჯიშვილს მუსიკოსთაგანაც. ამ პლეადიდან შევეხებით მხოლოდ რამდენიმე წარმომადგენელს.

ვანოს ბიძა — ნიკო მიხეილის-ძე სარაჯიშვილი, ძველი ქართული საერო და სასულიერო კილოების შესანიშნავი მკოდნე იყო. განსაკუთრებული ოსტატობით ასრულებდა ქართულ საეკლესიო საგალობლებს. მას მკიდრო კავშირი ჰქონდა ცნობილ კარბელაშვილებთან და დიდი ღვაწლი მიუძღვის „კარბელაანთ კილოს“ შემონახვა-გავრცელებაში.

ვანოს ბიძაშვილმა — ივანე თედორეს-ძე სარაჯიშვილმა დაამთავრა მოსკოვის კონსერვატორია (ცნობილ ფიტცენიელენის კლასი). ივანე სარაჯიშვილი ჩელოს დაკვრის განთქმული ოს-

ტატი იყო და თბილისის სამუსიკო სასწავლებელში ჩელოს კლასს ხელმძღვანელობდა. ეს კლასი ერთ-ერთი მოწინავე იყო მთელს სასწავლებელში; მას ყველაზე მეტი მოსწავლე ეტანებოდა. ივანე სარაჯიშვილი ერთ-ერთი პირველი მაღალკვალიფიციური ქართველი პროფესიონალი მასწავლებელია ჩელოს დაკვრისა. გარდა ამისა, მას ჩაწერილი აქვს ბევრი ძველი ქართული ხალხური სიმღერა. ივანე სარაჯიშვილის მეოხებით შესაძლებელი გახდა სიმეზიანი კვარტეტის სისტემატურად გამართვა. მაგალ., 1897—98 წლებში გაიმართა 8 კვარტეტი: პროგრამაში იყო ბეთჰოვენის, შუმანის, ბოროდინის, მენდელსონ-ბარტოლდის, ტარტინის, ჩაიკოვსკის, რუბინშტეინის, ჰაიდნის, მოცარტის, შუბერტის, არენსკის, ბრამსის, გრიგისა და სხვათა ნაწარმოებნი. ჩელოს პარტიას ყველა კვარტეტში ი. სარაჯიშვილი ასრულებდა. კომპოზიტორი პ. ი. ჩაიკოვსკი თბილისში სტუმრად ყოფნის დროს ხშირად აწუბობდა კვარტეტებს და ფორტეპიანოს პარტიას თვითონ ასრულებდა. ჩელოს პარტიას აქაც ი. სარაჯიშვილი ასრულებდა.

მრავალი წლის მანძილზე ნაყოფიერი პედაგოგიურ-არტისტული მოღვაწეობისათვის 1897 წელს ი. სარაჯიშვილი სტანისლავის ორდენით დააჯილდოეს.

ი. სარაჯიშვილი გარდაიცვალა 1898 წ.

ვანოს ერთი ბიძის — გიორგი მიხეილისძე სარაჯიშვილის ოჯახიდან ხელოვნების სამი მოღვაწე გამოვიდა.

გიორგის ასულმა — ევგენიამ პირველი ხარისხის დიპლომით დაამთავრა 1897 წელს თბილისის სამუსიკო სასწავლებელი. მას შესანიშნავი ხმა (სოპრანო) ჰქონდა. ამ წელს კურსდამთავრებულთა შორის იგი ერთადერთი ქართველი ქალი იყო. იმავე წელს ევგენია პეტერბურგს გაემგზავრა და იქაურ კონსერვატორიაში განაგრძო სწავლა. რუსეთის დიდ ქალაქებში შესანიშნავი „ქართული საღამოები“ იმართებოდა, რასაც ქვემოთ უფრო ვრცლად შევეხებით. ამ საღამოებში დიდი წარმატებით მონაწილეობდა ევგენია სარაჯიშვილიც. აი, თუნდაც ერთი ფაქტი:

„... 1902 წლის 24 ნოემბერს, პეტერბურგში, სათავადაზნაურო საკრებულოს დარბაზში გაიმართა ჩვეულებრივი ქართუ-

ლი სალამო. ასეთ სალამოებს დიდი სიმპატიით ეპყრობა სატახტო ქალაქის მოსახლეობა, ქართულ სალამოში მონაწილეობა მიიღეს: მონტე-კარლოს ოპერის პრიმადონამ ქ-მა მ. იანკოვსკაიამ, ლ. ბ. იავორსკაიამ, ე. ა. სერგეევამ, ბოიარსკაია-ანტონოვიჩმა, ე. გ. სარაჯიშვილმა, ჩრდილელმა, ნ. ა. შვეელიოვმა, სტუდენტმა გედევანიშვილმა<sup>1</sup> და სხვებმა.

სალამოს დიდძალი ხალხი დაესწრო. ყვავილების, პროგრამისა და შამპანურის გაყიდვა იკისრეს საიმპერატორო თეატრების მსახიობებმა ნ. ქსეშინსკაიამ, პავლოვამ, კრასავინამ, ბეკერკინამ. საზოგადოებაში ბლომად ერივნენ კავკასიური ეროვნული ტანსაცმლით მორთულნიც. ...სტუდენტებმა შეასრულეს „შენ გეტრფი მარად“, „კავკასიის მთებზე“, „ქუჩხა ბედნიერი“, „ჩემო ვარდო“ და სხვა.

განსაკუთრებით ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინეს საგუნდო სიმღერებმა, რომლებიც შეასრულა ქ-მა სარაჯიშვილმა გუნდთან და ორკესტრთან. ქ-ნ სარაჯიშვილს ძლიერი, ხალასი და წკრიალა სოპრანო აქვს. მისი ხმა თანაბრად სასიამოდ ჟღერს როგორც გუნდში, აგრეთვე ცალფა სიმღერის დროსაც...“ (გაზ. „კავკაზი“ № 326, 1902 წ.).

\*

ევგენიას და—ეკატერინე ფორტეპიანოს დამკვრელი იყო. 1901 წლის 18 მარტს, თბილისში, ქართულ თეატრში ფილ. ქორიძემ გამართა კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ...მომღერალმა ევგ. სარაჯიშვილმა, ფორტეპიანოს დამკვრელმა ეკატერინე სარაჯიშვილმა, მომღერალმა ია კარგარეთელმა, ქორიძის მიერ ახლად შედგენილმა გუნდმა და თვით ქორიძემ. იმღერეს ნოტებზე გადაღებული ქართლ-კახური, იმერული, გურული და მეგრული სიმღერები...“ (გაზ. „ივერია“ № 62, 1901 წ.).

<sup>1</sup> ბარიტონი. სწავლობდა პეტერბურგში. 1906 წ. 12 ოქტომბერს გამოვიდა თბილისის ოპერაში ვანო სარაჯიშვილთან ერთად (ოპ. „ტრაავიატაში“). აქვე იმღერა დემონისა და სხვა პარტიები. (იხ. გაზ. „კავკაზი“ № 291, 1906 წ.). შ. კ.

\*

ეკატერინესა და ევგენიას ძმა—ალექსანდრე სარაჯიშვილი იყო თბილისის საოპერო თეატრის რეჟისორი. მან დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ რეჟისორად მუშაობდა თბილისის ოპერაში. ალექსანდრე გარდაიცვალა 1943 წელს. იგი ვანოს უერთგულესი მეგობარი იყო.

\*

ვანო სარაჯიშვილის მრავალრიცხოვან და-ძმათა შორის ყველა მღეროდა, მაგრამ განსაკუთრებით განირჩეოდა უმცროსი და—სოფიო, რომელსაც შესანიშნავი ხმა (კონტრალტო) და სმენა აღმოაჩნდა. სოფიო ვანოსთან ერთად საუცხოოდ ასრულებდა ხალხურ სიმღერებს. ვანოს განსაკუთრებით უყვარდა თავისი ნიჭიერი და, ხელს უწყობდა, რათა მუსიკალური განათლება მიეღო და პროფესიული მომღერალი გამოსულიყო. ჯერ ისევ ახალგაზრდა სოფიო გარდაიცვალა 1922 წელს.

\*

ვანოს ძმისწული — კონსტანტინე ანდრეას-ძე სარაჯიშვილი შესანიშნავი ხმით (ბარიტონი) დაჯილდოებული ჰაბუკი იყო. დაამთავრა სათეატრო სტუდია. მუშაობდა მსახიობად და რეჟისორად. ვანო მას თავის შემკვიდრედ სთვლიდა. სიკვდილის წინ თავისი გრიმის ყუთიც კი უსახსოვრა და ცრემლმორეულმა უსურვა წარმატება. იშვიათი ხმის მქონე ჰაბუკს ყურადღება მიაქციეს ფალაშვილებმაც. აღიძრა შუამდგომლობა და გადაწყდა კიდევაც მისი მივლინება იტალიაში. მაგრამ 1925 წლის 31 მაისს, იტალიაში გამგზავრების წინ, კოტე მტკვარში დაიხრჩო (ევლახში). მისმა დამ, ოლდამ, მუსიკალური განათლება მიიღო ლენინგრადისა და თბილისის კონსერვატორიებში.

## ვანო სარაჯიშვილის მშობლები

ვანოს მამა—პეტრე მიხეილის-ძე სარაჯიშვილი, დაიბადა 1823 წელს. 1844 წელს მან წარმატებით დაასრულა პეტერბურგის ტექნოლოგიური ინსტიტუტის კურსი. იგი ერთ-ერთი პირველი ინჟინერი-ტექნოლოგი იყო ქართველთა შორის. მაშინვე სამშობლოს მოაშურა, მაგრამ პეტრემ ვერ ჰპოვა ნიადაგი აქ თავისი ცოდნის გამოსაყენებლად: სხვა გზა არ იყო, პეტრეს პროფესიის გამოცვლაზე უნდა ეფიქრა. ხარკოვს გაემგზავრა და მათემატიკური საგნების მასწავლებლის გამოცდა ჩააბარა. 1845 წელს სიღნაღის სამაზრო სასწავლებელში დაინიშნა (ეს სასწავლებელი 1831 წლის 22 მარტს გაიხსნა). იქვე პეტრემ კერძო პანსიონი გახსნა. სიღნაღის სამაზრო სასწავლებელში მაშინ მასწავლებლად იყო პეტრეს ძმა ნიკოც.<sup>1</sup> პეტრემ 15 წელზე მეტ ხანს დაჰყო მასწავლებლად, დაიმსახურა პენსია და თავი მიახება სკოლას. ცოტა ხნის შემდეგ იქვე ნოტარიუსად დაინიშნა და ეს საქმიანობა სიკვდილამდე არ შეუწყვეტია.

პეტრე სარაჯიშვილი გვიან მოეყიდა ოჯახს, ნინო ვაჩნაძე შეირთო. ცხრა შვილი გაუჩნდა—8 ვაჟი და ერთი ქალი. ორი ვაჟი—კონსტანტინე და ვლადიმერი—ბავშვობაშივე დაეღუპა. 1875 წელს მეუღლეც გარდაეცვალა.

1876 წელს პეტრე სარაჯიშვილმა ჯვარი დაიწერა ეფემია სოლომონის ასულ რუსიშვილ-ყორჩიბაშზე.

ნეფე-დედოფალს შორის დიდი განსხვავება იყო: ეფემია მაშინ იყო დაბადებული, მისმა მეუღლემ პეტერბურგის ტექნოლოგიური ინსტიტუტი რომ დაამთავრა.

თელავის მკვიდრს სოლომონ რუსიშვილ-ყორჩიბაშს ტრადიციული ოჯახი ჰქონდა. მისი ასული ეფემიაც ამ ტრადიციებზე იყო აღზრდილი. მას ქმრის ოჯახში თან მოჰყვა მზითვად „ვეფხისტყაოსანი“, ზეპირად იცოდა ეს უკვდავი ნაწარმოები. ეფემია კაცს არ უნახავს ულგეაქოდ არც შინ, არც გარეთ.

<sup>1</sup> იხ. 1848 წლის „კავკასიის კალენდარი“.

დაიბანდა თუ არა პირს, მაშინვე ქართულად მოიბრუნებოდა და ოჯახში შნოიანად დატრიალდებოდა. ტანადი, ეშხიანი ადამიანი იყო (ვანო ძალიან ჰგავდა დედას). სასტუმროდ ოქრომკედლით ნაქარგი შესანიშნავი ტანსაცმელი ჰქონდა. ეფემიას ხელში პეტრე სარაჯიშვილს ხუთი შვილი მიეცა: ანდრო, ვანო, გიორგი, ილია და სოფიო. ახალგაზრდა ადამიანს თორმეტი ბავშვის მოვლა-პატრონობა და აღზრდა დაეკისრა.

არაჩვეულებრივად ნაზი და გულკეთილი ეფემია არასოდეს არ გამოარჩევდა გერებს საკუთარ შვილებში, თავს ევლებოდა, რომ ბავშვებს უდებობა არ ეგრძნოთ.

ეფემია ძველ ქართულ ტრადიციებზე ზრდიდა ბავშვებს: ასწავლიდა სიტყვა-პასუხს, უფროსის პატივისცემას, საზოგადოებაში თავდაქერას, გამტანობას, სიმართლესა და გულწრფელობას.

დედის ეს შესანიშნავი თვისებები ახასიათებდა ვანო სარაჯიშვილს მთელი სიცოცხლის განმავლობაში.

— დედა გენაცვალოს, ეგ არ იქნება, შვილო!—ამაზე შორს არ მიდიოდა ეფემიას „გაწყრომა“, რარიც თავდაყირა არ დამდგარიყვნენ ბავშვები და შინ მთელი კართავნობა<sup>1</sup> გაეჩაღებინათ. ამდენ შვილებში ვანო მაინც რაღაც განსაკუთრებული გრძნობით უყვარდა. რატომღაც ვგრძნობ, ეს სახელოვანი კაცი გამომივყო,—ამბობდა ხშირად.

ეფემიას ჰყავდა ერთი ძმა,—მაღალი ჩინის სამხედრო პირი. მან რუსის ქალი შეირთო და სარატოვში დაბინავდა, დიდძალი მამულის პატრონი გახდა. როდესაც ეფემია დაქვრივდა, ძმამ თავისი წილი მამული შესთავაზა თელავში. ეფემიამ, რომელსაც 19 წელიწადი არ ენახა თავისი ძმა, უარი განუცხადა—შვილები შიმშილით რომ ამომიწყდეს, ჩემს ძმას სამშობლოში წილს ვერ დავუკარგავო.

ერთი სამწუხარო შემთხვევის გამო, რის აწერასაც აქ არ გამოვუდგებით, ეფემიას დამბლა მოუვიდა. 1899 წელს გარდა-

---

<sup>1</sup> ეს სიტყვა გაგონილი მაქვს მოხუცებისაგან ჩემს ოჯახში, როგორც ყოველი არეუდარევის გამოხატველი. აშკარაა, რომ კართაგენის დანგრევის ისტორიული ფაქტიდან შემოსულა ჩვენს ლექსიკონში. შ. კ.

იცვალა ეფემიას გერი—ქეთევანი. ავადმყოფს მეხივით დაატყდა თავს ეს ამბავი, დამბლა განუმეორდა და 1901 წელს წუთისოფელს გამოესალმა.

სიკვდილის წინ ეფემიამ დაიბარა—ჩემმა შვილებმა გამასვენონ გალობითაო. ანდერძი შეუსრულეს: ანდრო, ვანო, გიორგი, ილია და სოფიო მიცვალებულის საგალობელს გალობდნენ დედის ცხედართან.

სასაფლაოსაც ვგრე გუნდად ეწვეოდნენ ხოლმე და გულს იოხებდნენ.

## ვანოს ბავშვობა

ვანო სარაჯიშვილი დაიბადა 1879 წლის 1 მაისს. იგი პეტრე სარაჯიშვილის მეთერთმეტე შვილია.

მეტად ჭირვეული ბავშვი ყოფილა.

— წყალი!—იწვილებდა შუალამისას. მისი პაწია დოქით მიურბენინებდნენ.

— არ მინდა! ვაშლი, ვაშლი!—მიუტანდნენ, გადააყრიდა.

— ჩურჩხელა, ყურძენი!

ამათაც მიფანტ-მოფანტავდა. შემდეგ გაინაბებოდა და მოახლე გოგოს ეტყოდა:


— აბა, აკრიბე ყველაფერი და ჩქარა მომე!

მისი ასეთი ოინი სიცილ-ხარხარს იწვევდა ოჯახის წევრებს შორის.

თავის უფროს ძმებთან ერთად პაწია ვანო ნიადაგ გარეთ ტრიალებდა. სწავლის დრომ მოაწია. არასგზით არ გააყვა სკოლაში მამას. პეტრემ მუშას დაუძახა და კურტნით წააყვანინა. ბუნების მოტრფიალე ყმაწვილს სკოლის კედლებში სული ეხუთებოდა. შემდეგ კი დიდი უნარი გამოიჩინა.

პეტრე სარაჯიშვილის ოჯახი განთქმული იყო მუსიკის სიყვარულით და ძველი ხალხური სიმღერის ცოდნით: ეფემიას დები—ნატო და მელიო—შესანიშნავი მომღერლები იყვნენ. თვით ეფემია „ვეფხის-ტყაოსანს“ ბავშვებს ზეპირად უკითხავდა, —რუსთველის სიბრძენსა და პოეზიას უნერგავდა მათ





ვანო სარაჯიშვილი  
ბავშვობის დროს

გულში. ვანოს ბიძა, ნიკო, როგორც აღენიშნეთ, ჩვენი ხალხური საერო და სასულიერო კილოების ერთ-ერთი სახელგანთქმული მცოდნე იყო. პეტრე კი მშვენიერად უკრავდა თარსა და სალამურს, ცეკვას ასწავლიდა ბავშვებს სალამურის ჰანგზე. ამის გამო ვანომ შესანიშნავი ლექური იცოდა და პოეზიისადმი მიდრეკილებასაც იჩენდა.

სიმღერა და ლაპარაკი ვანომ თითქმის ერთსა და იმავე დროს ისწავლა. მისი მეტყველება სიმღერით დაიწყო და სიმღერით დამთავრდა. ექვსი წლის ვანო უკვე მღეროდა. იმ ხანად სიღნაღის ეკლესიაში მგალობელთა გუნდს ლოტბარობდა ჩვენი საერო და სასულიერო კილოების კარგი მცოდნე ალექსანდრე ჩახნაშვილი<sup>1</sup>; ამავე დროს იგი სიღნაღის სკოლაშიც იყო გალობის მასწავლებლად. ანდრომ და ვანომ პირველად ა. ჩახნაშვილთან დაიწყეს საეკლესიო გალობის შესწავლა. მის გუნდში ისინი პირველი მგალობლები იყვნენ. ხალხური სიმღერების მცოდნე პატარა სარაჯიშვილებს ხშირად იწვევდნენ ქორწილებსა და ნადიმებში, სადაც ისინი ეჩვეოდნენ უცხო საზოგადოებაში სიმღერასა და თავდაქერას. უფროს ძმებს პატარა ვანო ვაჟკაცოვით ეღვა გვერდში და გამოცდილი მომღერალივით ამბობდა ძველ ხალხურ სიმღერებს.

1887 წელს გარდაიცვალა პეტრე და მთელი ოჯახი თბილისში გადმოსახლდა. 1888 წელს ანდრია და ვანო სათავადაზნაურო გიმნაზიაში მიაბარეს. ანდრია მიიღეს მესამე განყოფილებაში, ვანო—პირველში. გიმნაზიაში იმ ხანად მარტო 4 განყოფილება და 2 კლასი იყო. ყოველ წელს თითო კლასი ემატებოდა. ღირსეული პედაგოგიური პერსონალის წყალობით, მეცადინეობა ნორმალურად მიმდინარეობდა. 1890 წელს სკოლა გადავიდა პეტრე დიდის (ახლა ძერჯინსკის) ქუჩაზე, ყოფ. ქალთა ინსტიტუტის შენობაში. ნიკიერ და ზრდილ სარაჯიშვილებს სკოლის ადმინისტრაციამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია. ანდრიასთან ერთად ვანოც მშვენიერად სწავლობდა. ძმები დიდი მუსიკალური ნიჭითა და სიმღერისადმი მიდრეკილებით გამოირჩეოდნენ. ვანო მთელი სასწავლებლის

<sup>1</sup> გარდაიცვალა 1938 წელს ღრმა მოხუცი. შ. კ.

სული და გული გახდა. ძმები სარაჯიშვილები მაინც კარგა ხანს გაჰყვნენ სიმღერას. ანდრია და გიორგი ორი წელიწადი მღეროდნენ რატილის გუნდში, შემდეგ სანდრო კავსაძის გუნდშიაც.

გასული საუკუნის 80-იან წლებში სასკოლო გუნდებს შორის თბილისში განსაკუთრებით განთქმული იყო სასულიერო სემინარიისა და ქართული გიმნაზიის გუნდები. გიმნაზიის გუნდს სათავეში ედგა ლოტბარი ბერიაშვილი. 1888—89 სასწავლო წელს მის ადგილას დაინიშნა ახალი ლოტბარი ზაქარია ჩხიკვაძე და გუნდი უფრო გაძლიერდა. ზაქარია ჩხიკვაძემ გულმოდგინედ ასწონ-დასწონა თითოეული მოწაფე და შესანიშნავი გუნდი შეადგინა. ვანომ პირველი ადგილი დაიკირა მთელს სასწავლებელში. თავისი შესანიშნავი ხმით, მუსიკალობითა და სმენით ჰაბუკმა ვანომ ისეთი ნდობა დაიმსახურა, რომ ზაქარია ჩხიკვაძემ იგი თავის თანაშემწედ გაიხადა და იმ დროის ერთ-ერთი უდიდესი გუნდი მიანდო. გუნდი ხშირად გალობდა კალოუზნის ეკლესიაში, სიდაც მას ვანო ლოტბარობდა. ამასთან, გიმნაზია ხშირად აწყობდა ლიტერატურულ-მუსიკალურ საღამოებს, რომლებსაც ესწრებოდნენ გამოჩენილი საზოგადო მოღვაწენი. საღამოებში მოწაფეთა გუნდიც გამოდიოდა. ვანო საერთო ყურადღებას იპყრობდა თავისი განსაკუთრებული ხმითა და მუსიკალობით. მშობლიური კილოების შესანიშნავი მცოდნის ზ. ჩხიკვაძის წყალობით ბევრი კარგი მუსიკოს-მომღერალი გაიზარდა გიმნაზიის გუნდში. ილ. აბაშიძე, ასიკო ბერიშვილი, ესტ. ხუციშვილი, ძმანი ყარალაშვილები, მათე ლოლაძე, მიხეილ კავსაძე (განთქმული ლოტბარი და მომღერალ-მგალობელი) და სხვანი ხელს უწყობდნენ გუნდის საერთო წარმატებას. ვანო გუნდში ბანს ამბობდა, მაგრამ... ზოგჯერ გაჰკრავდა ხოლმე კახურად, თავისებურად, პირველსაც და მოძახილსაც.

კარგად იყო დაყენებული გიმნაზიაში ტანვარჯიში, ვანომ ამ მხრივაც პირველი ადგილი დაიკავა. შესანიშნავი მოვარჯიშე იყო.

გიჟმაჟ ვანოს უყვარდა ამხანაგებთან გავლა-გამოვლა, ხუმრობა და მხიარულება. გულფიცხი იყო, უტეხ იცოდა აპილ-



მანო სარაჯიშვილი  
მოწაფეობის დროს

პილებს, მაგრამ მეორე წამს ბაგეზე ღიმილი ეკრა. სადაც კი ის გაჩნდებოდა, იქ მუდამ სიმღერა იყო.

რა გასაკვირია, რომ ალალი, ზრდილი, შესანიშნავი მომღერალი, მოცეკვავე, მოგარჯიშე და გარეგნობით მშვენიერი ქაბუკი ყველას უყვარდა.

პეტრე სარაჯიშვილმა ხუთიოდე ათასი მანეთი და პენსია დაუტოვა თავის მრავალრიცხოვან ოჯახს. ეს წყარო გამოიყენა ეფემიამ შვილების აღსაზრდელად. გიმნაზიასთან არსებობდა პანსიონი, სადაც წლიურად 300 მანეთს ახდევინებდნენ. ვანოს 200 მანეთი დააკისრეს (იგი პანსიონში იყო), ხოლო შემდეგ 100 მანეთამდე შეუმცირეს გადასახადი, რაც იმ დროს მნიშვნელოვანი შეღავათი იყო.

გიმნაზიაში ვანო სარაჯიშვილი არ იზორებდა თავის სალამურს, რომლის ჰანგზე მამამ ლეკური ასწავლა. როგორც კი ხელსაყრელ დროს იხელთებდა, ვანო სალამურს ამოიღებდა და წარმტაც მელოდიათა ჰანგებით ატკბობდა თავის ამხანაგებს. აქ ჩვენი დიდებული ხალხური ჰანგიც იყო, ვანოს ოცნებით შეთხზულიც ბლომად ერია. მაგრამ ვანო არამცთუ მარტო დაკვრის ოსტატი იყო. უბადლო სმენისა და მუსიკალობის წყალობით შესანიშნავ სალამურებს აკეთებდა. მისი მკვირცხლი გონება გულუბრყვილო ბავშვურ პოეზიაშიც იჭრებოდა.

ვანოს სკოლის ამხანაგმა ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე ელიოზიშვილმა<sup>1</sup> გვიამბო:

---

<sup>1</sup> ნ. ა. ელიოზიშვილი—ბარიტონი, საქართველოს სსრ დამსახ. არტისტი. დაიბადა 1879 წელს ს. წილკანში (დუშ. მაზრა). 1898 წ. დაამთავრა თბილისის გიმნაზია, 1900 წ.—კავალერიის სასწავლებელი, 1909 წ.—მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდ. ფაკულტეტი და კონსერვატორია. როგორც ოფიცერი, მონაწილეობდა რუსეთ-იაპონიის ომში და პირველ იმპერიალ. ომში. იყო განთქმულ გენერალ ბრუსილოვის უახლოესი თანამშრომელი. ბევრჯერ დაიჭრა, მიღებული აქვს მრავალი მაღალი სამხედრო ჯილდო. მღეროდა რუსეთის საოპერო თეატრების სცენებზე „მასალსკის“ ფსევდონიმით (გვარია მისი უახლოესი მეგობრისა, რომელიც რუსეთ-იაპონიის ომში დაღუპა). 1920 წლიდან თბილისის ოპერაში მოღვაწეობს. იშვიათად მოიძებნება მომღერალი, რომელსაც ასე შეეთავსებინოს სამხედრო და სასცენო კარიერა. ნ. ა. ელიოზიშვილმა მოგონებები გადასცა საქართველოს თეატრ. მუზეუმს. შ. კ.

... ჩვენს გიმნაზიაში არსებობდა ამბულატორია, სადაც ექიმის თანაშემწედ მუშაობდა ვინმე მარიამ გიორგის-ასული 1—ა, 42—43 წლის გაუთხოვარი ქალი. ბავშვური ცნობისმოყვარეობით გვანტერესებდა, რატომ აქამდე არ გათხოვილიყო. მაინც ვერ გავიგეთ. ამის გამო იგი ჩვენი სასტიკი დაცინვის საგანი გახდა. სამი ამხანაგი: ვანო სარაჯიშვილი, მე და ლადო ვაჩნაძე ეთხზავდით ლექსებს და ვაიძულვდით ვანოს ემღერნა მარიამისათვის. ვანო მივიდოდა ხოლმე ამბულატორიასთან, დადგებოდა ფანჯრის პირდაპირ, სადაც ეს ქალი ცხოვრობდა, და სალამურს მოიმარჯვებდა. ჯერ რალაც უვერტიურის მსგავს მელოდიას დაუკრავდა, ხოლო შემდეგ ტკბილად დაამღერებდა:

გასასყიდად მოიტანეს ზავერდი და ფარჩა,  
ყველა ქალი გავითხოვდა, მარიამი დარჩა...

ამ სერენადის შემდეგ შურდულივით გამოიჭრებოდა ხოლმე გარეთ მარიამი, დაგვედევნებოდა და, თუ ვინმეს დაგვიჭერდა, რა თქმა უნდა, ღირსეულად გაგვისწორდებოდა. ჩვენი სოლისტი—ვანო ყოველთვის ახერხებდა ხოლმე თავის დაღწევას და რატომღაც მე ვუვარდებოდი ხელში ამ გააფთრებულ ქალწულსაო.

ვანო სარაჯიშვილს ვერც იტალიურმა ბელ-კანტომ, ვერც ბრწყინვალე ოპერის თეატრის სცენამ ვერ გამოსტაცა „ურმული“ და სალამური.

## • თბილისის სამუსიკო სასწავლებელში

ვანოს ბიძაშვილი, ივანე თედორეს-ძე სარაჯიშვილი, 1888 წლიდან მოღვაწეობდა თბილისის სამუსიკო სასწავლებელში და დიდი სახელიც ჰქონდა მოხვეჭილი, როგორც ჩელოს დაკვრის ვირტუოზ-ოსტატს. ქართულ გიმნაზიაში ყოფნისას ვანო თავის ბიძაშვილთანაც მეცადინეობდა, სწავლობდა ჩელოს დაკვრას, 1897 წლიდან კი მტკიცედ მოჰკიდა ამ საკრავს ხელი. ხმის დამუშავება არც უფიქრია, მთელი გულით ჩელოს მიენდო. 1898 წლის შემოდგომაზე გარდაიცვალა ივანე სარაჯიშვილი,



პ. ი. ჩაიკოვსკი თბილისის სამუსიკო სასწავლებლის მასწავლებელთა შორის. სხედან (მარცხნიდან მარჯვნივ): ჩელოს დამკვრელი ი. თ. სარაჯიშვილი, მომღერალი ვ. მ. ხარუდნაია (მ. მ. იპოლიტოვ-ივანოვის მეუღლე), კომპ. პ. ი. ჩაიკოვსკი, პიანისტი ე. თ. ეპსტეინი. დგანან: ვიოლინოს დამკვრელი კ. კ. გორსკი, კომპ. მ. მ. იპოლიტოვ-ივანოვი.

(80-იანი წლების ფოტო).

და მისი ადგილი დაიკავა პროფ. გ. გ. ტალენტმა. ამავე წელს ვანო სამუსიკო სასწავლებელში შევიდა და ტალენტის კლასში ჩაირიცხა. მუსიკის თეორიას პროფ. გ. ს. დობერი ასწავლიდა.

ზაქარია ფალაიშვილმა და ვანო სარაჯიშვილმა ერთად გაატარეს 1898—99 სასწავლო წელი თბილისის სამუსიკო სასწავლებელში.

1899 წლის მაისში ზ. ფალიაშვილმა დაამთავრა სამუსიკო სასწავლებელი. იმავე წელს სასწავლებლიდან გავიდა პროფ. ტალენტი, და ვანომ მეცადინეობა განაგრძო პროფესორ ი. ი. ბურიანთან, რომელმაც ტალენტის ადგილი დაიკავა. სოლფეჯიოს და ორკესტრში დაკვრას პროფ. კლენოვსკი ასწავლიდა. ვანოს მასწავლებელთა რიცხვში ვხედავთ პროფ. დუბინსკისაც.

სამუსიკო სასწავლებელში ხშირად იმართებოდა მოწაფეთა ტრადიციული კონცერტები, რომლებსაც დიდძალი საზოგადოება ესწრებოდა. ერთი ასეთი კონცერტი გაიმართა 1899 წლის 31 მარტს. მოწაფე ვანო სარაჯიშვილმა ამ კონცერტში შეასრულა საკმაოდ ძნელი ნაწარმოები ჩელოსათვის—გოლტერმანის „გრანდ დუო“ (ჩელოსა და ფორტეპიანოს დიდი დუეტი).

ჩვენთვის მოწოდებულ მოგონებაში ცნობილი ჩელოს დამკვრელი და ოსტატი-მასწავლებელი ილიკო აბაშიძე სწერს:

„ვანო სარაჯიშვილს ვიცნობდი მას შემდეგ, როდესაც 8 წლისა ვიყავ. ჩვენ ერთად ვსწავლობდით ქართულ გიმნაზიაში. მე რომ ჩელოს დაკვრის შესწავლა [დავიწყე, ვანო უკვე] კარგად უკრავდა. ახლაც თვალწინ მიდგას, თუ რა გატაცებით ასრულებდა იგი გოლტერმანის „ლეგენდას“ და პოპერის „გაზაფხულს“.

1900—1901 სასწავლო წელს ვანო აღარ გვხვდება სამუსიკო სასწავლებლის მოწაფეთა სიაში. სამხედრო სამსახურში გაწვევის ვადის მოახლოების გამო იგი თავს ანებებს სამუსიკო სასწავლებელს.

ჩელო ერთხანს მიატოვა, მაგრამ მთელი სიცოცხლის მანძილზე არ გაუწყვეტია მასთან კავშირი. ხშირად დაავლებდა ხოლმე ხელს და მთელი საათების განმავლობაში გატაცებით უკრავდა.



ჩვენი ხალხური სიმღერის შეკრება-გავრცელების საქმეში სანდრო კავსაძეს განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის. სანდრო დაიბადა 1876 წელს სოფ. ხოვლეში (გარდ. 1939 წ.). ბავშვობიდანვე აღმოაჩნდა შესანიშნავი ხმა, სმენა და სიმღერის ნიჭი. ხალხური სიმღერა ოჯახშივე ისწავლა თავისი მამის—გრიგოლ მღვდლისაგან, აგრეთვე—უფროსი ძმის, ლონგინოზისაგან, რომელიც სიონში მთავრად იყო და დიდებული მგალობლის სახელი ჰქონდა დავარდნილი. პატარა სანდრო გორის სასულიერო სასწავლებელში შეიყვანეს. 1888 წლის შემოდგომაზე ამავე სასწავლებელში შევიდა იოსებ ჯულაშვილიც (დიდი ბელადი სტალინი). საზოგადოდ, 1890-იან წლებში ამ სასწავლებელში თავი მოიყარა ჩინებულმა ახალგაზრდობამ. მშვენიერი გუნდი შესდგა. გალობას სიმონ პაულეს-ძე გოგლიჩიძე ასწავლიდა. გუნდში შედიოდნენ: იოსებ ჯულაშვილი, გიორგი გიგიტაშვილი, სანდრო კავსაძე, მიხეილ კავსაძე, დავით სალარიძე, გიგო ხუციშვილი („პრაკულა“), კოტე ჩარკვიანი, სანდრო ციხითათრიშვილი, გრიგოლ გლურჯიძე, არჩილ ლვინიაშვილი, მინა ქარუხნიშვილი, მიხეილ ელიზბარაშვილი, დორიმიდონ გოგოხია, სანდრო ელისაბედაშვილი, გიგო რაზმაძე, კოტე ჩუტკერაშვილი და სხვანი.

ს. პ. გოგლიჩიძე შესანიშნავად ასწავლიდა ბავშვებს გალობას და საუცხოოდ ჰყავდა გაწვრთნილი გუნდი, რის გამო სასწავლებლის ეკლესიაში წირვა-ლოცვას დიდძალი ხალხი ეტანებოდა. მაგრამ ქართული გალობა იღვენებოდა, გამეფებული იყო უცხო კილო.

გორის სასულიერო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სანდრო კავსაძემ თბილისის სასულიერო სემინარიაში განაგრძო სწავლა, მაგრამ მოწაფეთა არეულობასთან დაკავშირებით დათხოვნილ იქნა. ილია ჭავჭავაძემ საგურამოში გაიწვია სანდრო წინამძღვრიანთკარის სკოლაში სიმღერა-გალობის მასწავლებლად. აქ სანდრომ სამიოდე წელი დაჰყო და ბევრი ხალხური სიმღერა ჩაწერა.

1895—1907 წლებში სანდრო გალობას ასწავლიდა თბილისის რკინიგზისა და საქალაქო სასწავლებლებში. აქ მის გუნდში გალობდა მოწაფე სანდრო ინაშვილი (ახლა რესპუბლიკის სახალხო არტისტი), რომელმაც ბევრი შესანიშნავი საექლესიო საგალობელი შეისწავლა თავისი ნიჭიერი მასწავლებლისაგან. 1908 წლიდან სანდრო კავსაძე ქიათურაში გადასახლდა და მუშათა გუნდი ჩამოაყალიბა. მაშინ თბილისის გუნდს სათავეში ჩაუდგა სანდროს თანაშემწე და მისივე ძმისწული მიხეილ კავსაძე, რომელმაც შესანიშნავი მომღერალ-მგალობლისა და ლოტბარის სახელი მოიხვეჭა <sup>1</sup>.

თავისი გუნდი სანდრომ 1897 წელს შეადგინა. გუნდი მშვენივრად ასრულებდა ქართულ ხალხურ სიმღერებს და დიდი წარმატებაც ჰქონდა. იმავე წელს გუნდმა დასავლეთი საქართველო მოიარა და საუცხოო კონცერტები გამართა.

1897 წლის ივნისის 21-ს სანდრო კავსაძის გუნდი ეწვია ზესტაფონს, 22-ს—ქუთაისს, 23-ს—სამტრედიას, 24-ს—ახალსენაკს, 25-ს—ფოთს, 27-ს—ბათომს, 29-ს—სოხუმს; ივლისის 1-ს—ჭობულეთს, 2-ს—ხაშურს.

- გუნდს ზამთრამდე არ შეუწყვეტია მოგზაურობა.

ვანო სარაჯიშვილი სანდროსთან მიიყვანა თავისი სკოლის ამხანაგმა მიხეილ კავსაძემ. როგორც აღვნიშნეთ, ვანო გინაზის გუნდიდან მოკიდებული უმთავრესად ბანით მღეროდა. ახლა მოულოდნელად ისეთი პირველი აუწია, რომ განცვიფრებულ სანდროს სიხარულის ელდა ეცა. მის წინ საოცარი ხმით დაჯილდოებული კაბუჯი იდგა. როდესაც პირველი ხმით შემოსძახა, გულმკერდიდან რაღაც ჟრუანტელის მომგვრელი, მომჯადოებელი ბგერა აღმოხდა და ზღვრულ მაღლებზე ვერცხლის ზარივით აწკრიალდა. თითქოს გარდაიქმნა ვანო, სულ სხვა ადამიანი გახდა, სულ სხვა ელფერი მიიღო მისმა ხმამ და სხვაგვარად აძგერდა სანდრო კავსაძის გულიც.

---

<sup>1</sup> მიხ. კავსაძემ არა ერთი მომღერალ-მგალობელი და მუსიკოსი აღზარდა. კერძოდ, მან შთაუწერა მშობლიური მუსიკის სიყვარული განსვენ. ლოტბარს ალ. მაისურაძეს, რომელიც მის გუნდში მღეროდა. შ. კ.

მას შემდეგ სანდრო კავსაძემ მოსვენება არ მისცა ვანოს. წინადაც ვარჯიშის შემდეგ ვანო პირველ ხმაზე გადავიდა. მცირე ხანში იგი სანდრო კავსაძის გუნდის მშვენიება გახდა. ვანოს მონაწილეობით მოიარა გუნდმა მთელი საქართველო და ყველგან უდიდესი წარმატება მოიპოვა. გუნდი გამოდიოდა ეკლესიებშიც. განსაცვიფრებლად მღეროდნენ სოლოს ან დუეტს ვანო და სანდრო გუნდის თანხლებით. ვანოს მონაწილეობამ სანდროს გუნდი უფრო პოპულარული გახადა, ერთიორად გაუთქვა სახელი. გუნდის გამოსვლისას დამსწრე საზოგადოება დაჟინებით მოითხოვდა სანდროსა და ვანოს ცალკე სიმღერას და მუდამ „ვაშას“ გრილით აჯილდოებდა მათ. მაგრამ ბევრ სიხარულთან ერთად ვანომ ამ გუნდში ბევრი სიმწარეც ნახა. ვინ მოსთვლის, რამდენჯერ თოვლქყაპსა და აედარში გაისმოდა ქუჩებში ვანოს სულში ჩამწვდომი ხმა გასვენებაზე, და სამგლოვიარო პროცესია უნებურად აღევნებულნი ხალხით იზრდებოდა. სანდრო კავსაძის გუნდში ვანოს სამუდამოდ გაუჯდა ძვალსა და რბილში ქართული ხალხური სიმღერის სიყვარული. იგი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე დარჩა ამ სიმღერის მოტრფიალე და უბადლო ოსტატი.

### კავკასიის მესამე ათასეულში

კავკასიის მესამე ათასეულის ყაზარმები მოთავსებული იყო ყოფილ ჩერქეზიშვილისა და „სამოგოლნი“ ქუჩების შესაყართან. სამხედრო სამსახურში გაწვევის მოახლოების გამო, ვანო აქ ჩაირიცხა მოხალისედ.

სხვათა შორის, ვანოს ცხოვრების ამ პერიოდის შესახებ ცნობები მოგვაწოდა ძველმა მსახიობმა ელისაბედ ვაშაკიძემ.<sup>1</sup>

<sup>1</sup> ელისაბედ დავითის-ასული ვაშაკიძე დაიბადა 1874 წელს თბილისში. იგი არის ერთ-ერთი პირველი ქართველი ქალი, რომელმაც მუშაობა დაიწყო ჩვენი მუშათა თეატრის სცენაზე გასული საუკუნის 90-იან წლებში. უშირაღ იწვევდნენ აკადემიურ დასშიც. აქვს შესრულებული ბევრი საპასუხისმგებლო როლი სხვადასხვა პიესებში (ქეთევანისა „სამშობლოში“, ხანუმასი და სხვ.). შ. კ.

— საუცხოო სანახავი იყო ვანო სამხედრო ტანსაცმელში. თითქოს ახლაც თვალწინ მიდგას ხუჭუჭთმიანი, მხრებში გაშლილი ვაჟკაცი. მუდამ კრიალა ჩექმა ეცვა, წელზე ხიშტი ეკიდა. მეტად ორიგინალური იყო ჩვენი პირველი შეხვედრა. ნათესავს ვეძებდი. ყაზარმებთან მეგულვებოდა. შესასვლელი კარები ამოშენებული დამხვდა. იქვე ვტრიალებდი, გზა დამებნა. ვილაც შესანიშნავი ქაბუკი მომიახლოვდა, შორი-ახლო დადგა და მორიდებით შემეკითხა:

— რას ეძებთ, ქალო, იქნებ დახმარება გნებავთ?

შემომატარა მეორე მხრივ, მიმიყვანა, ისევ გამომაცილა. მისამართი მივეცი. ხშირად მოდიოდა, ესწრებოდა ჩვენს რეპეტიციებს. მეტად შეუყვარდა ჩვენი მუშათა სცენა. ხშირად სანდრო კავსაძეც მოჰყვებოდა და მაშინ ეშხიანად შემოსძახებდნენ. მთელი შეზობლები იყრიდნენ თავს მათ მოსასმენად. განსაკუთრებით საოცარი ხმა ჰქონდა ვანოს. მე თარს ვუკრავდი, ვამღერებდი, შემდეგ ვანოც დაამღერებდა ხოლმე. შესანიშნავი ხასიათი ჰქონდა. მუდამ მხიარულობდა, ღიღინებდა. რაიმეს რომ იტყოდი, სულ სიმღერასა და ხუმრობაში გაატარებდა. ზედმიწევნით ზრდილი და თავაზიანი ქაბუკი იყო.

\* \* \*

ვანო ჩვეული სიფაქიზითა და კეთილშობილებით ატარებდა სამხედრო ფორმას. შეეჩვია კიდევაც სამსახურსა და დისციპლინას. უფროსებიც დიდს პატივსა სცემდნენ, სხვებთან შედარებით შეღავათებსა და უპირატესობას აძლევდნენ, ხშირად შინ უშვებდნენ ღამის სათევად.

ერთხელ, რალაც შემთხვევის გამო, უცებ გავიდა ქალაქში და ხიშტის გაკეთება დაავიწყდა (ეს კი სავალდებულო იყო). მოულოდნელად შეეყარა ქალაქის კომენდანტი რეიტერი. კომენდანტი წარმოსადეგი ვაჟკაცი იყო, ქართული მშენებლობის იკოდა, რადგან დედა ქართველი ჰყავდა. პატივს სცემდა ქართველ საზოგადოებას და ქართველობდა კიდევაც თვითონ. რეიტერმა უხიშტო ვანო შეამჩნია და საკომენდანტოში გაიყოლა. ვანოს სასჯელი არ აცდებოდა. მივიდნენ. კომენდანტი

მობრუნდა და იქვე გაქვევდა: მის წინ ხიშტიანი ვანო გამოიქიმა.

- რა გვარი ხართ?
- სარაჯიშვილი.
- სარაჯიშვილი თუ სარაჯევი?
- სარაჯიშვილი!
- დავით ზახარის იცნობთ?
- ნათესავი გახლავართ მისი.

ერთხელ კიდევ აათვალიერა ეშხიანი ვაჟაკი და დინჯად უთხრა:

— მითხარით, როგორ მომატყუეთ... ოღონდ გულწრფელად.

— სასწრაფო საქმეზე მივეშურებოდი. შინიდან ისე გეახელით, რომ ხიშტი დამავიწყდა. როდესაც უკან მოგყვებოდი, ამხანაგს მოვკარი თვალი. მოვიხმე და თქვენდა შეუმჩინეღალ...

— აჰა!

— აი, ეს ხიშტი მისი გახლავთ...

— აჰა!.. მაშ თქვენმა ამხანაგმა გოლოვინის პროსპექტზე მოიხსნა ხიშტი და მოგცათ, არა?

— მისი ბრალი არ გახლავთ, წავართვი!

— რა გვარია ის ვაჟბატონი?

— უმორჩილესად გთხოვთ მე დამსაჯოთ... ის უღანაშაულა.

რეიტერს მოეწონა ჭაბუკის საქციელი. აღარ იკადრა ჩაციება.

— მიბრძანდით.

ვანო სწრაფად გავიდა. კომენდანტმა უღვაშზე გადისო ხელი, მიმავალ ვანოს თვალი გააყოლა და ღიმილით დასძინა — ყოჩაღ!

რამდენიმე დღის შემდეგ დავით სარაჯიშვილმა კარგა მოზრდილი „სახარება“ წაუკითხა ვანოს ამ ამბის გამო.

სამხედრო სამსახურში ყოფნის პერიოდში ვანომ მტკიცედ გადასწყვიტა ხმის დამუშავება და პროფესიულ მომღერლად გახდომა.

ზოგიერთ კერძო პირთა გადმოცემით, ერთ-ერთი პირველი მისი მასწავლებელი ყოფილა ოდესღაც ცნობილი მომღერალი უსატოვი, რომელთანაც ადრევე იყენებდნენ ხმას შალიაპინი და კომპოზ. ნიკო სულხანიშვილი. მაგრამ, როგორცა სჩანს, მასთან ვანოს სერიოზულად არ უშეცადინია<sup>1</sup>. ვანო ხშირად ესწრებოდა ოპერის სპექტაკლებს და თავისი ხალასი ნიქის წყალობით ზეპირად ითვისებდა მთელს პარტიებს. ხან გიტარაზე დააღლინიებდა, ხან კი უაკომპანემენტოდ შემოსძახებდა ხოლმე.

ერთხელ სანდრო ყანჩელი ექიმთან რიგს ელოდებოდა. მოსაცდელ დარბაზში მშვენიერი გარეგნობის ქაბუკი შემოვიდა. ძალიან შენოდა სამხედრო ფორმა. ყველამ მაშინვე მიაქცია ყურადღება. სანდრო ყანჩელმა ვერ მოითმინა, გამოე-საუბრა და მორიდებით ჰკითხა ვინაობა. უცნობი ფეხზე წა-მოიქრა და ზრდილობით მოახსენა — ვანო სარაჯიშვილი გახ-ლაყარო. იქვე მიამიტად მთელი გული გადაუშალა:

— ჩემი პროფესორი მეუბნება, ზედა „ღო“ უსათუოდ გექ-ნებაო. მალე სამხედრო სამსახურს დავანებებ თავს და სერიო-ზულ მეცადინეობას შევუდგები...

ამ პერიოდში ვანო ხშირად დადიოდა სანდრო ყანჩელის ოჯახში (მოსკოვის ქუჩაზე) და მღეროდა ხოლმე. მღეროდა ზოგჯერ თითქმის მთელს ოპერას და, რაც მთავარია, ყველა პარტიას. მაგალითად, „ევგენი ონეგინიდან“ ლენსკისაც იმ-ღერებდა, ონეგინსაც და ქალების პარტიებსაც ზედ მიაყოლებ-და. ასევე იმღერებდა „ტრავიატასაც“. შემდეგ „ურმულსა“ და სხვა ქართულ სიმღერებს შემოსძახებდა. „ურმულს“ შეუ-ღარებლად ასრულებდა, და დამსწრენიც მუდამ ამასა სთხოვ-დნენ.

ამრიგად, სამხედრო სამსახურში ყოფნის დროს ვანომ მტკი-ცედ გადასწყვიტა თავისი შესანიშნავი ხმის დამუშავება და მომღერლად გახლომა.

<sup>1</sup> ამის შესახებ ოფიციალურ წყაროებში ჯერჯერობით არსად არაფერი სჩანს, აპიტონი საეჭვოდ მიგვაჩნია. შ. კ.

## სარაჯიშვილთა გუნდი

1900-იანი წლებიდან მეტად გაცხოველდა რევოლუციური მოძრაობა თბილისის მუშათა წრეებში. რკინიგზის დეპოსა და მთავარი სახელოსნოების, ტრამვაის, თამბაქოს ფაბრიკისა და სხვა საწარმოთა მოწინავე მუშები რევოლუციურ მუშაობაში ჩაებნენ.

სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციამ ხელი მიჰყო მუშათა მასების გათვითცნობიერებას. გაცხოველდა სპექტაკლების დადგმა აქალის აუდიტორიაში. ზაქარია ფალიაშვილის თაოსნობით შეიქმნა „მოყვარულთა ოპერა“, რომელიც კვირაობით მართავდა წარმოდგენებს მუშებისთვის აქალის აუდიტორიაში. დასში შედიოდნენ: სობრანოები—სერგეევა, ბალიშეესკაია, ტენორები — პოლკოვნიკი რჩეულიშვილი, ნიკიფორაკი, ბანი — აღასოვი, ბარბტონები — პოტემკოვსკი, ცხომელიძე, ელიოზიშვილი და სხვანი. გუნდი — 20-30 კაცის შემადგენლობით. სპექტაკლები იდგმებოდა ფორტეპიანოს აკომპანემენტით, რომელსაც ზაქარიას ძმა ანტონ პეტრეს-ძე ფალიაშვილი და აიზენშტეტი ასრულებდნენ. დირიჟორობდა პოლიკარპე ფალიაშვილი (ესეც ზაქარიას ძმა). რეპერტუარში იყო „ალი“, „სევილიელი დალაქი“, „ბორის გოდუნოვი“, „ფაუსტი“ და სხვა ოპერები.

ეს „მოყვარულთა საოპერო დასი“ დიდი წარმატებით სარგებლობდა.

როგორც აღვნიშნეთ, პეტრე სარაჯიშვილის ოჯახის წევრები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ხალხური სიმღერის ოსტატურად შესრულებაში. ყველაზე უმცროსი — სოფიო, არაფერს არ უთმობდა ვანოს ხალხურ სიმღერაში. შესანიშნავად მღეროდნენ ანდრო, გიორგი, ილია. არაფერი სჯობდა იმის მოსმენას, როცა მთელი ოჯახი შეიკრიბებოდა და სუფრაზე სიმღერა გაჩაღდებოდა. ვანოს ხავერდოვან პირველს სოფიოს კონტრალტო აედევნებოდა, შემდეგ დანარჩენებიც აჰყვებოდნენ. სარაჯიშვილებმა საოჯახო გუნდი შეადგინეს. ეს გუნდი დიდი წარმატებით მონაწილეობდა სალამო-კონცერტებში. პირველ ხმას

ვანო ამბობდა, მეორეს — გიორგი, ბანს — ილია, მალალ ბანს — ანდრო, სოფიო — მეორეს. კავკასიის მესამე ათასეულში ყოფნის დროს ვანო ხშირად დაეთხოვებოდა უფროსებს და თავის ძმებს მხარს უმშვენიებდა. გუნდი მღეროდა თბილისის რკინიგზის დეპოზთან არსებულ პატარა თეატრში და ავქალის აუდიტორიაში, სადაც მაშინ შალვა დადიანი რეჟისურობდა. სარაჯიშვილებს არავითარი გასამრჯელო არ ეძლეოდათ. გუნდში მონაწილეობის გარდა ვანო აქ ცალფა სიმღერებსაც ასრულებდა. რამდენიმე რომანსი მას გადაუთარგმნა ქართულად ამ საღამოების მოწყობის ერთ-ერთმა ინიციატორმა კონსტანტინე ჯაფარიძემ.

### სიმღერის პირველი ბაკვეთილები. გ. ვ. მაჩაბელი

ჯერ კიდევ გიმნაზიაში ყოფნის დროს მიაქციეს ყურადღება ვანოს შესანიშნავ ხმას და მუსიკალობას. ახლა, გუნდებში მონაწილეობისა და ცალკე გამოსვლების შემდეგ, მთელი ხალხი აღაპარაკდა. არამცთუ მეგობრები და ნათესავები, არამედ უცნობებიც კი ურჩევდნენ ხელი აეღო ნაირფერ სიმღერებზე და აკადემიურ მეცადინეობას შესდგომოდა. მაგრამ მაშინდელ პირობებში ეს არც ისე ადვილი იყო. ბოლოს, ვანომაც მიაქცია თავის თავს ყურადღება. იმ ხანად თბილისში ცხოვრობდნენ სარაჯიშვილების ოჯახის შორეული ნათესავი გიორგი ვახტანგის-ძე მაჩაბელი, რომელსაც ადრევე ჰქონდა მიღებული პეტერბურგში მუსიკალური განათლება და თავის დროზე კარგი მომღერალიც იყო. გიორგი მაჩაბელი მოხიბლული იყო ვანოს შესანიშნავი ხმით. მან პირველმა გაუღვიძა ვანოს საფუძვლიანი ვოკალური განათლების მიღების სურვილი და ბრწყინვალე მომავალი უწინასწარმეტყველა. ვანო მთელი გულით მიენდო თავის მასწავლებელს და მოამაგეს. იგი თითქმის ყოველდღე დადიოდა მასთან და მეცადინეობდა. მაგრამ გიორგი მაჩაბელს მაინც არ შეეძლო საბოლოოდ ვანოს ბედის გადაწყვეტა და იმ გზაზე დაყენება, რომლისთვისაც იყო მოწოდებული მომავალი დიდი მომღერალი. მაინც, მაჩაბელთან მუშაობამ მტკიცე საფუძველი ჩაუყარა ვანოს მომავალ აკადემ-



მიუზრ მესადინეობას. მაჩაბელს გარდა ვანოს ბევრი კეთილის-  
მოსურნე ადამიანი დასტრიალებდა თავს. მათ რიცხვში იყო  
ხაზინის მოხელე დიმიტრი ბახუტაშვილი. იგი სულითა და  
გულით ცდილობდა როგორმე სამსახურში მოეწყო თავისი  
მეგობარი და ამით სწავლის განგრძობის საშუალება მიეცა  
მისთვის. ვანო სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლდა.  
ბახუტაშვილმა მას თხოვნა შეატანინა ხაზინაში, მაგრამ უარი  
უთხრეს. ბახუტაშვილსა და მაჩაბელს ფარხმალი არ დაუყ-  
რიათ. ისინი ნიადაგ იმის ფიქრში იყვნენ, როგორ მოეწყოთ  
ვანო და გზა გაეკვლიათ მისი ხალასი ნიჭისათვის.

„რას მიჰმინან ტკბილი სიტყვა“. მოხიბლული მოხელე.  
სახაზინო პალატა. ილია ჭავჭავაძის ბანაჩენი

დავით სარაჯიშვილს იმ ხანად გაჩაღებული ჰქონდა საკუ-  
თარი საწარმოები. დიდ შემოსავალს აძლედა მას არაყის ქარ-  
ხანა კავკავში და საქონლის ფერმა, აგრეთვე კონიაკისა და  
მაგარი სასმელების საწარმოები. მას დიდი ქველმოქმედის სა-  
ხელი ჰქონდა გავარდნილი. თითქოს, ყველაზე ადრე დავითი  
თავის უნიჭიერეს ნათესავს — ვანოს უნდა დახმარებოდა, მით  
უფრო, რომ ვანოს უფროსი ძმა, ალექსანდრე, მისი მოურავი  
იყო. მაგრამ დავით სარაჯიშვილი გულცივობას იჩენდა ვანოს  
მიმართ. მას არც ისე სიამოვნებდა ვანოს აღზნებული ქაბუ-  
კური სილადე, დარდიმანდობა, ზოგჯერ — ჩოხა-ახალოხი და  
ქამარ-ხანჯალი. დავითს არ მოსწონდა არც ვანოს მონაწილე-  
ობა ს. კავსაძის გუნდში, რომელმაც მთელი საქართველო  
შემოატარა და პურმარილიან ქაბუკს ქართული ლხინის სი-  
ყვარული გაუათქვია. არც საზოგადოების წინაშე ვანოს ასე  
ნაადრევი წარდგომა მოსწონდა დავითს. რა თქმა უნდა, იგი,  
როგორც მეტად კულტურული ადამიანი, უეჭველად შეამჩნევ-  
და ვანოს ბუნებრივ ნიჭსა და უნარს. მით უფრო მეტს მოით-  
ხოვდა იგი ვანოსაგან.

იგი ვანოს დაუდევრობაში სდებდა ბრალს, გულში კი მა-  
ლულად ინახავდა მის სიყვარულს.

დავით სარაჯიშვილი ხშირად მართავდა თავის ბინაზე (ახლან-  
დელ მაჩაბლის ქუჩაზე) მუსიკალურ საღამოებს, სადაც იწვევდა

მომღერლებს, მხატვრებს, მუსიკოსებს, მწერლებს, ნიჭიერ ახალგაზრდობას. აქ უკრავდნენ და მღეროდნენ. ვანო შესანიშნავად უკრავდა გიტარას და ამღერებდა ზედ სხვადასხვა სიმღერასა და რომანსს. აქ გაიცნო იგი პირველად იტალიიდან ახლად დაბრუნებულმა მომღერალმა ს. ი. ევლახიშვილმა<sup>1</sup>. იგი გააოცა ვანოს ხმის სილამაზემ, ხავერდოვანმა ტემბრმა, სიმღერის ბუნებრივმა ნიჭმა და მუსიკალობამ. ყველა ერთხმად ურჩევდა შესდგომოდა სერიოზულ მეცადინეობას.

იმ ხანად სახაზინო პალატას განაგებდა მიხაილოვი. იგი მუსიკის მოყვარული ადამიანი იყო. ერთხელ, რომელიღაც ვაჩნაძეს წვეულება ჰქონდა. მიხაილოვთან ერთად დიმიტრი ბახუტაშვილიც დაჰპატიჟეს. დიმიტრიმ ვანო წაიყვანა — მიხაილოვი მის სიმღერას მოისმენს და იქნებ საქმე გაიჩარხოსო.

ვანომამზე ვანომ მამაპაპურად შემოსძახა. მიხაილოვს სასმისი ხელშივე შერჩა. ასეთი წარმტაცი ხმა მას არასდროს არ მოესმინა.\*

— რა ნებაგს? სამსახური? რას მიქვიან სამსახური! დღესვე უნდა შეუდგეს მეცადინეობას. ეს არაჩვეულებრივი მოვლენაა, სასწაულია...

<sup>1</sup> ს. ი. ევლახიშვილი დაიბადა 1872 წ. თბილისში ჟურნალისტის, ლიტერატორის ოჯახში. მამამისი არის „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი პირველი მთარგმნელი რუსულ ენაზე. დაამთავრა თბილისის I გიმნაზია, შემდეგ — მოსკოვის კონსერვატორიის სიმღერის კლასი (ბარიტონი) პროფ. ტალიაბუესი. სიმღერაში დახელოვნება განაგრძო მილანში პროფ. ვიდალთან. I წლის განმავლობაში მღეროდა იტალიის ქალაქებში — ფოსანოში, სავილიანოში (ოპერ. „ფაუსტი“, „ტრუბადური“, „ერნანი“, „ფაფორიტი ქალი“ და სხვ.). რუსეთში პირველად გამოვიდა ქალ. პერმში 1899 წ. შემდეგ მღეროდა სხვადასხვა ქალაქებში. 1914 წლიდან თბილისის სახელმწ. ოპერაში ხელმძღვანელი თანამდებობანი ეკავა. მის დროს საფუძველი ჩაეყარა ქართულ ოპერას და პირველად დაიდგა: „თქმულება შოთა რუსთაველზე“ — არაყიშვილისა, „აბესალომ და ეთერი“ — ფალიაშვილისა, „ქეთი და კოტე“ — დოლიძისა.

1921 წლის 26 თებერვალს თეატრის მუშა-მოსამსახ. საერთო კრებამ აირჩია თეატრის გამგედ და ხელმძღვანელად. 1925 წ. 8 თებერვ. ოპერის თეატრში მოღვაწეობის 25 წლისთავის იუბილზე გაუმართეს. გარდაიცვალა 1946 წ. შ. კ.

საზოგადოებამ ერთბაშად იგრილა:

— ვაშა, ვაშა!

გათამამებულმა ვანომ გულის სიღრმიდან ამოიღო:

„მხოლოდ შენ ერთს,  
რაც რომ ჩემთვის  
მოუცია მალლიდან ღმერთს...“

მიხაილოვი ადგილს ვერ პოულობდა.

— ხაზინაში უარი უთხრეს. ხელმოკლე კაცია. მეცადინეობას ფული უნდა.

— თქვენთვის მზადაა ადგილი სახაზინო პალატაში. ოღონდ ერთსა გთხოვთ, კაბუკო: როცა მოგვედე, „მხოლოდ შენ ერთს“ მიმღერეთ, სხვა არაფერი!

ვანოს პალატაში კარგი ხელფასი დაუნიშნეს. საქმეც იოლი ჰქონდა. გიორგი მაჩაბელი ცას ეწია სიხარულით. მან კარგად იცოდა, რომ მიხაილოვს დიდი გავლენა ჰქონდა მოწინავე საზოგადოებაში და მისი საშუალებით ბევრის გაკეთება შეიძლებოდა. ამჯერად მაჩაბელმა გამართა სადილი. ვანომ აქ უფრო მეტი ცეცხლი შეუკეთა მიხაილოვს.

მეორე დღეს მიხაილოვი სამსახურში აღარ წასულა. დავით სარაჯიშვილს ეწვია და საყვედურით მიმართა: — საოცარია, რომ ქართველები ყურს არ უგდებთ ასეთ დიდებულ ნიქს... ჩემის მხრივ ვ თუმანს ვუნიშნავ სტიპენდიას.

დავითმაც ხელი გამოიღო. ანდრო სარაჯიშვილის<sup>1</sup> ცნობით, მან საგანგებოდ მოიწვია ილია ჭავჭავაძე, სხვა გავლენიანი პირები, თვით მიხაილოვი, ვანოს მთელი საოჯახო გუნდი და ამ წრეში მოუსმინა თავის ნათესავს.

რა თქმა უნდა, ვანო აქ უფრო სერიოზული გამოცდის<sup>2</sup> წინაშე იდგა. იგი ფორტეპიანოს თანხლებით მღეროდა. აკომპანემენტს უკრავდა დავითის დისწული — პიესა „სამშობლოს“ ავტორის — დ. ერისთავის ასული.

დიდმა ილიამ მოკლედ მოსპირა:

<sup>1</sup> ვანოს უფროსი ძმა. გარდ. 1945 წ. შ. კ.

— უსათუოდ უნდა გაიგზავნოს სასწავლებელში, დახმარება დაენიშნება.

შესრულდა ილიას განაჩენი. აღიძრა შუამდგომლობა ვანოსათვის სტიპენდიის დანიშვნის შესახებ. დახმარება გადასწყვეიტა დავით სარაჯიშვილმაც.

იმ ხანად ქუთაისისა და თბილისის თავადაზნაურობას ჰქონდა „უმალღესად ნაბოძები“ ოც-ოცი ათასი მანეთი. ამ თანხების მიზანშეწონილად გამოსაყენებლად შესდგა კომისიები, რომლებსაც დაევალა კონკრეტულ ღონისძიებათა დასახვა და დასახმარებელ პირთა შერჩევა. თბილისის თავადაზნაურობამ კომისიაში აირჩია: ილია ჭავჭავაძე, გ. ი. თარხან-მოურავი, ლ. გ. ჯანდიერი, ვ. თულაშვილი, ი. გ. თულაშვილი.

1903 წლის მაისის 5-ს გაიმართა კომისიის მორიგი სხდომა, რომელმაც განიხილა ეს საკითხი. თბილისის თავადაზნაურობას მაშინ უკვე 19 სტიპენდიატი ჰყავდა. გამოითქვა მოსაზრებანი გორსა და თელავში გიმნაზიების დაარსებისა, საშუალო სამეურნეო სასწავლებლის გახსნისა და სტიპენდიატთა რიცხვის გადიდების შესახებ. თბილისის თავადაზნაურობამ 20 ათას მანეთს 4 ათასი მანეთი კიდევ დაუმატა და 12 აგვისტოს სხდომაზე სამოცზე მეტი თხოვნა განიხილა.

კომისიამ დაადგინა: „მიეცეს დახმარება ივანე სარაჯიშვილს, რომელიც მოსკოვის კონსერვატორიაში მიდის გალობის კურსებზე“ (გაზ. „ივერია“ № 174, 1903 წ. 15 აგვ.).

იმავე რიცხვის „ცნობის ფურცელი“ აცხადებს, რომ „სტუდენტთაგან სტიპენდია დაენიშნათ ალექსანდრე პოლტორაკის, ზაქარია ციციშვილს და ს.-პეტერბურგის კონსერვატორიის მოსწავლეს ივანე სარაჯიშვილს“.

არც ერთი ეს ცნობა ვანოს მიმართ მთლიანად არ შეეფერება სინამდვილეს:

ვანოს არა ჰქონია განზრახული მოსკოვის კონსერვატორიაში შესვლა, და მისი არჩევანი თავიდანვე პეტერბურგზე შეჩერდა. ამას გარკვეული მოსაზრება ედო საფუძვლად: მაშინ პეტერბურგში ცხოვრობდა ვანოს ბიძაშვილი, მომღერალი ევგენია სარაჯიშვილი, რომლის ხელშეწყობით ვანო უკეთ გაიკვლევდა გზას. გარდა ამისა, პეტერბურგშივე მოღვაწეობდა

იტალიური საოპერო დასი, და ვანო აქედანვე ოცნებობდა იტალიური ვოკალური კულტურის შექმნაზე.

პეტერბურგში ვანოს თანამემამულეთა საკმაოდ მრავალრიცხოვანი წრე დახვდა.

## „ქართული საღამოები“. რუსეთში მხოფი ქართველობა

ქართველი მოსწავლე ახალგაზრდობა მთელს უზარმაზარ რუსეთში იყო გაფანტული.

მოსკოვში, პეტერბურგში, ოდესაში, კიევიში, ხარკოვში, რიგაში, ვარშავში, ბაქოსა და სხვა ცენტრებში ოდითვე არსებობდა ქართველთა სათვისტომოები, რომლებიც თავს უყრიდნენ გაბნეულ ძალებს და მართავდნენ „ქართულ საღამოებს“. ქართველები ჩოხა-ახალოხით, ქულაჯებითა და ლეჩაქით მორთულნი ასრულებდნენ მშობლიურ ხალხურ სიმღერებს, რასაც აღტაცებაში მოჰყავდა უცხო მსმენელი.

რუსეთში „ქართული საღამოების“ გამართვაში ცალკეულ მოღვაწეთა შორის დიდი ღვაწლი მიუძღვის კომპოზიტორ მელიტონ ბალანჩივადეს. მელიტონი არის ქართული რომანსის ფუძემდებელი, ქართული საოპერო კულტურის დამწყები, ერთ-ერთი ნიჭიერი ლოტბარი და ჩვენი ხალხური სიმღერის ჩამწერი. მისი თაოსნობით იმართებოდა ქართული კონცერტები მთელ რიგ ქალაქებში, ოდესიდან მოკიდებული პეტერბურგამდე.

რუსეთში „ქართული საღამოებისა“ და ქართული მუსიკის გავრცელებაში ღვაწლი მიუძღვისთ აგრეთვე: კომპოზ. ზაქ. ფალიაშვილს, დიმ. არაყიშვილს, კ. ფოცხვერაშვილს, არსენ კორემჩენკოს, ია კარგარეთელს, ი. რატილს (კონცერტები ჩრდილო კავკასიაში), „გურიის ამხანაგობის სამუსიკო ორკესტრს“ ლუარსაბ კეველავას ლოტბარობით, კოტე მარჯანიშვილს, ილიკო ქურხულს. „ქართულ საღამოებს“ დიდად უწყობდნენ ხელს პირადი მონაწილეობით და ხელოვნების განთქმულ ოსტატთა ჩაბმით: ვლადიმერ (ლადო) მესხიშვილი, სუმბათაშვილი-იუეინი, მიხეილ ნანობაშვილი, ევგენია სარაჯიშვილი, ვანო სარაჯიშვილი, მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორი ალ. ხახანა-

შვილი, აკადემ. ნ. მარი, ივანე ჯავახიშვილი და ბევრი სხვა ქართველი მოღვაწე.

დასასრულ, ამ საღამოებში მონაწილეობდა რუსეთში მცხოვრები თითქმის ყველა ქართველი სტუდენტი, მუშა, მოსამსახურე, მეცნიერი, მსახიობი, რომლებსაც რაიმე წვლილის შეტანა შეეძლოთ მშობლიური ხელოვნების გამომქლავებაში.

1903 წლისათვის ჩატარებული აღრიცხვის მიხედვით, რუსეთის უმაღლეს სკოლებში სამი ათასამდე ქართველი სტუდენტი მეცადინეობდა. ზოგან პაწია ქართული ბიბლიოთეკებიც კი ჰქონიათ. ოდესის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა ბიბლიოთეკაში იმ ხანად 400-ზე მეტი ქართული წიგნი ყოფილა დაცული.

განთქმული რუსი კომპოზიტორები ჩაიკოვსკი, რიმსკი-კორსაკოვი, იპოლიტოვ-ივანოვი, არსენ კორეშჩენკო და სხვები დიდად აფასებდნენ ქართულ ხალხურ სიმღერას.

როგორც ცნობილია, პ. ჩაიკოვსკი რამდენჯერმე ეწვია თბილისს 80—90-იან წლებში. ჩვენმა მუსიკოსმა ზაქ. ჩხიკვაძემ შესანიშნავი მოგონებები დაგვიტოვა მასთან შეხვედრის შესახებ. ჩაიკოვსკის მან გააცნო ქართული ხალხური მუსიკა საკუთარი ჩანაწერების მიხედვით. ჩვენი „ივანანა“ პ. ჩაიკოვსკიმ თავის ბალეტ „შჩელკუნჩიკში“ შეიტანა და „არაბული საცეკვაო“ უწოდა, რამაც სამართლიანი აღშფოთება გამოიწვია ქართველ მუსიკოსთა წრეებში. ამის გამო წერილები მოათავსეს პრესაში მ. ბალანჩივაძემ, ი. კარგარეთელმა, დ. არაყიშვილმა და სხვებმა.

ზაქ. ჩხიკვაძის გადმოცემით, ჩაიკოვსკი მიუჯდა ფორტეპიანოს, დაუკრა „თამარის დროშა გაშალეს“, „მუშლი მუხსანა“ და სხვა სიმღერები, შემდეგ გაიტაცა ქართულმა მელოდია და კლავიშებს „ცეცხლი მოუკიდა“ თავისი მგზნებარე ტემპერამენტით. იგი მოხიბლული იყო ქართული ჰანგის მრავალფეროვანებით, სილამაზითა და მელოდორობით. კომპოზიტორმა რიმსკი-კორსაკოვმა უბრალო გუნდის შესრულებით მოისმინა პეტერბურგში ჩვენი ხალხური სიმღერები, მაგრამ გაუძნელდა დაჯერება, რომ ისინი ხალხური შემოქმედების ნაყოფი იყო.

— ეს ნამდვილი კონტრაპუნქტია, დიდი ოსტატის ხელოვნური ნაწარმოებია, შეუძლებელია ეს ხალხური იყოს. უსათუოდ ვეწვევი მშვენიერ საქართველოს და ჩემის ყურით უშუალოდ ხალხისაგან მოვისმენ ამ საკვირველ ქმნილებებსო.

თბილისის სამუსიკო სასწავლებლის დირექტორად ნამყოფმა იპოლიტოვ-ივანოვმა მთელი რიგი ხალხური სიმღერა და სასულიერო საგალობელი გადაიღო ნოტებზე. მან თავის „ლალატში“ არა ერთი ქართული კილო გამოიყენა და გამოაქვეყნა კიდევაც ქართული ხალხური მუსიკის მიმოხილვა. თუმცა მან შეცდომები დაუშვა: ქალაქური შერყვნილი კილო ხალხურ შემოქმედებად მიიღო და მცდარი დასკვნები გამოიტანა, მაგრამ შემდეგ გამოასწორა თავისი შეცდომა.

ქართული ხალხური სიმღერები გამოიყენა ოპ. „დემონში“ კომპოზ. რუბინშტეინმაც. ქართულ თემებზე მოეპოვებათ ნაწარმოებნი გლინკას, მ. ბალაკირევს, არსენ კორეშჩენკოს, კლენოვსკისა და სხვა კომპოზიტორთ.

— განსაკუთრებით აღსანიშნავია კომპოზ. არსენ კორეშჩენკო. 90-იან წლებში მან თავისი ფეხით მოიარა ქართლ-კახეთისა და გურიის ბევრი სოფელი, საფუძვლიანად შეისწავლა ქართლ-კახური და იმერულ-გურული ხალხური სიმღერა, რის შედეგად შესანიშნავი ნარკვევები მოათავსა რუსულ პრესაში; ჩაატარა აგრეთვე რამდენიმე ლექცია-კონცერტი. არსენ კორეშჩენკომ გაბედულად და მთელი მსოფლიოს განსაგონად უარპყო ზოგიერთების მიერ გავრცელებული უმეტრება — მთელს აღმოსავლეთში ირანული კილოს გავლენის შესახებ. მან აღიარა, რომ პოლიფონიურ ქართულ მუსიკას აქვს თავისი საკუთარი სახე, რომ „იგი მდიდარია თავისებურებით, სიცოცხლით, ბუნებით, მელოდიებით, რომლებიც დიდი მუსიკალური სიმდიდრით განირჩევიან. ქართულ ხალხურ ვოკალურ მუსიკას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს აღმოსავლეთის ერთა მუსიკალურ შემოქმედებაში, იგი დიდი ყურადღების და დამუშავების ღირსია, რადგან მას შეუძლია ახალი გზა უჩვენოს საერთაშორისო მუსიკალურ ხელოვნებასო“.

კომპოზ. დ. არაყიშვილმა ჩატარებული ექსპედიციების შედეგად მთელი რიგი ნარკვევები გამოაქვეყნა 1900-იან წლებში

რუსულ პრესაში და ჩაატარა ლექციები, სადაც განმარტა, რომ ქართული ხალხური მუსიკა წარმოადგენს სრულიად-საკაცობრიო მუსიკალური შემოქმედების სავსებით ინდივიდუალურ შტოს.

მოხსენებით ქართულ მუსიკაზე მოსკოვში გამოვიდა ია კარგარეთელი, რომელსაც მრავალი სტატია აქვს მოთავსებული ამ საგანზე ქართულ და რუსულ პრესაში. შესანიშნავი წერილი მოათავსა რუსულ ცენტრალურ პრესაში მელ. ბალანჩივაძემ: „ქართული საერო და სასულიერო კილოების შესახებ“. მოსკოვის ეთნოგრაფიული კომისიის სხდომაზე ქართული მუსიკის შესახებ მოხსენება წაიკითხა მუსიკოსმა ეისნერმა; საუცხოო წერილები მოათავსეს აკად. მარმა, კომპოზ. სამინსკიმ და სხვებმა, რომელთა მოკლედ ჩამოთვლაც კი ძალიან შორს წაგვიყვანს.

„ქართული საღამოები“ დიდი პატრივისციემით სარგებლობდნენ რუსეთში. დამსწრე საზოგადოებას ხიბლავდა შესანიშნავი ქართული ხალხური სიმღერა, მორთულობა, ცეკვა, ქართველთა სიმკვირცხლე, ემზი და იერი. საიმპერატორო თეატრების გამოჩენილი მსახიობი - ქალები ყვავილებისა და შამპანურის გაყიდვასაც კი არ თაკილობდნენ ამ საღამოებში. რა თქმა უნდა, ამ მაღალი საზოგადოების ჩაბმა ჩვენს თანამემამულეთა დამსახურებასაც უნდა მიეწეროს. არა ერთი „ქართული საღამო“ გამართულა ლადო მესხიშვილის, ალ. სუმბათაშვილი-იუენის თაოსნობით.

შევჩერდეთ სუმბათაშვილზე.

1902 წლის 3 ნოემბერს მოსკოვის კეთილშობილთა საკრებულო დარბაზში ა. სუმბათაშვილმა მოაწყო ქართული კონცერტი-ბალი ხელმოკლე ქართველ სტუდენტთა დასახმარებლად. კორესპონდენტი ასე ავგიწერს ამ საღამოს:

„... უმეტესი ტაში წილად ზედათ საიმპერატორო თეატრების არტიტებს, ვიოლინოს განთქმულ დამკვრელს პროკოპოვიჩს, პიანისტს იგუმნოვს<sup>1</sup>, მომღერალ ტერ-კორლანოვას. განსა-

<sup>1</sup> კონსტანტინე ნიკოლოზის-ძე იგუმნოვი, ამჟამად მოსკოვის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი, გამოჩენილი საბჭოთა პიანისტი და პედაგოგი. რედ.



კუთრებით წარმატება მოიპოვა ქართველ სტუდენტთა გუნდმა, რომელსაც ზაქარია ფალიაშვილი ლოტბარობდა. ბევრი ქართველი იყო, ბლომად დაესწრნენ მოსკოველებიც. ქართველები თავიანთი ეროვნული ტანსაცმელით იყვნენ მორთულნი. ლეკურმა მთელი საზოგადოება მოხიზლა. დაუსრულებლად ამერებინებდნენ. როდესაც ქართველებმა ლეკურს ტაში შეუწყეს, მათ მოსკოველებიც აჰყვნენ და იშვიათი სიდიადე გადაიშალა... სუმბათაშვილმა წაიკითხა ქართულიდან ნათარგმნი ბელეტრისტული ნაწარმოებნი“.

აღ. სუმბათაშვილის პოეტურ ბუნებას „ქართულმა საღამოებმა“ მშობლიური ცეცხლი შეუნთო. 1903 წელს, მოსკოვში, ერთ-ერთი ასეთი საღამოს შემდეგ სხვა სტუმართა შორის აღ. სუმბათაშვილიც უსხდა ტრადიციულ ქართულ სუფრას. გაჩაღდა სადღეგრძელოები. სუმბათაშვილს უგუნებობა ეტყობოდა— ეჩოთირებოდა თანამემამულეთა შორის თავისი ნასხვაფერევი იერი. ქართველმა სტუდენტებმა კახური „მრავალჯამიერ“ წამოიწყეს. საზოგადოება სმენად გადაიქცა. სუმბათაშვილი აკანკალდა, სტუდენტებს მიეპკრა, ყელზე მოეხვია და აქვეთინებულმა ნაწყვეტ-ნაწყვეტად წარმოსთქვა:

— ძვირფასნო, მშობლიურნო... მეც ხომ ქართველი ვარ, თქვენი ღვიძლი... მე.. მე.. მთელის არსებით მესმის ეს!

სუმბათაშვილის ეს სასოწარკვეთილი გმინვა სავსებით გასაგები გახდება, თუ გავიხსენებთ, რომ რამდენიმე ხნის შემდეგ ქართულ სცენაზე მისი „ღალატი“ დაიდგა.

— ოთარ ბეგ! სად არის საქართველო!..

ეს სიტყვები მაშინ ზარივით აგუგუნდა ყოველი ქართველის შეგნებაში.

ღირსშესანიშნავია მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორ აღ. ხახანაშვილის მოღვაწეობაც. მისი მეოხებით მოსკოვის უნივერსიტეტში დაარსებულ იქნა საქართველოს ისტორიისა და სიტყვიერების კათედრა. აქ მასთან მკიდრო კავშირი ჰქონდა ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს ზაქ. ფალიაშვილს, რომელთანაც შემდეგ ა. ხახანაშვილმა იმოგზაურა სვანეთში ხალხური შემოქმედების შესასწავლად.

აღ. ხახანაშვილმა დააარსა მოსკოვის უნივერსიტეტში „ქარ-

თული კულტურის მოყვარულთა ილია ქავჭავაძის სახელობის წრე“. 1907 წელს ა. ხახანაშვილმა და გ. ჟორდანიამ წაიკითხეს მოხსენებები ილიას შესახებ მოსკოვის ეთნოგრაფიულ საზოგადოებაში. მოხსენებას დიდძალი ხალხი დაესწრო.

1909 წლის 20 ნოემბერს მოსკოვის უნივერსიტეტის ახალ შენობაში გაიმართა ილიასადმი მიძღვნილი ლიტერატურულ-მუსიკალური საღამო ა. ხახანაშვილის თავმჯდომარეობით. მოხსენებები წაიკითხეს (რუსულად) ალ. ხახანაშვილმა—„ილია ქავჭავაძის ლიტერატურული და საზოგადოებრივი მოღვაწეობა“, გ. ჟორდანიამ—„ი. ქავჭავაძე, როგორც სახალხო პოეტი“, კ. ფანიაშვილმა — „ი. ქავჭავაძის მოღვაწეობის ისტორიული დაფასება“, და სხვ.

პეტერბურგელი ქართველობა არ ჩამოუვარდებოდა მოსკოველ თანამემამულეთ მტკიცე კავშირით, ერთსულოვნებითა და მაღალი ეროვნული შეგნებით.

იმ ხანად რუსეთში მოღვაწეობდნენ აგრეთვე ჩვენი საამაყო მეცნიერები: ნიკო მარი, ივ. ჯავახიშვილი, ვასილ პეტრიაშვილი, პეტრე მელიქიშვილი და სხვები, რომლებსაც მკიდრო კავშირი ჰქონდათ იქაურ და აქაურ ქართველობასთან.

დასასრულ, რუსეთში მუშაობდა დაუცხრომელი კოტე მარჯანიშვილი. კოტე რუსეთში მყოფი ქართველი სტუდენტობის გულითადი მეგობარი იყო. ამ დიდმა ხელოვანმა ბევრი ბრწყინვალე ფურცელი ჩასწერა რუსეთისა და საქართველოს კულტურის ისტორიაში. ეს საგანგებო კვლევის საგანია, ამ შემთხვევაში მოვიყვანთ მხოლოდ ერთ ფაქტს.

1909 წლის „დროება“ (№ 260) გვაუწყებს:

„...მოსკოვიდან გავატყობინებენ, რომ იქაურ ქართველ მოსწავლეთა შორის შემდგარა დრამატიული დასი, რომელსაც განუზრახავს რამდენიმე საუკეთესო დრამატიული თხზულების შემზადება. დრამატიული დასი გაზაფხულზე ჩამოვა საქართველოში და თბილისსა, ქუთაისსა და ბათუმს წარმოადგენას გამართავს. დასი ცნობილი რეჟისორის კოტე მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით უკვე შესდგომია „ეკიმ შტოკმანის“ შესწავლას. შტოკმანის როლს ასრულებს ვალ. შალიკაშვილი“.

კოტე მარჯანიშვილი ვანო სარაჯიშვილის ნიჭის დიდი თაყვანისმცემელი იყო. მას სიკვდილამდე არ განელებია გულში თავისი საამაყო მეგობრის სიყვარული. მანვე ისე უქირისუფლა



ვანო სარაჯიშვილი 25 წლისა  
(სურათი გადაღებულია პეტერბურგში 1905 წელს)

ვანოს, როგორც იქნებ არც ერთ ხელოვანს არ ღირსებია მსოფლიოში... მაგრამ ამაზე შემდეგ.

თუ რა სისტემატურად იმართებოდა რუსეთში ქართული საღამოები, ამის ნათელსაყოფად საკმაოა აღვნიშნოთ, რომ 1914 წელს მარტო პეტერბურგში გაიმართა მეორმოცდაცამეტი ქართული „კონცერტი-ბალი“. ვინ იცის, კიდევ რამდენი გაიმართა, მაგრამ არ აღირიცხა.

პეტერბურგელ ქართველთა დასახასიათებლად საჭიროდ მიგვაჩნია კიდევ ერთი ცნობის მოყვანა.

1903 წლის 3 დეკემბრის „ივერიაში“ ეკითხულობთ:

„...პეტერბურგში მცხოვრებს ერთს ქართველს განუზრახავს „ვეფხისტყაოსნის“ გადაღება ოპერად. ეს საქმე მიუხედავად ოპერის მკოდნეთათვის. პირველად გამოსცემენ მხოლოდ ერთს სამუსიკო სურათს ფორტეპიანოზე დასაკრვლად. ეს სურათი გამოიცემა ახალწლამდე. კონსერვატორიის პროფესორებს მოუსმენიათ და ძალიან მოსწონებიან, როგორც ორიგინალური პიესა და ამასთანვე სტილიურად შემუშავებული.

ცნობილს პროფესორს პეტროვს, რომელიც საუკეთესო ინსტრუმენტონად ითვლება, მიუმართავს ამ ქართველისათვის — „ვეფხისტყაოსნის“ ამ სურათს საორკესტროდ გადავიღებ სულ მცირე ფასადო...“

ჩვენ არ ვიცით ამ კეთილშობილი ქართველის სახელი. ეს პეტერბურგელი ქართველი — ერთი რიგითი, უსახელო ჯარისკაცია მშობლიური კულტურის სამსახურად თავგანწირული.

ასეთი იყო 1900-იან წლებში ქართველთა კულტურული და პატრიოტული იერი რუსეთის იმპერიის სატახტო ქალაქში. სწორედ მაშინ ეწვია ამ ქალაქს ერთ-ერთი შესანიშნავი ქართველი — სიცოცხლითა და ნიჭით აღსავსე კაბუკი — ვანო სარაჯიშვილი.

საუცხოო სანახავი იყო „ქართულ საღამოებში“ თეთრი ჩოხითა და ფირუზისფერი ახალოხით მორთული ვანო.

1903 წელს პირველად გამოვიდა ვანო პეტერბურგში ესტრადაზე და მაშინვე მოაჯადოვა დიდი სატახტო ქალაქის განებივრებული მსმენელი. მარშალმა მელიქიშვილმა აქ გაიგონა მისგან პირველად ბევრი ხალხური კილო და ჩვენი დიდებული „ურმული“:

„გასწიე ხარო, გასწიე,  
საცაა გათენდებაო“...

იგი გაცემული კითხულობდა:

— ნუთუ წვივჩატყაულ ქართველ მეურმეს ასეთი ღვთაებრივი სიმღერა აქვს! ვინ მისცა მას ასეთი ფაქიზი სული და გულიო...

1903 წელს სთელიან ვანოს მოღვაწეობის საწყისად. ამის მიხედვით გადაუხადეს მას 1923 წელს 20 წლის მოღვაწეობის იუბილე.

მაგრამ ეს თარიღი არ არის სწორი. მართალია, პეტერბურგის სცენაზე და ბრწყინვალე სალონებში პირველად 1903 წელს ვაისმა ვანოს სიმღერა, მაგრამ აქი ამაზე დიდი ხნით ადრე საქართველოში დაირხა ის.

ვანოს შემოქმედების საწყისი ისევე უყოყმანოდ ეკუთვნის საქართველოს, როგორც თვით ვანოსვე სანეტარო „ურმული“.

### პროფესორი პრიანიზნიკოვი. „ვაუსტის“ ძალა

პეტერბურგს ვანო 1903 წლის 6 ოქტომბერს ჩავიდა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, თბილისის სამუსიკო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ 1900-იან წლებში იქ წარმატებით მღეროდა და მეცადინეობდა კიდეც მისი ბიძაშვილი ევგენია.

ორიოდე სიტყვა ვანოს ამ ბიძის ოჯახზე.

გიორგი მიხეილის-ძე სარაჯიშვილი მუსიკის მოყვარული და მეტად კულტურული ადამიანი იყო. იგი მუშაობდა ნუხის მაზრის ექიმად. ამ პოსტზე გარდაიცვალა კიდეც მაზრაში მოღებული ეპიდემიისაგან. მისი ოჯახიდან სამი მუსიკალური მოღვაწე გამოვიდა: ევგენია—მომღერალი (სოპრანო) და პედაგოგი, ეკატერინე—ფორტეპიანოს დამკვრელი და ალექსანდრე—ოპერის რეჟისორი.

პეტერბურგში ჩასულ ვანოს, რა თქმა უნდა, უწინარეს ყოვლისა თავისი ბიძაშვილი გამოეჭომაგებოდა, რომელსაც კარგად იცნობდნენ მუსიკოსთა წრეებში. გარდა ამისა, დაეხმარებოდნენ სხვა იქ მცხოვრები გავლენიანი ქართველებიც. ევგენია სარაჯიშვილი მღეროდა სახალხო სახლში და კონსერვატორიის თეატრში. გაზეთები ქებით იხსენიებდნენ მის ყოველ გამოსვლას. „ქართულ საღამოებში“, გარდა კლასიკური ნაწარმოებებისა, იგი დიდი წარმატებით ასრულებდა ქართულ ხალხურ

სიმღერებს. მასთანვე ცხოვრობდა მისი ძმა, ალექსანდრე—პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი.

ვანოს არჩევანი განთქმულ პროფესორ პრიანიშნიკოვზე შეჩერდა. ი. პ. პრიანიშნიკოვი თავის დროზე ერთ-ერთი ცნობილი ბარიტონი იყო. 1887—89 წლებში იგი პირველ პარტიებს მღეროდა თბილისის ოპერაში. შემდეგ თავი გაანება თბილისში მოღვაწეობას და ანტრეპრენიორობას მიჰყო ხელი. 1890 წლის სეზონში კიევის საოპერო დასს ხელმძღვანელობდა. პრიანიშნიკოვი საოპერო საქმიანობისა და ვოკალური ხელოვნების ოსტატი იყო. მაგრამ ანტრეპრენიორობასაც არ შერჩა დიდხანს პრიანიშნიკოვი. ბოლოს პეტერბურგში დამკვიდრდა და პედაგოგიურ მოღვაწეობას შეუდგა. მას აუარებელი მოწაფეები ეხვეოდნენ. ათავსებდა პრესაში სტატიებს სიმღერის ოსტატობაზე (1898 წელს ჟურნალმა „რუსკაია მუზიკ. გაზეტი“ გამოაქვეყნა მისი—„Советы обучающимся певцу“). მასთან მოხვედრა დიდ მიღწევად ითვლებოდა მოწაფისათვის. განებივრებული მანესტრო არჩევანში იყო. იგი პირდაპირ უნდა მოეხიბლა მოწაფეს, რომ დიდი გაკვირვებითა და დამადლებით მიეღო. სწორედ ამ ოსტატთან მოისურვა ვანომ მეცადინეობა. პრიანიშნიკოვმა ყურიც არ ათხოვა,—ხმის გაუსინჯავად უთხრა უარი. საქმეში გავლენიანი ქართველები ჩაერივნენ.

— მოვეუსმენ და თუ რაიმე ნაპერწკალი შევამჩნიე, რეკომენდაციას გავუწევ კარგ პროფესორთან. ჩემთან მეცადინეობაზე ლაპარაკიც ზედმეტია,—განაცხადა ბოლოს პრიანიშნიკოვმა.

ასეთი წინასწარ განაჩენისა და დავიდარაბის შემდეგ, მოწაფე კი არა, განთქმული მომღერალიც კი შედრკებოდა.

ვანო მომეტებულად აღივზნო და მედიდურ მანესტროსთან შესაბამელად მოემზადა.

— არ მეშინია, მიმიყვანეთ... ოღონდ, მამღეროს ერთი! გამოცდა დაინიშნა. პრიანიშნიკოვი ფორტეპიანოს მიუჯდა. ვანომ ოდნავ გვერდზე გადახარა თავი და.. ძველი მომღერალი გაოცებული დარჩა: ნაპერწკალი კი არა... რალაც ჯადოსნური კოცონი შეიგრძნო უცხო კაბუჯის ხმაში:

ხავერდის სილბო, ნიავის სიმსუბუქე და ვერცხლის წკრიალი ეკვეთნენ მის გულს. ტემბრმა გააოცა.

— იქნებ... კიდევ გვიმღეროთ რაიმე.

— რა გნებავთ?

— სულ ერთია, რაც იცით...

— ფაუსტის კავატინა შეიძლება?

— ფაუსტისა?

— ღიახ...

— კი, მაგრამ, თქვენ ხომ არსად არ სწავლობდით, ეს ძველ ოსტატებსაც უჭირთ.

— არა უშავს...

პრიანიშნიკოვი კვლავ ფორტეპიანოს მიუჯდა. ვანომ შესაძინავედ შეასრულა ეს ძნელი ნაწარმოებიც.

— ხვალვე მობრძანდით... როცა გნებავთ, არავეითარ დროს არ გინიშნავთ. გასამრჯელო კაპიკი არ მინდა თქვენგან, ხვალვე მობრძანდით, გესმით?!

ვანომ მორიდებით დაჰხარა თავი. მაესტრომ კარებამდე გამოაცილა, ულოლიავებდა, თითქოს ბოდის იხდიდა.

მეორე დღესვე შეუდგა მეცადინეობას.

„ფაუსტმა“ გაულო ვანოს დახშული კარი და გრძნეული თასი მიაწოდა.

ხელოვნების ამ დიდებულ თასს სულმოუთქმელად სცლიდა ვანო სიკვდილის დღემდე.

## ალექსი აკაკის-ძე წერილები

ჩვენი დიდი აკაკის ერთადერთი ვაჟი, ალექსი, იმთავითვე რუსულ მუსიკალურ კულტურას ემსახურებოდა. ალექსი კარგად დახელოვნდა საოპერო საქმიანობაში. რა თქმა უნდა, მას ხელს უწყობდა საერთო მუსიკალური განათლება, მხატვრული გემოვნება და პირველხარისხოვან მსახიობთა წრეების ნაცნობობა. მუდამ მაღალკვალიფიციური დასი ჰყავდა ხოლმე. მოულოდნელად მოვევლინებოდა ამათუიმ ცენტრს, და ახალი ოპერების დადგმით მიიპყრობდა საერთო ყურადღებას. სხვათა შორის, ხარკოვიდან მოსკოვს საგასტროლოდ ჩასულმა ალ. წერეთლის დასმა, 1900 წლის 2 მარტს პირველად დასდგა

მოსკოვში (პანაევის თეატრში) რიმსკი-კორსაკოვის ოპერა „მეფის საცოლე“ (იხ. „Русск. музык. газета“ № 11, 1900 წ.)<sup>1</sup>.

1900-იან წლებში ალექსი წერეთელმა ხელი აიღო ანტრეპრენიორობაზე, მაგრამ 1904 წელს კვლავ შეუდგა ამ საქმეს და პეტერბურგს მიაშურა, კონსერვატორიის თეატრი აიღო იჯარით. რა თქმა უნდა, სატახტო ქალაქში ბევრი მეტოქე ეყოლებოდა. ამიტომ მეტად მძლავრი დასი იყო საჭირო. მართლაც, ამჯერად განთქმული მომღერლები აიყვანა. დასში შედიოდნენ: ქალები—ინსაროვისა, ვან-ბრანდტი, კარამზინა, ეუკოვსკაია, დობრჩანსკაია და სხვანი; ვაჟები—საიმპერატორო თეატრების სოლისტი ფიგნერი, კლემენტიევი, სელაივინი, ვინოგრადოვი, კამიონსკი, სიბირიაკოვი, სერგეევი.

დასმა სეზონი დაიწყო 1904 წლის 27 ივლისს. დაიდგა ახალი ოპერები: „ვაი ჭკუისაგან“—ივანოვისა (გრიბოედოვის მიხედვით), „ფაუსტის დაღუპვა“—ბერლიოზისა, „ქოშები“—ჩაიკოვსკისა, „ქალბატონი ფიფი“—კიუისა და სხვ.

1905 წლის დამდეგიდან ალ. წერეთლის „ახალი ოპერის“ დასში მონაწილეობდნენ: ქალები—ლინა კავალიერი, არნოლდსონი, ბარონატი, მსოფლიოში განთქმული ტენორი მაზინი, ანსელმი, ბატისტინი, ნეარინი და სხვანი, აგრეთვე ვან-ბრანდტი და ზოგი მომღერალი 1904 წლის შემადგენლობიდან. (იხ. პეტერბ. გაზეთი „რუს“—1905 წლ. 1—30 იანვრამდე). თავის შესანიშნავ დასში ალექსიმ ვანო სარაჯიშვილიც მიიწვია.

ეს 1905 წლის სუსხიან ზამთარში იყო.

მიუხედავად იმისა, რომ წერეთლის დასში ვანოს პირველად მოუხდა ფეხის ადგმა „ბრწყინვალე ვარსკვლავებთან“, იგი არა ნაკლები ბრწყინვალეებით აკიაფდა მათ შორის. მან ბევრი მაშინვე დაირდილა და უკან მოიტოვა. თუმცა, რა თქმა უნდა, ათეულ წლობით სცენაზე ხანდაზმულ ქურუმებივით მას გაზეპირებული არ ჰქონდა—რა დროს უნდა დაედო ხელი იმ

<sup>1</sup> 1900—1901 წლ. სეზონში ეს ოპერა თბილისში დაიდგა. აღსანიშნავია თბილისის ოპერის აქტივობა. მაგალ., „ფეგენი ონგინი“ პეტერბურგზე ადრე, მოსკოვის შემდეგ თბილისში დაიდგა 1883 წლის 8 თებერვალს. იტალიური ოპერები, თავიანთ სცენაზე დადგმის შემდეგ, ხშირად მესამე, მეოთხე წელს იდგმებოდა თბილისში. შ. კ.



ადგილას, სადაც ადამიანს გული აქვს. იგი ამ გულს სიმღერით აჩვენებდა ხალხს, ხელდაუდებლად... და შესანიშნავადაც დაინახეს: დამსწრეთა მოწმობით, მიუხედავად იმისა, რომ ზამთარში პეტერბურგში არც ისე იოლად იმოგებოდა სამხრეთის ვარდი, ვანოსათვის ალისფერ თაიგულების მირთმევას ბოლო არ ჰქონდა.

სცენიურადაც, როგორც სჩანს, არც ისე უმწეო ყოფილა ვანო.

რესპ. დამსახ. არტისტმა ვასო ურუშაძემ გვიამბო:

— მე ვცხოვრობდი პეტერბურგში 1905 წლის 1 იანვრიდან იმავე იანვრის დამლევამდე (სხვა დროს იქ არ ვყოფილვარ, ასე რომ ეს თარიღი უტყუარია). მაშინ ალ. წერეთლის ანტრეპრიზაში მღეროდა ვანო სარაჯიშვილი. მინახავს მისი სპექტაკლები: „რიგოლეტო“, „ტრავიატა“, „მარგალიტის მადიებლები“. ჰერცოგის პარტიას ვანო იტალიურად მღეროდა. მასთან ერთად გამოდიოდა განთქმული მომღერალი ვან-ბრანდტი.

ვანო უდიდესი წარმატებით მღეროდა. მის სპექტაკლებს მთელი ქართველობა ესწრებოდა. მეორე დღეს პეტერბურგელი ქართველობა გაცხოველებით ლაპარაკობდა შესანიშნავი ხმით დაჯილდოებულ თანამემამულეზე. ერთი მითქმა-მოთქმა იყო. გაელენიან ქართველებს ვანოს სპექტაკლებზე მიჰყავდათ მაღალი წრის წარმომადგენლები, რუსეთის ბრწყინვალე არისტოკრატია. სცენიურად ვანო არ სტოვებდა ისეთ შთაბეჭდილებას, თითქოს ახლად დაეწყოს თამაში...

მაშინ ვანო 25 წლისა არც კი იყო. მსოფლიოში არც ისე ბევრი მოიძებნება მომღერალი, რომელსაც ამ ასაკში ასეთი საპასუხისმგებლო პარტიები შეესრულებინოს; მით უფრო— დიდებულ სატახტო ქალაქში, არა მშობლიურ ენაზე და საქვეყნოდ აღიარებულ მომღერალთა გვერდით. საიმპერატორო თეატრში მაშინ მღეროდა შალიაპინი. იქნებ იქ გაიცნო ის ვანომ. მაგრამ შალიაპინი და ვანო იტალიაში დამეგობრდნენ. (ამაზე—ქვემოთ).

სხვათა შორის, პეტერბურგში ვანოს უხდებოდა გამოსვლა მთელს მსოფლიოში სილამაზით განთქმულ იტალიელ მომღე-



მომღებელი ლინა კავალიძე

რალ ლინა კავალიერისთან (ოპ. „ტრავიატაში“). ვანოს ბევრ-  
ჯერ უთქვამს ამის გამო შინაურთა წრეში: ის წყეული ისე-  
თი წარმტაცი იყო, სცენაზე მაშეშებდა და ბევრჯერ კინალამ  
პარტია ჩავაფლავე, სიტყვები მავიწყდებოდაო...

უნდა ვიგულისხმოთ, რომ არც ვანოს პარტნიორ ქალებს  
ექნებოდათ მაინცდამაინც სრულ წესრიგში თავიანთი „მეხსიე-  
რება“, როდესაც მათ გვერდით შევეგვრემანი, სხარტი ქაბუკი  
სიყვარულის დიდებულ ჰიმნს გალობდა საოცარი ოქროპირობით.

პარტერში კი... ლორნეტები ირხეოდა, და სასიამო ურუან-  
ტელით მკლავებზე ნაზი ბუსუსი აბურძგნოდათ.

პროფესორი პანაევა-კარცევა. მელიტონ ბალანჩი-  
ვაძის ეპიკი. სარაჯიშვილების „დემონი“

პრიანიშნიკოვის მრავალრიცხოვან მოწაფეთა შორის ვანო  
საყოველთაო ყურადღებას იქცევდა, ჯერ-ერთი, თავისი საო-  
ცარი ხმითა და მუსიკალობით, მერე—შესანიშნავი გარეგნო-  
ბით და თავაზიანობით. ბუნებისაგან ყოველმხრივ დაჯილდო-  
ებული ვანო საყოველთაო მითქმა-მოთქმის საგანი გახდა. თავისი  
ბიძაშვილის—ევეგენია სარაჯიშვილის მეოხებით იგი განთქმულ  
იტალიელ მომღერლებს დაუკავშირდა და აგრძნობინა მათ  
ქართული ხალხური სიმღერის სიდიადე. იტალიელი ოსტატები  
აღტაცებული იყვნენ ახალგაზრდა ქართველის ბრწყინვალე  
ბუნებრივი ნიჭით. ახლა მისთვის ღია იყო ყოველი ოსტატის  
კარი და იოლად შეეძლო თავისი განზრახვის განხორციელება.  
ვანოს თავიდანვე ჰხიბლავდა სიმღერის იტალიური სკოლა.  
იგი ამაზე თბილისშივე ოცნებობდა. იმ ხანად პეტერბურგში  
პრიანიშნიკოვთან ერთად განთქმული იყო პროფესორი პანა-  
ევა-კარცევა, რომელიც დაახლოებული იყო იტალიელ მომღერ-  
ლებთან. ცოტა ხნის შემდეგ ვანომ პანაევა-კარცევასთან განა-  
გრძო მეცადინეობა.

1904—1905 წლის სეზონში ქართველ სტუდენტთა ერთმა  
ჯგუფმა—ა. ჩიჯავაძემ, გ. დადიანმა, დ. ვაჩნაძემ და სხვებმა  
განიზრახეს პეტერბურგში ოპერა „დემონის“ დადგმა ქართუ-  
ლად. საქმე იოლად გაიჩარხა, როლები გაანაწილეს, ბინაც

იპოვეს და თავიანთი გაბედული გეგმა მელიტონ ბალანჩივაძეს გაუზიარეს.

„ქართული სალამოების“ მოტრფიალე და თვით მეტად გამბედავი მელიტონიც კი დააფრთხო ამ ამბავმა.

— ზომამე მეტია, ყმაწვილებო! ასე იოლია პეტერბურგში „დემონის“ დადგმა და ისიც ქართულად? სამტრედია კი არაა, უცხო ხალხი დაესწრება, სა მიხვალთ მაშინ!

ახალგაზრდებმა შეუტიეს და გეგმები გადაუშალეს. მელიტონმა იმერულად იფეთქა:

— იმე! ნამეტანს ნუ კი იზამთ ახლა, ცოტა ქე მოუკელით... ერთი მისხალიც არ მოუკლეს. დაიმორჩილეს მელიტონი. შეუდგნენ მზადებას.

როლები შექმდებნაირად განაწილდა:

**დემონი—დ. გედევანიშვილი**

**თამარი—ევგ. სარაჯიშვილი**

**სინოდალი—ვანო სარაჯიშვილი**

**თავადის მსახური—ალ. სარაჯიშვილი**

გუდალისა და შიკრიკის როლები რუს მსახიობებს დააკისრეს. ვანოს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. პარტია გულმოდგინედ მოამზადა. ბოლოს თავის მასწავლებელს წარუდგა და ლოცვა-კურთხევა სთხოვა. მაგრამ ამის ნაცვლად აღფრთოვანებულ ვანოს უარი სტკიცეს. არავითარმა მუდარამ არ გასჭრა. მასწავლებელმა სასტიკად აუკრძალა სიმღერა.

— მაშ, „დემონში“ ცეკვის ნება მაინც მომეცით.

— ქართველი ხართ, ჩინებული ცეკვა გეცოდინებათ.

— არა უშავს...

— იცეკვეთ, ამის დაშლა არ შეუძლია...

ვანო წელმოწყვეტილი გამოვიდა გარეთ. გული მაინც არ გაიტეხა.

— არ მამღერეს, ჯანდაბას; ერთს მაინც მამა-პაპურად დავუვლი წულა-მესტით. ისედაც სამი სარაჯიშვილი ვიქნებით „დემონში“.

წარმოდგენას მთელი იქაური ქართველობა და ბევრი უცხო

სტუმარი დაესწრო. შესანიშნავად შეასრულა თამარის პარტია ევგენია სარაჯიშვილმა. ვანომაც ჩინებულად იცეკვა ლეკური.

მელიტონი ღიმილით ლაპარაკობდა:

— რაც მართალია, დიდი წინააღმდეგი ვიყავი ამ წარმოდგენის. წელში მაციებდა, ხუმრობა იყო? წარმოიდგინეთ, არა უშავს...

წარმოდგენის გამართვაში თავისი წვლილი შეიტანა ალექსი წერეთელმაც. მან ქართულ „დემონს“ ორკესტრი დაუთმო, წარმოდგენა დასდგა მისივე დასის მთავარმა რეჟისორმა, იტალიელმა დომენიკო ლუმამ<sup>1</sup>, დირიჟორობა გასწია ალექსისვე თანაწარმომღმა გ. ლ. ბერგმა. ოპერა დაიდგა პავლოვას დარბაზში, სამების ქუჩაზე („ტროიკაია“) № 13-ში.

პეტერბურგის პრესა ასე გამოეხმაურა ამ სპექტაკლს:

„პეტერბურგში მცხოვრებ ქართველ სტუდენტებს აზრად მოუვიდათ, მთელ რიგ ოპერათა ლიბრეტოების თარგმნა თავიანთ მშობლიურ ენაზე. როგორც ეს ადვილი საფიქრებელი იყო, პირველად სცადეს დადგმა ოპერა „დემონისა“, რაც მეტად მახლობელია ქართველებისათვის მუსიკისა და სიუჟეტის მხრივ.

შემსრულებელნი, ზოგიერთთა გარდა, სცენის მოყვარენი იყვნენ, რომელთაც კარგად გაართვეს თავი თავიანთ პარტიებს... გუნდი ძალიან კარგად მღეროდა. მთავარი პარტიის შემსრულებელს, ბ-ნ გედევანიშვილს, დიდი ხმა არა აქვს, მაგრამ მას კარგად ჰვლობს, თუმცა მისი სიმღერა არ ხასიათდება ნიუანსების სხვადასხვაობით. თამარის პარტია შესანიშნავად შეასრულა ქ-ნმა ევგენია სარაჯიშვილმა. დანარჩენი შემსრულებელნი თავიანთი მოწოდების დონეზე იდგნენ...“ (გაზ. „რუს“, 8 (21) თებერვ. 1905 წ., № 32—პეტერბ.)

<sup>1</sup> ლუმას შამა, შვერავი, თბილისში ჩამოჰყვა იტალიურ საოპერო დასს. აქვე გარდაიცვალა. დომენიკო თბილისში დაიბადა და გიმნაზიაც აქ დაამთავრა. იცოდა ქართული, უყვარდა ქართველი საზოგადოება. ვანო სარაჯიშვილის თავდადებული მეგობარი იყო. შემდეგ იტალიაში წავიდა და მილანის ლა-სკალას თეატრში რეჟისორობდა. თვალსაჩინო თეატრალური მოღვაწე გახდა. შ. კ.

რუსული პრესის გამოცხილის მიხედვით რეცენზია გამოაქვეყნა გაზეთმა „ივერიამაც“ (იხ. „ივერია“ № 13, 1905 წლის 1 მარტი).

სამწუხაროდ, ჩვენთვის უცნობია, რა ოპერების ლიბრეტოები გადმოთარგმნეს მშობლიურ ენაზე პეტერბურგში მცხოვრებმა ქართველმა სტუდენტებმა, როგორც ამას გაზ. „რუსი“ სწერს, და თუ გადმოთარგმნეს, რა ბედი ეწია ამ თარგმანებს. რაც შეეხება 6 თებერვალს პეტერბურგში დადგმულ „დემონს“, მისი თარგმანი ეკუთვნოდა „კლდიას“—პეტრე მირიანიშვილს (ამ თარგმანის შესახებ იხ. გაზ. „ივერია“ 1905 წ. 1 მარტისა, № 13 და გაზ. „სახალხო ფურცელი“ 1915 წ. 24 დეკემბრისა, № 464).

სხვათა შორის, პეტერბურგს შემდეგ „დემონი“ პირველად დაიდგა ქართულად თბილისის ოპერის თეატრის სცენაზე 1906 წლის იანვრის 22-ს, ია კარგარეთლისა და ვალ. გუნიას თარგმანით. დემონის პარტია აქაც გედევანიშვილმა შეასრულა.

„დემონში“ თამარის პარტიის შესანიშნავად შესრულების შემდეგ ევგ. სარაჯიშვილმა სახელი გაითქვა. იგი კონსერვატორიის თეატრში მიიწვია ალ. წერეთელმა და დიდი წარმატებით მღეროდა ცნობილ ბარიტონ ტიტა რუფოსთან. სრსტემატურად მონაწილეობდა სხვადასხვა სალამო-კონცერტებშიც.

იმ ხანად პეტერბურგში დიდი სიმფონიური ორკესტრი და გუნდი ჰყავდა გრაფ შერემეტიევს, რომელიც ხელმისაწვდომ კონცერტებს მართავდა ფართო მასისათვის.

„დემონის“ დადგმის სწორ კვირას, 1905 წლის 13 თებერვალს, პეტერბურგში, წმ. ეკატერინეს შვედურ ტაძარში გაიმართა გრაფ შერემეტიევის ორკესტრისა და გუნდის 94-ე სიმფონიური კონცერტი. ამ კონცერტში მონაწილეთა შორის ყველაზე წინ (ქალთა შორისაც კი) მოხსენებულია ევგ. სარაჯიშვილი. (იხ. გაზ. „რუს“ № 36, 1905 წ.).

მაგრამ იმ ხანად მისი ბიძაშვილი—ვანო სარაჯიშვილიც საკმაოდ მოწინააღმდეგე იყო რუსეთის სატახტო ქალაქში.

ზამთრის სუსხიანი სალამო იყო. პეტერბურგს ნისლი ჩამოა-

წვა. ქუთაისელი სტუდენტი დავით აკოფაშვილი<sup>1</sup> და მისი მეგობრები ერთი დიდი კლუბისაკენ გაეშურნენ.

კლუბის ერთ გაბრწყინებულ დარბაზში ბანქოს თამაში გაეჩაღებინათ და ფულის ზვინი ხან ჰქრებოდა, ხან იზრდებოდა. მეორე ოთახში ბილიარდის მაგიდებზე სპილოს ძელის ბურთულები დანაგარდობდნენ. ზოგიერთები სამკითხველოში გაზეთის ფურცლებს ჩასცქეროდნენ. სხვები საკონცერტო დარბაზში როიალს ეხვივნენ და ნოტებს ათვალთვლებდნენ. ზოგჯერ რომელიმე აკორდი აქლერდებოდა, მიწყდებოდა და კვლავ ხელახლა აქლერდებოდა. ყველაზე მეტი გაცხოველება ბანქოს თამაშო დარბაზში იყო. აქ შევიდნენ ქუთათურებიც. ვნებააშლილ ადამიანთა დაძაბულ შეხლას უთვალთვლებდნენ.

მოულოდნელად მთელს კლუბში ჟრუანტელის მომგვრელი სამღერა გაისმა:

„Восторгом весь объятый  
У пальмы я столл...“

ვიდაც, გასაოცარი ღირიკული ტენორის მქონე მომღერალი ნადირის არიას ასრულებდა („მარგალიტის მაძიებლებიდან“). ყველამ ყურები სცქვითა: დაავიწყდათ წაგებ-მოგება, დაჰყარეს გაზეთები, ზურგი შეაქციეს ბილიარდსაც. ხალხმა იხუვლა და საკონცერტო დარბაზს მიაშურა. არიადამ მთავრდა. მრავალრიცხოვანმა საზოგადოებამ მქუხარე ტაშით დააჯილდოვა მშვენიერი ნაწარმოების ჯადოქარი შემსრულებელი. გარს შემოერთყნენ, დაჟინებით სთხოვდნენ გამეორებას. ეცნობოდნენ, ეპატიჟებოდნენ.

<sup>1</sup> დ. აკოფაშვილი (ბარიტონი) დაიბადა ქუთაისში 1885 წელს. 1903 წელს დაასრულა გიმნაზიის კურსი. სწავლა განაგრძო პეტერბურგის უნივერსიტეტში. პარალელურად მეცადინეობდა პეტერბურგის კონსერვატორიის პროფესორ ფერნი-ჯირალდონისთან (განთქმულ ბარიტონის ევგ. ჯირალდონის დედასთან). 1905 წ. გაემგზავრა ქ. მილანში, სადაც განაგრძო მეცადინეობა მომღერალ კაზინის ხელმძღვანელობით. 1907 წ. მიიწვიეს ქ. პალერმოს ოპერაში, მაგრამ ისევ პეტერბურგს დაბრუნდა უნივერსიტეტში სამეცადინოდ. ხშირად გამოდიოდა კონცერტებში საქართველოსა, რუსეთსა და იტალიაში. პრესა ქებით იხსენიებდა მის ხმას და მუსიკალობას. დაკოფაშვილი ერთ-ერთი პირველი ქართველი მომღერალია, რომელიც ასრულებდა ვანო სარაჯიშვილთან და სხვა მომღერლებთან ერთად ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებთ. იგი ერთ-ერთი პირველი შემსრულე-

— ვანო სარაჯიშვილი! ვანო სარაჯიშვილი!

— ქართველია! რა მშვენიერი ჭაბუკია, შესანიშნავი ხმა აქვს, რა მომღერალია!— გაისმოდა მთელ დარბაზში.

დავით აკოფაშვილს და მის მეგობრებს დიდი ხანია გაგებულ-ლი ჰქონდათ, რომ პეტერბურგში პროფ. პანაევა-კარცევასთან ნეცადინეობს იშვიათი ხმის მქონე მათი თანამემამულე სარაჯი-შვილი. ესმოდათ მისი ქება, გულით სწყუროდათ მასთან შე-ხვედრა, მაგრამ აქამდე ვერ მოეხერხებინათ. განსაკუთრებით დ. აკოფაშვილს აინტერესებდა ეს ამბავი, რადგან თვითონაც სიმღერას სწავლობდა. გაეცნენ, წამსვე დამეგობრდნენ, დიდ-ხანს ისაუბრეს. ვანომ თავისი თბილისელი მეგობრები გააცნო ქუთათურებს.

— კლუბში შემოვიარეთ. პიანისტი ქალი ნოტებს ათვალეირებ-და. რალაც ეშმაკად ნადირის არია აღმოჩნდა და ვერ მოვიტ-მინე. არა, თუმცა ამათი ბრალიცაა. არ მომასვენებს...

მას შემდეგ ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს ვანო და და-ვით აკოფაშვილი. ნიადაგ იმ დღეზე ოცნებობდნენ, როცა ქარ-თველ მომღერალს მშობლიურ ოპერაში გამოსვლა ელირსებო-და. ეს ამბავი 1904 წელს მოხდა. ამ ოცნების განხორციელე-ბამდე თხუთმეტიოდე წელმა განვლო, ხოლო დღემდე— ორმოც-ზე მეტმა. დავით აკოფაშვილი კი თითქოს გუშინდელ დღეს იგონებს:

---

ბელია აბდულ არაბის პარტიისა დ. არაჯიშვილის ოპერაში „თქმულება შოთა რუსთაველზე“. სხვათა შორის, მან პირველმა შეასრულა საჯაროდ „მხოლოდ შენ ერთს“.

ამ სიმღერას საკმაოდ ორიგინალური ისტორია აქვს:

ქუთაისის თეატრში ლადო მესხიშვილმა ახალგაზრდა მსახიობს ნუცა ჩხეიძეს (ახლა რესპ. სახ. არტისტი) ბენეფისი გაუმართა. გადასწყვიტეს კარევეის პიესის „უბედური ნაბიჯის“ დადგმა. პიესის თარგმნა შალვა დადიანს დაევალა. პიესის მიხედვით ვაჩი უმღერის ქალს კულისებიდან— „Тебе один“. რა თქმა უნდა, შ. დადიანმა ესეც გადმოთარგმნა და უწო-და „მხოლოდ შენ ერთს“. ლექსის თარგმანი თითქმის სიტყვა-სიტყვით და მოხდენილად შეასრულა. ლექსს მელიოდია შეუწყო მუსიკალური ნიჭით და-ჯილდოებულმა კ. სარაჯულაძემ (ფოსტის მოხელე იყო). ლადო მესხიშვი-ლის თხოვნით „მხოლოდ შენ ერთს“ კულისებში შეასრულა, მაშინ გიმნა-ზიის მოწაფემ დ. აკოფაშვილმა. მეორე დღეს გიმნაზიის დირექტორმა ჩე-



— ვისაც მოუხდა ცხოვრებაში ვანოს მოსმენა, მას არ შეუძლია აუღელვებლად გაიხსენოს მისი გასაოცარი ხმა და კიდევ უფრო მეტად გასაოცარი უნარი მუსიკალური ნაწარმოების გადმოცემისა. ვიგონებ მას და სიტყვებს ვერ ვპოულობ ჩემი აღფრთოვანებისა და გაცემის გამოსახატავად.

## ქართული საოპერო დასის შედგენის ცდა პეტირ-ბუჩქში

პეტერბურგში მოპოვებულმა გამარჯვებამ ფრთები შეასხა „დემონის“ შემსრულებელთ. წამოიჭრა მუდმივი ქართული საოპერო დასის შედგენის საკითხი. დასი საქართველოში უნდა ჩამოსულიყო და შესდგომოდა ნათარგმნი ოპერების დადგმას. დირიჟორად მიიწვიეს კოტე ფოცხვერაშვილი, მასვე მიანდეს საქართველოში წამოსვლა და წინასწარ ნიადაგის მომზადება. დასში შედიოდნენ ევგენია, ალექსანდრე და ვანო სარაჯიშვილები, დ. გედევანიშვილი და სხვები. ამ საქმის თაოსნობა ვანო სარაჯიშვილსაც ეკუთვნის. იგი სხვებთან ერთად აღფრთოვანებით აწყობდა ათასგვარ გეგმებს ქართული საოპერო დასის შესადგენად. რეპერტუარში იყო „დემონი“, „სველიელი დალაქი“ (სამსონ დადიანის თარგმანი), „ტრავიატა“ (რომელიც ს. დადიანსვე უნდა ეთარგმნა) და სხვა ოპერები. ქართული ორიგინალური ოპერებიდან „თამარ ცბიერის“ იმედი ჰქონდათ. ე. ჩიჯავაძე და გ. დადიანი ნიადაგ მელიტონთან იყვნენ; ემუდარებოდნენ მალე დაემთავრებინა ეს ერთადერთი ქართული ოპერა. ა. ჩიჯავაძემ ქუთაისში მოსწერა დას—ქართული საოპერო დასი შევადგინეთ და დიდის ამბით მოვდივართო.

ბიშმა დ. აკოფაშვილს გამოუცხადა, რომ მას „სასწავლებელში აქტიორები არ ესაჭიროება“ და გარიცხა. ლადო მენსიშვილის თხოვნით ისევ მიიღეს, მაგრამ ყოფაქცევაში სამი დაუწერეს.

„მხოლოდ შენ ერთს“ სწრაფად გავრცელდა ხალხში. ბეგლარ ახოსპირელმა იგი მარტო შალვა დადიანის ავტორობით გამოაქვეყნა. ამან შეიყვანა შეცდომაში პოეტი გრიგოლ ვოლსკი. მან უკანვე რუსულად გადათარგმნა „მხოლოდ შენ ერთს“, როგორც შ. დადიანის ორიგინალური ნაწარმოები, და დაბეჭდა „ნოვოე ობოზრენიეში“. ამრიგად, ეს პაწია ლექსი სახეცვლილი დაუბრუნდა რუსულ ლიტერატურას სულ სხვა ავტორთა ხელმოწერით. შალვა დადიანის გადმოცემით, ხალხში გავრცელებული „მხო-

მაგრამ, საყოველთაოდ ცნობილი 1905 წლის ამბების გამო ვიღას ეცალა ამისათვის! წინასწარ გამოგზავნილმა კ. ფოცხვერაშვილმა ვერაფერი სახარბიელო შეუთვალა პეტერბურგელებს. ჩიჯავაძეს იმერული „კვანწარახით“ შეკაზმული, წერილი მოუვიდა ქუთაისიდან: თქვე მამაცხონებულებო, ქვეყანა იქვეა და რა დროს ოპერებიაო.

დადიანებმაც ცუდი ამბავი შეიტყეს შინიდან. ბარგი შეჰკრეს და სამშობლოს მოაშურეს. სარაჯიშვილები პეტერბურგში დარჩნენ. ვანო დიდი წარმატებით მონაწილეობდა საღამო-კონცერტებში. გაზეთი „ბირჟევია ვედომოსტი“ ხშირად ათავსებდა რეცენზიებს მის შესახებ:

„...ქ-მა სოვაჟ-კომაროვამ მოაწყო საქველმოქმედო კონცერტი პეტროვისკის სასწავლებლის დარბაზში. დიდი წარმატებით გამოვიდა ტენორი ბ-ნი სარაჯიშვილი, რომელმაც ტემპერამენტით შეასრულა არია „მარგალიტის მაძიებლებიდან“, აგრეთვე მთელი რიგი. რომანსები საზოგადოების გამოწვევით...“ ან კიდევ:

„...შემსრულებელთა შორის იყვნენ ნიკიერნი და უნიკონიცი, მაგრამ იყვნენ ისეთებიც, რომელთაც შეუძლიათ დაამშვენონ რომელი სანიმუშო ოპერის თეატრის სცენაც არ უნდა იყოს, — მაგალ., ქ-ნი კავერინა და ბ-ნი სარაჯიშვილი. ბ-ნ სარაჯიშვილს, როგორცა სჩანს, გაუვლია ბელ-კანტოს შესანიშნავი სკოლა. მომღერალს ახასიათებს სუნთქვის შესანიშნავი ტექნიკა, საუტხოო ფრაზირება და საალერსო ტემბრის ტენორი...“

მომავალი დიდი მომღერალი სწორუპოვარი სიმტკიცით მიიწევდა სცენისაკენ.

---

ლოდ შენ ერტს“ არ მოსწონებია აკაკი წერეთელს და „თემში“ გამოუქვეყნებია ახალი ტექსტი 10 კუპლეტის ოდენობით. მაგრამ სიმღერას მაინც კარგევის ტექსტის თარგმანი შერჩა. დაბოლოს, იურგენსმა დაბეჭდა „მხოლოდ შენ ერტს“ (ნოტები) და ზედ „ქართული ხალხური სიმღერა“ წააწერა. რა თქმა უნდა, ამ მელოდიას არავითარი საერთო არა აქვს ქართულ ხალხურ კილოსთან. ვ. სარაჯიშვილი დიდი მხატვრული ოსტატობითა და გრძნობით მღეროდა „მხოლოდ შენ ერტს“, როგორც სოლოს, აგრეთვე დუეტადაც სანდრო ინაშვილთან ერთად. (ფირფიტაზე ჩაწერილია სოლო, ვანოს შესრულებით). მას შემდეგ ეს სიმღერა მთელს საქართველოს მოე-

მაშინდელ პეტერბურგის მუსიკალურ წრეებში ვანო სარაჯი-შვილის მონაწილეობის დასახასიათებლად საჭიროდ მიგვაჩნია მოკლედ შეეჩერდეთ სოვაჟ-კომაროვას პიროვნებაზე.

ფორტეპიანოს დამკვრელი სოვაჟ-კომაროვა სათავეში უდგა მუსიკალურ წრეს „ისკორკას“. იგი ამ წრის ენერგიული ხელმძღვანელი და სულისჩამდგმელი იყო. წრეში შედიოდნენ ახალგაზრდა მომღერლები და მუსიკოსები. ორშაბათობით წრე მართავდა მუსიკალურ საღამოებს თავის წევრთა მონაწილეობით. სოვაჟ-კომაროვა მიზნად ისახავდა ფართო საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი მხატვრული კონცერტების მართვას და, რაც მთავარია, ახალგაზრდა მუსიკოსთა გამოყვანას სამოღვაწეო ასპარეზზე. დამწყები მსახიობები აქ ეჩვეოდნენ სცენაზე თავის დაქერას, იძენდნენ საჭირო გამოცდილებას. (იხ. გაზ. „ნაშა ეიზნ“ № 419, 1906 წ. პეტერბ.).

ვანო სარაჯიშვილიც ამ წრეში ტრიალებდა. მაგრამ, როგორც ზემომოყვანილი რეცენზიიდან სჩანს, იგი უკვე საკმაოდ ფეხადგმული იყო, დიდი წარმატებით გამოდიოდა ამ საღამოებში.

---

დო. თუ კი სადმე გიტარა დაიკვროდა, უსათუოდ უნდა ემღერნათ. ტექსტი აურიეს. ნამდვილი ასეთია:

„მხოლოდ შენ ერთს, რაც რომ ჩემთვის  
შთაუნერგავს მაღლიდან ღმერთს,  
სიყვარული, სიხარული  
მხოლოდ შენ ერთს, მხოლოდ შენ ერთს.  
მხოლოდ შენ ერთს, რაც რომ ჩემთვის  
მოუციოა ზეკიერ ღმერთს,  
ჭარმონია, პოეზია  
მხოლოდ შენ ერთს, მხოლოდ შენ ერთს.  
ვისურვებდი ვყოფილიყავ  
სიყვარულის შემაერთად,  
სიცოცხლეშიც, საფლავშიაც  
შენთან ერთად, შენთან ერთად“.

დასასრულ, ერთი კუროიზიცი.

რუსთაველის პროსპექტზე, იმ შენობის ქვეშ, სადაც ახლა ხელოვნების საქმეთა სამმართველოა, იმპერიალისტური ომის დროს ჩინებული რესტო-

1851 წლის 9 ნოემბერს, ზეფის ნაცვალ მ. ს. ვორონცოვის ინიციატივით საქართველოში საძირკველი ჩაეყარა იტალიურ ოპერას. თბილისში, ყოფ. ერევნის (ახლა ლ. პ. ბერიას სახელობის) მოედანზე თამამშვივის ქარვასლაში აგებულ შესანიშნავ თეატრში იტალიურმა დასმა დასდგა პირველი სპექტაკლი — ოპერა „ლუჩია დი ლამერმურ“ — დონიკეტისა.

1879—80 წლის სეზონიდან იტალიელები რუსულმა საოპერო დასმა შესცვალა. 1880 წლის 11 აგვისტოს ამ დასმა დასდგა აქ თავისი პირველი სპექტაკლი — ოპერა „ალი“ ა. დარგომიჯსკისა.

პეტერბურგს უფრო დიდხანს შერჩნენ იტალიელები. იტალიურ დასში მოეროდნენ საყოველთაოდ განთქმული კოლორატურული სოპრანო ვაიდჟ-კოროლევიჩი, ლინა კავალიერი, ტიტა რუფო, ევგენი ჯირალდონი და სხვანი.

პროფ. პანაევა-კარცევა თვალნათლივ დარწმუნდა, რომ მისი საამაყო მოწაფე საპატიო ადგილს დაიკავრდა იტალიელ ოსტატთა შორის, მით უფრო, რომ შესანიშნავ ხმასთან ერთად ვანო ბუნებით იყო დაჯილდოებული იტალიური ბელკანტოს ოსტატობით, და ეს უკვირდათ კიდევაც იტალიელებს. იშვიათი ნიჭი და მუსიკალური ალღო საშუალებას აძლევდა ვანოს მხოლოდ მოსმენით შეეთვისებინა იტალიელებსაგან ის, რასაც ბევრი მომღერალი და თვით იტალიელებიც კი ვერ ითვისებდნენ ხანგრძლივი მეცადინეობის შედეგად.

რანი იყო. უცხოელ მუსიკოსთაგან შემდგარი პატარა სიმებიანი ორკესტრი უკრავდა. ერთხელ ამ რესტორანში მალალი ჩინის სამხედრო პირები სადილობდნენ. ერთმა გენერალმა იმპერატორის სადღეგრძელო დალია და ორკესტრს რუსეთის ჰიმნი შეუკვთა. იმ წუთშივე დაუკრეს. შემდეგ დაილია რუსეთის მოკავშირეების—საფრანგეთისა და ინგლისის სადღეგრძელოები. ამ სახელმწიფოთა ჰიმნებიც შეასრულეს.

— ქართული ჰიმნი! — თმახიანად შესძახეს ორკესტრს ქართველმა ოფიცრებმა. მაგრამ, ასეთი ჰიმნი არ არსებობდა; ვინ აღირსებდა მაშინ საქართველოს ჰიმნს? მუსიკოსები შეშფოთდნენ; რაღაც გადუჩურჩულეს ერთმანეთს, შემდეგ სწრაფად მოიმარჯვეს საკრავები, და დარბაზში გაისმა „მხოლოდ შენ ერთს“. არავის კრინტი არ დაუძრავს. ერთ-ერთ სუფრასთან მჯდომი შალვა დადიანი სახტად დარჩა. ამდენი დავიდარაბა აქვს გამოვლილი ამ სიმღერას. შ. კ.

1906 წელს პანაევ-კარცევამ ვანო იტალიურ დასში მოაწყო. მართლაც, რა მომაჯადოებელი ხმითა და მუსიკალობით უნდა ყოფილიყო დაჯილდოებული 25 წლის ქართველი ქაბუკი, რომ იგი იტალიელებს ამ ვითარებაში თავიანთ წრეში მიეღოთ და პეტერბურგის ბრწყინვალე საზოგადოებისათვის წარედგინათ?

პირველი გამოსვლისათვის ვანოს აღფრედის პარტია დაუნიშნეს (ოპერა „ტრავიატა“). ვიოლეტას პარტიას ასრულებდა ვაილა-კოროლევიჩი, რომელსაც ტაშის გრიალით ეგებებოდნენ და მუდამ თაყვანისმცემელთა ვარდ-ყვავილი ფეინა ფეხქვეშ. მაგრამ, აი გაისმა ვანოს ხმა და ელვასავით მოედო პარტერს ჟრუანტელი, მოხიბლულ მსმენელთა სახეზე აღფრთოვანება აღიბეჭდა. თავით ფეხამდე დაათვალიერეს ახალი მომღერალი. მისი გარეგნობა, ჯადოსნურ ხმასთან ერთად, წარმატაც შთაბეჭდილებას სტოვებდა.

— ვაშა! — ერთბაშად იგრილა მთელმა დარბაზმა.

— ეს ჩენია, ნამდვილი ჩენი სკოლის ოსტატია! — ამბობდნენ იტალიელი მომღერლები.

ქაბუკი ვანო იტალიური დასის ბრწყინვალე გამარჯვებათა სრულუფლებიანი თანამონაწილე გახდა. ძველმა ოსტატებმა მას თავიანთი პორტრეტები უთავაზეს და ათასგვარი ქარაგმა არ დაიშურეს ზედ წარსაწერად.

ჩვენს განკარგულებაში არსებული მდიდარი მასალითა და სხვადასხვა პირთა მოგონებებით, სავსებით ნათელია ვანოს დიდი წარმატება 1906 წლის ზაფხულის პერიოდში პეტერბურგის იტალიურ დასში.

იმის ნათელსაყოფად, თუ რა ძლიერი ძალები უპირისპირდებოდნენ ვანოს, საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ 1906 წლის ზაფხულის სეზონში პეტერბურგის „რუსული ოპერის“ დირექციას 5 ტენორი ჰყავდა: სობინოვი, კლემენტიევი, ჩერნოვი, სელიაფინი და იტალიელი კოპოლი. (იხ. გაზ. „XX ვეკ“ № 83 — 1906 წ.).

როგორც აღვნიშნეთ, ვანო სარაჯიშვილი პირველად „ტრავიატაში“ გამოვიდა. იმ ხანად (22 ივნისს) სწორედ ამავე ოპერაში გამოვიდა ლ. სობინოვიც (ახალ საზაფხულო თეატრში). რეცენზიაში ვკითხულობთ:

... სამწუხაროდ, ბ-ნ სობინოვის ეს გამოხვევა უხეირო გამოდგა. გასტროლოგობა თავისი პარტიის პირველივე ფრაზიდან რაღაც გაურკვეველობაში ჩააგდო მსმენელი და ამ მდგომარეობის გაფანტვა ვერ შესძლო ბოლომდე. სობინოვის ზმა ისე სუსტად ეღერდა, რომ ხშირად მეოთხე რიგში ძლივს ისმოდა. გასტროლოგი თაქაშობდა დუნედ, ტრაფარეტულად და, გარდა ამისა, კარგა გვარიანადაც „ამდებლბდა“ პარტიას...“ (იხ. გაზ. „ნაშა ეიზნ“, 1906 წ. 7 ივლ., პეტერბ.).

როგორცა სჩანს, სობინოვი არ იყო ხმაზე. მეორე გამოხველა (ლენსკის პარტიაში) შესანიშნავად ჩაატარა, პრესამაც აქო. ამით ჩვენ მხოლოდ იმის ნათელყოფა გვინდოდა, თუ რა მქაცრ მოთხოვნილებას უყენებდა თეატრალური კრიტიკა მომღერლებს. თუ საქმეცნოდ აღიარებულ სობინოვს ასე სასტიკად გაუმასპინძლდა, რაღას უზამდა ახლად გამოჩენილ ვანო სარაჯიშვილს, რომ მას მართლაც ბრწყინვალედ არ შეესრულებინა აღფრედის პარტია?

## სულთან კრიმ-ბირაი. გასტროლები თბილისში

იმავე 1906 წლის შემოდგომაზე ვანო თბილისში დაბრუნდა. მაგრამ სამშობლოში ხმის ამოღება გაცილებით უფრო ძნელი აღმოჩნდა.

თბილისის ოპერას ღირსშესანიშნავი ისტორია აქვს. მომავალში საფუძვლიანი ნაშრომი დაიწერება ამ საგანზე. ამ შემთხვევაში კი მოკლედ გავეცნოთ იმ ვითარებას, რომელიც დაემთხვა ვანო სარაჯიშვილის პირველ გამოსვლას ჩვენს სცენაზე.

1900 წლიდან თბილისის სახაზინო თეატრში მთავრობამ უარპყო ანტრეპრიზა და ღირექცია ჩამოაყალიბა. თეატრს სათავეში ედგა რამდენიმე ღირექტორი (ფუნქციათა განაწილების პრინციპის მიხედვით) და ღირექციის თავმჯდომარე. თავმჯდომარეებად გენერლები ინიშნებოდნენ.

1902 წლის გაზაფხულზე თეატრის დეფიციტმა 69 ათას მანეთს მიაღწია. თეატრი დახურეს, დაითხოვეს მეტად გაზრდილი შტატიც, სამხატვრო ნაწილის გამგე ი. ე. პიტოვეთან ერთად.

1903 წლის იანვარში ქალაქის თვითმმართველობამ მოაგვარა დეფიციტის საკითხი და თეატრს სუბსიდია მისცა. 1905—1906 წლ. სეზონში თეატრს სათავეში ედგა დირექცია გენერალ როდეს თავმჯდომარეობით. დირექციის წევრები იყვნენ: პოლკ. აკიმოვი, თავადი გრუზინსკი და ს. გ. მირზოევი. თეატრში მუშაობდა ია კარგარეთელიც. გენერალი როდეს მომღერალ ფოსტრემის მეუღლე იყო. იგი მეტად ძვირ ფასებში ყიდულობდა თეატრისათვის თავისი მეუღლის ყოვლად უფარგის კოსტიუმებს. სამნეო ნაწილის გამგე, პოლკ. აკიმოვი უფრო გულმოდგინედ ფლანგავდა სახსრებს — ერთი-ორად ადგენდა რეკვიზიტის შესყიდვის ანგარიშებს. 1906 წლის დამლევს თეატრის დეფიციტმა კვლავ 60 ათას მანეთს მიაღწია. აკიმოვმა ბუტაფორ დუბროვსკის თეატრის მაკეტი შეუყვება. „დეფიციტის“ გამო ფული არ გადაუხადა, ხოლო ეს მაკეტი ბილეთების სალაროსთან მოათავსა, ზედ ლითონის ფირფიტა მიაკრა და წააწერა:

„საჩუქრად სახაზინო თეატრს დირექტორ ვ. ნ. აკიმოვისაგან“.

თავის ბნელ კაბინეტში იგი საზიზღარ საქმეებს სჩადიოდა მსახიობებთან. მუშა-მოსამსახურეებმა (50—60 კაცი) დირექციას ეკონომიური მოთხოვნებიანი წარუდგინეს და ია კარგარეთელს მიანდევს თავიანთი ინტერესების დაცვა. ისედაც „შემჩნეული“ ია მიზანში ამოიღეს, ჯაშუშები დაუნიშნეს. მდგომარეობა უფრო გამწვავდა, როდესაც ჯალათი გრიაზნოვი არსენ ჯორჯიაშვილმა ბომბით დაფლითა და კარგარეთელმა ხელი არ მოაწერა მისთვის გვირგვინის შესაძენ თანხაზე: თუ ასეთი „გენერლების“ გვირგვინებისათვის უკანასკნელი კაპიუკები გავიღეთ, ჯამაგირიც არ აგვითავდებოა.

ამოძრავდნენ ჯაშუშები. 1906 წლის 13 დეკემბერს, ღამით, თეატრიდან გასვლისას იას გზაში დახვდნენ, დასკრეს, სცემეს და სასიკვდილოდ დაშავებული ხრამში გადასჩხებეს. იამ დიდი ვაი-ვაგლახით დააღწია სიკვდილს თავი. სამუდამოდ დაჰკარგა მარჯვენა ხელი, მაგრამ მარცხენას გადააწოდა კალამი და სიკვდილის დღემდე არ გაუგდია ხელიდან ეს ბასრი იარაღი.

1907 წლის შემოდგომაზე ვორონცოვ-დაშკოვმა გააუქმა კოლეგიალური დირექცია და გამგეობა დააკისრა ერთპიროვნულ დირექტორს — პოლკოვნიკ ვ. მ. თამაშველა.

აი, ასეთ ვითარებაში მიმართა ვანო საოპერო თეატრის დირექციას 1906 წლის შემოდგომაზე და დებიუტი მოითხოვა. უარი უთხრეს. ვანოსათვის სთავდად ბით იღწვოდა მისი ნათესავი და მეგობარი, მხატვარი გოგო გაბაშვილი. მან მიმართა დირექციას — მხარი დაეკირათ პეტერბურგში ბრწყინვალედ გამარჯვებული მომღელოსათვის. ცდამ წაყოფოდ ჩაიოა. ტახტის ერთგულმა მონამ — გენ. როდემ მოკლდ სოსკრა:

— „ტუზემცებს“ ჩვენს სცენაზე ადგილი არ უნდა ჰქონდესთ. გარდა ამისა, თქვენ იცით, რომ რუსეთში ბევრი უღუშევიარი არტისტია.

მეორე დირექტორმა, თავადმა გრუზინსკიმ, უხერხულად სცნო დახმარება გაეწია. ვანოსათვის — მეც ქარაველი ვარო.

გ. გაბაშვილმა საქმე მეფას ნაცვლის მოადგლე სულთან კრიმ-გირეიმდე მიიყვანა. კრიმ-გირეს იმ ხაად სახლი ჰქონდა გავარდნილი. იგი აჯანყებულ გურულებთან გაგზავნა მთავრობამ „მოსალაპარაკებლად“. ვანო დაახასიათეს როგორც სავსებით მომზადებული, შესანიშნავი ხმის მქონე მომღერალი, რომელიც თბილისის ოპერის მშვენება გახდებდა. კრიმ-გირეიმ ვორონცოვს მოახსენა. მან გასცა განკარგულება — მიეკათ დებიუტი ვანოსათვის.

1906 წლის 12 ოქტომბერს თბილისის თეატრალთა საზოგადოებაში უჩვეულო ფუსფუსი და მოთქვა-მოთქმა იყო. „ტრაგიატაში“ პირველად გამოდიოდა ვანო სარაჯიშვილი. ბილეთები იქონით დაიტაცეს. პეტერბურგიდან ჩამოღწეულ ხმებს აღფრთოვანებინა ქართველი საზოგადოება, ხოლო ქართველი კაცის ყოველი წარმატების ზოძულენი კი მოეშხამა. ისინი ოლიმპური სიმშვიდით მიიზღაზნებოდნენ დარბაზში.

— ნუთუ? — საბედისწეროდ აღბეჭდილიყო მათ სახეზე, უნიათო სიჯიუტესთან ერთად. წარმოდგენა დაიწყო, უბილეთოდ დარჩენილი ხალხი თეატრთან იდგა და გულისფანქვალით მოელოდა პირველი აქტის დამთავრებას, რომ ამბავი 5. გ. სარაჯიშვილი.



მინც წაელო შინ. თეატრი გაქედლია, გასასვლელეზშიაც ხალხი დგას.

აი, გაისმა ვერდის დიდებული მელოდია, და მას შადრევა-ნივით აედევნა ხავერდოვანი, წკრიალა ხმა ვანოსი.

ტრფობით აღზნებული აღფრედი უმწიკვლო სიყვარულის სადღეგრძელოს სვამს.

— ავსწითთ სასმისი მალლა, მეგობრებო!...

ამავე დროს, ვანო თითქოს მთელს ქართველ ერს, სამ-შობლოს მიმართავს:

ძვირფასო დედავ! აი, შემოვდგი ფეხი და პირველად ესვამ შენს სადღეგრძელოს. პირობას გაძღვე შემოგწირო მთელი სიცოცხლე და აქვე დავლიო სული, — უკანასკნელად სიმღერითვე დაგემშვიდობო. დამლოცე, დედავ!.. უფრო ჩამინთე გულში ცეცხლი და ისე უჩირქოდ გამისტუმრე ამ კარებიდან, როგორც აქამდე მომაცილე...

აღფრედმა სიმღერის ერთი მუხლი მოაბრუნა და ახლა უფრო მეტი მგზნებარებით გაისმა მისი წარმტაცი ხმა: თითქოს იღუმალი ჩანჩქერი სცემს, მშობლიური. მზე კიაფობს და მთელს დარბაზში სხივებს აფრქვევს, მსმენელის გულს ეამბორობა, ზედ ვარდ-ყვავილს ათოვს.

ხალხი გაინაბა... მაგრამ აღტაცება თავშეკავების საზღვარს გასცდა, და ვანოს სიმღერას მგრგვინავი ტაში შეეგება. გამოწვევას, „ვაშას“ ძახილს ბოლო არ უჩანს. სპექტაკლი დამთავრდა. ქართველ საზოგადოებას ფრთა აესხა. ენა დაუდუმდათ გენერალ-დირექტორებს და მათ დამქაშებს.

— ნუთუ?...

ახლა მზესავით ნათელი გახდა, და ეს ლახვარივით დაესოთ გულზე.

გაზეთი „კავკაზი“ სწერდა:

„... 12 ოქტომბერს „ტრავიატამ“ სრული შემოსავალი მოგვცა. თუმცა თბილისში ბლომად არიან ძველი იტალიური მუსიკის ამაყი თავგანისმცემენი, მაგრამ ამით როდი აიხსნება ამ სპექტაკლზე ხალხის განსაკუთრებული მოზღვაება. ხალხი მოიხიდა აღფრედის პარტიის შემსრულებელმა ვანო სარაჯიშვილმა. ბევრს წინათაც გაგებული ჰქონდა, რომ ამ ახალგაზრდა მსახიობს თითქმის ზღაპრულ მომავალს უწინასწარმეტყველებენ.

გარდა ამისა, ყოველ ძველ თბილისელს აინტერესებდა — რას წარმოადგენს მომღვრალი, რომელიც ესოდენ პოპულარულ, ესოდენ ნაცნობ გვარს — სარაჯიშვილს ატარებს. თეატრში ისინი კი წავიდნენ, რომლებიც ლამობდნენ ახალი დადსატურება ეპოვათ ძველისძველი ფორმულით: „განა შეიძლება წინასწარმეტყველი ნაზარეთის მკვიდრი იყოს?“.

მიუხედავად ამისა, ვეჭვრობთ, რომ აღფრედის პარტიის შესრულებით უკმაყოფილონი მაინც არ მოიპოვებინან.

„ჯერ გამოუტყდელია, ჯერ კიდევ არ იცის სცენაზე თავის დაქვრამ“ — აი, რაში გამოიხატებოდა იმათი შენიშვნა, რომელთაც საზოგადოდ არ უყვართ ქება, მაგრამ იშვიათი სილამაზისა და საესტეტიკო საკმაოდ სიძლიერის ხმის უარყოფა, მუსიკალობისა და ტემპერამენტის უარყოფა — რა თქმა უნდა, ვერვინ ვერ გაბედა. ეს თვისებები საესტეტიკო საკმაოდ მომღვრლის მომავლის უზრუნველსაყოფად. ამ მომავლის მცირე თუ დიდი გაქანება საესტეტიკო მისგანვე დაშორებული, მაგრამ ახლაც კი, სარაჯიშვილი თავისი ლამაზი ხმითა და სიმღერის საუცხოო, იტალიური მანერით, თავისი გულწრფელი გატაცებით, იმდენად დიდ კმაყოფილებას გვგვრის, რომ „ტრაგიატაში“ მისი მქუხარე, დიდმნიშვნელოვანი წარმატება არასგზით არ შეიძლება აიხსნას მართლმოდენ ნაცნობებისა და თანამემამულეთა დასწრებით. პირდაპირ ეგოისტური განწყობით ვურჩევთ მას კიდევ გამოვიდეს თბილისში...“

20 ოქტომბერს ვანო „რიგოლეტოში“ გამოვიდა. ამჯერად უფრო მეტი წარმატება ხვდა წილად და დირექციამ გასამრჯელოც გაუღიდა (პროცენტები საერთო შემოსავლიდან). საზოგადოების ერთსულოვანი მოთხოვნით 4-ჯერ გაამეორებინეს ცნობილი არია — „ლამაზი ქალი სანდო არ არის“. სცენა ყუავილებით აივსო, ვანომ საჩუქრად მიიღო ბევრი ძვირფასი ნივთი.

გაზეთი „ტიფლისკი ლისტოკი“ სწერდა:

„მეტად აღტაცებულ მსმენელს არ შეიძლება თვალში არ მოხვდეს სანიმუშო უცვლელობა ბ-ნ სარაჯიშვილისა, როგორც მომღვრალ-ხელოვანისა. მას, როგორცა სჩანს, სურს იცოცხლოს და ისუნთქოს სიმღერის ხელოვნების მხოლოდ და მხოლოდ სიმართლითა და პოეზიით, რომელთაც იგი თავისი საოცარი ნიჭისა და მომხიბლაობის ძალით ცოცხლად და მხატვრულად აერთებს ერთ მთლიანობად... ეს მოვლენა ძალიან იშვიათად გვხვდება სცენაზე.“

მაინც, რაში მდგომარეობს ბ-ნ სარაჯიშვილის, როგორც მომღვრალ-ხელოვანის, მომავლოდელი ძალა?

იმ ძლიერებაში, რომელიც მას თვით ბუნებამ მისცა და რომელსაც ნიჭი ეწოდება... ის, ვინც იცნობს „რიგოლეტოს“ პარტიტურას და მოუსმენია გ. სარაჯიშვილიანთვის, ალბათ შეამჩნევდა იმ საშინაულს, რომლითაც



გ ა ნ ო ს ა რ ა ჯ ი შ ვ ი ლ ი თ ბ ი ლ ს ი ს ო ვ ა რ ი ს თ ე ა ბ რ ზ ი  
პ ი რ ვ ე ლ ი ბ ა მ ო ს მ ლ ი ს ღ რ ო ს

(სურათი გადაღებულია თბილისში 1906 წ. ნოემბერში).

ყო ახალგაზრდა მომღერალმა ჰერცოგის პარტია... გატაცების დიად ძალას, შემოქმედების ანგარიშმიუცემელ ლტოლვას ეძლევა მსახიობი მოელი თავისი არსებით. იგი კი არ ჰბაძავს ავტორის კმნილებას, არაშედ თვით გარდაიქმნის ნაწარმოების მიხედვით, და სწორედ ეს არის შემოქმედება ღვთაებრივი ნაპერწკლის გამოვლინება... ამ მხრივ ბ-ნი სარაჯიშვილი განსაკუთრებული მომღერალი-ხელოვანია, რომელსაც შეიძლება უსმინოთ დაუსრულებლად. ჩვენ არც ვარჩევთ ამ მსახიობის სიმღერას; ვერავითარ ანალიზი, ვერავითარი მოგონებანი ვერ დაგვიბრუნებხ იმ ესთეტიკურ აღტაცებას, რომელმაც საზოგადოება შეიბჟრო!... მივესალმებით ჭეშმარიტი, კეთილშობილი ხელოვნების სინათლისა და სითბოს ამ ზესთაგონებულ მატარებელს!!<sup>1</sup>

<sup>1</sup> სწორედ ამ გარემოების გამო, ძნელი გახლავთ წერა განო სარაჯიშვილზე. (ხაზი ჩვენია). შ. კ.

„რიგოლტოში“ გამოსვლით ვანომ უფრო თვალნათლივ გამოააშკარავა იტალიური ბელ-კანტოს ოსტატობა. ეს ოსტატობა იმდენად თვალსაჩინო და აშკარა გახდა, რომ პრესამ აღნიშნა კიდევაც: — ნეტავ იტალიელ დიდებულ ოსტატთა ყაიდაზე მღერა მოხდენილ მიმპაძველობად არ გადაექცეს ჩვენს ახალგაზრდა მომღერალს და მომავალი არ შეუზღუდოსო.

უმათა ვითარებამ დაგვანახვა, რომ სწორედ პირიქით მოხდა: ვანომ მშობლიური კილოს გამშვენებას მოახმარა ეს ოსტატობა და ქართული ელფერის საოპერო მღერადობის გენიალური სკოლა შექმნა, ისე როგორც რუსული მუსიკის მიმართ ეს ითქმის პირველ რუს ბელკანტიტ ლეონიდ სობინოვზე;

ვანოს ბრწყინვალე წარმატების ამბავი მთელს საქართველოს მოედო. გაზეთები პირველ გვერდზე დიდი ასოებით აცხადებდნენ სპექტაკლებს „ბ-ნ ი. პ. სარაჯიშვილის მონაწილეობით“.

27 ოქტომბერს ვანომ ლენსკის პარტია შეასრულა „ევგენი ონეგინში“. გაზ. „ტიფლისკი ლისტოკის“ რეცენზიაში ვკითხულობთ:

„...სარაჯიშვილს წილად ხედა დიდი წარმატება. არია დუელის წინ მან მეტად მუსიკალურად შეასრულა, მასში მომღერალმა გამოააშკარავა იზვიათი სილამაზისა და სინაზის შემცველი თავის მიქსტი, რაც გულმკერდის ბგერის შთაბეჭდილებასა სტოვებს. არია სამჯერ ჩაამეორებინეს. მის ხმაში არის რალაც მოალერსე, მომჯადოებელი, არის ტემპერამენტი. ასეთ ხეზს, ჩრდილოეთის ცივი ხმებისაგან განსხვავებით, იტალიელები ვოჩე მერიდიონალეს—ე. ი. სამხრეთის ხმას უწოდებენ...“

ეკატერინე გრიგოლის-ასულმა გაბაშვილმა გვიამბო:

— მე დავესწარი „ევგენი ონეგინს“ 1906 წ. 27 ოქტომბერს. საზეიმო განწყობილება იყო. თეატრში ნემსი არ ჩავარდებოდა. ისე განსაცვიფრებლად მღეროდა ვანო, რომ ვერვინ ბედავდა ხელი შეეშალა აპლოდისმენტით. ნერწყვგამშრალნი და გაოცებულნი უსმენდნენ. განსაკუთრებით ჟრუანტელის მომგვრელი იყო არია დუელის წინ. რალაც საიდუმლოებით დაძაბულ სიჩუმეში გაისმა ვილაკას ათრთოლებული ხმა—*Молодед Сараджев!*

ითიქოს ამას ელოდნენო, ხალხის სულისკვეთებამ ჯებირი

გადალახა და წამსვე თეატრში ტაშის ქუხილი ასტყდა. ძველი მულომანები ამბობდნენ—მაზინის შემდეგ ასეთ ამბავს არ მოვსწრებივართო. ვანო სარაჯიშვილის წარმატება პირდაპირ თავბრუდამხვევი იყო...

30 ოქტომბერს, თავისი მეოთხე გამოსვლა ვანომ მიუძღვნა მშობლიური კულტურის აყვავებას და გამოვიდა „ტრაგიატაში“ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სასარგებლოდ. ამ საღამოს მას მიართვეს დიდი გვირგვინი წარწერით:

საღამო მშობლიურ მომღერალ-ხელოვანს!

2 ნოემბერს კვლავ „რიგოლეტოში“ გამოვიდა.

3 ნოემბერს (1906 წ.) შესრულდა 10 წელი თბილისის ახლანდელ საოპერო თეატრში პირველი წარმოდგენის გამართვის დღიდან. თეატრის დირექციამ გადასწყვიტა საგანგებოდ შერჩეული პროგრამით აღენიშნა ეს მნიშვნელოვანი თარიღი. საღამოს რეჟისორად ია კარგარეთელი დაინიშნა. შესრულებულ იქნა პ. ა. ოპოჩინინის სიტყვებზე დაწერილი საიუბილეო კანტატა ტიურნერისა.

ვანოს გამოსაყვანად საგანგებოდ დაიდგა დუელის სცენა „ევგენი ონეგინიდან“ დრაგოშისა და ლიუტჩევის მონაწილეობით. გარდა ამისა, დაიდგა „კარმენის“ მეორე აქტი, საბალეტო დიჟერტისმენტი, და „ხანუმა“. საზეიმო საღამოს დიდძალი ხალხი დაესწრო. ვანოს წილად ხვდა მქუხარე ოვაცია, დაუსრულებელი „ბის“, ყვავილები და გამოძახება.

5 ნოემბერს „არტისტული საზოგადოების“ დარბაზში (ახლარუსთაველის თეატრი) გაიმართა საქველმოქმედო საღამო ქალთა ერთ-ერთი სკოლის სასარგებლოდ. ვანომ აქაც, მიიღო მონაწილეობა. „კავკაზი“ აცხადებდა—ვ. სარაჯიშვილმა კეთილინება კონცერტში მონაწილეობის მიღებაო. რეცენზენტი სწერდა:

„...მეტად სასიამო ხმით, დიდი მუსიკალობითა და ლამაზი, გარეგნობით დაჯილდოებული ახალგაზრდა მომღერალი სარაჯიშვილი გაცილებით უფრო მეტი სეროიზული მოპყრობის ღირსია, ვიდრე ზოგიერთ რეცენზიაში იხსენიებენ“.

11 ნოემბერს დაიდგა „ფაუსტი“ ვანოს საბენეფისოდ და მისივე მონაწილეობით. ასეთი სპექტაკლი იშვიათად ახსოვს თბილისის ოპერის თეატრს.

„წლებანდელ საოპერო სეზონში,—სწერდა რეცენზენტი,—ორიუმეფულ სპექტაკლად უნდა ჩაითვალოს „ფაუსტი“ იმ შემადგენლობით. რემლითაც იგი დაიდგა შაბათს 11 ნოემბერს. დარბაზი რომ გაქედელი იყო ხალხით, რა თქმა უნდა, ამას ანტრეპრიზა უნდა უმადლოდეს თბილისის ახალ დეათებას სარაჯიშვილს, რომელმაც ამ დღეს თავისი გამოსათხოვარი ბენეფისი გამოაცხადა... სარაჯიშვილმა ერთხელ კიდევ ხედმეტად დამტკიცა, თუ რა მდიდარ ფოკალურ შესაძლებლობათა პატრონია იგი და თავისი მუსიკალობის წყალობით რარიგ მცირე ღონისძიება უნდა გამოიყენოს, რომ ოპერის განთქმული მომღერალი გახდეს.

მიუხედავად იმისა, რომ სარაჯიშვილმა შეისმინა მეგობრებისა და ნაცნობების მუდარა და, როგორც შეეიტყეთ, უკვე გადაჭრით მოეზადა „ფორთხლისა და ტენორების“ მადლიან ქვეყანაში გასამგზავრებად, ნეტავ გააჩერებდნენ კიდევ ერთი სპექტაკლისათვის, რათა ამავე შემადგენლობით იქნას განმეორებული „ფაუსტი“...

მაგრამ ვანო აღარ შებრუნებულა ოპერაში. ოღონდ ვალერიან გუნიას თხოვნით მან 14 ნოემბერს უკანასკნელად მიიღო მონაწილეობა ქართ. დრამ. დასის მიერ „არტიტული საზოგადოების“ დარბაზში გამართულ სპექტაკლში. შემოსავალი გადადებული იყო დრამ. დასის მსახიობთა სასარგებლოდ. დაიდგა ვალ. გუნიას მიერ გადმოკეთებული კომედია „პირველი ბუზი“. სპექტაკლში მონაწილეობა მიიღეს ტასო აბაშიძემ, ვასო აბაშიძემ, ნ. გაბუნია-ცაგარელმა, ვ. გუნიამ. კომედიის შემდეგ გაიმართა დიდი დივერტისმენტი, რომელშიც ვანოს გარდა მონაწილეობდნენ ი. ტომაშევიჩი<sup>1</sup>, ვ. ურუშაძე, ვ. აბაშიძე, გედევანიშვილი და სხვები.

<sup>1</sup> იოსებ პეტრეს-ძე ტომაშევიჩი—თავის დროზე განთქმული ბანი. დაიბადა დაახ. 1870 წელს ახალციხეში, სადაც დიდი მამულები ჰქონდათ. ქართველად სთვლიდა თავს (პეტრეც მშვენიერად ლაპარაკობდა ქართულად, რადგან დედამისი ზებალაშვილის ქალი იყო). იოსების დედა—ნინო, ძველი განთქმული ექიმის ივანე ყარაშვილის ასული ყოფილა. ი. ტომაშევიჩი ვანო სარაჯიშვილის დიდი მეგობარი და პატივისცემელი იყო. მღეროდა მოსკოვის, პეტერბურგის და რუსეთის სხვა დიდი ქალაქების ოპერის სცენაზე, აგრეთვე—ამერიკის შეერთებულ შტატებში. მოიპოვება რეცენ-

ამ საღამოს ვანომ გვერდზე გადასდო ევროპული რეპერტუარი და ქართული ხალხური სიმღერა შემოსძახა, რითაც პირდაპირ მოაჯადოვა ისედაც მოხიბლული საზოგადოება. გედევან-შვილთან ერთად მან შეასრულა ღუეტი „ტყემ მოისხა ფოთოლი“. მრავალ და სახელოვან მონაწილეთა შორის საერთო ყურადღების ცენტრში ვანო იდგა.

გაზეთი „კავკ რეჩი“ სწერდა:

„...უდიდესი წარმატება ხვდა წილად ახალგაზრდა, ნიჭიერ მომღერალს ვანო სარაჯიშვილს. განსაკუთრებული ტაშით შეეგებნენ მას ქართული ხალხური სიმღერებისათვის, რომლებიც მართლაც რომ დიდის გრძნობითა და განწყობილებით შეასრულა“.

ეს იყო ვანოს უკანასკნელი გამოსვლა იტალიაში გამგზავრების წინ.

თბილისში ყოფნისას ვანომ უკვე სამ საქველმოქმედო სექტაკლში მიიღო მონაწილეობა.

ვანოსათვის დახმავების აღმოჩენა განიზრახა ქართულმა ფილარმონიულმა საზოგადოებამ:

„...ვინიდან 26 სექტემბრიდან თბილისის ყველა თეატრებში დაიწყება წარმოდგენები, ამისათვის კარგი იქნება მანამდე გავმართოთ ქართული კონკრტი ან ოპერა, თუ შესაძლებელია. აქვე ბატონა დ. კ. გედევანი-შვილმა დაასმინა კრებას, რომ ახალგაზრდა მომღერალი ი. სარაჯიშვილი გვთხოვს დახმარებას, რადგან იგი იტალიაში აპირებს წასვლას და შეძლება არა აქვს. დაიდგას ქართულად ოპერა „ფუსტი“ ი. სარაჯიშვილის მიერ. წილგობით და წმინდა ზემოხმავალიდან მიეცეს მას 75 პროცენტი.“ (ოქმი „12, 6 სექტ.).

ოპერა „ფუსტი“ სთარგმნა ქართულად დ. ნახუცრიშვილმა. თარგმანი შეიძინა ქართულმა ფილარმონიულმა საზოგადოებამ.

ზიუგი, რომელმაც ამერკული ეურნალ-გაზეთები ათავსებდნენ ბოსტონში მისი გასართლების შესახებ. ხშირად მღეროდა ქართულად ნაწყვეტების ოპერა „დ. მონიდან“. ჩვენამდე მიღწეული კერძო ცნობებით, ვაშაგტოხში რადიოთი გდასკვდნენ თურე მის მიერ ქართულად შესრულებულ არიებს დემონიდან.

თბილისის სახელმწ. ოპერის სოლისტის ბეატრიჩე ვალაციის დიდდა ყარაშვილის ასული იყო. ამ უკანასკნელის ბიძაშვილი იყო ცნობილი კომპოზიტორი ანდრია ყარაშვილი („სამშობლოს“ ავტორი). შ. კ.

იგი დაიდგა პირველად სახაზინო თეატრში 1906 წლის აპრილის 18-ს. მეორედ დაიდგა აპრილის 28-ს.

რამდენადაც ვიცით, ფილარმონიული საზოგადოების ეს განზრახვა განუხორციელებელი დარჩა. სათანადო წყაროებიდან სჩანს, რომ ორკესტრის სრული შემადგენლობის უყოლობის გამო, იმ ხანად საზოგადოება მოკლებული იყო წარმოდგენების გამართვის საშუალებას და გამგეობამ დაადგინა პრესის საშუალებით მიემართნა მუსიკოსებისათვის.

მაგრამ სხაზინო თეატრში გამოსვლებით ვანოს მაინც დაუგროვდა საკმაო თანხა იტალიაში გასამგზავრებლად.

ტრიუჟალურ მხატვრულ წარმატებასთან ერთად, ვანოს სპექტაკლები უდიდესი მატერიალური წარმატებით ჩატარდა და დიდი სარგებლობა მისცა სახაზინო თეატრს.

1906—1907 წლის სეზონში თბილისის ოპერაში 158 სპექტაკლი გაიშარათა, რომელთაგან 87 ათასი მანეთი შემოვიდა, ე. ი. საშუალოდ 550 მანეთი თითო სპექტაკლზე. განთქმულ გასტროლიორთა წარმატება შემდეგ სურათს გვაძლევს:

გონზაგისა და ვენტურას 13 გასტროლმა დასტოვა შეზოსავალი 6658 მან. და 46 კაპ, ე. ი. 512 მან. და 32 კაპ. თითო სპექტაკლზე. ვან-ბრანდტის 19 გასტროლიდან შემოვიდა 22 084 მან. და 05 კაპ., ე. ი. 1162 მან. და 32 კაპ. თითო სპექტაკლზე. ვან-ბრანდტი დიდად განთქმული მომღერალი იყო<sup>1</sup>. მისმა წარმატებამ ყველას გადააქარბა და რეკორდი დაამყარა, მაგრამ ვანომ ისიც უკან დასწია:

11 ნოემბერი. „ფაუსტი“ ვანო სარაჯიშვილის მონაწილ. — 1951 მ. 50 კ.
28 დეკემბერი. „მანონ“ ვან-ბრანდტის „ „ „ — 1184 მ. 65 კ.
27 იანვარი „ „ „ „ — 1706 მ. 12 კ.
4 მარტი. „ტრავიატა“ „ „ „ — 1867 მ. 91 კ.

ასეთი მორალური სილა გააწნა ვანო სარაჯიშვილის ბრწყინვალე წარმატებამ გენერალ დირექტორებსა და მათს უბაღრუჯ მონებს.

<sup>1</sup> ესპანეთისა და რუსეთის პრესამას იტალიური კოლორატურული სიმღერის ქუზუმებს“ ადარებს. (იხ. გაზ. „XX ვეკ“ № 61, 30 მაისი 1906 წ., პეტერბ.). შ. კ.



## პრესა აღნიშნავდა:

„...განა ცოტა ნიჭი დაიღუპა იმის გამო, რომ ქართველმა საზოგადოებამ ვერ შესძლო დაეცვა იგი ნაადრევი თვითგაფლანგვისაგან? ქართველი საზოგადოების მოვალეობაა გაუფრთხილდეს ვანო სარაჯიშვილის ხმას და დაუყოვნებლივ გაგზავნოს იგი იტალიაში. უნდა ისწავლოს, ისწავლოს და კვლავ სრულყოფით დაგვიბრუნდეს...“

იტალიაში გამგზავრება ვანოს დიდი ხნის სანუქვარ ოცნებას შეადგენდა.

## იტალიაში. „სარაჯინი“. კუპრინის ნახტომი

მრავალსაუკუნოვან ქართველ ერს დასაბამითვე ჰქონდა კულტურული, ეკონომიური და პოლიტიკური ურთიერთობა მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებთან. საამისო ცნობები უხვად მოიპოვება ქართულ და უცხოურ წყაროებში.

ჩვენი უძველესი საგალობო ნიშნები (მიქაელ მოდრეკილის კრებულით X საუკ.) ძირითადად განსხვავდება კათოლიკურ და ბიზანტიურ ნეგმური ნოტაციისაგან. გიორგი ხუცეს-მონაზონის ცნობით, გიორგი მთაწმიდელს თავისი გუნდი წარუდგენია ბიზანტიის კეისრისათვის, რომელსაც უხვად დაუჯილდოებია ქართველი მგალობლები ბერძნული კილოს შესწავლისათვის, რადგან იგი ქართულისაგან განსხვავდებოდა.

საქართველოში ოდითვე არსებობდა ნიჭიერ ქაბუკთა უცხოეთში მივლინების ტრადიცია. თუ შოთა რუსთაველმა საბერძნეთში სრულჰყო თავისი განათლება, გაცილებით უფრო ადრე ჩამოდიოდნენ ჩვენში ამავე მიზნით. ბერძენ ფილოსოფოს თემისტოზის ცნობით (IV საუკ.), მას ფილოსოფიური განათლება მიუღია საქართველოში, სადაც „ფილოსოფიური და რიტორული განათლების ცენტრები“ არსებობდნენ. აქვე იმართებოდა ფილოსოფიური დისკუსიები, რომლებშიც მონაწილეობის მისაღებად ჩამოდიოდნენ სხვადასხვა ქვეყნებიდან. ამ დისკუსიებში დიდად გაუთქვამს სახელი ქართველ ფილოსოფოსს ბაკურის.

ბერძენი ფილოსოფოსის ქსენოფონტეს ცნობით (IV საუკ. ძვ. წელთაღრიცხვით):

„...ქართველურ ტომთა შორის საერო მუსიკა, მაგალ. სამხედრო და საცეკვაო სიმღერები, ძალიან გავრცელებული ყოფილა. ჰანების ტომები ომსაც კი თურმე საომარი სიმღერა-ცეკვით იწყებდნენ...“<sup>1</sup>

თუ პომპეუსის დროს რომის ლაშქარს სატევარი შევავებთ, შემდეგ დავმოყვრდით, თასებიც გავცვალებთ და სიმღერაც ერთადა ვთქვიო. I საუკუნეში, მეგობრობის ნიშნად, მცხეთის გალავანი გაგვიმაგრეს და შიგ წარწერაც ჩასვეს (75 წ. ახ. წელთაღრ.). ადრიანე კეისარმა (117—138 წწ.) იბერთა მეფე ფარსმანს აურაცხელ ძღვენთან ერთად სპილო და 500 მხედარი უთავიზა, „ხოლო როცა ფარსმან მეფე თავისი ცოლითა, შვილითა და ამალითურთ რომში კეისარს ეწვია, მან დიდი პატივი სცა, კაპიტოლეში საღმრთოს შეწირვის ნება მისცა და იმის სამფლობელოს საზღვრები გააფართოვა. ადრიანე კეისარი ფარსმანისა, იმის შვილისა და სხვა დიდებულ ქართველთა სამხედრო ასპარეზობას დაესწრო და შემდეგ მარსის ველზე იბერიის მეფის ცხენიანი ჰანდაკება დაადგმევინა. ანტონინე კეისართანაც (138—161) ფარსმან მეფეს მეგობრობა ჰქონია: იბერიის მეფე იმასაც სწვევია სტუმრად რომში და ანტონინესთვის უფრო მეტი ძღვენი მიუერთმევია, ვიდრე მისი მოადგილისთვის“<sup>2</sup>.

საბა-სულხან ორბელიანსაც ღირსეული პატივით დახვდნენ, როცა იგი საგანგებო დავალებით ეწვია იტალიას.

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან კვლავ იჩინა თავი დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან ჩვენი კულტურული კავშირის გაცხოველებამ.

\*

ევროპის ცენტრებში დიდი წარმატებით გამოდიოდა განთქმული პიანისტი ალოიზ მიზანდარი. ვენის პრესამ გენიალური ორტატი უწოდა მას. იტალიაში, მილანის ლა-სკალას თეატრში (და სხვა ქალაქებში) პირველ პარტიებს მღეროდა განთქმული ბანი ფილიმონ ქორიძე. 1895 წელს მილანში დიდი წარმატებით დაასრულა მეცადინეობა არაჩვეულებრივი ხმის

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი. „ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები“, გვ. 223.

<sup>2</sup> ივ. ჯავახიშვილი. „ქართველურ ისტორია“, ტომი I, გვ. 159.

პატრონმა (დრამატ. ტენორი), პეტერბურგის საიმპერატორო თეატრების სტიპენდიატმა პ. მ. კაბაბაძემ, რომელიც უდროოდ გარდაიცვალა სამშობლოში დაბრუნებისთანავე<sup>1</sup>. მილანში დაასრულა აგრეთვე მეცადინეობა პარიზის „გრანდ-ოპერის“ პრემიერმა მიშელ დარიალმა (მიხეილ ნანობაშვილი-მა). მას შემდეგ ბევრმა ქართველმა მომღერალმა მიიღო ვოკალური განათლება იტალიაში.

ვანო სარაჯიშვილის ჩასვლისას იტალიაში დიდი წარმატებით მღეროდა ელენე იოსების-ასული თარხან-მოურავი. პეტერბურგის შემდეგ იგი მეცადინეობდა განთქმულ იტალიელ პროფესორ ემა დოგტისთან. კომპოზიტორი მასკანი (ოპერა „სოფლის პათიოსნების“ ავტორი) საგანგებო დასს აღგენდა ამერიკის შეერთებულ შტატებში საგასტროლოდ და კონკურსი მოაწყო ლა-სკალას თეატრში. ამ კონკურსში მონაწილე 14 მომღერალს შორის პირველობა მოიპოვა ელენე თარხნიშვილმა და მასკანის დასს ამერიკის შეერთებულ შტატებში გაჰყვა. იქიდან დაბრუნების შემდეგ დიდი წარმატებით გამოდიოდა იტალიაში. 1911 წელს საქართველოსაც ეწვია საგასტროლოდ. აკაკი წერეთელმა მის შესახებ საგულისხმო წერილი მოათავსა პრესაში. ლექსიც უძღვნა.

\* \* \*

ვანო სარაჯიშვილს იტალიაში თან გაჰყვა მისი უახლოესი მეგობარი ნიკოლოზ იოსების-ძე ყანჩელი. ისინი ერთად სწავლობდნენ გიმნაზიაში, ერთადვე იყვნენ პეტერბურგშიც, სადაც ნ. ყანჩელი იურიდიულ განათლებას იღებდა უნივერსიტეტში. ნიკოლოზმა კარგად იცოდა ევროპული რენები და ამით პირველ ხანებში დიდი დახმარების გაწევა შეეძლო თავისი მეგობრისათვის. მცირე ხნის შემდეგ ნიჭიერმა ვანომ თვითონვე გაიკვლია გზა...

მილანში ვანომ იქირავა ოთახი ვინმე ტამბურინის სახლში. მოხუცმა დიასახლისმა ცოტა რუსულიც იცოდა, ასევე იცოდა

<sup>1</sup> ამ შესანიშნავი ჰაბუკის ტრადიციული თავგადასავალი აწერილი გვაქვს ჩვენს ნაშრომში „მასალები ქართ. მუს. კულტ. ისტორიისათვის“. შ. კ.



ვანო სარაჯიშვილი  
(იტალიაში ყოფნის პერიოდი)

ვანომ იტალიური. უკირდათ, ენას იმტვრევდნენ, მაგრამ საქმე მალე გამოსწორდა: სახლის პატრონს ლამაზი ქალიშვილი ჰყავდა, მან იკისრა ესწავლებინა ვანოსათვის იტალიური. ნიკო ყანჩელის დახმარება აღარ ესაჭიროებოდა.

მილანში ჩასვლისთანავე ვანო ელინე თარხნიშვილს დაუახლოვდა და მისი სალონის მუდმივი წევრი გახდა.

ელ. თარხნიშვილთან იკრიბებოდნენ შესანიშნავი მომღერლები და მუსიკოსები. იმართებოდა მუსიკალური პაექრობა და სალონური კონცერტები. ხშირად მღეროდა აქ ვანო „ურ-მულს“ და სხვა ქართულ სიმღერებს. აქვე დაუახლოვდა მსოფლიოში განთქმულ მომღერლებს: შალიაპინს, ტიტა რუფოს, ჯირალდონისა და სხვებს. ისინი ერთხმად აღიარებდნენ ვანოს შე-

სანიშნავ ხმასა და მუსიკალობას, აღტაცებულნი იყვნენ მისი სცენიური ნიჭითა და გარეგნობით. ურჩევდნენ სისტემატურად ემაყადინა.

ვანო ქალ. მილანში მეცადინეობდა კონსერვატორიის განთქმულ მათემატიკოს კასტელანოსთან. ეს მეცადინეობა თითქმის ყოველდღე სწარმოებდა დაახლოებით 2 წლის განმავლობაში. მაგრამ ვანო უფრო მეტ დროს ვოკალურ თვითგანვითარებას ანდომებდა: ესწრებოდა სპექტაკლებს განთქმულ მომღერალთა მონაწილეობით, დადიოდა ხალხურ დღესასწაულებში და ქართული ემზი შეჰქონდა შიგ თავისი სიმღერითა და ტემპერამენტით. სწავლობდა იტალიურ ხალხურ სიმღერებს, ამზადებდა პარტიებს შესანიშნავი დირიჟორების ხელმძღვანელობით („მინიონი“, „კარმენი“, „მანონი“, „მარგალიტის მადიებელი“, „დონ-პასკვალე“ და სხვა ოპერები).

მთელს იტალიაში იყო მოფენილი მსახიობთა სააგენტო კანტორები. ამ კანტორების აგენტთა საშუალებით ხდებოდა ახლად ჩამოსულ მომღერალთა გაცნობა და მოწყობა. ცხადია, ვერც ვანო სარაჯიშვილი ასცდებოდა პირველად ამ გზას. მაგრამ საქმე ისაა, რომ ბევრი აგენტი ხელოვნებით ჩარჩობას ეწეოდა, და თუ უცხო მომღერალს სქელი ჯიბე არა ჰქონდა, გზას უხლართავდა.

მაგრამ ვანო სარაჯიშვილმა ყოველგვარი სააგენტოების დაუხმარებლად გაიკვლია გზა იტალიურ სცენაზე. არსებითად, ეს გზის გაკვლევა კი არაა, მისი ბრწყინვალე გამარჯვება იყო მსოფლიო ვოკალური კულტურის ასპარეზზე.

დამსწრეთა გადმოცემით, როდესაც ვანომ ერთ-ერთ კონცერტში პირველად ხმა ამოიღო, დარბაზში რაღაც არაჩვეულებრივი ამბავი დატრიალდა; ბევრს თავშეუკავებელი აღტაცება აღმოხდა და მქუხარე ოვაცია გაიმართაო.

მაშინ იტალიაში მყოფი მომღერალი ა. გ. შანშიევი დასწრებია დიდ კონცერტს მილანში, სადაც მონაწილეობდა ვანო სარაჯიშვილი. ამავე კონცერტში მონაწილეობდნენ აგრეთვე სახელგანთქმული ტენორი პაოლი და სხვა შესანიშნავი მომღერლები. ვანოს შეუსრულებია არცა ოპერა „მანონიდან“ და

შემდეგ, საზოგადოების გამოწვევით, მთელი რიგი არიები და ნეაპოლური სიმღერები. ვანოს დიდაწარმატება ჰქონია.

იმ ხანად პეტერბურგიდან მილანში ჩავიდა მდიდარი გრაფინია ადლერბერგი, რომელთანაც თითქმის ყოველ საღამოს თავს იყრიდნენ გამოჩენილი მომღერლები და მსახიობები. მთელი კონცერტები იმართებოდა. ვანო იქ ხშირად დადიოდა და ალტაცებას იწვევდა ბრწყინვალე საზოგადოებაში თავისი შესანიშნავი მუსიკალობით, სიმღერის ოსტატობითა და შესრულების ტემპერამენტით. მოსკოვიდან ადლერბერგს ეწვია თავისი ამალით ვილაც მდიდარი ქალი რიბაკოვა. ერთი სიტყვით, ყველა, ვინც კი რუსეთიდან ჩავიდოდა, მის სალონში იყრიდა თავს. ვანოს მოსასმენად საგანგებოდ იმართებოდა საღამოები.

ერთხანს ვანო ცხოვრობდა ლაგო დი კომოს ტბასთან, მილანის ახლოს, ბარიტონ ტიტა რუფოსთან, რომელთანაც მან მთელი ზაფხული გაატარა. აქვე ცხოვრობდა მაშინ შალიაპინიც. ტიტა რუფო, ჯირალდონი და შალიაპინი ვანო სარაჯიშვილის დიდი მეგობრები იყვნენ. ა. შანშიევის გადმოცემით, ისინი ერთმანეთს „შენ“-ობით მიმართავდნენ.

მილანში, კაფე „ბიფი“-ში ხშირი საუბრების დროს, შალიაპინს, ტიტა რუფოს, მაზინისა და ჯირალდონის<sup>1</sup> არა ერთხელ

---

<sup>1</sup> განთქმული იტალიელი ბარიტონი ევგენი ჯირალდონი იყო პეტერბურგის კონსერვატორიის პროფესორის ფერნი-ჯირალდონის შვილი. სხვათა შორის, ეს ევგენი ჯირალდონი ქართველების სიძე იყო—ცოლად ჰყავდა თამარ ერისთავი, ქუთათელი მემამულის ასული. აი, როგორ მოხდა ეს ქორწინება:

ერთხელ, ქუთაისის კონცერტის გასამართად ეწვივნენ პეტერბურგის საიმპერატორო თეატრის სოლისტი, განთქმული ტენორი ფიგნერი და ბარიტონი ევგ. ჯირალდონი. იმ ხანად ქუთაისში ცხოვრობდა საყოველთაოდ ცნობილი პრინცი ოლდენბურგელი. იშვიათ სტუმრებზე პრინცმა ვახშამი გაუმართა და რჩეული საზოგადოება დაუპატიჟა. აქვე იყო სილამაზით განთქმული თამარ ერისთავიც. ევგ. ჯირალდონის ელდა ეცა. შთაბეჭდილება ისე ძლიერი აღმოჩნდა, რომ თავბრუდახვეულმა მომღერალმა იმავე საღამოს გამოუცხადა თამარს სიყვარული და სთხოვა ცოლად გაჰყოლოდა (თვითონაც მეტად სიმპატიური, ლამაზი კაცი იყო). უარი ვერ ჰკადრეს, მაგრამ მშობლებმა მაინც წინდახედულება გამოიჩინეს და ქორწინება ერთი წლის შემდეგ დანიშნეს (თუ ამ ხნის განმავლობაში არ დაივიწყებდა თა-

გამოუთქვამთ თავიანთი ალტაცება ვანოს შესანიშნავი ხმის, სიმღერის ოსტატობისა და მუსიკალობის გამო. ისინი დაჟინებით ურჩევდნენ ვანოს ეზრუნა ევროპული კარიერისათვის, გამგზავრებულყო აერიკაში, სადაც დიდად სახელმწიფეკილი მომღერალი გახდებოდა. შალიაპინი ზოგჯერ პირდაპირ აგინებდა და ეჩხუბებოდა ხოლმე ვანოს—რას ჩასციებინხარ ამ თბილისს ასეთი ხმით და ნიჭითაო.

საყოველთაოდ ცნობილია განთქმული მომღერლის შალიაპინის გულზეიადობა და მედიდურება. იგი იშვიათ მომღერალს თუ აღირსებდა თბილ სიტყვას, იშვიათად თუ ვისმე გაუწევდა ანგარიშს, გამოეკომამებოდა და თავს გაუყადრებდა. შალიაპინი უაღრესი მუსიკალობით, უბადლო ხმითა და დიდი ერუდიციით აღქურვილი მომღერალი იყო. მან ერთხელ დირიგორიც კი გააძევა თეატრიდან ორკესტრის ყალბი აქლერეზისათვის.

აი, ამ გულზეიადი შალიაპინის გულიც კი მოინადირა ვანო სარაჯიშვილმა. შალიაპინის თაოსნობით, ლა-სკალას განთქმულ თეატრში ვანოს დებიუტი მისცეს. მაგრამ დებიუტის წარმატება, შესანიშნავი ვოკალური მასალისა და სიმღერის ოსტატობის გარდა, დიდად იყო დამოკიდებული იმ საერთო ვითარებასა და გარემოცვაზე, რასაც უქმნიდნენ ამათუიმ მომღერალს პროფესიონალი-კლაკერები, გარკვეულ ჯილდოს ფასად. ვანოსაც მიმართეს წინადადებით და აღუთქვეს დახმარება გა-

---

მარს მთელს ევროპაში ფეხადგმულ მომღერალი). დაივიწყა კი არა, უფრო მოედო ტრფომის ცეცხლი; ერთი წლის შემდეგ ჩაოვიდა ჯირალდონი ქუთაისს, იქორწინეს. თამარი თავის სამშობლოში, ქ. მილანში წაიყვანა.

ევვ. ჯირალდონის დედას ფერნი-ჯირალდონის სიმღერის ღმერთს უწოდებდნენ. მისი მოწაფე იყო ცნობილი ტენორი მიშელ დარიალი (მიხეილ ნანობაშვილი, შემდეგში პარიზის „გრანდ-ოპერის“ სოლისტი). 1903 წელს ჯირალდონისთან დაიწყო მეცადინეობა პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტმა, ბარიტონმა დავით გიორგის-ძე აკოფაშვილმა (ქუთაისელი, ქართველი კათოლიკე. მათი წინაპრები ახალციხიდან გადმოსულან, „დიდ აკოფაშვილებად“ იწოდებოდნენ). 1905 წელს დ. აკოფაშვილი იტალიაში გამგზავრა სიმღერაში დახელოვნებისათვის. ფერნი-ჯირალდონიმ თავის შვილთან, ევგენისთან, გაატანა ბარათი. აქ გაიცნო დ. აკოფაშვილმა ევგენის მეუღლე თამარ ერისთავი, რომელსაც სიხარულის ცრემლებით მი-

მარჯვებაში... რა თქმა უნდა, სთხოვეს სათანადო გასამრჯელოც. ვანომ კატეგორიული უარი უთხრა დაუპატიებელ სტუმართ და კარებისაკენ მიუთითა. კლაკერები დაემუქრნენ— როგორც კი სცენაზე გამოჩნდები, თეატრში ისეთ სტვენას და დავიდარაბას აგიტეხთ, რომ მეორე დღესვე აიბარგო იტალიიდანო. მართლაც, როგორც კი გამოვიდა ვანო სცენაზე, უზარმაზარი თეატრის სხვადასხვა კუნძულებში საექვო ხმაური ასტყდა. კლაკერები თავიანთ მუქარას ანხორციელებდნენ... მაგრამ მომაჯადოებელმა სიმღერამ კლაკერებს ხმა ჩაუწყვიტა და აიძულა ისინი სულგანაბით ესმინათ ვანოსათვის. წარმატებამ საზღვარს გადააქარბა. მაყურებლებთან ერთად კლაკერებმა მქუხარე ტაშით დააჯილდოვეს ვანო, რომელმაც ფულის ნაცვლად შესანიშნავი სიმღერით „მოისყიდა“ ისინი.

ვანომ ბრწყინვალედ ჩააბარა აქ უმკაცრესი გამოცდა. იტალიიდან შალაპინი პარიზს მიემგზავრებოდა საგასტროლოდ. მან წინადადება მისცა ვანოს გაჰყოლოდა იქ ოპერა „ბორის გოდუნოვი“ მონაწილეობის მისაღებად, მაგრამ ლა-სკალაში გამოსვლის შემდეგ ვანო პარმაში მიიწვიეს პირველ ტენორად. პარმის შემდეგ ტრიესტში მღეროდა, შემდეგ ნიცაში. და აი, რა მოხდა ერთხელ აქ:

ნიცის საოპერო თეატრში მიდის ოპერა „კარმენ“. დონ-ხოზეს პარტიას აქ პირველად მღერის საზოგადოებისათვის უც-

---

ული თავისი თანამემამულე. იმ საღამოს ვეგ. ჯირალდონის სტუმრად ჰყოლია „ტენორების მეფე“ ენრიკო კარუზო, რომელსაც იქვე უმღერნია კავარადოსის მეორე არია „ვარსკვლავნი კართოდნენ...“ (ოპ. „ტოსკადან“). დ. აკოფაშვილი იგონებს, ახლაც თავზარდაცეპული ვარ ამ სიმღერითო. ვეგ. ჯირალდონის კი, ქართველი სტუმრის პატივსაცემად რუსულად უმღერნია ონეგინის არია „Увы, сомненья нет...“. დ. აკოფაშვილმა იტალიაში გაიცნო და მოუსმინა მსოფლიოში განთქმულ მომღერლებს.

დ. აკოფაშვილის შემდეგ იტალიას ეწვია ვანო სარაჯიშვილი—ვეგ. ჯირალდონის უახლოესი მეგობარი. თამარ ერისთავმა შესაფერი პატივით მიიღო საამაყო თანამემამულე და ვანომაც არაერთი ქართული სიმღერა შემოსძახა მის ოჯახში.

ვეგ. ჯირალდონისთან მეცადინეობდა შემდეგ სანდრო ინაშვილი. შ. კ.





მანო სარაჯიშვილი

ნობი დებიუტანტი, რომელზედაც ასე ბევრს ლაპარაკობდნენ. თეატრს აუარება ხალხი მიაწყდა. წარმოდგენა დაიწყო. სცენაზე შემოიჭრა ხუჭუქთმიანი, სხარტი ვაჟაკი—ლონ-ხოზე, და წამსვე მთელი დარბაზი გაინაბა. წარმტაცი ხმა, მდიდარი მუსიკალობა, ეშხიანი გარეგნობა და ტემპერამენტი აჯაღოვებს აუდიტორიას. ეს ტემპერამენტი ბუნებრივია, ანკარა წყაროსავეით სჩქეტს სიმღერაში, მიხვრა-მოხვრაში, მსახიობის მთელს არსებაში. ამიტომ ყველას სჯერა მისი გულწრფელობა.

აი, გაფითრებული ღონ-ხოზე სიყვარულს უხსნის თავის სატრფოს. მისი მხურვალე ღალადისი ია-ვარდივით ეფინება კარმენის გრძნობას.

სიყვარულის ნობათი დამთავრდა.

— კარმენ, ჩემო კარმენ!

ნუ გამწირავ...

ღონ-ხოზე სატრფოს ფეხებში ჩაუვარდა.

— ვაშა!—ერთსულოვნად იგრიალა მთელმა დარბაზმა. ხალხი ბობოქრობს. პარტერში ვიღაც წამოიჭრა და სადღაც გარბის, კულისებში შევარდა, ღონ-ხოზეს მოეხვია და თავდავიწყებით ჰკოცნის.

— მაპატიეთ, მე... დავარღვიე თეატრალური ეთიკა, ვერ მოვითმინე.. ვინ ბრძანდებით, რა ტომისა ხართ?!


— ქართველი, ვანო სარაჯიშვილი გახლავართ.

— მე რუსი მწერალი კუპრინი ვარ... ვანო სარაჯიშვილი, ქართველი ბულბული! უცხო ბულბული! მაპატიეთ...

ასეთი ტრიუმფით გამოდიოდა ვანო იტალიის განთქმულ თეატრებში და მოწინავე საზოგადოების ქება-დიდებას იმსახურებდა.

ცნობილმა ბარიტონმა ს. ი. მიკაიმ გვიამბო, რომ ვანოსათვის მას მოუსმენია ქალ. ბრიუსელში, რპერა „სიყვარულის სასმელში“. ვანო იტალიურად მღეროდა თავის პარტიას, დანარჩენები—ფრანგულადო. ვანოს ეს გამოსვლა (ბრიუსელში) ცნობილი არ იყო. ვინ იცის, რამდენ სხვა ქალაქში გამოსულა კიდევ და ჩვენთვის ისიც უცნობია!

თავისი უბადლო მუსიკალობით ვანო იმდენად დაეუფლა იტალიურ ბელ-კანტოს, იმდენად შეისისხლხორცა ეს ბრწყინვალე სიმღერის ყაიდა, რომ აქ მას გვარიც თავისებურად გადაუკეთეს—„სარაჯინი“ დაარქვეს. ვანოს წინ უდიდესი პერსპექტივები იყო გადაშლილი: მას შეეძლო მოფენილზე მოერთხო ფეხი, ემგზავრა საგასტროლოდ დიდ ქალაქებში—ევროპიდან ამერიკას გადასწვდომოდა, „ურმულიც“ გვერდზე გადაედო და „ოროველაც“. მაგრამ ვანოს სამშობლოს წყურვილი ჰკლავდა. მშობლიური მთვარიანი ღამეები და ქართველი გლე-



UNIVERSITY OF MICHIGAN LIBRARY

ხის ლიღინი ენატრებოდა. სული სამშობლოსაკენ მოიწევდა. ჩვენი ვაზი, ატმის ყვაილი და ბიბინა მდგელო ეძახოდა:

— მთაო, გადმიშვი, გადმიშვი,  
რა ნისლი მოგიხვევია...

ლა-სკალასაც ერჩია და შალიაპინის ოქროს კერპებსაც. შალიაპინთან მაინც შესიტყვება მოუხდა ვანოს: თბილისში ფეხადგმულ შალიაპინს რაღაც უდიერი სიტყვა წამოსცდენია აქაურობაზე. რა თქმა უნდა, ვანოს შესაფერი პასუხი გაუცია ზვიადი ქურუმისათვის. ვანოს ძმის—ა. სარაჯიშვილის ცნობით, ვანო ხშირად იგონებდა შემდეგ შალიაპინსა და მის სიდიადეს, მაგრამ ამ ეპიზოდს რომ გაიხსენებდა, დასძენდა თურმე:

— რა ექნა, რომ შალიაპინია, შე ქართველი კაცი ვარ, სარაჯიშვილი, ქედს ვერვის მოვუხრიო.

შალიაპინს მაინც უმწიკვლო გრძნობით უყვარდა ვანო მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე, ხშირად ახსენებდა ამ „მწვენიერ ქართველს“. იტალიაში შალიაპინმა ვანოს თავისი სურათი უთავაზა გულთბილი წარწერით.

1908 წელს პეტერბურგელმა ანტრეპრენიორმა გვიდიმ თავის წარმომადგენელს დუმას დაავალა საგანგებო დასის შერჩევა რუსეთის სატახტო ქალაქისათვის. დუმამ მიიწვია ცნობილი იტალიელი მომღერლები: ოლიმპია ბარონატი, ე. ჯირალდონი, ანსელმი და სხვანი. მათ შორის მიწვეულ იქნა ვანო სარაჯიშვილიც. პეტერბურგში წასვლამდე ვანო სამშობლოში ჩამოვიდა.

იტალიიდან დაბრუნება. თბილისში. პეტერბურგში.  
საოცარი ნაძლევმი. ნაკრძნი მარბალიტი

იტალიიდან ამაღლელებელი ცნობები მოდიოდა ვანო სარაჯიშვილის უჩვეულო წარმატებათა შესახებ. ხალხის სახარულს საზღვარი არა ჰქონდა. მოუთმენლად მოელოდნენ მის დაბრუნებას. მაგრამ... ამ საყოველთაო სიხარულს ერთი ბზარი შემოეპარა: ვაი თუ ვანომ უცხო მხარეში ფუფუნება არჩიოს და

სამშობლოს ზურგი შეაქციოსო. ამ შეშფოთებამ ახარეკლი ჰპოვა პრესაშიც. რაც უფრო მეტი ქება მოდიოდა ვანოსი იტალიიდან, უფრო მეტი საფუძველი ეძლეოდა ამგვარ ექვს.

მაგრამ არა ნაკლებ გულდაწყვეტილი იყო ვანო თავის საყვარელ სამშობლოზე და აზრადაც არ მოსვლია მისი გაცვლა „სხვა ქვეყნის სამოთხეზედა“. იგი მოუთმენლად მოიჩქაროდა მშობლიურ მთა-ბარისაკენ, სადაც მკერდგარუჯული, დაუგეშავი ტენორები ვაჟკაცური ნამუსით მღეროდნენ თავიანთ დიდებულ ხალხურ სიმღერებს.

პეტერბურგში წასვლამდე ვანო თბილისის ოპერის თეატრში მიიწვიეს.

1908 წლის ნოემბრის 11-ს დაიწყო მისი გასტროლები.

მიუხედავად იმისა, რომ ბილეთების ფასი ძალზე გადიდებული იყო, სალაროსთან კვლავ დავიდარაბა ასტყდა და განცხადება გამოიკრა:

„დღეს ყველა ბილეთი გაყიდულია“.

\* \* \*

ვანო იტალიურ ენაზე ასრულებდა თავის პარტიებს. პირველი გამოსვლისათვის მან „რიგოლეტო“ აირჩია.

გაზეთი „ზაკავკაზსკოე ობოზრენიე“ 13 ნოემბრის №-ში სწერდა:

„...11 ნოემბერს „რიგოლეტოში“ გამოსული ტენორი სარაჯიშვილი ეკუთვნის იმ რჩეულთა რიცხვს, რომელთა გამოჩენა არტისტულ სარბიელზე ასე იშვიათია ამ ბოლო დროს ჩვენში, რუსეთში. ჯერ კიდევ თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში იქცევედა იგი მუსიკის მასწავლებელთა განსაკუთრებულ ყურადღებას. თავისი შესანიშნავი ხმითა და მახვილი მუსიკალური სმენით იგი აოცებდა ყველას, ვისაც კი მოუსმენია... სამართლიანად უნდა აღინიშნოს, რომ რალაც სამიოდე წლის განმავლობაში მან შესძლო იმის გაკეთება, რაც შეუძლებელია ჩვეულებრივი უნარის მქონე მომღერლისათვის.“

მილანში ორი წლის მანძილზე განთქმულ პროფესორ კასტელანოსთან მკუადინეობის შემდეგ, იგი გამოვიდა „ლა-სკალას“ თეატრში შალიაპინის რეკომენდაციით და მიიღო ანგაჟემენტი პარმაში, სადაც გამოდიოდა ოპერებში: „დონ-პასკვალესა“ და „მანონში“.

ხმას განსაკუთრებული ცვლილება არ განუცდია: იგივე იშვიათი სილამაზის მომაჯადოებელი ტემბრი, ყოველგვარი მეტნაკლებობისაგან თავისუფ-

ფალი და ყველა რეგისტრში სწორი ბგერა, უზუსტეს [წვრილმანებამდე გამომუშავებული „მესა ვოჩე“, ფილირების გასაოცარი ოსტატობა, საუცხოო დიქცია... მომღერალმა ჭეშმარიტი ინტერესი გამოიწვია და გამარჯვებული დარჩა სპექტაკლის ბოლომდე...“

სხვა რეცენზიაში ვკითხულობთ:

„... ბ-ნი სარაჯიშვილი არის იტალიური სკოლის მომღერალი. მას შესანიშნავი ტემბრის ხმა და მშვენივრად განვითარებული სუნთქვა აქვს. მსახიობმა განსაკუთრებული ოსტატობით შეასრულა მეოთხე აქტის არია და იტალიური სკოლის საუკეთესო მომღერლები მოგვაგონა...“

14 ნოემბერს ვანო „ტრავეიატაში“ გამოვიდა. შემდეგ მან პირველად თბილისში შეასრულა ნადირის (ოპ. „მარგალიტის მაძიებელნი“) და ვილჰელმ მაისტერის (ოპ. „მინიონ“) პარტიები, რომელთა განსახიერებაში ვანომ განთქმულ იტალიელ ოსტატთა გამოცდილება გამოიყენა და გასაოცარ სიდიადეს მიაღწია.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ნადირის პარტია:

„...დიდი წარმატება ხვდა წილად ვანო სარაჯიშვილს,—სწერს რეცენზენტი,—ნადირის პარტიაში მან იპოვა ის ძარღვი, რომელზედაც ჩვენ ვლაპარაკობდით „ტრავეიატაში“ მისი მონაწილეობის შესახებ; აქ ყველაფერი უწყობდა ხელს მსახიობს: მელოდიურობა, მდოვრე წყობა, ელვგიური ელფერი და ორკესტრის წყნარი თანამავლობა. აქ, როგორცა სჩანს, მსახიობი ისე გრძნობდა თავს, როგორც ორაგული მორევში და სამართლიანად უნდა აღინიშნოს, რომ ვერავითარ ნაკლს ვერ დასწამებს ადამიანი. გადაჭრით ვამბობთ—ნადირის პარტია ბ-ნ სარაჯიშვილის შემოქმედების გვირგვინია...“

მაგრამ არა ნაკლები ბრწყინვალეობით ჩატარდა ვილჰელმ მაისტერის პარტიაც.

„...სპექტაკლის სული და გული იყო ჩვენი გასტროლიორი ბ-ნი სარაჯიშვილი. როგორც მომღერალი და მუსიკალური ფრანგების დედაარსში ჩამწვდომი, იგი შეიძლება დავაყენოთ ბევრ იმ მომღერალზე მაღლა, რომლებმაც დიდი სახელი მოიხვეჭეს. ფაქიზი მუსიკალური ალლო, მხატვრული ზომიერების გრძნობა, უშუალობა და ტემპერამენტის კეთილშობილება ცხადყოფენ, რომ ბ-ნი სარაჯიშვილი დიდი ხელოვანია.

მეორე და მესამე აქტებში შესრულებული არიები შეიძლება „ლირიკულ-დრამატიული ნიმუშის“ შედევრად ჩაითვალოს...“ („ხაკაკ. თბოზრ.“, 1908 წ. 29 ნომბ.).



მომღერალი ფ. შალვაძე

(წარწერა: „სახსოვრად საყვარელ ადამიანს ვანო სარაჯიშვილს, წარმატების გულწრფელი სურვილებით

ფეოდორ შალვაძე.

1907 წ. 10 ივნისი, მილანი“).

„რიგოლეტო“, „ტრაეიატა“, „მარგალიტის მაძიებელი“, „მინიონი“, როგორც აღვნიშნეთ, ვანომ იტალიურ ენაზე შეასრულა, რამაც ერთგვარი საყვედური გამოიწვია — სხვები რუსულად მღერიან და სპექტაკლის მთლიანობა ირღვევაო. რეცენზიებიდან თვალნათლივ სჩანს, რამდენად გაზრდილა ვანო სარაჯიშვილის ოსტატობა იტალიაში, გამდიდრებულა მისი რეპერტუარი და მხატვრული ალლო. ამჯერად ის წარუდგა

საზოგადოებას არა მარტო როგორც შესანიშნავი მომღერალი, არამედ როგორც მუსიკალური ფრაზის თავისებურად შემგრძნობი და გადმომცემიც. ეს მომხიბვლელი თავისებურება განასხვავებდა ვანოს ყველა დანაჩენ მომღერალთაგან მთელი სიცოცხლის მანძილზე. ამიტომ სწერდნენ ხოლმე ვანოზე—*„შეუძლებელია იმის გადმოცემა, რაც მისი სიმღერით განვიცადეთო.“*

ქართული ფილარმონიული საზოგადოების გამგეობამ დაადგინა: ეთხოვოს ახალგაზრდა ქართველ მომღერალ ვანო სარაჯიშვილს, რომ ჩვენი საზოგადოების სასარგებლოდ გაგვიმართოს ოპერა ან კონცერტიო. მოლაპარაკება ზაქარია ფალიაშვილს დაევალა. მაგრამ საზოგადო საქმიანობაში თავდადებულ ვანოს არავითარი მოლაპარაკება არ დასჭირვებია. მან სიამოვნებით შეასრულა ეს თხოვნა. კონცერტი გაიმართა 6 დეკემბერს. მთელი შემოსავალი ფილარმონიულ საზოგადოებას გადაეცა.

იტალიიდან დაბრუნებისას ვანომ გაჰართა აგრეთვე თავისი კონცერტი არტისტული საზოგადოების საკონცერტო დარბაზში. აქ იტალიურ ენაზე ვანომ ჩვეული ბრწყინვალეობით შეასრულა ნადირის არია „მარგალიტის მამიებლებიდან“ და კავარადოსის არია „ტოსკადან“, აგრეთვე მთელი რიგ სხვა ნაწარმოებნი, რითაც ერთსულოვანი აღფრთოვანება და ტაშის გრიალი გამოიწვია. ხანგრძლივი ოვაციის შემდეგ შესრულებულ იქნა „ურმული“ და სხვა სიმღერები. საზოგადოება მაინც არ სცხრებოდა. დარბაზში იჯდა ვანოს და, სოფიო, რომელსაც იშვიათი სილამაზის ხმა (კონტრალტო) ჰქონდა.

ვანომ დასტაცა თავის დას ხელი, აიყვანა იგი სცენაზე და მასთან ერთად შეასრულა დუეტი—*„მხოლოდ შენ ერთს“.*

საზოგადოების სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა.

მეორე კონცერტი ვანომ გამართა ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლში (ახლა მარჯანიშვილის სახელ. თეატრი). დარბაზი ისე იყო გაქედილი, როგორც იტყვიან, შიგნისი არ ჩავარდებოდა.

ამ კონცერტმაც საყოველთაო სახალხო დღესასწაულის სახე მიიღო.



ოპერის თეატრს ვანომ ერთგვარი „ზიანიც“ მიაყენა. უბილეთოდ დარჩენილმა ხალხმა ერთხელ თეატრის ვესტიბიულში ხის მოაჯირი გადასთელა და ტალღასავით შეგრიალდა დარბაზში. სპექტაკლების შემდეგ ხელში აყვანილი ვანო ხალხს ხელით მიჰყავდა შინისაკენ. ვანოს თაყვანისმცემელ მანდილოსანთა წრეში „სარაჯისტკები“ გამრავლდნენ. სალაროსა და თეატრის წინ შეგროვილ ხალხში მათ ზედმეტი ფუსფუსი და ნერვიულობა შეჰქონდათ. ამ „სარაჯისტკებს“ ეურნალმა „საქართველომ“ თავის ფურცლებზე კარიკატურაც კი მიუძღვნა: (იხ. № 9, 1908 წ. 16 ნომბ.).

მიუხედავად მაღალი ფასებისა, ხალხი არაფერს არ იშურებდა, ოღონდ თეატრში შეეღწია. გარეთ დარჩენილნი კი მოაჯირის მტვრევასაც არ ერიდებოდნენ. ასე ჩატარდა, საზოგადოდ, ვანოს გასტროლები 1908 წლის შემოდგომაზე, პეტერბურგში გამგზავრებამდე.

\* \* \*

მილანში დადებული ხელშეკრულების მიხედვით ვანო პეტერბურგს გამგზავრა იტალიურ დასში მონაწილეობის მისაღებად.

რას წარმოადგენდა ეს დასი?

გვიდის დირექციას, ტრადიციის მიხედვით, უკვე 75 წლის განმავლობაში ეჭირა იტალიური ოპერა რუსეთის სატახტო ქალაქში. 1908 წლის საშობაო დღესასწაულიდან კონსერვატორიის დიდ დარბაზში ეს დირექცია თავის ახალ სეზონს იწყებდა. პოპულარული ოპერების გარდა განზრახული იყო „ვილჰელმ ტელის“, „რობერტ დიავოლოს“, „ფენელას“, „ჯიოკონდას“ და მთელ რიგ ოპერათა განახლება, აგრეთვე მ. მ. ივანოვის ოპერა „ვათჰკუისაგან“ (გრიბოედოვის მიხედვით) დადგმა. დასში შედიოდნენ: ქალები—ასტაფიევა, ორიოლ, სვიშჩევსკაია; ვაჟები—ლა-სკალას ბარიტონი ევგ. ჯირალდონი, მოსკოვის საიმპერატორო თეატრის სოლისტი სევასტიანოვი, სიბირია-



მომღერალი ევგენი ჯირალდონი

(წარწერა: „მეგობარ ვანო სარაჯიშვილს უგულითადესი პატივისცემით.  
ევგენი ჯირალდონი. პეტერბურგი, 1909 წ.“).

კოვი და ძრავალი სხვახი. დირიჟორად ძიწვეულ იქხა ხიქიერი მუსიკოსი ტრუფი<sup>1</sup>.

კვირაობით დასი მართავდა იაფფასიან დილის სპექტაკლებს მოსწავლე ახალგაზრდობისათვის. გამოშვებულ იქნა ამ სპექტაკლების საგანგებო აბონემენტები (იხ. პეტერბ. გაზეთი „ნოვოე ვრემია“ 1908 წ. 2 დეკემბ.).

პეტერბურგის იტალიური დასი ვანოსათვის აკი ჯერ კიდევ 1905—1906 წლებში იყო ცნობილი. დასში მონაწილეობდა ბევრი მისი პირადი მეგობარი. მათ შორის ერია სახელგანთქმული ბარიტონი ევგ. ჯირალდონი, რომელსაც ძალიან უყვარდა ვანო. დასში ყველა პატივსა სცემდა და მოწიწებით ეპყრობოდა ამხანაგების გამტან და შესანიშნავი ხასიათის მქონე ქართველ „სარაჯინის“. თითქოს ყველაფერი თავის რიგზე უნდა ყოფილიყო. ვანოს მშობლიურ წრეში უნდა ეგრძნო თავი. მაგრამ ეს ასე როდი იყო: შემოქმედებითი მღელვარება; საკუთარი ხმით, თამაშით, ვოკალური ოსტატობით უქმაცყოფილება, კრიტიკული დამოკიდებულება თავისადმი და შუდამ ახლის ძიება ვანოს თანდაყოლილი თვისება იყო. ეს შემოქმედებითი მღელვარება თან სდევდა ვანოს მთელი სიცოცხლის განმავლობაში. ამ გრძნობის გავლენით, ხშირად, კონცერტის წინ ვანოს მთელი ჩაგონება სქირდებოდა.

იტალიურ ოპერაში თავისი გამოსვლის დაწყებამდე ვანო აღრე ჩავიდა პეტერბურგში და გულმოდგინედ დაიწყო მზადება. იმეორებდა იტალიურ ენაზე მომზადებულ პარტიებს, ვარჯიშობდა ამ ენის დამახასიათებელ დიქციის შესათვისებლად, ესწრე-

---

<sup>1</sup> ეროვნებით იტალიელი. 1883 წელს თბილისის ოპერაში დირიჟორობდა. „ქართული გალობის აღმადგინებელი კომიტეტის“ დავალებით გადაიღო ნოტებზე ქართული საგალობლები (კარბელაანთ კილო): „წმიდათ ღმერთო“, „ჯვარსა შენსა თაყვანსა ვსცემთ“, „შენ გჯგალობთ“, „სულა ჩემო“, „მოვედით თაყვანი ვსცემთ“, „რომელი ქერაბითა“, „განმანათლებელი ჩვენი“. ოპერის თეატრის გუნდის 6 იტალიელი მომღერლით შეასრულა ისინი სიონში. საჯარო განხილვისას ტრუფის ნამუშევარმა მაღალი შეფასება მიიღო. ეს ჩანაწერები არ დაბეჭდილა. სად არის, ჩვენთვის უცნობია. შ. კ.

ბოდა საიმპერატორო თეატრში გამართულ წარმოდგენებს, რათა სიმღერის იტალიური ოსტატობა შესანიშნავი რუსული დრამატიული ხელოვნებით შეეცხო.

ქართველთა სათვისტომო, პეტერბურგის უნივერსიტეტისა და სხვა უმაღლეს სასწავლებელთა ქართველი სტუდენტობა დიდი მღელვარებით მოელოდნენ თავიანთი თანამემამულის—ვანო სარაჯიშვილის გამოსვლას იტალიური დასის შემადგენლობაში, სადაც შედიოდნენ მეტად პოპულარული და მთელი მუსიკალური მსოფლიოსათვის ნაცნობი მომღერლები. ისინი ვანოზე არა ნაკლებ დელავდნენ. ეს მღელვარება მით უფრო ორკეცდებოდა, რომ ყველაზე მეტად მათი გმირი დელავდა, რომელიც თავის გამარჯვების იმედს მარტოდენ არაჩვეულებრივი სილამაზის ხმასა და სიმღერის ოსტატობას როდი ამყარებდა. ვანო ანგარიშს უწევდა იმ გარემოებას, რომ იმპერიის სატახტო ქალაქის განებივრებული საზოგადოების წინაშე უნდა გამოსულიყო. ამ საზოგადოების გემოვნება „რუსულ ლა-სკალას“—პეტერბურგის საიმპერატორო თეატრის ტრადიციებს ემყარებოდა, სადაც გამოდიოდნენ შალიაპინი, სობინოვი და სხვა შესანიშნავი ოსტატები.

—მოახლოვდა ვანოს გამოსვლის დღე. მთელი ღამეები არ სძინავს. ნერვიულობს. წამდაუწუმ ხმას ისინჯავს.

ხმა არა ჟღერს...

სასოწარკვეთილი ვანო ადგილს ვერ პოულობს. ერთიდან მეორე აზრს აწყდება. იმ ხანად მოსკოვის ფილარმონიული საზოგადოების სკოლაში სწავლობდა ვანოს ახლო მეგობარი ილიკო აბაშიძე (ჩელოს დამკვრელი, პედაგოგი). ვანო დეპეშით იბარებს ილიკოს—ოპერაში ჩემი პირველი გამოსვლაა, შენი დასწრება მინდა, აუცილებლად ჩამოდიო. მესამე დღეს ილიკო აბაშიძე ვანოსთან იყო.

—ვაიმე, დავიღუპე, ჩემი დებიუტი საძაგლად ჩაივლის, თავი მომეჭრება, შევრცხვები. აქედან უნდა გადავიკარგო... ხმა არა მაქვს, რაღა ახლა წამერთვა?!

არავითარი გამხნეება და დამშვიდება არ მოქმედებდა. სწუხდა ილიკო აბაშიძეც, რომ ვერ შევლიდა ძვირფას მეგობარს.

— თქვენთვის, ჩემო ილიკო, არ შეუძლია აღელვებას დიდ ბიანის მოტანა, ხელი ხომ არ მოგტყდებათ; ჩვენ კი... ნახე, რა მოგვედის! მი... მი... მიი!

და მართლაც, არ ეღერდა რიგიანად ვანოს ხმა. თითქოს ყელშივე ჩაუჭკნაო დიდებული ხავერდის ვარდი; თითქოს მზის სხივი გასცლია და კრიალა ყელი ზამთრის დღესავეით მოღრუბლვიაო.

უცებ ილიკო აბაშიძემ სიხარულით მიაგება:

— ვანო, მართლა, ახლა მომაგონდა... ერთხელ სობინოვან ერთად ვმონაწილეობდი კონცერტში. ძალიან ვღელავდი. სობინოვმა თავისი წამალი მომცა. დავლიე თუ არა, რკინასავეით გავხდი!

— მერე რამ გაგაჩუმა აქამდე! გასწი ჩქარა, მეორე მოქმედებაზე მაინც მომისწრებ. ჩქარა, ჩქარა! რადგან სობინოვისაა, დიდებული იქნება, უსათუოდ მიშველის!

ილიკო აბაშიძე წამლისთვის წავიდა. სპექტაკლი დაიწყო. ვანოს თავდაპერილად შეხვდა საზოგადოება. ამან უფრო გააცეცხლა და ზედმეტი მღელვარება მოჰგვარა. არა ნაკლებ ღელავდა ქართველი ახალგაზრდობა, რომელიც ბლომად დაესწრო სპექტაკლს. ანტრაქტში ილიკომ წამალი მოიტანა და ვანოს რიუმკა მიაწოდა.

— შევეხვეწე, ჩქარა გამიმზადეს. აბა გადაჰკარ!

ვანომაც მაშინვე გადაჰკრა.

— მი... მი... მიი...!

ი. აბაშიძემ დაუმატა, რომ წამალი მხოლოდ ხუთი წუთის შემდეგ იმოქმედებდა. ვანო ყოველ წუთში ხმას ისინჯავდა. უცებ სიხარულით დაიყვირა:

— ილიკო, წარმოიდგინე, ხმა მომდის!.. რა დახმარება გამიწიე, ასე მგონია ახლა დავიბადე... დავმშვიდდი კიდევაც. შითხარ, ჩემო ილიკო, რა წამალია?

— ამაზე გთხოვ ნურაფერს მკითხავ. სობინოვს შევპირდი, რომ საიდუმლოს არავის ვეტყვი. აბა, ერთი კიდევ გადაჰკარ და გადი სცენაზე.

მეორე მოქმედებიდან ვანოს მომაჯადოებელი ხმა სრულყო.

ფილი მშვენიერებით აქლერდა. ტაშის ქუხილით დაამთავრა სპექტაკლი.

ამ სპექტაკლის დამსწრე ვლად. ყანჩელმა გვიამბო:

— იტალიელ მსახიობთა კოლექტივი, რომელიც იმ დამეს სპექტაკლში მონაწილეობდა, ყველა ანტრაქტის დროს ოვაციას უმართავდა თავის არა იტალიელ კოლეგას. ვანო ავანსცენაზე უამოჰყავდათ და მიუთითებდნენ საზოგადოებას, რომ აპლოდისმენტებს ისინი ვანო სარაჯიშვილის სახით იღებენ.

ასეთი ბრწყინვალე გამარჯვებით ჩატარდა ვანოს სხვა სპექტაკლებიც.

ბევრი ეხვეწა ვანო ილიკო აბაშიძეს— მიეცა მისთვის ამ სამაგალითო წამლის რეცეპტი, მაგრამ ამოოდ. სობინოვს სიტყვა მივეციო, სულ ერთსა და იმავეს იმეორებდა აბაშიძე. სამაგიეროდ, პროვიზორი გააცნო, რომელსაც ყოველ თავის სპექტაკლზე ორ ბილეთს აძლევდა ვანო. მას კი ვანოსათვის წამალი მოჰქონდა. ილიკოს თხოვნით, რა თქმა უნდა, არც ამან გასცა საიდუმლოება.

რა იყო აქ ამოდენა თავსამტერევი? არაერთარი „სობინოვის რეცეპტი“ არ არსებობდა. ილიკო აბაშიძემ შეთხზა ყოველივე ეს: იყიდა აფთიაქში ერთი ბოთლი ნარზანი, ნახევარი რძე გაურია და ვანოს მოურბენინა. ასევე „ამზადებდა“ პროვიზორიც.

ი. აბაშიძემ რამდენიმე ხნის შემდეგ ნახა სობინოვი და ყველაფერი უამბო. ბევრი იცინეს. სთხოვა მასაც შეენახა „საიდუმლოება“, რადგან ვანოზე ეს კარგად მოქმედებდა. სობინოვს ძალიან უყვარდა ვანო, როგორც შესანიშნავი მომღერალი და ძვირფასი სამეგობრო აღამიანი.

გავიდა ხანი. სობინოვმა ვერ მოითმინა, ვანოს თავისი „წამლის“ რეცეპტი განუმარტა, და „მოუწამლა ტკბილი ოცნება“. გულითადი მეგობრების ხარხარს ბოლო არ ჰქონდა.

ილიკო აბაშიძის რეცეპტს „სობინოვ-სარაჯიშვილის ნარზან-წვეთები“ დაარქვეს.

იტალიელი მომღერლები თავიანთ სისხლ-ხორცად სთვლიდნენ ვანოს, რომელსაც ასე უბადლოდ ჰქონდა შეთვისებული მათი ენა, საამაყო ბელ-კანტო და საოპერო სიმღერის კლასი-

კური ტრადიციები. პეტერბურგის საზოგადოება დიდი პატივისცემით ეგებებოდა მის ყოველ გამოსვლას და დიდებულ იტალიელ მომღერლებთან ერთად ტაშითა და თაიგულებით აჯილდოებდა. სპექტაკლებში მონაწილეობის გარდა, ვანო ხშირად გამოდიოდა კონცერტებშიც.

1909 წლის 22 იანვარს პეტერბურგის კეთილშობილთა საკრებულოს დარბაზში (მოიკა, 59) გაიმართა დიდი ტრადიციული ქართული საღამო. მონაწილეობდნენ: ირმინა, ბელინგი, აბრამიანი, ჯირალდონი, ვანო სარაჯიშვილი, ილიკო აბაშიძე, რომანოვსკი, ნალბანდიანი და სხვები. მონაწილეობდა აგრეთვე არხანგელსკის სახელგანთქმული გუნდი, რომელმაც კოტე ფოცხვერაშვილის ლოტბარობით შესანიშნავად შეასრულა ქართული ხალხური სიმღერები. დაიდგა ცოცხალი სურათები. საღამოს დიდძალი საზოგადოება დაესწრო. ბილეთები მანეთიდან ექვს მანეთამდე ღირდა. მოსაწვევეში კი ას მანეთსაც სთავაზობდნენ. შემოსავალი გადაეცა ქართველთა სათვისტომოს ლარიბ სტუდენტთათვის დასახმარებლად.

ვანოს დიდი წარმატება ჰქონდა ამ საღამოს. რამდენიმე რომანსის შემდეგ საზოგადოების ერთსულოვანი მოთხოვნით შეასრულა ნადირის არია ოპერა „მარგალიტის მამიებლებიდან“. დარბაზში მქუხარე ტაში გაისმა. ვანოს დაჟინებით იწვევდნენ სცენაზე. კულისებში ქართველმა მეგობრებმა უთხრეს:

— რა უნდა იმღერო ამის შემდეგ? „მარგალიტის მამიებლები“ ხომ შენი ვარსკვლავია, მართლაც ხომ მარგალიტია!

— როგორ თუ რა, განა ცოტაა სამღერი?

— ჰო, რა უნდა იმღერო ისეთი, რომ ეს შთაბეჭდილება დარჩეს მსმენელს? ხომ ხედავ, როგორ ჰქუხს ხალხი!

— ჰმ, საქმე ხომ „მარგალიტის მამიებლები“ არაა. მარგალიტი შესრულებაშია. თუ ოსტატი ხარ...

— სწორედ „მარგალიტის მამიებლებშია“ შენი ეს ოსტატობა. უნდა გაიმეორო.

— გავალ, მაგრამ არ გავიმეოროებ და უფრო მეტ ტაშსაც ავსტებ. უბრალო ვარჯიშს შევასრულებ, ნამდვილ ვოკალიზს...

— შეუძლებელია, სირცხვილია, ნამდვილი მარცხია!

— დამენაძლევეთ. ვინც წააგოს, დღესვე გაშალოს კარგი სუფრა.

— ჯანი გავარდეს!

ვანო სცენაზე გაიქრა და ტაშის გრიალიც მისწყდა. დაიწყო მართლაც ვოკალიზი, რასაც სახელდახელოდ შეუწყო სიტყვები და ემზიანად შემოსძახა: ხან სქექა, ხან მიჰბნიდა ჰანგი, ხან ორივე ერთად მოახევა. დარბაზში თითქოს მთვარის ნათელი დააყენა, სიოს ჩურჩული აალივლივა.

ხალხმა მომეტებულად იგრიალა. უკან ჩამოდგა ბიზეს „მარგალიტის მაძიებლები“. ხელოვნების სხვა მარგალიტმა გაიმარჯვა. მასზე ქართული სხივი ჰკრთოდა.

ვანომ ვახშამი მოიგო და წაგებული ბიჭები წინ გაირეკა.

\* \* \*

ჩრდილო-კავკასიის კურორტებს, განსაკუთრებით — კისლოვოდსკს მუდამ დიდძალი ხალხი ეტანებოდა. აქ სამკურნალოდ ჩამოდრიდნენ უზარმაზარი იმპერიის სხვადასხვა კუთხიდან და მეზობელ სახელმწიფოებიდანაც. 1909 წლის ზაფხულში კისლოვოდსკში სპექტაკლებს მართავდა დუმას საოპერო დასი. დუმა აქ შესანიშნავ სპექტაკლებს სდგამდა და განთქმულ მომღერლებს იწვევდა. 12 გასტროლზე მიწვეულ იქნა ვანო სარაჯიშვილიც.

აი, ამ სეზონისა და დასის მოკლე დახასიათება.

პეტერბურგის გაზეთი „ნოვოე ვრემია“ 1909 წლის 2 მაისის ნომერში სწერდა:

„წლეგანდელი თეატრალური სეზონი კისლოვოდსკში მეტად საინტერესო უნდა იყოს; საოპერო საქმეს სათავეში უდგას ბ-ნი დუმა. დასში შედიან: საიმპერატორი თეატრების მსახიობი ჭ-ნი ზბრუევა, ჭ-ნი: ორიოლი, ვორონეცი, მილინა, არტი, პოლიუტა, სკორუჰსკაია, სობესკაია, ტიხომიროვა; საიმპერატორო თეატრების მსახიობი ბ-ნი ლოსვეი, ბ-ნი: სარაჯიშვილი, სელიაჟინი, ვიტინგი, საჯრანსკი, ბობროვი, პიროვოვი, ტიხონოვი და რაბინოვი. გუნდი — 30 ჩაცისა და ორკესტრი 40 კაცის შემადგენლობით. დირიჟორები: ბ-ნი პლოტნიკოვი (მოსკოვის საიმპერატორო ოპერიდან) და ბ-ნი სლუცკი. საგასტროლოდ ჩაველენ: მოსკოვის საიმპერატორო 7. ვ. სარაჯიშვილი.



ოპერის მსახიობი ბ-5ი სმირნოვი, საიმპერატორო თეატრის მსახიობნი ბ. ბ. დავიდოვი და ტარტაკოვი; საიმპერატორო თეატრების მსახიობი ქ-ნი კუზნეცოვა, ქ-ნი ვან-ბრანდტი და ა. დ. ვიალცევა“.

ამ შესანიშნავ დასში ვანო სარაჯიშვილი ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურა და წამყვანი მომღერალი იყო.

კისლოვოდსკში ვანო გამოვიდა „ლაკმეში“, „რიგოლეტოში“, „ტრაეიატაში“, „მარგალიტის მადიებლებში“ და სხვა ოპერებში. სპექტაკლები მისი მონაწილეობით დიდი მხატვრული წარმატებით ჩატარდა.

ვანო შემდეგაც გამოდიოდა კისლოვოდსკში. აქ იგი მართავდა კონცერტებსაც, რასაც დიდძალი საზოგადოება აწყდებოდა.

ერთ-ერთი სპექტაკლის მონაწილემ, ძველმა მუსიკოსმა ამბ. გ. გვენცაძემ გვიამბო:

— ერთ დილას, კისლოვოდსკში, რეპეტიციაზე მივედი კურხალის დარბაზში. სალაროსთან ვეებერთელა რიგი დამხვდა, ჩოჩქოლი იყო. დავინტერესდი, ხალხში გავერიე. ვილაც საშუალო ხნის კარგად ჩაცმული მამაკაცი ციბრუტივით ტრიალებდა და სხაპასხუპით ლაპარაკობდა: ახლახან დავებრუნდი იტალიიდან, იქ მოვუსმინე პირველად ამ საოცარ მომღერალს. ეგ ქართველი სარაჯინია, ნამდვილი იტალიური სკოლის მომღერალი, იცით რა არის?!

ცოტა ხნის შემდეგ სალაროში არცერთი ბილეთი არ იყო. მსურველები კი უფრო ემატებოდნენ. ყველას უნდოდა ქართველი „სარაჯინის“ მოსმენა. ვანოს გამოსვლა ნამდვილ ტრიუმფად გადაიქცა. მან მართლაც მოაჯადოვა საზოგადოება. ბისზე გამოძახებას ბოლო არ უჩნდა. დარბაზში მოულოდნელად იფეთქებდა ტაშის ქუხილი და დიდხანს არ სცხრებოდა. მეორე დღეს ყველგან ვანოს ქება ისმოდა. ბევრს მართლაც ეჭვი შედიოდა მის ქართველობაში — ასეთი თავანკარა, წმინდა იტალიური სკოლა მხოლოდ იტალიელ მომღერალს შეიძლება ჰქონდესო.

კისლოვოდსკს შემდეგ ვანომ სამშობლოს მოაშურა და გამართა კონცერტები თბილისსა და პროვინციაში. ქართველი საზოგადოება უდიდესი აღტაცებით შეეგება თავის საამაყო მომღერ-

რალს. ქუთაისს, ქიათურას, თელავს, გორსა და სხვა ქალაქებში კვლავ გაისმა ვანოს „ურმული“.

ქიათურაში „დრამატიული საზოგადოების“ საღამო გაიმართა.

„... დიდი და პატარა მოუთმენლად ელოდა მოესმინა მისთვის, ვისი სახელიც უკვე გრგვინავდა მთელს საქართველოში. მთელი კუთხე მოზღვაავდა. სულგანაბული ხალხი ელის. დადგა სანეტარო წუთი. სცენაზე გამოჩნდა ლამაზი ახალგაზრდა, ტან-ლერწამა მოხდენილი ვანო, და დარბაზი მქუხნარე ტაშისცემად გადაიქცა.

გაისმა პირველი აკორდი პიანინოსი და დარბაზი ერთბაშად ჩაჩუმდა ისე, რომ ეს მოკრძალებით და დიდი მოლოდინით აღსავსე სიჩუმე ყველა ჩვენგანს შიშის ყრუანტელს ჰგვრიდა... მოგვესმა იადონის ტკბილი გალობა, აღსავსე გრძნობით, ყოთილშობილებით და მშობლიური ჰანგის სანეტარო აღდერებით. სიხარულის და აღტაცების ღიმილმა მძლავრად გადაიარა დარბაზის სახეზე და თვალთაგან ნეტარების ცრემლი გამოსწურა. გაღვიძებულმა სიამაყემ, არწივისებურად ფრთავაშლილმა მალა ცის კამარაში შეინაჟარდა და ქვეყანას მოსდო დიდი ოცნება ჩვენი ქვეყნის აღორძინების და წინსვლისა.

იმ საღამოს დიდმა და პატარამ, ქალმა თუ კაცმა, ჯეელმა თუ მოხუცმა მთელი გულით შეიყვარა ჩვენი იადონი.

მისი მოშორება აღარავის უნდოდა, სცენიდან აღარ უშვებდნენ, ემუდარებოდნენ ერთი კიდეც ემღერნა, რომ ერთხელ კიდეც ესმია ნეტარების ნექტარი. და მთელს ღამეს, მეორე დილას ხალხი ვანოს შემოხვეოდა, არ შორდებოდა, მისი ხილვა სწყუროდა, მასთან ყოფნა უნდოდა მარად...<sup>1</sup>

აგვისტოს შუა რიცხვებში ვანო თელავს ეწვია. მან თან წაიყვანა თ. ძნელაძე, ი. აბაშიძე და ვ. ურუშაძე.

იმავლე წლის 14 ოქტომბერს თბილისში, ქართულ თეატრში გაიმართა ვანოს კონცერტი მომღერალ ისკანდერის (ნ. ა. ვესელოვზოროვა), მერენბლიუმის (ვიოლინო), პოლტოროცკაიას (ფორტეპ.), ბარიტონ ამირჯანისა და სხვათა მონაწილეობით. გაზეთი „ზაკავკაზიე“ სწერდა:

„ოთხშაბათს, 14 ნოემბერს გაიმართა ი. პ. სარაჯიშვილის კონცერტი. ქართული თეატრის დარბაზი გაქედილი იყო. სარაჯიშვილი ერთი იმ იშვიათ მომღერალთაგანია, რომელნიც ალტურვილნი არიან სიმღერის იტალიური, შესანიშნავი კლასიკური მანერით, სრულყოფით რომ ჰფლობდნენ წარსულ დღეთა განთქმული იტალიელი ოსტატები გრაციანი და მახინი, ხოლო ახლა გულაჩვილებით რომ იგონებენ ხოლმე მოხუცები... სარაჯიშვილი გვჩიბლავს და გვატყვევებს, გვჩიბლავს თავისი ბელ-კანტოთი.

<sup>1</sup> იხ. „თ. და ცხოვრ.“ № 16—1924 წ.

გვნიბლავს შეუპოვარი, მომაჯადოებელი ვოკალური ეფექტის წარმოქმნი-  
რომლის საიდუმლოება მხოლოდ და მარტოოდენ ზისთვისაა ცნობილი. იგი  
სრულყოფით ჰფლობს სუნთქვის ტექნიკას და სურვილისამებრ ახდენს ხმის  
ფორირებას.

მომღერალმა უბადლოდ და დიდი გემოვნებით შეასრულა ლამაზი, მელო-  
დიური ნაწარმოები კაშვეაროვისა „სიჩუმე“, რაც განმეორებულ იქნა სა-  
ზოგადოების დაუინებითი მოთხოვნით; აგრეთვე აღმოსავლურ ყაიდაზე და-  
წერილი რომანსი ოპერა „მარგალიტის მაძიებლებიდან“, რომლის შესრუ-  
ლების ესოდენ დიდი ოსტატია სარაჯიშვილი...“

27 ოქტომბერს წერა-კითხვის საზ-ბის გამგეობის თაოსნო-  
ბით გაიმართა ილია ქავქავაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი სალი-  
ტერატურო საღამო. მოხსენების შემდეგ გაიმართა საკონცერტო  
განყოფილება, რომელშიც დიდი წარმატებით გამოვიდა ვანო  
ქართული, რუსული და იტალიური რომანსებით.

სხვათა შორის, იმავე 1909 წლის აგვისტოში, თბილისის  
სახალხო სახლის სცენაზე, ბარიტონმა ამირჯანმა პირველად  
დასდგა „რიგოლეტო“. ჰერცოგის პარტიის შემსრულებლად  
მან ვანო სარაჯიშვილი მიიწვია.

იმავე წელს ვანო ქუთაისსაც ეწვია და დიდი კონცერტი  
გამართა. იტალიურ რომანსებთან ერთად მან აქ ჩვეული ოს-  
ტატობით შეასრულა მ. ბალანჩივაძის „ოდესაც გიციქერ“, სხვა  
ქართული სიმღერები და საღამო „ურმულით“ დაამთავრა, რი-  
თაც უდიდესი აღტაცება გამოიწვია.

ვინ იცის, რამდენი რამ დაგვრჩა კიდევ უთქმელი ამ წელს  
ვანოს შესანიშნავი კონცერტების შესახებ.

მინც, იტალიიდან დაბრუნების შემდეგ, სამშობლოში ამ  
ტრიუმფალური მსვლელობის ფონზე შუქურ-ვარსკვლავივით მოს-  
ჩანს ვანო სარაჯიშვილის ზენიტი — „მარგალიტის მაძიებელ-  
თა“. გასაოცარი შესრულება.

ხელოვნების მარგალიტის მაძიებელმა — ვანო სარაჯიშვილმა  
იპოვა ეს დიდებული მარგალიტი და მთელს სიცოცხლესთან  
ერთად ძვირფას სამშობლოს მიუძღვნა.

სამწუხაროდ, არ დაგვრჩენია იგი ფირფიტაზე ჩაწერილი.

თუმცა ესეცაა—აფსკი ხმას დაიქერდა, სულს კი ვერა. დაე, მომავალ თაობას „აბესალომ და ეთერის“ მსგავს ზღაპრად დარჩეს ვანოს ეს დიდი ოსტატობა ისე ვით მისი განუმეორებელი ლაღადისი:

„თავო ჩემო, ბედი არ გიწერია...“

\* \* \*

რორიც დიდი მარგალიტის ზვინი არ მიგეძღვნათ, ვანო დიდხანს ვერ სძლებდა სხვაგან. ხან უცხო ყოფას ვერ ურიგდებოდა, ხან სიტყვის უხეშად შებრუნებას და ეროვნული თავმოყვარეობის შელახვას: ქართულად იფეთქებდა, ჯებირებს გადალახავდა და შინისაკენ გამოსწევდა.

— სამშობლოს დარდი მანადგურებს, სული მეხუთება... არ შემიძლია, გამიშვით შინ!

ნიადაგ ეს სიტყვები ეკერა პირზე.

1910-იან წლებში თბილისს რომელიღაც განთქმული ამერიკელი ანტრეპრენიორი ეწვია. მოისმინა თუ არა ვანოს ხმა, საშველი არ მისცა — ამერიკის შეერთებულ შტატებში გამომყეო, და დიდი დოვლათი აღუთქვა. ვანომ ცივი უარი უთხრა.

ანტრეპრენიორმა ათასგვარი ხერხი იხმარა და ვანოს ოქროს პეშვი დაანახვა. ცდამ უნაყოფოდ ჩაუარა, მაშინ ანტრეპრენიორმა გადასწყვეტა სხვა გზით ემოქმედნა და ვანოს ოჯახს მიჰპართა:

— სადაც მეტყვეით, იქ შევიტან ვანო სარაჯიშვილის კახელზე ჰო ათას მანეთს, ანდა ვის სახელზედაც გნებავთ. გარდა ამისა, ვკისრულობ ყველა ხარჯს იქით და აქეთ. გამომყევეს, რა დაუშავდება, სიამოვნების მეტს რას ნახავს?

ვერასგზით ვერ დაიყოლია. როგორც იტყვიან, ქვა მალლა ააგდო და თავი შეუშვირა.

— ჩამომეხსენით, არ შემიძლია, — სამშობლოს თავს ვერ გავანებებ, აქედან ვერსად ვერ წავალ.

აბეზარი ანტრეპრენიორი ჩამოსცილდა.

ვანომ თითქოს უზარმაზარი ტვირთი გადიოდნო, თავისუფლად ამოისუნთქა.

— მადლობა ღმერთს!.. „მე მირჩევნია სალი კლდე თოვლიან-ყინულიანი“...

ხელებს იფშვნეტდა და ღიმილით ბოლთასა სცემდა.

## რომეოს ქრინი

1906 წლის ნოემბრის 5-ს თბილისის „არტიტულ საზოგადოებაში“ უჩვეულო ფუსფუსი იყო. ქალთა ერთ-ერთი სკოლის მესვეურებმა საგანგებოდ შერჩეული პროგრამით საქველმოქმედო კონცერტი გამართეს და საუკეთესო ძალები მოიწვიეს. ფოიეში შამპანური შუშხუნებდა, ყვავილები სურნელს აკმევედნენ. დახლთან ნორჩი ლამაზბანები ტრიალებდნენ და სტუმრებს უმასპინძლდებოდნენ. ვაჟები მოწიწებით აწოდებდნენ მანდილოსანთ ნაირფერ სანუკვარს და ტკბილ სასმელს.

ღარბაზში ვანო სარაჯიშვილი შემოვიდა. ყველამ გზა მისცა და თვალი გააყოლა საუცხოოდ მორთულ, მშვენიერ ჰაბუჯს, რომელიც უჩვეულო ზემით გამოდიოდა თბილისის ოპერაში და ახლა, იტალიაში გამგზავრების წინ, უკანასკნელ სპექტაკლებში მონაწილეობდა. ამ საღამოს ვანო საქველმოქმედო კონცერტში მოიწვიეს, და სწორედ ამ გარემოებამ მოიზიდა აქ დიდძალი საზოგადოება.

ვანო დახლთან მივიდა. ცქრიალა ნინო ქიქოძემ ჰქია შამპანური მოაწოდა. ვანომ ოდნავ მოსვა სასმისი, ფული დასდო და ელვასავით მიანათა თვალი მშვენიერ ასულს. სწრაფად გასწია სცენისაკენ...

\* \* \*

გავიდა ხანი. ვანომ იტალია და პეტერბურგი მოიარა. იგი საქვეყნოდ სახელმძღვანელო მომღერალი გახდა. რამდენი ხოტბა-დიდება მოისმინა! გარს მუდამ თაყვანისმცემელთა გუნდი ერტყა. ყველგან საამაყო და სასურველი სტუმარი იყო.

ვინ არ გაიცნო, მაგრამ მის თვალწინ მაინც სიცოცხლით აღსავსე ნინო ქიქოძე იღვავდა...

1910 წლის აპრილის 26-ს ვანო და ნინო პლატონ ქიქოძის ასული ჯვარსაწერად წარსდგნენ. ამ საზეიმო საღამოს იშვიათი განწყობილებით შეხვდა ვანო. მის პოეტურ არსებას გრძნობას ათოვდა სიყვარულიც და გაზაფხულიც. ხელოვნების მგზნებარე ცეცხლი პოეზიის სათუთ სიმს მისწვდა და ნეტარებით დაითრო ვანო.

ვიდრე მღვდელი ალექსი თევზაძე საკურთხეველში ფუსფუსებდა, ვანომ კრინით სთქვა სიყვარულის დიდი სიმღერა:

„გემუდარები, ნეტარების დიადო ღამევი!..“

ეს იყო რომეოს არია ოპერა „რომეო და ჯულიეტადან“.

ჯადო ბგერები განიფანტა გაბრწყინებულ ტაძრის სივრცეში; ზაფერდევით მიესალბუნა მაღალ თალებს, კედლებს, შემდეგ ნიავეით მიიბნინა, სადღაც ნემსის ყუნწში გაძვრა და მარადისობას შეუერთდა.

ეს კრინი სამარეშიაც კი შესძრავდა რომეოსა და ჯულიეტას ძვლებს, რომ მართლა ყოფილიყო სადმე ჩაფლული. ვინ იცის, იქნებ მამა ალექსისაც კი მოესმა საკურთხეველში ვანოს სიმღერა და „ეშმაკს“ დაუთმო — ენას კბილი დაადგა და სული განაბა.

სარაჯიშვილებმა ღირსეულად მოიხადეს ვალი საყვარელი ძმის წინაშე და თავიანთი გუნდით ჯვარსაწერი გალობა სთქვეს ეკლესიაში. დედოფალს ზიარება არ ეტაშნიკა.

ალექსიმ ღიმილით უთხრა:

— არ მოგწონს, შვილო? - ცოტა დაიცა, უკეთესი ღვინო მოგართვა...

თავისი მოვალეობის შესრულების შემდეგ ალექსიმ იქვე, შინ მიიწვია ნეტე-დედოფალი და მათი ამაღაც.

რომეოს თავშეკავებული კრინის ნაცვლად, რა თქმა უნდა, ვანო აქ შემოსძახებდა თავისებურად.

## რუსული ოკეანის დასუმი. სარატოვი. თბილისი. მოსკოვი

1910 წლის ზაფხულში ვანომ შესანიშნავი კონცერტები გამართა თბილისსა და პროვინციაში. იმავე წლის სექტემბერში კი სარატოვს გაემგზავრა იქაური საოპერო თეატრის ანტრეპრენიორის მიწვევით. რამდენიმე თვის შემდეგ მოსკოვსა და პეტერბურგს ეწვია, სადაც თავისი ძველი მეგობრები და მსწავლებლები მოინახულა. 1911 წლის გაზაფხულზე ვანო თბილისში დაბრუნდა და თავისებურად ჩაუქროლა მშობლიურ მიდამოებს.

17 აგვისტოს „ახალ კლუბში“ დაიდგა ვალ. გუნიას ვოდევილი „მონადირე“, რის შემდეგ გაიმართა დიდი კონცერტი ვანოს მონაწილეობით. ვანო შესანიშნავი საკონცერტო რეპერტუარით გამოვიდა და კვლავ დიდი სიამოვნება მოჰგვარა დამსწრე საზოგადოებას.

გაზეთი „ზაკავკაზი“ სწერდა:

„...დენცის იტალიური რომანსების შესრულებისთანავე დაიპყრო მომღერალმა მრავალრიცხოვანი საზოგადოება. შემდეგ შეასრულა კაშვეაროვის მშვენიერი რომანსი—„სიჩუმე“, რაც მსმენელთა დაქინებითი მოთხოვნით გაამოთხოვინეს. საღამოს სულსა და გულის წარმოდგენდა ერეკლეს არია იპოლიტოვ-ივანოვის ოპერა „ლალატიდან“, რამაც მქუხარე ოვაცია და ერთსულოვანი „ბის“ გამოიწვია. ამ გამოწვევათა გამო მსახიობმა კიდევ ორი მოხდენილი ქართული სიმღერა შეასრულა. მას სავსებით დამსახურებული წარმატება ხვდა წილად. მსახიობს როდი აქვს მეტად დიდი ხმა, მაგრამ ეს ხმა დაყენებულია უმწიკვლოდ და შესანიშნავად არის დამუშავებული; იგი განსაკუთრებით ლამაზად ჟღერს მაღალს ფარდებში, პიანოსა და რეჩიტატივებში, ე. ი. უმეტესად ძნელ ადგილებში. მაგრამ, ჩვენის აზრით, რაც განსაკუთრებულ დამსახურებად უნდა ჩავთვალოდნენ უ. პ. სარაჯიშვილს, ეს გახლავთ ის, რომ მისი სიმღერა სრულებით არ შეიცავს ხელოვნურ სირთულესა და აფექტაციას, რასაც ოპერის მეტად ნიჭიერი მომღერლები კი ვერ აღწევენ ხოლმე თავს. ვიშვორებთ, სიმღერის ეს მეტად იშვიათი ბუნებრივობა იყო მიზეზი თუ მსახიობის განსაკუთრებული თავისებურება, მაგრამ ერეკლეს არია ჩვენ უფრო მეტი კმაყოფილებით მოვისმინეთ ბ-ნ სარაჯიშვილის შესრულებით, ვიდრე სატანტო ჭალაქების სცენის მსახიობთა შესრულებით მოგვისმენია...

ქართული სიტყვები პარტიისათვის დაწერილია თვით ბ-ნ სარაჯიშვილის მიერ. ვფიქრობთ, იგი მეტად დიდ საჩუქარს მოუტანის მშობლიურ სცე-

ნას, რომ იკისრებდეს მთელი ამ ოპერის ლიბრეტოს ქართულ ენაზე გად-  
მოთარგმნას...“ (ხაზი ჩვენია. შ. კ.)

ვანოს პოეტური ბუნებისათვის უცხო როდი იყო ტექსტზე შემოქმედებითი მუშაობა—თარგმნა, შეფარდება და გადაკეთება. იგი ამ მხრივაც არა ჰგავდა ბევრ მომღერალს, რომლებსაც არც საამისო უნარი გააჩნიათ და არც მოთხოვნილება აქვთ,—რასაც ხელში მიაჩეჩებენ, იმას მღერიან.

1911 წლის 11 სექტემბერს, ქ. სოხუმში, მ. ნ. ანჩაბაძის<sup>1</sup> ინიციატივით დიდი საქველმოქმედო საღამო გაიმართა. თბილისიდან მიწვეულ იქნენ ვანო სარაჯიშვილი და პოეტი იოსებ გრიშაშვილი. ვანოს დიდი წარმატება ხვდა ამ საღამოს. მშობლიური რეპერტუარიდან ვანოს ჰქონდა „ურმული“, მეღ. ბალანჩივაძისა და დიმ. არაყიშვილის რამდენიმე რომანსი, ქართულად ნათარგმნი ერეკლეს არია. ეს მცირე რამ ვერ ამოსწურავდა ხალხის დაუცხრომელ ტაშს. ვანოც იძულებული იყო იტალიური და რუსული რეპერტუარისათვის მიემართნა. შესრულებულ იქნა კაშვივაროვის „სიჩუმე“, ცნობილი რომანსი—„ჯადოსანი ქალის თვალები“ და სხვა ნაწარმოებნი.

\*

ვანოს ხმაში დრამატული ელფერისაკენ მიდრეკილება გაცილებით ადრე იწყება, ვიდრე ეს აშკარად გამოემჟღავნა დრამატული ტენორის პარტიებში მისი გამოსვლით. 1911 წლის 27 ნოემბერს თბილისის „ახალ კლუბში“ დაიდგა „დემონი“ ვანოს მონაწილეობით. გაზ. „ზაკავკაზსკაია რეჩი“ სწერდა:

„...დემონმა“ სარაჯიშვილის მონაწილეობით დიდძალი საზოგადოება მიიზიდა. ეს არც გასაკვირია, რადგან მან უკვე დიდი ხანია გაგვხვია თავის ჯადოსნურ, დამატებობელი ხმის ბადეში.

ჩვენის ფიქრით, სარაჯიშვილი განიცდის ეკოლუციას, იგი უფრო ძლიერი, უფრო მომზადებული დგას მომავლის წინაშე. სარაჯიშვილი მუშაობს და ეს მუშაობა მეტად სერიოზულია...”

<sup>1</sup> მარიამ ნიკოლოზის-ასული ანჩაბაძე—და რესპ. სან. არტისტის შალვა დადიანისა. იყო აფხაზეთის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარე, აგრეთვე—კულტურული საზოგადოებისა და ადგილობრი-



რა თქმა უნდა, აქ არაფერ შუაშია დრამატიული ტენორის რეპერტუარი, მაგრამ რეცენზენტს მხედველობაში აქვს ის გარემოება, რომ ვანო მაშინ მეცადინეობდა ლაღო მესხიშვილთან აქტიორულ ოსტატობაში სრულყოფისათვის. ეს მეცადინეობა უმთავრესად დრამატიული ტენორის პარტიებს მოიცავდა („კარმენი“ და სხვა ოპერები), ამიტომ, ცხადია, ვოკალურადაც ახალ საწყისებს ადგა ვანო.

სხვათა შორის, „დემონის“ გაქართულების ძიებაში გვარიან კუროიზს ჰქონდა ადგილი. ერთხელ დემონი... ჩოხით გამოჰყავდათ, რაც სამართლიანად დაჰგმო პრესამ.

იმავე წლის 29 დეკემბერს ვანომ მონაწილეობა მიიღო ვ. გუნიას საბენეფისო საღამოში. „გენაცვალე“ ახლად ფეხადგმული იყო. საზოგადოება დაჟინებით მოითხოვდა მის შესრულებას.

1912 წლის 21 იანვარს ბაქოში გაიმართა XXI ტრადიციული ქართული საღამო ქართველთა შორის წ. კ. გამავრცელებელი საზოგად. სასარგებლოდ. გაზეთი „ბაკინეც“ სწერდა:

„...საღამოს დამამშვენებელნი იყვნენ თბილისიდან მოწვეულნი ვ. თარხნიშვილი და ვანო სარაჯიშვილი. სარაჯიშვილის ცინცხალმა, ლამაზმა ხმამ მოაჯადოვა მსმენელები...“

არც გასაკვირია. ვანო აქ მღეროდა ქართულ, რუსულ, ფრანგულ, იტალიურ, აზერბაიჯანულ ენებზე, რამაც აუწერელი აღტაცება გამოიწვია. საღამოს შემოსავალმა 6.000 მანეთს მიაღწია. საერთო მხიარულებამ და ცეკვა-თამაშმა დილაამდე გასტანა.

20 თებერვალს თბილისის ქართულ თეატრში გაიმართა მიხ. კავსაძის გუნდის კონცერტი. ვანომ დიდი წარმატებით შეასრულა ტოსტის რომანსები, აგრეთვე „ურმული“ და სხვა ქართული სიმღერები.

---

ვი დრამატიული საზ-ბის თავმჯდომარე. 1900-იან წლებში მისი ინიციატივით დაარსდა ქართული სკოლა სოხუმში, რომელიც მეფის მთავრობის დროს იდევნებოდა. ეს სკოლა რევოლუციის შემდეგ ქართულ გიმნაზიად გადაკეთდა. მ. ნ. ანჩაბაძე თაოსნობდა ყოველგვარ კულტურულ ღონისძიებას აფხაზეთში; ამის გამო „აფხაზეთის დედას“ უწოდებდნენ. შ. კ.

1912 წლის სეზონში დირიჟორმა ი. ფალიაშვილმა ვანო თბილისის ოპერის თეატრის დასში მიიწვია. ვანოს ყოველ გამოსვლას დიდძალი საზოგადოება ესწრებოდა, რასაც ხელს უწყობდა ვანოს მდიდარი რეპერტუარი და პოპულარობა. ძმები ფალიაშვილები ფიანდახად უშლიდნენ ვანოს თავიანთ გულს. ივანე ლიმილით აყოლებდა ხოლმე მის მომხიბლავ ხმას თავის მკაცრ წყებას. ზაქარიას სულის წიაღში თანდათან ისხამდა ხორცს დიდებული აბესალომის მწუხარე იერი. იგი ვანო სარაჯიშვილის ქარგაზე ყალიბდებოდა...

1913 წელი თბილისის ოპერაში ვანოს საახალწლო მოლოცვით დაიწყო.

„... სამშაბათს, 1 იანვარს, ზალხით გაქედილ დარბაზში ჩატარდა ი. ჰ. სარაჯიშვილის ბენეფისი. ტაშის გრიალს ბოლო არ ჰქონდა. იმოდენა თავიგული და ძვირფასი საჩუქარი მიართვეს, რომ პატარა გამოფენის მოწყობა შეიძლებოდა. ბენეფიციანტმა „ტრაგიატა“ აირჩია და კარგადაც მოიქცა. აღფრედ ჟერმონის პარტია საუკეთესოა მის რეპერტუარში. გარდა ამისა, სიმღერის წმინდა იტალიური სკოლა, რომელსაც ჰელმოს ბ-ნი სარაჯიშვილი, საესტბით შეესაბამება ისეთი პარტიების შესრულებას, როგორც არის აღფრედის პარტია... მან იშვიათი ვატაცებით ჩაატარა პარტია და დიდი სიამოვნება მოჰგვარა მსმენელთა ფაქიზი სიმღერით, რომელშიც დიდი მგზნებარება ისმოდა...“ (გაზ. „ზაკავკაზი“ № 3).

ამ საღამოს ვიოლეტას პარტიას ასრულებდა განთქმული მომღერალი საბანეევა. „ტრაგიატას“ შემდეგ გაიმართა საკონცერტო განყოფილება, რომელშიც ვანომ ბევრი სხვადასხვა სიმღერა შეასრულა.

1913 წლის 27 აპრილს „ქართულ კლუბში“ პირველად შეასრულეს ზაქ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერის“ ერთი აქტი კოლოტოვას, გოფმანისა და დუელის მონაწილეობით. მთელი პრესა და საზოგადოება ალაპარაკდა, მაგრამ არა ქართველმა შემსრულებლებმა და მათი ხმების შეუსაბამობამ (გარდა კოლოტოვასი—ეთერისა) ერთგვარი საყვედურიც გამოიწვია.

სწორედ ერთი თვის შემდეგ, 28 მაისს, განმეორდა იგივე კონცერტი პირველი სურათის დამატებით (აბესალომისა და ეთერის შეხვედრა). ახლა აბესალომს მღეროდა ვანო სარაჯი-

შვილი, მურმანს—სანდრო ინაშვილი ბელიარ-ეშმაკს<sup>1</sup>—ლორ-თქიფანიძე. ეთერის პარტიას კვლავ კოლოტოვა ასრულებდა. ამჯერად შთაბეჭდილება ძირფესვიანად შეიცვალა, მაგრამ ამაზე ქვემოთ გვექნება საუბარი.

მ ივნისს იმავე კლუბში გაიმართა დიმი. არაყიშვილის კონცერტი. შესრულებულ იქნა ნაწყვეტები ოპერა „შოთა რუსთაველიდან“ და ავტორისვე ჩაწერილი სხვადასხვა ხალხური სიმღერები. კონცერტს დიდძალი ხალხი დაესწრო. ვანოს გამოწვევას ბოლო არ ჰქონდა. გაზ. „ზაკაკაზიე“ სწერდა:

„... კახელ გლებთა „ურმული“ ზედმიწევნით ფაქიზად და მხატვრულად შეასრულა ბ-მა სარაჯიშვილმა. მომღერალი იმდენ უტყუარ ლირიზმს აქსოვს შესრულებაში, რომ პირდაპირ დაუსრულებლად გინდა უსმინო მას...“

ეს „დაუსრულებლად სმენის“ სურვილი დაუსრულებლადვე იწვევდა ვანოს სცენაზე. კონცერტს დიდი წარმატება ჰქონდა. საზოგადოების მოთხოვნით პროგრამა განმეორებულ იქნა 15 ივნისს ვანოს მონაწილეობით.

1913 წლის ზაფხულშივე მომღერალმა ს. ი. ევლახიშვილმა საოპერო დასი შეადგინა პროვინციაში საგასტროლოდ. პირველ ტენორად მან ვანო სარაჯიშვილი მიიწვია. დასში შედიოდნენ: ტ. ი. საბანეევა, მ. ნ. რიოლი, ე. გ. კოველინოვა, ს. ი. ევლახიშვილი, ვ. ფ. ლიუბჩენკო, განთქმული ბარიტონი თ. ს. ორდა, ქალ-ვაჟთა გუნდი 16 კაცისა და ორკესტრი 16 კაცის შემადგენლობით (ოპერის საუკეთესო სოლისტებისაგან). რეპერტუარში ჰქონდათ: „პიკის ქალი“, „ევეგენი ონეგინი“, „დემონი“, „ტრავიატა“, „მარგალიტის მადიებელნი“, „კარმენი“, „ფაუსტი“, „ლაკმე“, „მინიონი“, „ფრა-დიავოლო“, „სევილიელი დალაქი“, „ჯამბაზები“, „ტოსკა“. ამ ოპერებიდან ვანო გამოდიოდა „ტრავიატაში“, „მარგალიტის მადიებლებში“, „ევეგენი ონეგინში“, „დემონში“, „ფაუსტში“, „ლაკმეში“, „მინიონში“, „ფრა-დიავოლოში“, „სევილიელი დალაქში“.

პირველი გასტროლები ქუთაისსა და ბათუმში ჩატარდა. ვანოს წილად ხედა უდიდესი წარმატება. ქუთაისში „ტრავიატას“ შემდეგ ხალხმა ვანო ხელში ატაცებულნი გამოიყვანა თეატრიდან. სოხუმში დასმა გასტროლები ჩატარა ახლად ავე-

<sup>1</sup> ბელიარ-ეშმაკის პარტია შემდეგ ამოღებულ იქნა ოპერიდან. შ. კ.

ბულ თეატრში<sup>1</sup>. აქ 15 სპექტაკლი დაიდგა. გამოსათხოვარი წარმოდგენის შემდეგ ადგილობრივმა კომერსანტებმა დასს ვახშიში გაუმართეს. ვანომ „მხოლოდ შენ ერთს“ და რამდენიმე რუმანსი იმღერა. რალაც აუწერელი რამ მოხდა, თავდავიწყებითს აღტაცებას მიეცნენ. იქვე შეაგროვეს საკმაო თანხა და დასი კიდევ ორი კვირით დასტოვეს საგასტროლოდ. შემდეგ დასი კავკავს გაემგზავრა. დავით სარაჯიშვილის ქარხნის მომუშავეებმა და ადგილობრივმა საზოგადოებრივობამ ვანოს საგანგებო შეხვედრა მოუწყეს. ამ საგასტროლო მოგზაურობის დროს ვანო მთელი დასის სული და გული იყო.

იმავე ზაფხულს ვანომ საკონცერტო მოგზაურობა ჩაატარა. ი. ზარდალიშვილისა (დეკლამაცია) და ციციშვილის (ფორტეპ.) მონაწილეობით წარმატებით გაიშარა კონცერტები გორს, ბორჯომს, წალკერს, ახალციხეს, კიათურას.

23 ნოემბერს ვანო და ი. გრიშაშვილი ფოთს მიიწვიეს ვაერთა გიმნაზიის სასარგებლოდ გამართულ კონცერტში მონაწილეობის მისაღებად. ამ კონცერტის გამო გაზ. „ზაკავკასსკაიარეჩნი“ გამოქვეყნდა მშენიერი რეცენზია „იუჟანინის“ ხელმოწერით.

\* \* \*

1912—13 წლის<sup>2</sup> სეზონში ვანო მოსკოვის თეატრებს ეწვია. სერგიევის სახალხო სახლში და ზიმინის თეატრში გამოვიდა. სერგიევის სახალხო სახლში (დოლგორუკოვის ქუჩაზე) მუდმივი საოპერო დასი მოღვაწეობდა. თეატრს პატრონობდა განთქმული მეცენატი გრაფი შერემეტიევი. აქ იდგმებოდა იგივე ოპერები, რაც მოსკოვის დიდ თეატრში და ზიმინის თეატრში.

მოსკოვში ვანო გამოდიოდა „ვერტერში“, „რიგოლეტოში“, „კარმენში“, „ტრავიატაში“, „ფაუსტში“, „ევგ. ონეგინში“ და სხვა ოპერებში.

<sup>1</sup> ს. ი. ველახიშვილის ცნობით, თეატრი და სასტუმრო სოხუმში აუგია. მეცენატსა და კომერსანტს ალოიზის. ეს პირველი საოპერო სპექტაკლი ყოფილა სოხუმში და დასსაც თავისი პირველი გამოსვლით გაუხსნია თეატრი. (ეს ალოიზი კორსიკელი ყოფილა). შ. კ.

<sup>2</sup> ვანოს მიერ დამღერებულ ზოგიერთ ფირფიტაზე წარწერილია: „რუსული ოპერის არტისტი ი. სარაჯევი. 1912 წ. მოსკოვი“. შ. კ.

— ჩვენი სარაჯვეი!—ამბობდნენ ვანოს შესახებ მოსკოველები. ყოველი მისი გამოსვლა საზეიმო ვითარებაში მიმდინარეობდა.

სერგიევის სახალხო სახლს გარდა, ვანო მღეროდა ცნობილი მეცენატის ზიმინის თეატრშიც. ეს თეატრი არამეტუ უწყვედა მეტოქეობას დიდ თეატრს, არამედ ზოგჯერ სპარბობდა კიდევაც მას დასის შემადგენლობითა და რეპერტუარით. ამ დიდ დასში ვანო ისეთი წარმატებით გამოდიოდა, რომ მისი სპექტაკლები ანშლაგებით მიმდინარეობდა და ბილეთების გადაყიდვაც იყო გაჩაღებული, რაც მხოლოდ დიდი მომღერლების გასტროლებს ახასიათებდა. ერთმა ძველმა მოსკოველმა თეატრალმა დიდი გულისტკივილით მოიგონა ჩვენთან საუბარში ვანო და დასძინა—ბევრჯერ ხუთი-ექვსი თუმანი მიმიცია მისი სპექტაკლის ბილეთშიო.

სერგიევის სახალხო სახლში მოუსმინა პირველად ვანოს ვერტერის პარტიაში მაშინ ახალგაზრდა მომღერალმა ი. ს. კიპორენკო-დომანსკიმ (ახლა უკრაინის სსრ სახალხო არტისტი).

— მას შემდეგ 30 წელი გავიდა... ევროპის ბევრი სატახტო ქალაქი შემოვიარე, მაგრამ ახლაც თითქოს ცოცხლად მიდვას თვალწინ ვანო—ვერტერი, მისი გასაოცარი სიმღერა, ვაჟკაცური იერი და მგზნებარე ტემპერამენტი; სულის მიმტაცი ღაღადისი, სამუდამოდ დაღუპულ ბედნიერებას რომ ჰგლოვობს შმაგი ქაბუკი:

— ო, ნუ მალვიძებ მე,  
გაზაფხულის სუნთქვა..

თეატრი და ხელოვნება ვანოსათვის სიცოცხლის მიზანი იყო. სიმღერა—სასწაულმოქმედი ძალა, რომლითაც იგი საკუთარ სულს ხიბლავდა და ჩვენც გვაჯადოებდა. უაღრესად სპეტაკი და ალალი გულის კაცი იყო—თითქოს ამქვეყნიურ არსთ არ ეკუთვნოდა... ჰე, ვანო, ვანო, შესანიშნავო მგალობლო, საუცხოო ქართველო და ადამიანო!..

გულის ტკივილით მოიგონა იური კიპორენკო-დომანსკიმ ძველთვის დღეები და უსახლო ფიქრს მიეცა...

## „აპოლონი და დიონისო“

ვანოსა და მსოფლიოში განთქმულ ტენორს—ლეონიდ სობინოვს თავიდანვე ადარებდნენ ერთმანეთს: სობინოვი—აპოლონია, მის სიმღერას გონების სადავე ჰფლობს; სარაჯიშვილი—დიონისოა, გრძნობისა და ტემპერამენტის ქურუმიო.

„სობინოვი და სარაჯიშვილი

(შთაბეჭდილებანი)

სობინოვი და სარაჯიშვილი განა შეიძლება მათი შედარება? ესენი ხომ ორი, სავსებით შეურწყმელი ერთეულებია.

ვეთანხმებით ამ აზრს, მაგრამ არა სავსებით.

სობინოვი, რამდენადაც მასზე მსჯელობა შემიძლია, არა იმდენად შესანიშნავი მომღერალია, რამდენადაც უბაღლო ინტერპრეტატორი<sup>1</sup>, რომელიც მხატვრული სისაესით გადმოგვეცემს მის მიერ შესრულებულ ნაწარმოებთა ყოველ წერილმანს.

ლეონიდ სობინოვის სიმღერაში გონება მეფობს. მისი ხმა გაწკრთნილია განვლილი სკოლით უმცირეს დეტალებამდე; ამიტომ ამ კუმეარიტ ხელოვან-ოსტატის სიმღერა სტილიურია.

სტილი კი განუყრელად თანა სდევს მხოლოდ გონების ნაყოფს.

ტემპერამენტსა და გრძნობას სობინოვის სიმღერაში მეორე ადგილი უჭირავს.

სობინოვი აპოლონია სიმღერაში.

ამიტომაც იგი კარგია, შეუდარებელია იმ ნაწარმოებებში, სადაც საკიროა აპოლონიზმი.

„ლოენგრინ“<sup>2</sup>, „მისის ღამე“.

„ლოენგრინში“ მე მისმენია შესანიშნავ გერმანულ მომღერლებს—კნოტესა და ურლუსისათვის.


ლოენგრინის ცნობილ არიას სობინოვი მღერის უკეთესად, გაცილებით უკეთესად...

მაგრამ ნაწარმოებში, სადაც საკიროა სითბო, ტემპერამენტი, სობინოვი უკეთესად არის; არ ვიტყვით რომ სუსტია; არა, მომღერალი-ხელოვანი იქ არ არის თავის სფეროში.

აპოლონს არ შეუძლია დიონისოდ გაზღომა.

სარაჯიშვილი, რამდენადაც ძალა შესწევს, ანზორციელებს ამ პრინციპს თავის სიმღერაში.

<sup>1</sup> ნახი ყველგან სტატიის ავტორისა. შ. კ.



ტემპერამენტი და გრძნობა მის სიმღერაში პირველხარისხოვან როლს ასრულებენ.

მისი სიმღერა უშუალოდ მოქმედებს მსმენელზე,—მას ყველა გაიგებს. სობინოვისთვის კი საჭიროა ინტელიგენტი მსმენელი.

სარაჯიშვილის ხმის ტემბრი ბუნებრივია—იგი თვით ბუნებაა.

სობინოვის ხმის ტემბრი—ცივი სკოლაა, მაგრამ გონების მხატვრული შემოქმედების სკოლა.

ამიტომ სარაჯიშვილი კარგია იქ, სადაც სკარბობს გრძნობა—დიონისოს პრინციპი.

„მარგალიტის მაძიებელნი“, „რიგოლეტო“, „ტრავიატა“—აი, ასე ვთქვათ, Credo სარაჯიშვილისა.

სადაც საჭიროა მეტი მუშაობა, სკოლა, სტილი,—იქ სობინოვი შეუდარებელია მხატვრული თვალსაზრისით.

სადაც აუცილებელია გრძნობა, ტემპერამენტი, სითბო,—იქ სარაჯიშვილი, არ ვიტყვით რომ შეუდარებელია, მაგრამ კარგია უსათუოდ.

აპოლონი—სობინოვი, დიონისო—სარაჯიშვილი. აი, ორი პოლუსი.

...ვისურვებდით, რომ ახლო მომავალში სარაჯიშვილზედაც შეიძლებოდადეს ლაპარაკი, როგორც „სტილიურ მომღერალზე“ (გაზ. „ზაკავკაზსკაია რეჩ“, 1912 წ. 28 მარტი).

ეს სტრიქონები 1912 წელს დაიწერა, მაშინ, როდესაც უკვე დიდი ხანია ლაპარაკობდნენ ვანო სარაჯიშვილის სიმღერის სტილზე. ლაპარაკობდნენ არა მარტო რუსეთის იმპერიაში, არამედ სიმღერის ერთ-ერთი საუკეთესო სტილის სამშობლოში—იტალიაში. რა თქმა უნდა, აქ სრულებით არ არის ვანო დამცირებული, პირიქით—მარტო ის რაღა ღირს—„სარაჯიშვილის ხმის ტემბრი ბუნებრივია—იგი თვით ბუნებაა“. პატივცემულ ავტორს დავიწყებია, რომ სწორედ ეს ბუნებრივი ტემბრი, „დიონისოს ტემპერამენტი“, უბადლო იტალიური „ბელ-კანტოს“ ოსტატობა და უაღრესი მუსიკალობა ჰქმნიდნენ ვანო სარაჯიშვილის სიმღერის სტილს, რომელიც არცერთი მომღერლის სტილს არა ჰგავდა და რომლის წარმოქმნის საიდუმლოება (როგორც ეს არა ერთგზის აღნიშნა პრესამ) „მხოლოდ ვანომ იცოდა“.

ავტორს ისიც დავიწყებია, რომ სიმღერა დაწერილის მარტოოდენ პედანტური სიზუსტით შესრულება კი არ არის, არამედ გრძნობაა, სითბოა, ტემპერამენტი, და უამისოდ სიმღერა კი არა, მართლაც რომ „გონების ცივი სკოლაა“.



მანო სარაჯიშვილი

ნახატი სტალინური პრემიის ლაურეატის უნაჯაფარიძისა.





\* \* \*

ვანომ არ იცოდა, რა იყო შური და მტრობა. არ ვიცით, შემთხვევით მოხდა თუ განზრახ, მაგრამ ერთხელ ვანომ თითქოს შეჯიბრებაში გამოიწვია ლეონიდ სობინოვი (ყოველ შემთხვევაში, ასე სჩანს გარეგნულად).

ძველმა მუსიკოსმა გიორგი გვენცაძემ, რომელიც მაშინ ვარშავის ოპერის ორკესტრში მსახურებდა, მოგონება მოგვაწოდა:

„...ვანო სარაჯიშვილის სახელი პირველად 1910—11 წლებში გავიგონე. ხელოვნების განთქმული მუშაკები—მომღერლები, რომ იტყვიან, პირდაპირ გაგიჟებული იყვნენ მისი სიმღერითა და ოსტატობით. გულში მალულად ვამაყობდი, მოუთმენლად ევლოდებოდი მის მოსმენას... ზაფხულობით ჩვენი ორკესტრი საგასტროლოდ დადიოდა სხვადასხვა ქალაქებში. სამწუხაროდ, არ მახსოვს, რომელ ქალაქში მოხდა ეს:

დიდის ამბით მიმდინარეობდა ლეონიდ სობინოვის გასტროლები. ხალხი თეატრს აწყდებოდა. მოულოდნელად ვანო სარაჯიშვილი ჩამოვიდა და სწორედ ის სპექტაკლები გამოაცხადა საგასტროლოდ, რომლებშიც სობინოვი გამოდიოდა. სობინოვის შემდეგ მაშინვე დაიწყო ვანოს გამოსვლა. უფრო მეტი აურზაური ასტყდა. ყოველ ნაბიჯზე გაისმოდა: სარაჯინი! სარაჯიშვილი!

სალაროსთან პოლიცია ხალხს ერეკებოდა. სიხარულით ცრემლს ვერ ვიკავებდი. არ სჯეროდათ, რომ ვანო სარაჯიშვილი ქართველი იყო—იტალიელიაო, იძახოდნენ. მენახა ბევრი მომღერალი, მაგრამ ასეთი გიგანტი, ვირტუოზი კი არა. აქტიორული ოსტატობითაც დიდ შთაბეჭდილებას სტოვებდა.

ვანო მაშინ გამოვიდა „ლონგრინში“, „რომეო და ჯულიეტაში“, „მარგალიტის მაძიებლებში“, „ტოსკაში“. სხვათა შორის, ვანოსთან ერთად საგასტროლოდ ჩამოვიდნენ რომელიღაც იტალიელი დირიჟორი და მისი მეუღლე, რომელიც განსაკუთრებით არაჩვეულებრივი იყო „ტოსკაში“. ვანო მასთან ერთად გამოდიოდა (კავარადოსის პარტიაში), რამაც მთელი იქაური საზოგადოება აალაპარაკა და ზედმეტად ააფორი-აქა...“

მაგრამ „დიონისოს“ ეს შეჯიბრება „აპოლონთან“ არასოდეს არ გამხდარა ქიშობისა და ბუტიაობის საბაბი. პირიქით: ლეონიდ სობინოვს სიკვდილის დღემდე არ განელებია გულში ვანოს სპეტაკი სიყვარული.

საქვეყნოდ განთქმულმა რუსმა მომღერალმა ყველას გასაგონად აღიარა ვანოს სიდიადე, სიმღერის სტილი, ტემპერამენტი და „უნიკუმობა“. ამაზე — ქვემოთ.

### „მარგალიტის მაძიებელი“

ნადირის პარტია (ოპ. „მარგალიტის მაძიებელი“) ისეთ ნაწარმოებთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებიც ფართო გასაქანს აძლევენ მომღერალს, რათა მკაფიოდ გამოამჟღავნოს თავისი მაღალი ვოკალური ოსტატობა. ეს პარტია ვანო სარაჯიშვილის შემოქმედებითი გვირგვინი იყო. ბევრი იმუშავა ვანომ განთქმულ იტალიელ ოსტატებთან. ამ პარტიის უნაკლოდ მოსამზადებლად.

1914 წლის 7 იანვარს ამხანაგობის ანტრეპრიზამ, ივანე ფალიაშვილის მეთაურობით, ვანოს ბენეფისი გაუმართა. დადგმულ იქნა „მარგალიტის მაძიებელი“.

აი, ტროპიკული მცენარეულობით დაბურვილს მიდამოში ღიღინებს ნადირ. ეგრეთწოდებული „გაბმული მღერადობის“ ყაიდაზე დაწერილი არია ნადირისა სულში ჩაძწვდომი ღირიზმით იწყება. მერე, თითქოს ფრთა აისხლიტაო, ჩუქურთმოდან ბგერათა ქავლით მალლა მიიწევს და მიბნედილი. კრინით ლივილივებს... რამდენადაც ეს არია თვით იტაცებს ხოლმე გრძობიერ მომღერალს და სასიამო ბურანში ხვევს მას, იმდენად ძნელი შესასრულებელია: ხმის იშვიათ მოქნილობას, ისუბუქ მიმოხვრას, კარგად განვითარებულ სუნთქვასა და დიდ ტექნიკას მოითხოვს. რუსეთის განთქმულ შემსრულებელთა შორის ნადირის პარტიაში განირჩეოდნენ სობინოვი და სმირნოვი. საქოველთაოდ ცნობილია, რომ საერთოდ სიმღერა, და მით უფრო ტექნიკურად ძნელ ნაწარმოებთა შესრულება, გაცილებით იოლია მაშინ, როცა მომღერალი ფეხზე დგას და მისი ყოველი კუნთი წესიერ ფორმაშია — ნებისმიერ განწყობას ემორ-



ვანო სარაჯიშვილი ნადირის კოლში  
(იპ. „მარგალიტის მძიებელნი“ — ე. ბიზესი)

ჩილება. ამიტომ ამ ძნელ არიას ფეხზე ამდგარნი ან დამსხდარნი მღერიან ხოლმე.

ასევე სჩადიოდნენ სობინოვოცა და სმირნოვიც.

მაგრამ, აი, ვანო ნებიერად გაწოლილა სცენაზე, თავი ქვაზე მიუდევს, გრძელი მკლავები სასთუმლად ამოუჩრია და მღერის არიას:

„აღტაცებით აღსავსე მე პალმასთან ვიდევ...“

ტექსტსა და სცენაზე განსახიერებულს შორის ერთგვარი შეუსაბამობაა. ამიტომ ვანომ სიტყვები შესცვალა:

„აღტაცებით აღსავსე მე პალმასთან ვიწეკ...“

და ერთხელ, თეატრში მყოფი სმირნოვი მართლაც ისე დაითრო და მოიხიბლა ვანოს სიმღერით, რომ ლოქაში ადგილს ვერ პოულობდა. ლამობდა სცენამდე მიეწვდინა მკლავი და საერთო გრიალში თავისი ტაში გამოერჩია. სობინოვი? იგი ხომ ფიანდაზად უშლიდა ვანოს თავის სულსა და გულს. რამდენი მშვენიერი თაიგული მიართვა მან ვანოს, რამდენჯერ სთხოვა:

ვანო, გეთაყვა, მიმღერე კიდევ!

\* \* \*

ვანო სარაჯიშვილის შესრულებით „მარგალიტის მაძიებელნი“ უაღრესად პოპულარული გახდა. ყოველ კონცერტზე სთხოვდნენ ნადირის არიის შესრულებას. ნადირის ორიგინალურ კოსტიუმში კი ვანო რაღაც წარმტაც ბაირალს ჰგავდა.

რევოლუციამდე თბილისში ყოველ წელს იმართებოდა „ინვალიდთა საღამოები“. ამ საღამოებს ხელმძღვანელობდა მეფის ნაცვალ ფორონცოვ-დაშკოვის მეუღლე, რომელიც ინვალიდთა საზოგადოების თავმჯდომარე იყო. მაშინდელ ვითარებაში ეს საღამოები მეტად არისტოკრატიულად გამოიყურებოდა. ფორონცოვ-დაშკოვის მეუღლემ 1913 წელს მიიწვია ვანო ამ საღამოზე და სთხოვა ნადირის კოსტიუმით მორთული ყოფილიყო სტუმრებში. ვანო ასეც მოიქცა. მთელი საზოგადოების ყურად-

ღება ამ უნიკუმისაკენ იყო მიპყრობილი; თავიდან კოჭამდე ათვალიერებდნენ უჩვეულოდ მორთულ წერწეტა ვაჟკაცს. „არისტოკრატიულად“ მილულულ თვალს ლორწეტი ჰფარავდა და ეცლებოდა. ღიმილით საუბრობდნენ ვანოზე და კვლავ აღიმართებოდნენ ლორწეტები უჩვეულო „მარგალიტის მაძიებლის“ დასატყვევებლად.

თავისი ეშხი და ოქროპირობა ვანომ თან წაიღო სამარეში. ნაპოვნი მარგალიტი კი პეშვით მიმოჰფანტა მთელს სამშობლოში...

## ზორავული აღმოსავლეთის ოკვირის თეატრებზე. ინციდენტი.

განთქმული ღირიყორი და მშობლიური კულტურის მოყვარული ივანე ფალიაშვილი ერთი დღითაც ვერ იშორებდა შესანიშნავ მეგობარს—ვანოს. იგი მას თავის შემოქმედებითს აღტაცებას უზიარებდა; მასთან ერთად უმკლავდებოდა ყოველ სიძნელეს და დაბრკოლებას, რაც კი საყვარელ საქმეს აფერხებდა.

1914 წლის იანვრის 15-ს ივანე ფალიაშვილს თბილისის ოპერის თეატრში იუბილზე გადაუხადეს. დაიდგა ოპერა „ტანჰეიზერის“ მეორე აქტი. აქ ვანო სარაჯიშვილი ვალტერის პარტიას მღეროდა. საკონცერტო განყოფილებაში შეასრულა აბესალომის არია „ვეძებდი ბედსა“, შეასრულა ბევრი რომანსი. სპექტაკლის შემდეგ ახალ კლუბში გაიმართა დიდი ბანკეტი 100-მდე კაცის სტუმრობით. აქ იყვნენ განთქმული მომღერლები საბანევეა, ბარიტონი თადეუშ ორდა და სხვანი. მათ მოითხოვეს, რომ იმ ღამეს მარტო ვანოს ემღერა... ასეც მოხდა.

იუბილართან ერთად, ვანო სარაჯიშვილიც საზეიმო განწყობილებების ცენტრალური ფიგურა გახდა.

იმავე წლის 30 აპრილს ქიათურაში გაიმართა დიდი კონცერტი, სახალხო უნივერსიტეტის სასარგებლოდ. მონაწილეობის მისაღებად ჩავიდნენ: ვანო სარაჯიშვილი, გალ. ტაბიძე, ი. გრიშაშვილი, სოსო ტომაშვილი (ბანი).

ბევრი ამღერეს ვანო.

— ურმული, ურმული.. გენაცვალე!—არ სცხრებოდა ხალხი.


ვანომაც ეშხით მოიღერა ყელი და არა ერთი დიდებული ჰიმნი უგალობა იპერეთის ხუკუქუა მთების გაზაფხულს.

იმავე წლის 5 სექტემბერს, თბილისში, „საკომერციო ნოქართა კლუბში“ (პლენხანოვის პროსპ. № 147) მსახიობმა სოსო ტივიძემ გამართა „მხატვრული საღამო-მეჯლისი“. დაიდგა „მათიკო“ და კონცერტი ორ განყოფილებად. მონაწილეობდნენ: ე. ჩერქეზიშვილი, ვ. აბაშიძე, ნ. გოცირიძე, გ. ქუჩიშვილი, პ. ირეთელი, ქართველ მომღერალ-მუშათა გუნდი მ. კავსადის ლოტბარობით, მოცეკვავე ბახუტაშვილი და სხვანი. საღამოში მონაწილეობა მიიღო ვანომაც. საგანგებოდ დაბეჭდილ პროგრამებში სხვა მონაწილეთაგან დიდი ასოებით იყო ცენტრში გამოყოფილი—„ცნობილ მომღერალ ბ-ნ ივ. სარაჯიშვილის მონაწილეობით“. ვანომ დიდი წარმატებით შეასრულა აქ რამდენიმე რომანსი და ქართული სიმღერა. ტაშის გრიალს და მის გამოწვევას ბოლო არ ჰქონდა.

1914 წლის ზაფხულის სეზონში, თბილისის „ახალ კლუბში“ დიდი წარმატებით ტარდებოდა სიმფონიური კონცერტები ევა ბრიუნელის დირიჟორობით. კონცერტებში სოლისტად გამოდიოდა ვანო სარაჯიშვილი. მისი ყოველი გამოსვლა დამსწრე საზოგადოების ტაშის გრიალს იწვევდა.

ევა ბრიუნელი იყო ერთ-ერთი პირველი დირიჟორი-ქალი მაშინ მთელს რუსეთის იმპერიაში. დირიჟორობდა მხოლოდ სიმფონიურ კონცერტებს. განსაკუთრებით კარგად ასრულებდა ჩაიკოვსკის მეექვსე სიმფონიას და სლავეურ მარშს. დაინტერესებული იყო ქართული მუსიკალური ფოლკლორით. 1914 წელს კახეთში იმოგზაურა და ხალხური სიმღერები ჩააწერა. (იხ. „თეატრი და ცხოვრება“ № 1, 1915 წ., გვ. 15). სად, ვისგან ჩაიწერა ეს სიმღერები და როგორ გამოიყენა, ამაზე ცნობები არ მოგვეპოვება.

ჩვენმა პრესამ ევა ბრიუნელი ქართველად აღიარა. ეს არ არის სწორი: მამამისი—ალფონს ალფონსის-ძე ბრიუნელი იყო იტალიელი, დედა—როგორცა სჩანს—იუგოსლაველი (სერბი), შკაბიჩის ასული. ამ უკანასკნელს კი ქართველი ჰყოლია დედა,



ღირიშორი ევა ბრიუნელი

(წარწერა: „ჩემს მომაჯადოებელ სოლისტს ივანე პეტრეს-ძე სარაჯი-შვილს, ევა ბრიუნელისაგან. 1914 წ.“)



გვარად მორთულაძე. ე. ი. ევა ბრიუნელი თავისი დიდდღათი (დედის ხაზით) ენათესავებოდა ქართველებს. ალფონს ბრიუნელი მსახურებდა ოფიცრად ერევნის პოლკში. ევა დაიბადა მანგლისში. ქართული გაწაფულად არ იცოდა. ძალიან უყვარდა ქართველები. 1903 წელს დაამთავრა ნიკოლოზ I სახელობის თბილისის ქალთა ინსტიტუტი, სადაც სწავლობდნენ მისი დეზიუ. მუსიკალური განათლება მიიღო რომში. ცოლად გაჰყვა პეტერბურგის განთქმულ ვეჟილს ბობრიშჩევ-პუშკინს. სიცოცხლის ბოლო წლები უცხოეთში გაატარა. დირიჟორობდა პეტერბურგში, მილანში, რომში და სხვა დიდ ცენტრებში. გარდაიცვალა პარიზში 1934 თუ 1935 წელს.

ევა ბრიუნელი დიდად აფასებდა თავის საამაყო სოლისტს ვანო სარაჯიშვილს, რომლის წყალობით განსაკუთრებული ბრწყინვალეობით ტარდებოდა მისი კონცერტები.

1914 წლის ზაფხულშივე თბილისში საჯაროდ სრულდებოდა ნაწყვეტები დიმ. არაყიშვილის ოპერა „შოთა რუსთაველიდან“. ხალხური სიმღერების შეგროვებას დიმ. არაყიშვილი 1900-იანი წლებიდან შეუდგა.

გაზეთი „ზაკაეკაზსკაია რეჩი“ 19 ივნისის ნომერში სწერდა:

„...არაყიშვილმა ფონოგრაფით შემოიარა მთელი რაქა, სვანეთი, თუშეთი და საქართველოს სხვა რაიონები... მთელ რიგ თეორიულ სტატიებში მან გამოიკვლია ქართული ხალხური სიმღერების ძირითადი თვისებანი, გაარკვია მათი განსაკუთრებული ჰარმონიული წყობა, მოდულაციები, სტილი და სხვა ორიგინალური მხარეები. სხვათა შორის, ამ სტატიებმა ძალზე დააინტერესა ცნობილი ინგლისელი ქართველოლოგი ჯორდროზ მაჯორი... დ. არაყიშვილმა ამას წინათ დაამთავრა ოპერა „შოთა რუსთაველი“. მან აგრძნობინა საზოგადოებას ქართული ხალხური მუსიკის სიმდიდრე და სიღამაზე...“

1914 წლის 7 ივნისს „ქართულ კლუბში“ გაიმართა დ. არაყიშვილის ნაწარმოებთა კონცერტი. შესრულებულ იქნა ნაწყვეტები „შოთა რუსთაველიდან“. კონცერტში მონაწილეობდნენ ვანო სარაჯიშვილი, ე. მიხაილოვა და ბარიტონი გ. ღვინიაშვილი. სხვათა შორის, ვანოს იმდენად მოეწონა მგოსნის არია „შოთა რუსთაველიდან“, რომ გადაქრით განუცხადა დიმ. არაყიშვილს—ეს ნაწარმოები პირველად მე უნდა შევასრულოო.

არია დაწერილი იყო მაღალი ბანისათვის, რის გამო ავტორმა იგი ტენორისთვის გადააკეთა. ვანომ დიდი წარმატებით შეასრულა მგოსნის არია, აგრეთვე დიმ. არაყიშვილის სხვა ნაწარმოებნი—რომანსი „ალსდეგი, შეინავარდე“ და სხვ.

30 აგვისტოს გაიმართა სიმფონიური ორკესტრის გამოსათხოვარი კონცერტი ივანე ფალიაშვილის საბენეფისოდ. პროგრამა შესდგებოდა მხოლოდ ჩაიკოვსკის ნაწარმოებთაგან. კონცერტს დიდძალი საზოგადოება დაესწრო. ვანომ შეასრულა ჩაიკოვსკის ნაწარმოებები. საზოგადოების მოთხოვნით კონცერტი განმეორებულ იქნა 6 სექტემბერს. ვანოს რამდენჯერმე გაამეორებინეს ლენსკის არია.

1915 წლის 12 აპრილს ზუბალაშვილის სახელ. „სახალხო სახლში“ გაიმართა პოეტი ქალის ბაბილინას დილა. დიმიტრი უზნაძემ წაიკითხა ლექცია თემაზე „ხელოვნური შემოქმედებებს რაობა“. საკონცერტო განყოფილებაში მონაწილეობა მიიღეს ვანო სარაჯიშვილმა და იოსებ გრიშაშვილმა. ვანომ შეასრულა აქ ერეკლეს შესანიშნავი არია ოპ. „ლალატიდან“ (მ. იპოლიტოვი-ივანოვისა), აგრეთვე სხვა ნაწარმოებნი.

დამთავრდა 1915 წლის საოპერო სეზონი. 1911 წლიდან თბილისის ოპერაში განუწყვეტელი მოღვაწეობის შემდეგ, ივანე ფალიაშვილი თავისი დასით შორეულ აღმოსავლეთს გაემგზავრა. გასტროლები ჩატარდა ხარბინში, ბლაგოვეშჩენსკში, ხაბაროვსკში, ჩიტაში, ირკუტსკში, ომსკში, ტომსკში, ეკატერინბურგსა და პერმში.

პირველ ტენორად მიწვეულ იქნა ვანო სარაჯიშვილი. პერმის ოპერის დასში თავი მოჰქონდა ერთ ლირიკულ ტენორს. ვანოს გამოსვლისთანავე ეს ადგილობრივი ქურუმი დაიჩრდილა და მიიჩქმალა. მაშინ ვანოს სხვა მეტოქენი დაუპირისპირეს, მაგრამ ყველა დამარცხებული აღმოჩნდა. ხალხი ტაშის ქუხილით აჯილდოებდა შესანიშნავ უცხო ღმრთვალს. გაჩაღდა ინტრიგა. გაწბილებულ მომღერალთა პატივისმცემელნი ათასგვარ ხრიკებს აწყობდნენ ვანოსათვის სახელის გასატეხად.

ერთხელ ოპერა „სნეგუროჩკაში“ ვანო ბერენდის პარტიას ასრულებდა. როგორც ცნობილია, განთქმული არია ამ ოპერაში:

მეტად მუსიკალური აღნაგობისა და ტექნიკურად ძნელი შესასრულებელია. იგი აგებულია ნაზ მელოდირ ქარგაზე, მისი შესრულება პირველხარისხოვან ხმას და დიდ ვოკალურ კულტურას მოითხოვს. ამასთან, რა თქმა უნდა, საჭიროა უმწიკვლო გრძნობისა და სულიერი სითბოს გამოვლინება, რასაც მუსიკის გარდა თვით ტექსტი იწვევს. ვანო სარაჯიშვილს უხვად ჰქონდა მომადლებული ყველა თვისება იმისათვის, რომ ბრწყინვალედ შეესრულებინა ეს ნაწარმოები. ვანომ პოეტური განწყობილებით დაიწყო „შრომანა“, მაგრამ მოულოდნელად დარბაზში აქაიქ ხმაური და სიცილი გაისმა. გაცეცხლებული ივანე ფალიაშვილი აზოდ აწყნარებდა ხულიგნებს. ხალხმა თვით ჩააჩუმა ისინი. ვანომ აუღელვებლად განაგრძო და შესანიშნავად დაამთავრა არია. დარბაზში ტაშის გრიალი გაისმა. არია გაამეორებინეს. ვანომ გაიგო, ვინ იყო ამ საქმის ორგანიზატორი. ლაზათიანი სილა გააწნა და ძირს გაშხლართა. ამის შემდეგ სამაგიეროს გადახდა მოუნდომეს და უფრო დიდი წრე შეჭკრეს. ერთხელ, სპექტაკლის დამთავრებისას, ვანო გააფრთხილეს: გარეთ რამდენიმე შეიარაღებული კაცი გელოდებათ და ნუ გახვალთო. მეუღლეც ბევრი ემუდარა. სასაცილოდაც არ ეყო. ხულიგნები თეატრის გამოსასვლელშივე შეეგებნენ. ვანომ შეგროვილი ხალხი გააპო, პალტო გადიწია:

— არ დაგავიწყდეთ, რომ ქართველი ვარ. მე—ერთი, თქვენ—ყველანი, აბა მობრძანდით!

ხულიგნები მიიმაღლნენ.

დიდი წარმატებით გამოდიოდა ვანო აგრეთვე ქ. ეკატერინბურგში. ერთმა ძველმა რეცენზენტმა მას აქ თავისი სურათი უთავაზა წარწერით — „ქართველ მაზინის“. აუარება სურათი უთავაზეს მსახიობებმაც. აქ შეხედებით ნაირ წარწერას: „უძვირფასეს ადამიანს“, „შესანიშნავ მეგობარს“, „უბადლო მომღერალს“ და სხვა.

ციმბირის ქალაქებში ვანო გამოდიოდა: „ევგენი ონეგინში“, „ტრაგიატაში“, „რიგოლეტოში“, „მარგალიტის მადიებლებში“ და სხვა ოპერებში.

მოგვეყავს ამონაწერები ციმბირის გაზეთებში მოთავსებული რამდენიმე რეცენზიიდან:

„...მომხიბვლელი მუსიკალობით მიჰყავს ლენსკის პარტია სარაჯი-შვილს. არია „სად, სად შთაინთქეთ, გაზაფხულის ოქროს დღეებო..“ უდიდესი სითბოთი და გულწრფელობით შეასრულა, ამასთან, მეტად ლამაზი ფორმით...“ (1915 წ. პერმი. გაზ. „ურალსკაია ჟიზნ“).

„...ბ-ნი სარაჯიშვილი—ნეფე ბერენდეი—წარმოგვიდგა კავატინის ბრწყინვალე შესრულებით, ფინალური ნოტის შესანიშნავი ფილარებიტ...“ (1915 წ. „ურალსკაია ჟიზნ“).

„რიგოლეტოს“ შესახებ მოთავსებულ რეცენზიაში აშკარად დასტურდება ჩვენს მიერ ზემოთ გამოთქმული მოსაზრება ვანოს ხმაში ცვლილების დაწყების შესახებ ჯერ კიდევ ლადო მესხიშვილთან მეცადინეობის პერიოდში, რამდენიმე წლის წინ, ვიდრე „აბესალომს“ იმღერებდა და, საერთოდ, დრამატიული ტენორის რეპერტუარზე გადავიდოდა. ლადო მესხიშვილის ცეცხლმა და დრამატიული ტენორის პარტიების შესრულების გადულახველმა სურვილმა პირდაპირ ვოკალური რევოლუცია მოახდინეს და შეაძლებინეს ვანოს საოცრად გარდაეჭმნა თავისი ხმა. აი, ეს რეცენზიაც:

„...ბ-ნი სარაჯიშვილი იტალიურ ენაზე მღერის ჰერცოგის პარტიას პირადად უნდა დასწრებოდა ადამიანი სპექტაკლს, რათა თელნათლივ დარწმუნებულიყო იმ კოლოსალურ მეტამორფოზაში, რაც განიცადა ნიჭიერმა მომღერალმა. უეჭველია, რომ ბ-ნი სარაჯიშვილი დიდი ოსტატია ვოკალური დახელოვნების თვალსაზრისით... მომღერლის ხმა ძირფესვიანად გარდაიქმნა—გაძლიერდა, გაფართოვდა, აღივსო დანაკლისი ლითონით და, მიუხედავად პარტიის მაღალი ტესიტურისა, ზედმიწევნით თავისუფლად ეღერდა. ერთი სიტყვით, ხმა პირდაპირ ძნელსაცნობელი გახდა, რამაც, მომღერლის სიხუსტესა და მუსიკალობასთან ერთად, შესანიშნავი ჰერცოგი წარმოუდგინა მაყურებელს. ბ-ნი სარაჯიშვილს უდიდესი წარმატება ჰქონდა...“ (გაზ. „ურალსკაია ჟიზნ“, 1916 წლის 29 იანვარი).

ამავე გაზეთში ვხვდებით აღურთოვანებულ რეცენზიებს „მარგალიტის მადიებლებში“ და სხვა ოპერებში ვანოს გამოსვლის გამო. ნადირის არიას აქაც რამდენიმეჯერ ამეორებინებდნენ.

ციმბირში გასტროლების დროს ვანოს ჯარში გაწვევა დაუპირეს, მაგრამ მას დაეხმარა პერმის სამხედრო სამმართველოს

უფროსი, რომელიც უკლებლივ ესწრებოდა მის სპექტაკლებს და პარტიის პირველ რიგში მოჯადოებულებით იჯდა მუდამ.

## ბაქოში

ბაქოში საკმაოდ ნაყოფიერ მოღვაწეობას ეწეოდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ განყოფილება. არსებობდა ქართული დრამატიული დასიც. ბაქოს მრავალრიცხოვანი ქართველობა ამ კულტურულ დაწესებულებათა საშუალებით უკავშირდებოდა მშობლიურ ხელოვნებას. საზოგადოება ხშირად იწვევდა თბილისიდან არტიტულ ძალებს საგასტროლოდ. ზოგჯერ კი თვით ჩვენი მსახიობები და მწერლები საკუთარი ინიციატივით ეწვეოდნენ ბაქოს ქართველობას. ასეთი სტუმრობა მთელი დღესასწაული იყო სამშობლოს მოწყვეტილ ქართველობისათვის. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბაქოს განყოფილება ყოველ წელს მართავდა ტრადიციულ „ქართულ საღამოებს“, რომლებსაც მთელი იქაური ქართველობა ესწრებოდა. მაგრამ „შავი ოქროს“ სამშობლო—ბაქოში ტრიალებდა ბევრი უცხო კაპიტალისტი, მრეწველი, კომერსანტი, ინტელიგენტი. ისინიც ხშირად ესწრებოდნენ ხოლმე განთქმულ „ქართულ საღამოებს“, და აქ, ისე როგორც სხვა ცენტრებში, ამ საღამოებს დიდი მხატვრული წარმატება ჰქონდა.

ქართულ ტრადიციულ საღამოზე ბაქოში ვანო სარაჯიშვილი პირველად გამოვიდა 1912 წ. 21 იანვარს. ბევრმა ქართველმა პირველად მოუსმინა მაშინ თავის საამაყო თანამემამულეს, რომლის სახელი უკვე ფართოდ იყო ცნობილი. ვანოს გამოსვლა ქართველი საზოგადოების სადღესასწაულო ზეიმი გახდა. უცხოელთა გაკვირვებას კი საზღვარი არა ჰქონდა—ვინ მისცა პაწია ქართველ ერს ასეთი ჯადოქარი მომღერალიო.

უცხო აუდიტორიის წინაშე ვანო ინტერნაციონალური პროგრამით წარსდგა. მშობლიური საზოგადოება მან ჯერ დაატკბო ქართული სიმღერებით, შემდეგ კი იძღერა რუსულ, ფრანგულ, იტალიურ და აზერბაიჯანულ ენებზე.

## იაკობ მანსვეტაშვილი სწერს:

„... პირველად სარაჯიშვილი გავიცანი ბაქოში, სადაც მოწვეული გყავდა სამღეროდ ერთ ქართულ კონცერტზე, რომელსაც იქაური ქართველობა ყოველწლიურად ჰმართავდა ხოლმე. ამ კონცერტებზე დიდძალი ხალხი ესწრებოდა. ბევრი მოდიოდა სხვა ტომის ხალხიც. აჲ, გამოვიდა სარაჯიშვილი და დაიწყო „ურმული“. იმისმა ტკბილმა, გულის სიღრმეიდან ამონადენმა ხმამ მოგვნიბლა, ყველა სულგანაბული უსმენდა. ბევრი სხვა სიმღერით დაგვატყბო კიდევ, ალტაეებს და ტაშისკერას საზღვარი არ ჰქონდა. როგორც შევახსნიე, სარაჯიშვილს ხმა არ ჰქონდა მძლავრი, მაგრამ ეს ხმა იყო მეტად ნაზი, მეტად ტკბილი, გულის სიღრმეში გვზვდებოდა და ტკბილ გრძნობას გვიღვიძებდა...“<sup>1</sup>

1912 წლის შემდეგ ვანო ბევრჯერ ეწვია ბაქოს საგასტროლოდ და ალტაეება მოჰგვარა იქაურ საზოგადოებას.

1916—17 წლის სეზონში ვანო პირველ ტენორად მიიწვიეს ბაქოს ოპერის დასში.

ოპერის გარდა ვანო ხშირად მონაწილეობდა კონცერტებში და უწინარეს ყოვლისა ქართულ ხალხურ სიმღერას ასრულებდა; გულმოდგინედ აერცელებდა უცხო საზოგადოებაში მშობლიურ კილოს. მთელი ბაქოს ქართველობა გარს ერტყა ვანოს. იგი ყველასთან პოულობდა საერთო ენას განურჩევლად ასაკისა და პროფესიისა.

იშვიათი გულის პატრონი და თავაზიანი ვანო განა მარტო ოპერის ნაქუქში იყო მოქცეული! იგი ბაქოელი ქართველების სული და გული გახდა. მუსიკოსი გიორგი გვენცაძე (ახლა თბილისის ოპერის ორკესტრის არტისტი) ვანოს დროს ბაქოში უკრავდა. ვანოს სპექტაკლის შემდეგ ხშირად იკრიბებოდნენ მუსიკოსები მეგობრულ სუფრასთან, შთაბეჭდილებათა გასაზიარებლად. ერთი სპექტაკლის შემდეგ ღირექტორ ამირაგოსთან ერთად ვანომ სავახშმოდ შეუხვია. მუსიკოსთა სუფრასთან მიიწვიეს ყველა ფეხზე წამოიქრა. ღირექტორმა ვანოს გვენცაძე გააცნო.

ამხანაგების თხოვნით გვენცაძემ დაუკრა სოლო — „მარგალიტის მაძიებლებიდან“ (ნადირის არია).

<sup>1</sup> იაკობ მანსვეტაშვილი. მოგონებანი, ლ. ასათიანის რედაქციით, წინასიტყვაობით და შენიშვნებით, „ფედერაცია“, 1936 წ., გვ. 230, 231.

საპასუხოდ ვანომ ქართული სიმღერები შეასრულა და, სხვათა შორის, პირველად იმღერა ბაქოში აბესალომის არია—„ვეძებდი ბედსა“. მთელი ხალხი ფეხზე დადგა.

— რა დიდებული მუსიკაა, რა წარმატატი ხმაა, რა შესანიშნავი მომღერალია!

ბაქოში ვანოს წარმატების ნათელსაყოფად მოგვეყავს რამდენიმე სტრიქონი ერთი დამახასიათებელი რეცენზიიდან:

„... დიდი წარმატება ჰქონდა ვერტერის პარტიაში ვანო სარაჯიშვილს. ენტუზიასტებმა ჩადაკარბეს კიდევაც— ისინი ტაშით აწვევდნენ მსახიობს სიმღერას შუა მუსიკალურ ფრაზაზე..“ (გახ. „ქასპიი“, 1917 წ.).

მსგავსი რეცენზიები ბლომად გვხვდება ბაქოს მაშინდელ პრესაში.

## მანო სარაჯიშვილი და ქართული ოპერა

თვითმპყრობელობის დამხობამ ფრთა შეასხა პატრიოტული გრძნობით აღგზნებულ ვანო სარაჯიშვილს. გულანაძეგერმა შოაშურა ძვირფას სამშობლოს, ოცნებობდა ეროვნული ოპერის შექმნაზე, ათას გეგმებს აწუობდა. მაგრამ საქართველოში მაშინ ძველი ბოზობები ფარფაშებდნენ.

თებერვლის რევოლუციის შემდეგ თბილისის ოპერის თეატრის პოსტს შერჩა მეფის ნაცვლის კანცელარიის მოხელე პონიატსკი. თეატრში ისევ ბოგინებდნენ თვითმპყრობელობის აღდგენის მომლოდინე პირები, რომელთაც გული მისდიოდათ ქართული ხელოვნების ხსენებაზე.

ანტრეპრიზას სათავეში ედგა სიმღერის მასწავლებელი ლევიცკი. ამ დროს ოპერის დირექტორად დაინიშნა ალექსანდრე წუწუნაეა. იგი ახალი ჩამოსული იყო ბაქოდან, სადაც მუშაობდა რეჟისორად ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელი საზოგადოების დასში. ქართველ მომღერალთაგან ა. წუწუნაევს ოპერის დასში დახვდნენ სანდრო ინაშვილი და გიორგი ქურხული. არც ვანო სარაჯიშვილი, არც განთქმული მომღერლები ალექსკო და საბანეევა არ შეეყვანა დასში ლევიცკის. ა. წუწუნაევამ ალღო აუღო შექმნილ ვითარებას, მაგრამ ლევიცკისთან ხელშეკრულების დარღვევა შეუძლებელი იყო. თეატრს სახსრე-

ბი არ გააჩნდა. ლევიცკი უნიათო ანტრეპრენიორი გამოდგა. ხალხი ნაკლებად ესწრებოდა წარმოდგენებს. შესანიშნავი მომღერალი სანდრო ინაშვილი მდარე ანსამბლში გამოდიოდა. საქირო გახდა გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა ჩატარება. მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა ფილარმონიული საზოგადოებაც, რომელსაც მთავრობამ დახმარების მიცემა შეუწყვიტა. კოტა ხნის შემდეგ ა. წუწუნავამ დაარღვია ლევიცკისთან ხელშეკრულება და ს. ევლახიშვილს გადასცა ანტრეპრიზა. დაუყოვნებლივ შესდგა ახალი დასი, რომელშიც მიწვეულ იქნენ ვანო სარაჯიშვილი, ალექსო და საბანეევა.

იმ ხანად მეტად გავრცელებული იყო „ესპანური დაავადება“. ამ მოარულმა სენმა ბევრი ადამიანი იმსხვერპლა. ვანო, საზოგადოდ, ნაკლებ ყურადღებას აქცევდა ჯანმრთელობას. ხშირად ცივდებოდა ყარაიასა და სხვა ადგილებში თავდევნილებული ნადირობის დროს. ესპანური დაავადება შეეყარა და ლოგინად ჩაეარდა. სატკივარმა მაგრად მოჰკიდა ხელი. გული ჰქონდა დასუსტებული, სიცხეს ვერ უძლებდა. ავადმყოფობის პროცესში ზოგჯერ მეტად კრიტიკული მდგომარეობა იქმნებოდა. ვანოს სიკვდილის სუსხმა დაჰკრა, მისი სიცოცხლე ბევრზე ეკიდა. ოპერამ მატერიალური დახმარება აღმოუჩინა. როგორც იქნა აართვა ლოგინს თავი და ჯერ კიდევ რიგაინად არ მომჯობინებულიყო, რომ ჯოხდაბჯენილი მივიდა თეატრში.

1917 წლის 21 სექტემბერს ვანოს პირველი გამოსვლისათვის დაიდგა ოპერა „მარგალიტის მადიებელნი“ საბანეევას, ბალაბანისა და სხვათა მონაწილეობით. საზოგადოება აღფრთოვანებით შეხვდა მშობლიურ სცენაზე ვანოს გამოჩენას.

ამის შემდეგ იწყება ქართული ოპერის ისტორიის ბრწყინვალე თავფურცელი, მისი ახალი ერა და აყვავება. ვანოც არსად არ წასულა საქართველოდან. ნიადაგ ოპერაში ტრიალებდა. მონაწილეობდა კონცერტებში თბილისსა და პროვინციაში, მართავდა საკუთარ კონცერტებსაც. მიუხედავად იმისა, რომ ოპერაში ვანო პირველი ტენორის საპასუხისმგებლო პარტიებს ასრულებდა, იგი საზოგადოებრივ მოღვაწეობასაც ეწეოდა



„ქართველ მომღერალთა კავშირის“ ორგანიზაციაში, სანდრო ინაშვილთან და სხვებთან ერთად.

თბილისის ოპერის თეატრში იმ ხანად იმართებოდა დიდი თემატური კონცერტები ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებებისაგან. სრულდებოდა აგრეთვე დიმ. არაყიშვილის პირველი სიმფონიური ნაწარმოებნი, ხალხური და შემუშავებული სიმღერები. კონცერტებში მონაწილეობდნენ შესანიშნავად გაწვრთნილი გუნდები, მათ შორის—საუცხოო გუნდი, საგუნდო ხელოვნების დიდი ოსტატის ნიკო სულხანიშვილის ლოტბარობით.

ამ კონცერტებში სოლისტად გამოდიოდა ვანო სარაჯიშვილიც. ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებებს გარდა, იგი ასრულებდა სხვადასხვა ხალხურ სიმღერებს. აი, ნიმუშისათვის ორიოდე ასეთი კონცერტი:

1918 წლის 9 ივლისს თბილისის ოპერის თეატრში გაიმართა დიდი კონცერტი. გუნდს ლოტბარობდა ნიკო სულხანიშვილი. საგანგებოდ შერჩეულ პროგრამაში შეტანილი იყო ნ. სულხანიშვილის, მ. ბალანჩივაძის, ი. ჯაბადარის, დ. არაყიშვილის, ზ. ფალიაშვილის, კ. ფოცხვერაშვილის ნაწარმოებნი და ქართული ხალხური სიმღერები. კონცერტში მონაწილეობა მიიღეს ვანო სარაჯიშვილმა, სანდრო ინაშვილმა, აღასოვა-კალანდაძემ. ვანომ შეასრულა ნ. სულხანიშვილის შესანიშნავი ნაწარმოებნი: „გუთნური“ და „სამშობლო ხევსურისა“ (გუნდთან ერთად), მ. ბალანჩივაძის — „ნანა“, „ოდესაც გიცქერ“, „შენ გეტრფი მარად“.

იმვე წლის 30 დეკემბერს გაიმართა დ. არაყიშვილის ვოკალური და სიმფონიური მუსიკის კონცერტი. ამ კონცერტში ვანომ დიდი წარმატებით შეასრულა: „ახ, მთვარევ, მთვარევ“, „ურმული შალაურული“, „მზე აღარ ბრწყინავს“, „რაც გინდ მოხდეს ცხოვრებაში“, და სხვ.

ჩვენი ახალი მუსიკალური კულტურის აღმავლობა განუხრელად არის დაკავშირებული ვანო სარაჯიშვილის სახელთან. ჯერ კიდევ 1909 წელს, იტალიიდან დაბრუნების შემდეგ, უწინასწარმეტყველეს ვანოს ქართული ოპერის მიზრქმელობა,

მაშინ როდესაც ამის შესახებ თითქმის ბაიბურიც კი არ ის-  
მოლა.

ბენიერმა შემთხვევამ ორი დიდი ოსტატი შეახვედრა სა-  
მოღვაწეო ასპარეზზე—ზაქარია ფალიაშვილი და ვანო სარა-  
ჯიშვილი. მათმა გამოჩენამ იმედის ნაპერწკალი ჩაუსახა ეროვ-  
ნული ოპერის მოტრფიალეთ.

1897 წლის 20 დეკემბერს პეტერბურგის სკენაზე დადგმული  
„თამარ ცბიერის“ ერთი აქტი ქართული ოპერის დრუბლიანი  
გარიგრაჟია.

\*  
\*  
\*

ქართულ ორიგინალურ ოპერას წინ უსწრებს უცხო კომპო-  
ზიტორთა ოპერების თარგმნა და ქართულად შესრულება:

1887 წლის ივნისის დამდეგს, ქუთაისში, ფილიმონ ქორიძის  
კონცერტში ქალთა გუნდმა შეასრულა ქართულად  
საგუნდო სიმღერები რუბინშტეინის ოპერა „დემონი-  
დან“.

1890 წლის 4 მარტს ლ. აღნიაშვილის კონცერტში მომღ.  
ბურჯანაძემ შეასრულა ქართულად „დემონის“ არია  
„ნუ სტირ, ტურფავ!“

1897 წლის 20 დეკემბერს პეტერბურგში დაიდგა პირველი  
ქართული ოპერის „თამარ ცბიერის“ ერთი აქტი.  
მელ. ბალანჩივაძის ამ ერთადერთი ოპერის მთლიანად  
დადგმა მოხერხდა მხოლოდ... 1925 წელს თბილისის  
ოპერის თეატრში.

1902 წლის 16 თებერვალს ქართულ თეატრში (თბილისში)  
დაიდგა „დემონის“ მეორე მოქმედება (თარგმ. ია კარ-  
გარეთლისა). დირიჟორი—ნ. გ. ქართველიშვილი.

1904-5 წლ. სეზონში პეტერბურგში დაიდგა ქართულად  
ოპ. „დემონი“ (თარგმ. პ. მირიანიშვილისა).

1905 წლის 9 მაისს თბილისის არტისტული საზ-ბის თეატ-  
რში დაიდგა „სევილიელი დალაქი“ (თარგმ. ვ. გუნიაძე.  
პასუხისმგებ. განმკარგ. ია კარგარეთელი). მონაწილე-  
ობდნენ: ანდრეევსკაია, რჩეულიშვილი, ი. კარგარეთე-  
ლი, ცხომელიძე, აღასოვი, ბაქრაძე, კუზაშვილი და  
სხვ.

- 1905 წლის 22 ნოემბერს თბილისის ოპერის თეატრში დაიდგა იგივე „სევილიელი დალაქი“, რეაქციით დაზარალებული გურიის სასარგებლოდ.
- 1906 წლის 22 იანვარს თბილისის ოპერაში დაიდგა „დემონი“—ვ. გუნიას და ი. კარგარეთლის თარგმანი. რეჟის. ბოგოლიუბოვი. მონაწილეობდნენ: აღასოვი, ძნელაძისა, ი. კარგარეთელი, სიღამონიძე, გედევანიშვილი (დემონის პატი).
- 1906 წლის 18 აპრილს აქვე დაიდგა „ფაუსტი“—დ. ნახუცრიშვილის თარგმანი.
- 1907 წლის 7 აპრილს დაიდგა „კარმენი“—ვ. გუნიას თარგმანი. კარმენის პარტია შეასრულა ტასო აბაშიძემ.
- 1909 წლის 27 აგვისტოს თბილისის ქართულ სახაფხულო თეატრში გაიმართა დირიჟორ ჰ. ფალიაშვილის ბენეფისი. დაიდგა ქართულად ნათარგმნი ორი ოპერეტა— „უშიშარი რაინდი“ და „იტალიელთა წვეულება“.
- 1910 წლის 3 აპრილს თბილისის ქართულ თეატრში გაიმართა კონცერტი დ. არაყიშვილის ნაწარმოებთაგან. პირველად შესრულდა ნაწყვეტები „თქმულება შოთა რუსთაველიდან“. კონცერტში მონაწილეობა მიიღო ვანო სარაჯიშვილმა.
- 1911 წლის 30 ნოემბერს ქართულ თეატრში დაიდგა „სევილიელი დალაქი“—თარგმანი ვ. გუნიასი. (ალმავივა—ვანო სარაჯიშვილი, დონ-ბაზილიო—აღასოვი, როზინა—აღასოვა, დირიჟორი—ნ. ქართველიშვილი). სპექტაკლი განმეორდა 26 დეკემბერს.

საზოგადოებაში ათასი ხმა გავრცელდა: ქართული ენით შეუძლებელია როსინის შესანიშნავი ნაწარმოების სხარტად და მხატვრულად გადმოცემა, მომღერლებს ყელში გაეჩხირებათ მუსიკალური ფრაზა, წარმოდგენა ჩაიფუშებაო. მაგრამ სპექტაკლი შესანიშნავად ჩატარდა, და გამოირკვა, რომ ქართულ ენას დისონანსი კი არ შეაქვს ევროპული მუსიკის კეთილწყობაში, არამედ პირიქით—მოხდენილად და სხარტად შეერწყმის მას.

ქართულად „სევილიელი დალაქის“ ამ გამარჯვების მთავარი მიზეზი ვანო სარაჯიშვილი იყო. გაზეთი „ზაკავკახიე“ სწერდა: „საუცხოო ლირიკული ტენორი სარაჯიშვილი მომაჯადოებელ შთაბეჭდილებას სტოვებსო“.

1911 წლის 18 აგვისტოს თბილისის „ახალ კლუბში“ ვანო სარაჯიშვილი უდიდესი მხატვრული წარმატებით გაძლივინდა კონცერტში ვ. გუნიას ვოდევილის „მონადირეს“ შემდეგ. სხვა ნაწარმოებთა შორის აქ მან პირველად შეასრულა ქართულად ერეკლეს არია ოპერა „ლალატიდან“.

ერეკლეს შესანიშნავ არიას განსაკუთრებული გატაცებით და მგზნებარებით მღეროდა მუდამ. სულში ჩამწვდომი ლირიზმით გაისპოდა მისი სიტყვები:

„ემზით საესე დამე,  
ჩემი ტრფობა იწამე;  
შენს კალთებში დამძალე,  
დამფარე, შემობრალე...“

1912 წლის 14 მაისს „ქართულ კლუბში“ კვლავ დაიდგა ქართულად „დემონი“. დირიჟორობდა ნ. ქართველიშვილი.

1913 წლის 27 აპრილს „ქართულ კლუბში“ პირველად შესრულდა ზაქ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერის“ მესამე აქტი.

1916 წელს დაიდგა „რიგოლეტო“—თარგმ. კ. დოდაშვილისა.

1916 წლის 6 მაისს თბილისის სახალხო სახლში პირველად დაიდგა „ტრავიატა“—თარგმ. კ. დოდაშვილისა.

1917 წლის 9 მაისს „ახალი კლუბის“ საზაფხულო სცენაზე დაიდგა „ლაქიე“—თარგმ. კ. დოდაშვილისა.

1918 წლის 21, 23, 25 მაისს „ქართულ კლუბში“ დაიდგა მთლიანად პირველი ქართული ორიგინალური ოპერა „ქრისტიანე“—რეჟიზ გოგენიაშვილისა. იასონის პარტია შეასრულა ვანო სარაჯიშვილმა. ნაწყვეტები ამ ოპერიდან დაიდგა იმავე კლუბში უფრო ადრე—17 მარტს. იმავე წლის 17 ივნისს „ქრისტიანე“ დაიდგა ოპერის თეატრში.

1918 წლის სეზონში თბილისის ოპერაში დაიდგა ქართულად „დემონი“. დემონის პარტიას ასრულებდა სანდრო ინაშვილი, სინოდალისას — ვანო სარაჯიშვილი.

1919 წელს თბილისის ოპერაში პირველად დაიდგა იუმორისტული ოპერა-მოზაიკა 2 მოქმ., გადმოკეთებული „ივანოვ პაველიდან“ დორპატელის (კ. ფოცხვერაშვილის) მიერ.

1919 წლის 5 თებერვალს პირველად დაიდგა დ. არაყიშვილის ოპერა „თქმულება შოთა რუსთაველზე“. შოთას პარტიას ასრულებდა ვანო სარაჯიშვილი.

1919 წლის 21 თებერვალს პირველად დაიდგა ზაქ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“. პირველ სპექტაკლებში აბესალომის პარტიას ასრულებდა ზალიპსკი, შემდეგ კი — ვანო სარაჯიშვილი. მურმანის პარტიას თავიდანვე ასრულებდა სანდრო ინაშვილი და კიდევაც შეჰქმნა ამ გმირის დაუფიწყარი მხატვრული სახე. ერთხელ ეს პარტია შეასრულა გიორგი ქუროხულმაც.

1919 წელსვე დაიდგა ვიქტორ დოლიძის „ქეთო და კოტე“, შემდეგ მას მიჰყვა მისივე „ლეილა“. ვანო სარაჯიშვილი ამ ოპერებშიც ასრულებდა მთავარ პარტიებს.

1920 წლის 19 ნოემბერს პირველად ქართულ ენაზე დაიდგა „ლალატი“ იპოლიტოვ-ივანოვისა, თარგმ. კ. ფოცხვერაშვილისა. ერეკლეს პარტიას ასრულებდა ვანო სარაჯიშვილი.

1923 წლის 19 დეკემბერს პირველად დაიდგა ზაქ. ფალიაშვილის „დაისი“. მალხაზის პარტიას ასრულებდა ვანო სარაჯიშვილი...

„დაისი“ — ვანოს დაისი გახდა, „თავო ჩემო“ — მისი გედის სემლერა. 1924—25 წლის სეზონში მას უკვე აღარ უმღერნია.

ვანო სარაჯიშვილთან დაკავშირებით აქ ვწყვეტთ ქართულად ნათარგმნისა და ქართული ორიგინალური ოპერის განვითარების მოკლე სქემატურ მიმოხილვას. ჩვენ განზრახული გვაქვს საგანგებო ნაშრომი მიუძღვნათ ჩვენში საოპერო კულტურის განვითარებისა და ქართული ოპერის ისტორიას.

ამ მოკლე სქემიდანაც კი ნათლად სჩანს, რამდენად შესისხლ-  
ხორცებულია ვანო სარაჯიშვილის სახელი ქართულ ოპერას-  
თან.

### „ქრისტიანე“

1918 წლის მაისის პირველ რიცხვებში თბილისის „ქართუ-  
ლი კლუბის“ სცენაზე მთლიანად დაიდგა რევაზ გოგინიაშვილის  
პირველი ქართული ოპერა „ქრისტიანე“. რა თქმა უნდა, ამ  
ღირსშესანიშნავ მოვლენას დიდი ინტერესი უნდა გამოეწვია  
ქართველ საზოგადოებაში და მის შესყუართ დიდი შრომაც  
უნდა გაეწიათ მაშინდელ მძიმე პირობებში. თანაც, კლუბის  
სცენაც ვერ იყო რიგიანდ მოწყობილი საოპერო სპექტაკლის  
დასადგმელად. ათასი ბნელი ელემენტი ასისინდა. ირონიით  
ლაპარაკობდნენ ქართული ოპერის შესახებ. დიდი შრომა და  
თავგანწირვა დასჭირდა დირიჟორ ნიკოლოზ ქართველიშვილს<sup>1</sup>,  
რომ ყოველი სიძნელე გადაელახა და საქმე დაეგვირგვინებინა.

ვანო სარაჯიშვილი აღფრთოვანებით შეხედა პირველ ქარ-  
თულ ოპერას. დიდი ხალისით მოამზადა იასონის პარტია. ამ-  
ხანაგებიც გაამხნევა და ააგულიანა. დანარჩენ პარტიებს ას-  
რულებდნენ: კალანდაძე-ალასოვა (ქრისტიანე), კურბატოვი  
(დათია), მიხაილოვა (გამოვიდა სამ პარტიაში—მარიკა, დიასა-  
ხლისი, გოგია), ი. დავითაშვილი (არჩილი), ნ. ნიკოლაძე (დარ-  
ჩო), მუსიაჩენკო (კენტო), ლიხევიძი (სონა).

სპექტაკლი საზეიმო ვითარებაში ჩატარდა. ქართველ მუსიკოს  
მომღერალთა კავშირმა თაიგულები მიართვა რ. გოგინიაშვილსა  
და ნ. ქართველიშვილს. შემდეგ რამდენიმეჯერ დაიდგა ეს  
ოპერა ზედიზედ.

ქართულ კლუბში დადგმის შემდეგ „ქრისტიანე“ გადატანილ  
იქნა სახალხო სახლისა და ოპერის თეატრის სცენაზე. ოპერის  
თეატრში „ქრისტიანეს“ მართლაც ეგნატე ნინოშვილის ქრის-  
ტინეს წამება ხედა წილად. ხულიგნებმა აფიშები აახიეს და

<sup>1</sup> შვილია ცნობილ გიორგი ქართველიშვილისა (საზოგ. მოღვაწის, „ვეფ-  
ხის-ტყაოსნის“ გამომცემლის). მუსიკ. განათლება მიიღო პარიზში. თავდა-  
დებული მებრძოლი იყო ქართულ ოპერისათვის 1900-იანი წლებიდან.  
გარდაიცვ. 1922 წელს. დასაფლავ. დიდუბეში. შ. კ.

ყოველნაირად შეეცადნენ სპექტაკლის ჩაშლას. სარაჯიშვილი ბრონქიტით გახდა ავად. მაგივრობა იკისრა ბერიოზინმა ორი რეპეტიციით. ერთი მონაწილე—დავითაშვილი სამსახურის მივლინებიდან დაბრუნდა სპექტაკლის დღეს და პირდაპირ სადგურიდან მოადგა ოპერის თეატრს უზარმაზარი ხურჯინით. დარაჯმა არ შეუშვა, მილიციაში წაიყვანეს. ხალხი სპექტაკლს ნაკლებად დაესწრო. ორკესტრის მსახიობები წინასწარ თხოულობდნენ ნახევარ გასამრჯელოს; იმუქრებოდნენ—დავიშლებითო. ოპერა მიჰყავდა ღირიგორ გრანელის. ეძახდნენ ავტორს. განაწამები, ნერწყვგამშრალი და გაფითრებული რევაზ გოგნიაშვილი ქანდარაზე იყო მიჩქმალული...

ასეთ პირობებში გამოიხსნა კვირტი ქართულმა ოპერამ,— შიმშილთან, სიცივესთან, სილატაკესთან და ათასი ჯურის ხულიგნების წინააღმდეგ ბრძოლაში. წამების ჯვარზე გაკრულ ავტორს კი დიდ მოთხოვნილებას უყენებდნენ, მაშინ, როდესაც ამ მოთხოვნილებათა ავტორებს ერთი ჩხირიც არ გადუბრუნებიათ მის დასახმარებლად.

ვანო სარაჯიშვილი ძაღლონეს არ იშურებდა იმისათვის, რომ პირველ ქართულ ოპერას როგორმე გაემარჯვებინა და მოსისინე ხულიგნებს ენა ჩასწყვეტოდათ. პრესამ მოკლედ მოსკრა:

„... ვანო სარაჯიშვილის სახელი ნათელჰყოფს, როგორც შესრულებდა იასონს: სრული ხატება მოგვცა“.

და ეს „ხატება“ ასევე სადად უნდა შევიდეს ქართული ოპერის ისტორიაში, მიუხედავად იმისა, რომ „ქრისტინემ“ ვერ მოიღვა ფეხი.

## „დემონი“

1918—19 წლის სეზონში განახლდა ქართულად რუბინშტეინის „დემონის“ დადგმა. დემონის პარტიას ასრულებდა სანდრო ინაშვილი, სინოდალისას—ვანო სარაჯიშვილი.

ეს პირველი ქართული საოპერო პარტიაა, რომელიც მოამზადა ვანომ ჯერ კიდევ პეტერბურგში და, როგორც აღვნიშნეთ, განიზრახა კიდევაც მისი შესრულება, მაგრამ ამის ნება არ დართეს და სამაგიეროდ სპექტაკლში ლეკური იცეკვა. ეს პატარა, მაგრამ სატრფიალო განცდის შემცველი პარტია მას

შესანიშნავად ეხერხებოდა და მუდამ დიდი წარმატებით ასრულებდა. რა თქმა უნდა, დიდად უწყობდა ხელს ჩაცმულობა და საერთო იერი.

ოპერას დიდი წარმატება ჰქონდა. ხალხით გაკედლილი იყო ხოლმე დარბაზი.

### „თქმულება შოთა რუსთაველზე“

1919 წლის 5 თებერვალს თბილისის ოპერის თეატრში პირველად დაიდგა მთლიანად დიმიტრი არაყიშვილის „თქმულება შოთა რუსთაველზე“. სპექტაკლში მონაწილეობდნენ: ვანო სარაჯიშვილი (შოთა), სანდრო ინაშვილი, კალანდაძე-აღასოვა, შულგინა-ბახუტაშვილი და სხვანი.

ეს ოპერა ისე მოეწონა ვანოს, რომ ყველა პარტიის შესრულება მოინდომა. იგი არ დაჯერდა მარტო შოთას პარტიას. ჯერ იყო და მგონის სიმღერა გადააკეთებინა ავტორს ტენორისათვის და შეასრულა კონცერტებში. ახლა ურმულსაც დაეპატრონა და ასრულებდა მას ერთსა და იმავე სპექტაკლში, შოთას პარტიასთან ერთად. ამას ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ ოპერის მსვლელობაში შოთა და მეურმე არ ხედებიან ერთმანეთს.

მქუხარე ოვაციას იწვევდა „ვერ დაიქირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი“, რასაც ვანო უშუალოდ გულის სიღრმიდან ამოიღებდა და ქართული ჩუქურთმით გაშლიდა. „ურმულზე“ ხომ ლაპარაკი ზედმეტია.

ვანო სარაჯიშვილმა და სანდრო ინაშვილმა შეჰქმნეს მარად ღარსახსოვარი სახეები, რითაც ხელი შეუწყვეს დიმ. არაყიშვილის ოპერის წარმატებას.

„ქრისტინეს“ შემდეგ დიმ. არაყიშვილის „თქმულება შოთა რუსთაველზე“ ქართული ოპერის პირველი ნაწილი საძირკველი გახდა. ცოტა ხნის შემდეგ მას გვერდში ამოუდგა ზაქ. ფალიაშვილის უკვდავი ქმნილება „აბესალომ და ეთერი“.



## „აბესალომ და ეთერი“

წვეთ-წვეთად გროვდება...

დედამიწის წიაღში მოჟონავს და დაჟინებით მოიკვლევს გზას, რაკი ერთხელ აიღვამს ფეხს, ვერავითარი ძალა ვერ აღკვეთს მის მდინარებას: კლდე-ლრეს გაარღვევს და ბროლის ჩანჩქერად გადმოსკდება. სიცხით შეხუთულ ადამიანს ნეტარებას ჰგვრის, ყვავილს ახარებს.

ასეთია ანკარა წყარო.

\*

ხალხური თქმულება „ეთერიანი“ ასევე ბროლის წყაროსავით მომდინარობს საუკუნეთა მანძილზე ქართულ ფოლკლორში. აქ მოთხრობილია შესანიშნავი უფლისწულის აბესალომისა და ლარიბ-ლატაკი ეთერის სიყვარულის თავგადასავალი.

აბესალომ და ეთერი ია-ვარდია.

მათი გამთიშველი მურმანი კი — ეკალი.

სიყვარული მარადიული ბედნიერებაა. იგი ადამიანის სიკვდილის შემდეგაც სცოცხლობს — ისევე ყვავილად ამოდის და მხეს უბრუნდება.

\*

„მურმან, მურმანს“ საუკუნეთა მანძილზე მღერის ქართველი ხალხი. „ეთერიანს“ მწერალმა პეტრე მირიანიშვილმა გაუკვლია გზა მუსიკისაკენ. მაშინ ქართული ოპერა ახლად ამოწვერილ ჯეჯილსა ჰგავდა. წარმტაცი ხალხური თქმულება ცის ნამივით დაეპკურა მას და ჯეჯილი „დაპურდა“.

ოპერა „აბესალომ და ეთერი“ ქართული მუსიკალური კულტურის ოქროს თავთავია.

\*

პეტრე მირიანიშვილმა გულმოდგინედ შეისწავლა „ეთერიანის“ მრავალი ვარიანტი და ოსტატურად გამოჰკვეთა ოპერის ლიბრეტო.

ლიბრეტო მზად იყო, მაგრამ ოპერის დამწერი არსადა სჩანდა. აბესალომის ლანდი კი პეტრეს მოსვენებას არ აძლევდა.

საქმე იქამდე მივიდა, რომ 1900-იან წლებში 42 წლის პეტრემ... სამუსიკო სასწავლებელში შესვლა განიხრახნა, რათა საკომპოზიციო ხელოვნება შეესწავლა და ოპერის წერას შესდგომოდა. ასე ძალუმაღ მოედო მის სულსა და გულს „აბესალომ და ეთერის“ ცეცხლი.

მოსკოვიდან ახლად დაბრუნებული ზაქარია ფალიაშვილი ქართულ გიმნაზიაში მუსიკას ასწავლიდა. თავისუფალ დროს ფონოგრაფით დადიოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და ხალხურ სიძღერას აგროვებდა; მშობლიური კილოს აღნაგობას შესტრფოდა და უკვირდებოდა. ამ საგანზე ზაქარიამ შესანიშნავი წერილები მოათავსა მაშინ პრესაში. ხანგრძლივი თავდადებული მუშაობით მან დიდძალი მასალა დააგროვა.

პეტრე მირიანიშვილმა სთხოვა ზაქარიას—შესდგომოდა „აბესალომ და ეთერის“ წერას, მაგრამ კომპოზიტორმა შორს დაიქირა, — სამაგისო არც უნარი მაქვს და არც გამოცდილებაო. დრო გადიოდა, პეტრე თავისას არ იშლიდა. მან ურნ. „ფასკუნჯში“ გამოაქვეყნა ლიბრეტოს ნაწყვეტი და ბოლოს შესძლო ზაქ. ფალიაშვილის დაინტერესება. დაინტერესდა დიმი. არაყიშვილიც, რომელმაც მოსკოვიდან სთხოვა პეტრე მირიანიშვილს „აბესალომის“ ლიბრეტოს გაგზავნა. თხოვნა დაგვიანებული გამოდგა: პეტრეს უკვე გადაცემული ჰქონდა ზაქარიასთვის თავისი ლიბრეტო.

1912 წელს ზაქარია შეუდგა ოპერის წერას. შესანიშნავ ხალხურ თქმულებას მან ხალხურივე გენიალური მუსიკა დაუდვა საფუძვლად. მაგრამ... მზამზარეული ხალხური მუსიკა როდი იყო გაშოსადეგი ოპერისათვის.

„. ჩემი თავი და თავი მიხანი და მისწრაფება ყოველ ჩემს ბუჟაობაში ყოფილა და მუდამაც იქნება, რომ ქართული ჰანგების „ჰარმონიზატორმა“ თუ შემთხვევლმა არასგზით არ უნდა ჯალალატოს იმ პრინციპს, რომელიც თავდაპირველ განძს წარმოადგენს ხალხური ჰანგების დამუშავება ანუ შეთხზვაში. ეს პრინციპი განლაგთ მთლიანად და სუფთად დაცვა ქართული კოლორიტისა, რაც თვით ხალხის გულიდანაა აღმონაცენი. რასაკვირველია, ყველაფერი ეს გეროპულ ან, უკეთ რომ ვთქვათ, მსოფლიო მუსიკალურ ფორმებში ჩამოყალიბებული, მისივე კანონზე დამყარებული და ტექნიკურად შემუშავებული უნდა იყოს“, — სწერდა ზაქ. ფალიაშვილი თავის ავტობიოგრაფიაში („თეატრი და მუსიკა“ № 1, 1919 წ. ქუთაისი).

აი, ამ პრინციპს ემყარებოდა იგი და ამ გზით ცდილობდა ქართული ოპერის აყვავება-განვითარებას. ამ პრინციპს იცავდა „აბესალომ და ეთერი“ მუშაობისას. მაგრამ „ქართული ჰანგის მსოფლიო მუსიკალურ ფორმებში ჩამოსაყალიბებლად“ უდიდესი შრომა და შემოქმედებითი წვა იყო საჭირო. ზოგჯერ ზაქარია დილიდან საღამომდე უყრავდა ხოლმე შინ ფონოგრაფით ჩაწერილ ერთ რომელიმე სიმღერას, ვიდრე თავის ყაიდაზე არ შეიმუშავებდა ჩვენს ხალხურ ჰანგს. შემოქმედებით გატაცებულ ზაქარიასთვის დამახასიათებელი იყო ასჯერ ერთი და იმავეს მოსმენა.

„აბესალომ და ეთერი“ იწერებოდა ნელი ტემპით, რადგან უაღრესად გადატვირთულ ზაქარიას მხოლოდ ზაფხულის თვეებში ჰქონდა მასზე მუშაობის შესაძლებლობა. თანაც მუდამ ფრთხილობდა. მუშაობის პროცესში ხშირად უთქვამს ხოლმე მას: მე პრეტენზიები არა მაქვს, რათა ჩემზე სთქვან—ოპერა დაწერაო... მე ვიძლევი მასალას, გერებ და ვაყალიბებ მას, გამოვიტან საზოგადოებაში, შემდეგ გამოჩნდება ალბათ ვინმე უფრო ნიჭიერი და ოპერას დასწერსო. ერთმა უბედურმა შემთხვევამ კი მთლიანად შესწყვიტა „აბესალომზე“ მუშაობა. ზაქარიას გარდაეცვალა მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული ერთადერთი ვაჟი.


კომპოზიტორმა ფორტეპიანოს ზურგი შეაქცია და 2 წლის განმავლობაში არ მიჰკარებია. მთელს დღეებს პირმშოს საფლავეზე ატარებდა.

ერთხელ საღამომდე ვერ გაეყარა შვილის საფლავს. შინ დაბრუნებული ფორტეპიანოს მიუჯდა და მთელი ბოლო ამოანთხია.

იმ ღამეს პირველად გაისმა აბესალომის განძარცულ სულის ღაღადღისი:

„ვეძებდი ბედსა და ვბოვე ხელად,  
ბედმა ჩაპაგდო ამ სატანჯვლში.  
ზინათ-დოვლათი, ყოფა-ცხოვრება  
ამოდ მიჩანს ეშპაკის ხელში...“

კლავიშებს ზაქარიას ცრემლი ეცემოდა და ფანტასტიკური სილიაღით უპასუხებდნენ ისინი ამ ბედკრულ მამას.



ოპერა „აბესალომ და ეთერის“ ლიბრეტოს ავტორი მწერალი  
პეტრე შირიანიშვილი

„...მეფობა ჩემი, დიდებულება  
ახლა ვინ უნდა გაიზიაროს...  
თავსა ვგრძნობ ობლად,  
გულთ ვარ მართო,  
მზე ჩაესვენა, რამ მიმშუქაროს...“

აბესალომის არია მეცხრე. ტალღასავით მოზღვავებული  
გრძნობით იწერებოდა მაელი ღამის განმავლობაში. ირიჟრაჟა.  
აისი შეწითლდა. ზაქარიას სისხლნაკრავ თვალზე კი წამწამიც  
არ დახრილა.

დიდმა ხელოვანმა „აბესალომში“ გააცოცხლა ძვირფასი შვილი. ამიტომ არის ეს ქმნილება უკვდავი და ხელოვნებით „სიკვდილისა დამთრგუნველი“. ამიტომ ასე მძაფრად განიცადა იგი ჰანგთა პოეტმა, დიდმა ვანო სარაჯიშვილმა და საკუთარი გულის ცნებლით აღაგზნო ყოველი ბგერა.

გარდა ვანოს განსაკუთრებული პირადი თვისებებისა, ეს იმითაც აიხსნება, რომ „აბესალომ და ეთერიან“ ვანოს ნაცნობობა არ იწყება მარტო სცენიდან. იგი მშობლიური გახდა მისთვის შემოქმედების პროცესშივე, როცა ხორცს იხამდა ეს დიდებული ნაწარმოები. აბესალომის პარტია ზაქ. ფალიაშვილმა ვანოს არტისტულ და ფოკალურ ქარგაზე შექქმნა. იგი დიდ ანგარიშს უწევდა ვანოს ამ ოპერის წერის დროს, ყურს უგდებდა მის მეგობრულ რჩევას.

ბევრჯერ ვესაუბრე რესპუბლიკის სახალხო არტისტ სანდრო ინაშვილს ამ საგანზე და ბევრჯერ ცოცხლად დამიდგა თვალწინ ვანო „აბესალომ და ეთერის“ შექმნის პროცესში.

აი სანდროს ნაამბობი:

— ვანო სარაჯიშვილის მოგონება მე გაზაფხულის ერთნეტელს მგერის. ვამაყობ როგორც ზომღერალი და ქართველი კაცი. ამავე დროს, ეს მოგონება ჩემთვის მეტად მტკივნეულია...

ვანო არა მარტო უახლოესი სულიერი მეგობარი იყო ჩემი, არამედ უღრდესი შთამაგონებელიც მთელს შემოქმედებითს მუშაობაში. მის მომაჯადოებელ სიმღერას ტყვედ ვყავდი და ტყვედ ვყევიარ ახლაც.

პირველად ვანოს 1909 წელს მოვხსმინე, როცა იტალიიდან დაბრუნდა. თეატრიდან გაბრუნებული გამოვედი. სადღაც ზღაპრულ მხარეში მეგონა თავი. მსგავსი ვირტუოზული ოსტატობა, სულის სიღრმეში ჩამწვდომი ხმა, ჩემს დღეში არ მომესმინა. მთელი თბილისი ფესზე დადგა. გულით მწყუროდა ვანოს გაცნობა. ვინ მიმიშვებდა... ქაბუკი ვიყავ, სახალხო სახლში მომუშავე საოპერო დასის გუნდში ვმღეროდი.

1913 წელს „აბესალომის“ ნაწყვეტების შესრულებისას პირველად მოიხმინა ვანომ ჩემი ხმა. უნდა გამოვტყდე—ძალიან მოეწონა და ალალი გულით მაქო. ფრთები შემესხა. ეს ჩემთვის

უდიდესი ზეიმი იყო. მხატვრული შთაგონება გამიათქვცდა. შემდეგ ვანო და მე განუყრელი მეგობრები გაუხდით. გარდა იმისა, რომ ვანო აჯადოებდა ადამიანს თავისი სიმღერით, იგი არანაკლებ მომხიბლავი იყო როგორც პიროვნება: გიჟმაჟი, ალალ-მართალი, პირდაპირი, გულკეთილი და მეგობრისთვის თავდადებული. სიმღერაში ვანო იწოდა. ვერ წარმოედგინა არსებობა თეატრისა და სცენის გარეშე.

„აბესალომ და ეთერზე“ ერთად დაფიქვით მუშაობა ზაქარია ფალიაშვილთან ვანოს არ მოსწონდა ზოჯჯერ ზაქარიას ევროპიზირებული ჰარმონია და პირშივე ეტყოდა მას:

— ქართულ ჰანგს ნუ ლალატობ, ზაქრო! ისე დასწერე, რომ ქართველ კაცს შიგ გულში მოხედეს...

ზაქარია თავს იმართლებდა, მაგრამ ვანო მაინც არ უთმობდა.

— ქართული ხალხური სიმღერა, ქართული კილო მე არანაკლებ გამეგება. აბა, მომკითხე, რა სიმღერა გინდა!

და მართლაც, რა არ იცოდა ვანომ. ხშირად ვმღეროდით გრძელ კახურ „მრავალჟამიერს“, „შიდ გურჯანელს“ და სხვა ჩვენს დიდებულ ხალხურ სიმღერებს.

ზაქარია დიდ ანგარიშს უწევდა ვანოს. ძალიან ხშირად ასწორებდა ადგილებს „აბესალომში“ მისი რითითების მიხედვით. ანრიგად, ვანოს უახლოესი მონაწილეობით იქმნებოდა ქართული მუსიკალური კულტურის ეს უმშვენიერესი მარგალიტი. „აბესალომ და ეთერის“ შესწავლის პროცესში ჩემს თვალწინ ზღაპრული მღვევივით იზრდებოდა ვანო, როგორც ვირტუოზი-ეოკალისტი და ქართული სიმღერის ბუნების იშვიათი მცოდნე. და განა მარტო ქართულისა? უცხოეთში ბევრი შესანიშნავი მღერლისათვის მისი მენია. მათ შორის ბევრი იყო წსოფლიო-ში სახელგანთქმული. აშკარად უნდა ვთქვა—არცერთ მათგანს ვანო არ დაუფარდებოდა არც ხმის სილამაზით, არც ტექნიკით, არც გრძნობითა და შესრულების ტექპერამენტით, არც ნაწარმოების უნაკლო გადმოცემით. ამასთანავე, რა თქმა უნდა, ვანო ბრწყინვალე აქტიორიც იყო, და იშვიათად თუ

ვინმე შეედრებოდა როლის სცენიურ განსახიერებაში... მაგრამ ეს ძალიან შორს წაგვიყვანს.

ჩვენი დიდი მგოსნის აკაკი წერეთლის თქმისა არ იყოს, ვანო „ანდამატურის ძალით“ იზიდავდა თავისკენ სცენაზე მასთან მყოფ პარტიოვს. პირადად მე, მაგალითად „ჭუგენოტების“ პირველ აქტში, როდესაც ვანო რაულის გამოსასვლელ არიას მღეროდა, ჩემი სიტყვები მავიწყდებოდა. მთელი გულისყური ვანოს სიმღერისაკენ მქონდა მიპყრობილი. რეპლიკებს ვტოვებდი. რამდენჯერ უთქვამს ამის გამო ჩემთვის საყვედური დირიჟორ ვანო ფალიაშვილს. ბავშვივით ვიმართლებდი ხოლმე თავს,—რა ვქნა, ვანოს სიმღერამ გაშიტაცა, ყური ვერ წავართვი-თქო.

რამდენი რამის თქმა შეიძლება კიდევ ვანოზე!

ვანოს სიმღერა—ამოუწურავი თემაა, მისი გავლენა შემოქმედებითი ქრუანტელი და სიხარულია. ვანოს პიროვნება—შესანიშნავი ქართველი ვაჟაკის შარავანდელია.

\*

1917 წელს ზაქარიამ დაასრულა „აბესალომი“. იმავე წლის დამლევს მან თავისი 5-მოქმედებიანი ოპერა<sup>1</sup> განსახილველად წარადგინა ოპერის თეატრში. მოწვეულ იქნა საგანგებო კომისია, რომელშიაც შევიდნენ: კონსერვატორიის დირექტორი, ცნობილი კომპოზიტორი პროფ. ნ. ჩერეპნინი, პროფესორები ი. აისბერგი, ნ. ნიკოლაევი, კომპ. საბინსკი, ლიტერატორი ი. ლვოვი, დირიჟორები ნ. ქართველიშვილი და სტოლერმანი, კრიტიკოსი ა. ცენოვსკი. კომისიამ მომღერალ ზალიპსკისა და სხვათა შესრულებით მოიხმინა ნაწყვეტები „აბესალომიდან“. ნაწარმოები ერთსულოვნად მოიწონეს.

კომპოზ. ჩერეპნინმა ოპერის საფუძვლიანად გაცნობის შემდეგ გამოსთქვა აზრი: „აბესალომ და ეთერს“ სერიოზული მუსიკალური ღირსება აქვს. ულამაზეს მელოდიებთან ერთად ოპერას აქვს მშვენიერი ორკესტრირება. იგი დიდი ყურადღების ღირსია, მისი დადგმა საჭიროა და სასურველია“.

<sup>1</sup> შემდეგ შემკირდა და ნაწილობრივ გადაკეთდა. შ. კ.



კომპ. ზაქარია ფალიაშვილი  
(ნახატი სტალინური პრემიის ლაურეატის უჩა ჯაფარიძისა)



ასევე აღნიშნეს სხვებმაც. დიდი ღვაწლი მიუძღვის „აბესალომის“ წინაშე დირიჟორ სტოლერმანსაც.

\* \* \*

„აბესალომ და ეთერმა“ ქართული ფილარმ. საზღვის მხრუნველობით აიდგა ფეხი.

ნაწყვეტებს „აბესალომიდან“ ვანო 1913 წლიდან მღეროდა. ქართველმა საზოგადოებამ ამ ოპერის ერთი აქტი 1913 წლის 27 აპრილს მოისმინა. პარტიებს ასრულებდნენ: კოლოტოვა, გოფმანი და დუელი. დირიჟორობდა ზაქარია ფალიაშვილი.

ქართული ოპერის გამოჩენამ საზეიმო განწყობილება გამოიწვია. „სახალხო გაზეთი“ სწერდა:

„...ბ-ნ ფალიაშვილის შრომა ქართული მუსიკის ისტორიაში დიდი და მნიშვნელოვანი მოვლენაა... მოვისმინეთ პირველი ქართული ოპერის ერთი აქტი, რომელმაც ღრმა შთაბეჭდვლება მოახდინა ყველაზე და იპედი ჩაგვისაზა, რომ ახლო მომავალში ქართული ხელოვნება, ქართული მუსიკა თავის საკადრის და შესაფერ თვალსაჩინო ადგილს დაიკავებს განათლებული ქვეყნების ხელოვნებაში...“

შესანიშნავი რეცენზიები მოათავეს სხვა გაზეთებმაც, თუმცა, შემსრულებელთ უსაყვედურეს — ქართული მუსიკის სულით და ხასიათით ეგრ განისჯვალნენო.

ერთი თვის შემდეგ განმეორდა იგივე კონცერტი პირველი სურათის მიმატებით. შეიცვალა შემსრულებელთა შემადგენლობა: აბესალომს მღეროდა ვანო სარაჯიშვილი, მურმანს — სანდრო ინაშვილი, ბელიარ-ეშმაკს — ვ. ლორთქიფანიძე. ეთერის პარტიას კვლავ კოლოტოვა ასრულებდა.

შთაბეჭდილება ძირფესვიანად შეიცვალა. მსმენელმა პირველად შეიგზნო მშობლიური კილოს დიდებული ჩუქურთმა, რაც ვანოს ჯადოქრული შესრულებით უჩვეულოდ გაბრწყინდა და მარგალიტად მიმოიფანტა.

გაზ. „ზაკავკაზსკაია რეჩი“ სწერდა:

„...შემსრულებელთა შარის პირველ დაფნას ვაკუთვნებთ ბ-ნ სარაჯიშვილს, რომელმაც დიდი გემოვნებითა და განწყობილებით შეასრულა აბესალომის პარტია...“

ამის შემდეგ ვანო ხშირად ასრულებდა კონცერტებში აბესალომის არიას.

1915 წლის 13 ივნისს თბილისის ოპერის თეატრში გაიმართა დიდი საქველმოქმედო საღამო. პირველ განყოფილებაში შეასრულეს კ. ფოცხვერაშვილის „პირიმზე“, მეორეში ნაწყვეტები „აბესალომიდან“. გაზ. „საქართველო“ სწერდა:

„... აგერ აბესალომი (ბ-ნი ი. სარაჯიშვილი). რა ალტალებას იწვევს იგი ფალიაშვილის სასიკაფულოდ ბ-ნი სარაჯიშვილიც ფრიად კარგ გუნებაზე იყო და თავისი ხმა ასე ლამაზად შეუწყო აბესალომის ტრფიალების ნაზი ყვავილების გაშლას. ასეთივე სიყოჩაღე გამოიჩინა ბ-ნმა ინაშვილმა მურმანის როლში...“

ვანო სარაჯიშვილი გულმოდგინედ ავრცელებდა სამშობლოს გარეთ „აბესალომს“.

ჯერ კიდევ 1913 წელს პირველ საჯარო შესრულებისთანავე ერთხმად აღნიშნა პრესამ „აბესალომ და ეთერის“ მაღალი ტესტირება. ვანო სარაჯიშვილი „აბესალომს“ ყველაზე ძნელ პარტიად სთვლიდა თავის რეპერტუარში. ეს რეპერტუარი კი მეტად მდიდარი იყო და ბევრ ათეულ პარტიას შეიცავდა, — ტრავიატიდან — „ჭუგენოტებამდე“. სიძნელე, უწინარეს ყოვლისა, იმ სულიერი ტკივილების გამომხატველია, რასაც „აბესალომის“ პარტია აყენებდა ვანოს, როგორც შემოქმედს, რომელიც ღრმად განაცდიდა აბესალომის საბედისწერო თავგადასავალს და მასთან ერთად დნებოდა და ქლქდებოდა სცენაზე ხალხის თვალწინ. „აბესალომის“ შესრულების შემდეგ ვანო ჰგავდა განადგურებულ ადამიანს, რომელსაც „ბედმა დაუგო მახე“ და მზაკერულად გამოსტაცა ხელიდან თავისი ეთერი.

როგორ მღეროდა და ანსახიერებდა ვანო „აბესალომს“?

ბევრმა სცადა ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. მრავალგზის ითქვა — შეუძლებელია იმ განცდის გადმოცემა, რასაც მსმელი ვანოს სიმღერის დროს განიცდისო.

1919 წლის 21 თებერვალი ოქროს ასოებით ჩაიწერება ქართული მუსიკალური კულტურის ისტორიაში. თბილისის ოპერის თეატრის სცენაზე ამ დღეს პირველად დაიდგა „აბე-

სალომ და ეთერი“. სხვებთან ერთად ბევრი იზრუნა ვანომ ათასგვარ საქმეების მოსაგვარებლად. დადგმა განახორციელა ა. რ. წუწუნავამ. დირიჟორობდა თვით ავტორი — ზ. ფალია-შვილი. მხატვარმა ზალცმანმა მშენიერად გააფორმა სპექტაკლი. განსაკუთრებით კარგი იყო პირველი აქტი, რასაც პრესამ უწოდა „გაზაფხული სცენაზე“.

სპექტაკლში მონაწილეობდნენ:

აბიო მეფე — გ. ქურბული  
აბესალომი — ბ. ი. ზალიძსკი  
ნათელა — მოროხოვა  
მარიხი — გრანელი<sup>1</sup>  
ეთერი — ო. შულგანა (ბახუტაშვილი)  
დედინაცვალი — გურჯი  
მურმანი — ს. ინაშვილი  
ნანა, მურმანის დედა — მანდენოვა  
ბელიარ-ეშმაკი — ვ. ლორთქიფანიძე  
თანდარუხი — ა. ქუმბურიძე.  
სტუმარი (პირვ. მოძახილი) — კურბატოვი  
„ (მეორე მოძახილი) — ორლიოვი

ბალეტი — ბალეტმეისტერ ს. ვაკარეცის ხელმძღვანელობით და პრიმა-ბალერინა მ. ე. ბაუერზაკის მონაწილეობით. რეჟისორი იყო ა. დ. ბელსკი.

მეორე აქტის-შემდეგ ავტორს მხურვალე სიტყვებით მიმართეს. ორკესტრის მსახიობმა ე. ნ. კაპელნიცკიმ თავის სიტყვაში განაცხადა—მსოფლიო მუსიკალური საუნჯის ოქროს ჯაჭვს ერთი რგოლი—ოპერა „აბესალომ და ეთერი“ შეემატაო... და ბევრი რამ ყურადსაღები ითქვა იმ ღამეს, რაც შემდეგ ჟამთა ვითარებამ საესებით გაამართლა. პრემიერა გვიან ნაშუალამესს, 2 ს. 30 წუთზე, დამთავრდა. ეს გამოწვეული იყო როგორც ტექნიკური მიზეზებით, აგრეთვე ოპერის სიდიდითაც. „აბესალომი“ გადატვირთული იყო ზედმეტი მოქმედებით და სცენებით. ჭეშმარიტ გულშემატკივართა რჩევა-დარიგებით ზაქარია ფალიაშვილმა დახვეწა და უფრო მიმზიდველი გახადა

<sup>1</sup> ცოლი იტალიელი დირიჟორისა; რომელიც მაშინ თბილისის ოპერაში მოღვაწეობდა. შ. კ.

თავისი ქმნილება. ეს ამბავი ვრცლად აქვს მოთხრობილი პატივცემულ ილია ზურაბიშვილს თავის ნაშრომში — „ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერი“ (გამომც. „ტექნიკა და შრომა“, 1941 წ., თბილისი, გვ. 13—20).

უცხო ტომის კაცმა, ზალიპსკიმ, დიდი ენერჯია დახარჯა და მშვენივრად ისწავლა ქართული. იგი შესანიშნავი ხმით დაჯილდოებული მომღერალი იყო (გარეგნულად კი — ჩია, შეუხედავი), და ვოკალურად უკეთეს აბესალომზე ოცნება შეუძლებლად მიაჩნდათ. თავისი ნიქის გარდა ზალიპსკის ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ მას არა ერთხელ მოესმინა კონცერტებში აბესალომის არია ვანო სარაჯიშვილის შესრულებით. ვანოც აქებდა ზალიპსკის, აღნიშნავდა, რომ მან მშვენივრად შეითვისა პარტიის საერთო განწყობილება და ქართული ფრაზიობა. მაგრამ ზალიპსკის დიდხანს არ დასცალდა „აბესალომობა“. რამდენიმე სპექტაკლის შემდეგ იგი ვანომ შესცვალა და შემდეგ ზალიპსკი ამ პარტიას აღარ გაჰკარებია. ვანომ ხალასი ქართული იერი მისცა „აბესალომს“, მშობლიური ნიჟანსებით გაამდიდრა ყოველი სასიმღერო ფრაზა, რაც არამცთუ ზალიპსკის, საერთოდ არავის არ შეეძლო მთელს მსოფლიოში. სცენიურ განსახიერებაზე და არტისტულ იერზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო. ვანო ზალიპსკიზე უკეთ თამაშობდა და თავის როლს ანსახიერებდა სცენაზე მაშინაც კი, როცა უძრავად იდგა.

აბესალომის პარტიაში ვანოს მოსმენის შემდეგ აღფრთოვანებული ზალიპსკი ამბობდა:

— ჰე, ჩემო კეთილღ... ისე რომ იმღერო აბესალომი, როგორაც ვანო სარაჯიშვილი მღერის, სარაჯიშვილად უნდა დაიბადო, რადგან ამ შემთხვევაში მღერის თვით მისი ბუნება, და ეს მომაჯადოებელი ბგერები ყველა მისსავე სისხლშია!<sup>1</sup>

---

<sup>1</sup> ეს სიტყვა-სიტყვით დახსომებია ს. ი. ველახიშვილს. თბილისიდან ბ. გ. ზალიპსკი ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრა სამოღვაწეოდ-ვერ მიღწია. გარდაიცვალა სტამბოლს გულის სიღამბლით. შ. კ.

„აბესალომ და ეთერის“ არაქაროველი მონაწილენი (კურბატოვი და ანსამბლი) ვერ სძლევდნენ „ჩაკრულოს“. ეს დიდებული ქართული ჰანგი მათი შესრულებით მკრთალად გამოიყურებოდა და მახინჯდებოდა. ვერ ურიგდებოდა ამას ვანო. აქი მას მართლაც ხომ სისხლში ჰქონდა გამჯდარი ბავშვობიდანვე ჩვენი ხალხური სიმღერა. გადასწყვიტა თვითონვე ემღერნა „ჩაკრულო“. მღეროდა კიდევაც. ხშირად. სხვას რომ თავი დავანებოთ, სცენიურადაც გამართლებული იყო ეს აზმავი. ან კი, კაცმა რომ სთქვას, რად უნდა იჯდეს აბესალომი უხმოდ თავის ქორწილში? ეს ხომ ქართული სუფრის ბუნებას ეწინააღმდეგება. გარდა ამისა, ქორწილში ხომ მაინც ბედნიერია აბესალომი.

ვანო „ჩაკრულოთიც“ არ დაკმაყოფილდა. ერთხელ თანდარუხის პარტიის შემსრულებელს ან. ჭუმბურიძეს უთხრა:

— ჭუმბურ! შენი ფრაზაც მე მომე, ბიჭო — „მადლობას გიძღვნი, მეფეო, მტერთ შემმუსვრელო, მკლავად ძლიერო“. ვინ დაუჭერდა? ამასაც ხშირად მღეროდა ვანო.

ანტონ ჭუმბურიძე იგონებს: მეც სიამოვნებით ვუთმობდი ხოლმე, ვინაიდან სარგებლობის მეტი ჩემთვის არა იყო რა. ვანოს მიერ შესრულებული რომელიმე ფრაზა, ისიც ქართულ ოპერაში, ეს საგანძური იყო.

ზაქარია ფალიაშვილსაც ეს უნდოდა:

— ვანო, ვანო! შეუკიდე ერთი, რა, შენებურად შეუკიდე დღეს „ჩაკრულო“ და...

\* \* \*

დაბურულს ტყეში ობლადაა ტურფა ეთერი. ვალალებს, ჰგოდებს თავის მწარე ხვედრს და უპატრონობას.

უცებ საყვირის ხმა გაისმა, და მონადირეთა ომახიანი სიმღერა აგუგუნდა. ეთერი გარბის—არ მიუსწრონ ძონძში გახვეულს. აგერ, თეთრად მორთული უფლისწული: გიგმაეი, სხარტი, ეშხიანი. ნადირს ესროლა, დაჰკოდა და გამოედევნა.

სცენაზე ვანო სარაჯიშვილი შემოიქრა.

ჩაიჩოქა, კვლავ მოიმარჯვა ისარი და... ელდა ეცა. შეტორტმანდა, თითქოს ნიადაგი შეერყა ფეხქვეშ. მკლავი მოკვეთი-

ლივით დაეშვა ძირს. გაფითრებულა: სახეზე ერთად აღბეჭდია გაოცებაც და ალტაცებაც, კმუნეაც, იმედიც... მერცხლის ფრთასავით ცელქობს წარბი, თვალთაგან ლამის ცრემლი წასკდეს.

ეთერს სუნთქვა შეეკრა. ლამობს გაექცეს თვალმომპრეულ მზეს. მაგრამ აბესალომი გამოერკვა, მოკრძალებით გზა გადაუქრა და თაიგულივით მიაგება ყოველი სიტყვა:

— მე ბანი-ბანად გეჭებდი,  
შენ ბალი-ბალჩად გეძინა...

გული საგულეს ჩადგა, ზაგეს ღიმილი შეეპარა და უფრო მეტი მგზნებარებით შეჭბედა სატრფოს:

— გაგეხსნა ოქროს საკინძი,  
ბროლის გულმკერდი გეჩინა.  
ეგ ლამაზი გიშრის თმანი  
ვარდისებურ პირს გეფინა...

გულწრფელობამ გააშიშვლა ქაბუკის გული. ტრფობის აღმურმა გაიტაცა, ...და გაჰქრა ბრწყინვალე უფლისწულიც, ახლა იგი ეთერის მონა-მორჩილია:

— დაგინახე...

თითქოს ყოყმანობს, მაგრამ უფრო ძალუმაღ ალინასკვა გულის სიღრმიდან:

— მყის ავტირდი,  
კურცხლავ ცრემლი დაშედინა.

ცეცხლი მინელდა, ქარიშხალმა გადაიქროლა. ახლა უფლისწულს უფრო მშვიდად შეუძლია გაუკვალოს გზა თავის გრძობას და ოპერის მსახიობის შტამპით გაჰყვეს პარტიას: ერთი კვირის წინ მოისახროს—რა დროს სად დადგეს, როდის დაიდოს ხელი გულზე, წინ წარსდგას ფეხი ან წარმოსთქვას ყოველი ფრაზა. მაშ, რის მაქნისია რეჟისორი, მათემატიკა, „ქეკა“, გნებავთ... „აპოლონიზმი სიმღერაში“ და მსახიობის გამოცდილება? ეს „მიღწევები“ ყველაზე კარგად იცის იტალიის და პეტერბურგის სცენებზე ნაწროთობმა ვანომ, მაგრამ... ის ხომ

ახლა აბესალომია და არა ვანო სარაჯიშვილი, რომელიც სცენაზე ფეხის შემოდგმისთანავე შთანთქა ფალიაშვილის „აბესალომმა“.

ვანოს ყოველი ბგერა ხავერდივით ეფინება დარბაზის სიერესს; აღამიანს სასიამო ჟრუანტელსა ჰგვრის. ნეტარებით სთვლემს მსმენელის სული და გული.

ეთერმა აბესალომს სამუდამოდ მიანდო ბედი. აბესალომმა ხელი მოჰხვია ეთერს და ნიავექარივით გაიტაცა.

მუხლმოკვეთილი დარჩა მურმან — მეფის ვეზირი. დარბაზში სანდრო ინაშვილის შესანიშნავი ხმა გუგუზნებს:

— კაცსა გულუხვსა ახლა შემექნა  
გული ხარბი და გაუძღომელი.  
ხელმწიფე შეხდა ტურფა საყვარელს,  
მე კი მის ვეზირს მწარ სატანჯველი...

უსაზღვროა მურმანის სევდა, რადგან:

— ამომავლსა მზეს სწუნობს  
ეთერის ეშხი, სიტურფე...

მაგრამ თვით მზე ცდილობს მიჰბადოს ეთერს სილამაზით, და სწუხს მურმანი, რომ ისიც არ არის მეფე.

დიდებულად ჩატარდა აბესალომისა და ეთერის ქორწილი. დაილოცა მეფე აბიო, თამადამ ყანწი ასწია, და გაჩაღდა ლხინი...

მაგრამ ხანმოკლე აღმოჩნდა ბედნიერება...

წყევლიად მოუცავს დიდებული მეფის სასახლე. სიყვარულის ყვაილი სკვნება, და ყოველივეს მწუხარების ელფერი აზის. სულშეხუთული აბესალომი ობლად ზის ტახტზე. მკედრის ფერი აქვს. მაყურებელი ხელოვნების სასწაულს ელის. მან იცის, რომ ვანო სარაჯიშვილი ახლა ისე დასტანჯავს მის სულსა და გულს, როგორც თვითონ იტანჯება. ისე აუწეწს ნერვებს და მოჰგვრის ვარამს, როგორც თვითონ ძლივს იკავებს ცრემლს საგოდებლად განმზადებული. ხმაშეკიდებით გაისმა პირველი ფრაზა:

— ვეძებდი ბედსა და ვპოვე ხელად...

ვანოს თითქოს უნებურად აღმოხდა ეს სიტყვები გულის სიღრმიდან; ისე, როგორც ანგარიშმიუცემლად მოსთქვამს ხოლმე ჭირისუფალი ძვირფასი ცხედრის წინაშე და არაფერს არ უწევს ანგარიშს. დარბაზს ერუანტელმა დაუარა. ათასი გული ერთად შეტორტმანდა.

ჰგოდებს შავს გვირგვინს სასომიხდილი აბესალომ:

— მეფობა ჩემი, დიდებულება  
აწი ვინ უნდა გაიხიაროს...

ყოველი სიტყვა ძვირფას ჩუქურთმოვან ჩარჩოში ზის, ხოლო ჩარჩო მშობლიურია თავისი წაირფერი გრებილობით, სამკაფლით, ბგერის მინანქრით. თათქოს თავღლის სანთელივით დნება გული და წვეთ-წვეთად სდის ხელოვნების საკურსხეველზე:

— თავსა ვგრძნობ ობლად,  
გულით ვარ მარტო,  
მზე ჩაესვენა, რამ მიმშუქაროს...

ეს გულშემზარავი შეძახილი მოულოდნელი ლახვარავით იკრება მსმენელის გულში, და მართლაც, ვანო ისე მტკივნეულად წაივლებდა ხოლმე გულზე ხელს, თითქოს ყოველ მსმენელს ემუდარებოდა — აჰა, ეკალი ამომაძრე და მალამო მომცხეო.

აბესალომის მწუხარება ზენიტს უახლოვდება. ჰაერს აპობს ვანოს წარმტაცი ხმის მწვერვალი — ხალასი ვერცხლი და ხავერდი, ჯადოქრულად შედუღებული:

— ეთერო, შენი სიკეთე მაწვეს, გაგიშვა, დავიჩქარო...  
ოჰ, თავო ბედშავო, ოჰ, პირო მზე-ბნელო... ვაი, ვაი, ვაი.

ვის უვლია მუდამ ია-ვარდით მოფენილ გზაზე. ვის არ დასტყდომია თავს „ვაი“, ადრე თუ გვიან. მაგრამ ვანოს „ვაიო“ ადამიანი ჯერ განუცდელ, რალაც ფანტასტიკურ საშინელებასა გრძნობდა და უნებურად მოინაცვლებდა სავარძელზე ჩამოდებულ ხელს...

სასომიხდილ აბესალომს რეკვიემით ჩაესმის ყურში გუნდის გულჩათხრობილი მოტირილი:



— რა დღე დაგვიდგა, რას მოვესწართ,  
ლხენა დასრულდა ნალეულ-სიმწარით!

თუმცა თვალი ხედავს, გონება მაინც ბუჩანშია, და თითქოს უფრსკულიდან ისმის გუგუნნი:

— ეთერი ქალი, გვირგვინოსანი,  
ვარდი შეგვექნა ყვითელ-სოსანი...

შემოდგომის მკენარი ფოთოლივით შრიალებს ეს საბედისწერო:

— ყვითელ-სოსანი...

გუგუნნი უფრო ძლიერდება. გონებას ბინდი სცილდება და სასტიკი სინამდვილე დგას აბესალომის წინაშე. ამაოდ ეძებს იგი შეელას, ამაოდ ემუდარება კარისკაცთ და სეფე-ქალებს:

— მიშველეთ, ეს რა შემემთხვა,  
რა ვქნა, რა წყალში ჩავვარდუ!

აუწერელ შთაბეჭდილებას სტოვებდა ვანო ამ დროს. მოელს პარტერს გლოვის ზარი ედებოდა, და მართლაც, გულის ნაცვლად აღამიანს მყინვარი რომ ჰქონოდა მკერდში, მწუხარედ უნდა დაეკვნესა.

ოცი წელი შესრულდა, რაც ვანო აღარა გეყავს.

— მიშველეთ, ეს რა შემემთხვა!

თითქოს მოისმის ოპერის ბალში მისი საფლავიდან. შევტორტმანდები, მივიწევე და... უფრო ნათლად ვგრძნობ ჩემს ჰქიანკველობას“ ბუნების ძალთა გარდუვალობის წინაშე.

ეთერმაც სთხოვა აბესალომს:

— გამიშვი, მეფე, ველად გავიქრა,  
ნადირის მსგავსად ვიარო...

შეების ნაცვლად მეტი ტანჯვა მოჰგვარეს მეფეს. ხსნა აღარ არის; ყველა გადუდგა, და უნდა განშორდეს ძვირფას ეთერს.

— ჰეიჰ, ვის გინდათ ქალი ეთერი,  
თავს ოქროს გვირგვინოსანი...

აღწერელ ჟრუანტელს იწვევდა ეს სიტყვები და შემდეგ, ელდნაცემი რომ მიმართავს მურმანს:

— შენ?!

უყოყმანოდ შეიძლება ითქვას, იშვიათად მოიპოვება ადამიანი, რომელსაც უცრემლოდ მოესმინოს ვანოსაგან:

— მურმანო აჰა, ეთერი ..

შენთან ჰპოვებდეს შევბასა...

უკანასკნელ სიტყვას სამუდამოდ გულდათუთქულ ადამიანით წარმოსთქვამდა ვანო, და ეს ყველას სჯეროდა.

\* \* \*

გაფითრებულა, ჩამომკნარა აბესალომი, კლექი შეჰყრია. ეთერთან მიდის, რათა უკანასკნელად იხილოს „წყლულს მალამო“ და სიყვარულის სარეცელზე რაინდულად დალიოს სული.

რა საოცარი ცვლილება!

მესამე აქტის შემდეგ რაღაც ოციოდე წუთი კი არა, თითქოს მართლაც წლები გასულა, და ველარ სცნობთ დიდებულ ვაჟკაცს: ვეფხვის ნახტომი აღკვეთრა, ტატიტ მიჰყავთ კარისკაცებს:

— ეთერო, გთხოვ მომისმინო...

გაბზარული სმით, მთელი გულით ენუდარება იგი ეთერს, რომელიც ფიცის გამტეხელს უწოდებს და ეს უფრო სტანჯავს აბესალომს.

წარბშეკრული მურმანი შურდულივით დაეშვა თავისი კოშკიდან და აბესალომის წინაშე დგას.

— მეფეს ვახლავარი

სანდრო ინაშვილის ამ მოკლე მუსიკალურ ფრაზაში ქართული ზრდილობაც ესმის, მორჩილებაც და მედიდურებაც.

— მურმან, მურმან, შენსა მხესა ..

ეს საქვეყნოდ ცნობილი ღუეტი ვანოსა და სანდრო ინაშვილის შესრულებით ცალკე დრამატიული პოემის სახეს



## ვანო სარაჯიშვილი აბესალომის როლში

(ოპ. „აბესალომ და ეთერი“ — ზ.ქ. ფალიაშვილისა)

იღებდა და ძვირუასი თვალივით ეღვარებდა მთელს „აბესალომ და ეთერიში“.

— მარგალიტი მძივად ვიქეც,

ეთერ-ქალი რა დღეშია?..

— გაფუჩქენილა შვების ვარდი,

დამკენარა თუ რა დღეშია?

სულსა და გულს ატანდა თან ამ სიტყვებს ვანო. რამდენადაც უფრო ელოლიავება ეთერს აბესალომი, მით უფრო აწამებს ეს მურმანს, ხოლო როცა უკვდავების ცხრა წყაროზე გზავნიან, ბოლმავარამი ზენიტს აღწევს: -

— ახლა კი გულმა მაცნობა,  
ბედი გექნება მწარეო;  
ამალამდელიო ღამეო,  
ნუ გათენდები მალეო...

სანდრო ინაწვილის სასიამოდ მკექარე ხმა ტალღასაგეო  
ტორტმანობს მთელს დარბაზში, წარმტაც ბგერათა ჩანჩქერე-  
ბად ცელქობს მალღებზე და მკიდროდ გუგუნებს დაბალ ნო-  
ტებზე:

— ბედი გექნება მწარეო...

ვანოს მოძახილი თაიგულივით იკრებოდა ამ გუგუნში, გასაო-  
ცარი სურნელება შეჰქონდა შიგ.

აბესალომი უკანასკნელად შეხვდა ეთერს. მართალია, მესამე  
აქტში ეთერთან განშორებისას ვანო რალაც ფანტასტიკურ  
ზენიტს აღწევდა, მაგრამ რატომღაც მგონია, რომ ეს უკანას-  
კნელი შეხვედრის სცენა უძლიერესი იყო მთელს პარტიაში.  
როგორ თვალნათლივ სჩანდა, რომ ეს შეხვედრა მართლაც  
უკანასკნელი და საბედისწეროა. როგორი რაინდული თავგან-  
წირულებით მივარდებოდა იგი „სულის სწორს“ და ისე მძლავ-  
რად ჩაიკრავდა მკერდში, თითქოს რალაც საშინელებას გა-  
მოჰგლიჯა კლანჭიდან და აწი ვერავითარი ძალა ვერ გაჰკრის  
მათო. რამდენჯერ გვესმენია პარტერში ქვეთინი ამ დროს,  
რამდენი ალალი ცრემლი გვინახავს. რა სითბო, რა ალერსი და  
მართლაც ენით გამოუთქმელი სინანული ისმოდა ვანოს ყო-  
ველ ამონაკენესში:

— წამწამსა და წამწამს შუა  
ბაღია გაგიშენებია,  
ეთერ, აქ მობრძანებისთვის  
მადლი მომიხსენებია...

დაიფერფლა მოგუგუნე სული და გული. დამთავრდა სპეტა-  
კი სსყვარულის ღალადისი, და აბესალომს შავი აჩრდილი  
დაუდგა თვალწინ.

— ეთერო...



სანდრო ინაუვილი მურმანის როლში.  
(ოპ. „აბესალომ და ეთერი“ — ზაქ ფალიაშვილია)

თავზარღამცემი შთაგონებით წარმოსთქვამდა ვანო ამ  
სიტყვას.

...გახსენ გულმკერდი,  
ჩემთან შენც დასთმე თავია,  
ცოცხალსა მურმან ვეზირსა  
მე გირჩევენიყო... მკვდარია...

და უსულოდ დაეცემოდა.

სპექტაკლი დამთავრდა. ხალხი თეატრთანვე დგას. გამო-

დიან ვანო და სანდრო ინაშვილი. ვანოს კაცის ფერი არ აძვს ილიმება, მაგრამ ჰგრძნობთ, რომ ამ ადამიანის არსებაში მართლა საშინელ გრიგალს აუწეწია ყველაფერი და უკვირს, რომ გარეთ სიმშვიდეა. ხალხს ულიმის, ზეცას ულიმის და ახლა სხვაგვარად სტიკია გული.

ვანოს გარს ეხვევიან ალტაცებული მეგობრები.

ხალხი დაიშალა. გაბრწყინებული სახეები ღიმილით ეფარება თბილისის ქუჩებს.

ვინ იცის, რამდენ ჰაბუკს გაუფრთხობს ამალამ ძილს აბესალომისა და ეთერის დარდი.

ვინ იცის, რამდენ მოხუცს მოაგონდება ამალამ თავისი წარმტაცი გაზატხული.

ვანო კი მარტო ბორგავს, თავის „აბესალომს“ ეჩურჩულება.

\* \* \*

„აბესალომის“ ამბავი ელვის სისწრაფით მოედო მთელს საქართველოს. ყველა მოწადინებული იყო მოესმინა ეს დიდებული ქმნილება, რამაც ასე აალაპარაკა მთელი პრესა და ქართველი საზოგადოება. მსახიობმა იუზა ზარდალიშვილმა შეადგინა საკონცერტო ჯგუფი და გაიტანა „აბესალომი“ პროვინციაში. მიწვეულ იქნენ: ვანო სარაჯიშვილი, სანდრო ინაშვილი და ვიშენიროსკაია. აკომპანეჟენტის შესრულება იკისრათვით ავტორმა—ზაქ. ფალიაშვილმა. კონცერტები ჩატარდა იენისის და ივლისის განმავლობაში: გორში, ხაშურში, ზესტაფონში, ქუთაისში, სამტრედიისში, აბაშაში, ახალსენაკში, ზუგდიდში, ფოთში, ბათუმში.

ეს იყო „აბესალომის“ პირველი ტრიუმფალური სვლა სამშობლოში. თაიგულებს, მიწვევებს და „გვას“ ბოლო არ ჰქონდა. ამის შემდეგ ყველას სანუკვარ ოცნებად გადაექცა თბილისში. ჩამოსვლა და „აბესალომის“ ნახვა სცენაზე.

„აბესალომ და ეთერის“ მოსმენას რალაც განსაკუთრებული გულის ძვრით და საზეიმო განწყობილებით ემზადებოდნენ.

იმ ხანად ბევრს უჭირდა პასუხის გაცემა—რა უფრო იზიდავდა თეატრში: ზაქ. ფალიაშვილის უკვდავი ქმნილება თუ ვანო სარაჯიშვილი?

რა გასაკვირია. თვით ზაქარია მოჯადოებულებით უსმენდა „აბესალომს“ და ყველაფერს ვანოს „აბრალებდა“...

-ვიქტორ დოლიძე ქართველ კომპოზიტორთა ოჯახის მეტად ორიგინალური წევრი იყო. ბუნებრივი მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული ქაბუკი კომერციულ განათლებას იღებს. მაგრამ იგი მუსიკის ტყვეა და მუსიკოსადაც დალია სული (გარდაიცვალა 43 წლისა, 1933 წლის 20 მაისს, თბილისში).

ჯერ კიდევ სიჭაბუკეში აარსებს ვიქტორ დოლიძე სხვადასხვა მუსიკალურ წრეებს. ასე, მაგალ., სანდრო ინაშვილთან ერთად აწყობს დიდუბეში მანდოლინისტთა წრეს, რომელსაც დიდი წარმატება ჰქონდა. 1909 წელს თბილისში გამართულს მანდოლინისტთა კონკურსში (სახალხო სახლში) ვ. დოლიძემ პირველობა მოიპოვა და ოქროს მედლით დააჯილდოვეს. მუსიკალური განათლება მიიღო კიევეში კომპოზ. გრანელთან და მოსკოვში — კომპოზ. იპოლიტოვ-ივანოვთან.

მისი კომიკური ოპერა „ქეთო და კოტე“ 1919 წლის 11 დეკემბერს პირველად დაიდგა თბილისში. ამრიგად, „ქრისტიანეს“, „შოთა რუსთაველისა“, და „აბესალომის“ შემდეგ, ვიქტორ დოლიძის „ქეთო და კოტე“ არის მეოთხე ორიგინალური ქართული ოპერა, რომელიც დაიდგა ჩვენს სცენაზე. შემსრულებლებად გამოვიდნენ: როგაჩევსკი (კოტე), კალანდაძე ალასოვისა (ქეთო), თარხან-მოურავი (ლევან), ისეცკი (მაკარი), შელუდკოვსკაია, ოვსიანიკოვა (ბარბარე და ბაბუსი), გ. ქურხული (საქო), კურბატოვი (სიკო). ოპერა დასდგა ა. წუწუნავამ, დირიჟორობდა ს. სტოლერმანი.

ნიჭიერად გადამუშავებულ ქალაქურ ფოლკლორზე აგებულმა მუსიკამ დიდი მოწონება ჰპოვა დამსწრე საზოგადოებაში. ოპერა ზედიზედ იდგმებოდა და დარბაზში ტევა არ იყო. პრემიერის დამთავრებისთანავე თეატრის სალაროში ათ-ათი უახლოესი სპექტაკლის ბილეთების შეკვეთა მისცეს.

ვანო სარაჯიშვილმა კოტეს პარტიის შესრულებაც არ ითაკილა. რამდენიმეჯერ გამოვიდა იგი ამ პარტიაში და ვიქტორ დოლიძის ნაწარმოებს ბრწყინვალე სპექტაკლის დღესასწაული

მიანიქა. ვინ იცის, როდის ეღირსება კიდეც ამ ოპერას ვანო სარაჯიშვილის მსგავსი კოტე!

პირველი ნაწარმოების გამარჯვებით აღფრთოვანებულმა ვიქტორ დოლიძემ უფრო გულმოდგინედ მოჰკიდა ხელი მუშაობას და „ქეაო და კოტეს“ მოჰყვა ოპერა „ლეილა“ (ა. ცაგარლის პიესის—„ლეკის ქალი გულჯავარ“ მიხედვით). ვანოს აქ უკვე სერიოზული და სცენიურადაც უფრო რთული პარტია ჰქონდა შესასრულებელი. ხალასი გრძნობით და ჩვეული ტემპერამენტით ასრულებდა ვანო თეიმურაზის პარტიას ამ ოპერაში. სულში ჩამწვდომი ბოლმით ისმოდა მისი ცრემლმორეული სიტყვები:

— გთხოვ მაპატიო, მეფეე.  
გრძნობამ დასძლია გონებას...

როდესაც ლეილას ეშხით მოხიბლული თეიმურაზი ერეკლეზე მახვილს აღმართავს. მსმენელი წინასწარ გრძნობდა, რომ ამ განადგურებულ ადამიანს თვითმკვლელობის მეტი აღარაფერი დარჩენია. ამიტომ სრული სიმშვიდით ხედებოდა მომენტს, როდესაც თეიმურაზი მკერდს გაიპობდა და ძირს გაიშხლართებოდა. ეს ლოლიკური შედეგი იყო იმ სულიერი წამებისა, რაც მან უკვე განიცადა და მსმენელსაც განაცდევინა. ზედმეტი იყო აქ იაფი თეატრალური ეგსტი და წაბარბაცება. სცენიურად თვალის მომპრელი იყო ვანო ამ როლში: წულა-მესტი, მშვენიერი ჩოხა-ახალოხი, უკან ქამარში დამბაჩა, მათრახი, თავზე—კახური ქუდი და ხუჭუქა ქოჩორი. მაყურებლის წინაშე იდგა ნამდვილი ქართველი ვაჟკაცი, თავისი ეშხიანი იერიითა და ტემპერამენტით. და თითქოს ყოველივე ეს მართლაც ერეკლეს ბანაკში ხდებოდა და არა ოპერის სცენაზე. ვანოს სძულდა ეს პარტია—სამშობლოს მოღალატის როლში გამოიყვანესო.

ვანო სარაჯიშვილის და სანდრო ინაშვილის წყალობით ვიქტორ დოლიძის ეს მეორე ნაწარმოებიც ბრწყინვალედ წარუდგა ქართველ საზოგადოებას. „ლეილას“ მუდამ თან სდევდა უჩვეულო ტაშის ქუხილი.

„კარმენი“. ვლადიმერ მესხიშვილის ცეცხლი

ქართული დრამატიული ხელოვნების სიამაყე — ვლადიმერ (ლადო) მესხიშვილი ვანოს დიდი მეგობარი იყო. მათ სპეტაკი



გრძნობით უყვარდათ ერთმანეთი, და ეს სიყვარული ჯერ ლადომ ჩაიტანა სამარეში, შემდეგ კი—ვანომ. გენიალური ლადო მესხიშვილი მოხიბლული იყო ვანოს შესანიშნავი ხმით, ხალასი ნიქით და მდიდარი ეოკალური კულტურით. არა ნაკლებ უყვარდა მას ვანო, როგორც იშვიათი გულის მქონე სამეგობრო ადამიანი, მშვენიერი ქართველი ვაჟკაცი. და როდესაც სტებებოდა ხოლმე მისი სიძღვრით, ნეტარებასთან ერთად სინანულსაც განცდიდა: ნათლად ხედავდა, რომ ვანოს გაცილებით უკეთესი სცენიური სახეების შექმნა შეეძლო. ბუნებრივია, რომ ლადო მესხიშვილი ძაღლონეს არ დაიშურებდა იზისათვის, რათა ვანოს ბოზოქარი ტემპერამენტი უფრო მაღალი სცენიური ოსტატობით გაემდიდრებინა.

ცნობილია, რომ ვანო შესანიშნავად ასრულებდა ალფრედის პარტიას „ტრაგიატაში“. ერთ-ერთი სპექტაკლის დროს ლადო, კ. ანდრონიკაშვილთან ერთად კულისებში შევიდა ვანოსთან და უთხრა: სიმღერაში ნაკლი არა გაქვს, ალფრედის როლის შესრულებას კი მე გასწავლიო. ამის შემდეგ სისტემატურად ხედებოდნენ ისინი ერთმანეთს ქართული კლუბის სცენაზე. ნიქიერი ვანო სწრაფად ითვისებდა დიდებული ოსტატის მითითებებს. ბოლო დროს ვანომ ხელი მიჰყო დრამატიული ტენორის პარტიებს.. მის მდიდარ რეპერტუარს შეემატა „კარმენი“, „აიდა“, „ჰუგენოტები“ „პიკის ქალი“ და სხვა ოპერები. ლადო მესხიშვილის ხელი განსაკუთრებით „კარმენს“ დაეტყო. ისედაც სცენიური დონ-ხოზე ლადომ თავისი ოსტატობით ააბობოქრა და ვანო სარაჯიშვილის არტისტული წვა უმაღლეს წერტილამდე აიყვანა ამ პარტიაში.

„კარმენი“ განსაკუთრებით უყვარდა ვანოს და მუდამ მთელი სულითა და გულით, მთელი გრძნობის დაძაბვით ასრულებდა ხოზეს პარტიას.

\*

• გულდაზაფრული ხოზე სიყვარულს უხსნის თავის სატრფოს:

— ხედავ, რა სპეჯაკად ვინახავ  
იმ ყვავილს, შენ რომ მითავებ,  
ციხეში მე ის თან მქონდა  
და სურნელებით მათრობდა...

ყვავილის ნაცვლად ვანო სარაჯიშვილს თითქოს საკუთარი გული უჭირავს ხელში, — თრთის და კანკალებს. ნიაფის სიმსუბუქით ამოაქვს წარმტაცი ბგერა და ია-ვარდად უშლის წინ თავნება კარმენს.

გამუდმებით გრიალებს ტაში, მაგრამ ვერცხლის ზარივით მიაპობს ჰაერს ვანოს მომხიბვლელი ხმა, და ყოველი ფრაზა მომეტებულ ჟრუანტელს იწვევს.

მღელვარებით ჩატარდა მეორე სცენა მიქაელასთან, აგრეთვე კარმენთან გამოთხოვება და მუქარა:

— ჩვენ კვლავ შევხვდებით!

და აი ახლა, უკანასკნელად ხედება კარმენს. საზეიმოდ გრიალებს ორკესტრი. ხალხი ცირკში მიეშურება; ტორედორი ხარებს ებრძვის. ჩქარობს კარმენიც, მაგრამ მას გადასცეს — თავს გაუფრთხილდით, და ადგილიდან აღარ იძვრის.

აი, დონ-ხოზეც: შავ შარვალში ჩატანებული თეთრი პერანგი, იდაყვთან გადაკეცილი სახელოები. სარტყელში — დანა. უწესრიგოდ მიყრილი თმა, გაფითრებული, ნაწამები სახე, სისხლნაკრავი თვალი. ცალ მხარზე შავი მოსასხამი. ლანდივით შემოდის სცენაზე. უნდა რაღაც სთქვას, მაგრამ კარმენი სეტყვასავით მიაყრის:

— მე მითხრეს, რომ შენ აქა ხარ,  
რომ თავს გავუფრთხილდე...  
გადმომცეს ისიც, რომ შემუქრები!

მაგრამ მშიშარა არ ვარ და სიკვდილი არარად მიჩანს!

წელში მოხრილმა ხოზემ ძლივს ასწია თავი, ქუდი მოიგლიჯა და შესთხოვა კარმენს:

— მე... განა გემუქრები,  
მე მხოლოდ გთხოვ, კარმენ!  
გმვედრები, გემუდარები...

მაგრამ კარმენის გადაწყვეტილება მტკიცე და ურყევია:

— ან მომკალ, ან გზა მომეცი  
— კარმენ, ჯერ კიდევ დრო გვაქვს...

ემუდარება ისევ ხოზე. კარმენმა ბეჭედი მოიძრო და ფეხქვეშ მიუგდო.

— სიანს შეგძულდი, კარმენ!  
— დიახ, აღარ მიყვარხართ!

მეტის მოთმენა შეუძლებელია. ხოზემ განგმირულივით დაიგმი-  
ნა. სევდით დანისლულ თვალებში ცეცხლმა იფეთქა. ამოდენა  
ვატყავი მუშტივით შეიკუმშა. ერთხელ კიდევ დაფიქრდა და  
ელვის სისწრაფით გახსნა დანა.

ვანო სარაჯიშვილი ფრთებდამსხვრეული არწივივით ბორგავს  
სცენაზე. კარმენი კედელს გაეკრა; შურისძიების გრძნობით  
ანთილი ხოზეც კედელს ეკვრის. წინ მიიწევს, მაგრამ თითქოს  
იატაკი გველივით ჰკბენსო—ელვის სისწრაფით უკანვე ექანება.  
იგი ფეხაკრებით ეპარება რაღაც უნილაგ საშინელებას და კარ-  
მენის ნაცვლად თითქოს ყელი უნდა გამოჰლადროს... ეორე  
ბიზეს მუსიკის ტალღას, რომელიც ცირკიდან გრიალებს და სა-  
ტროფოს სტაცებს, სამუდამოდ აუბედურებს. თითქოს ვერც ამ-  
ჩნევს ახლა ხოზე თავისი ტანჯვის ნამდვილ მიზეზს. კანკალებს,  
ბორგავს. მაგრამ აი, თვალწინ კარმენმა გაიელვა, და ხოზე  
შევარდენივით მოსწყდა ადგილს. კიდევ რამდენიმე საბედისწე-  
რო წრე და...

— მაშ, მოკვდი!

აღმოხდა გულიდან ხოზეს. კარმენი უსულოდ გაიშხლართა.  
მაგრამ კარმენტან ერთად მან მოჰკლა თავისი სიკბაბუკე, ბედ-  
ნიერება...

— კარმენ, ჩემო კარმენ!

ქვითინით დაეცა თავზე.

\* \* \*

ვანო სარაჯიშვილის ვრცელ რეპერტუარში დონ ხოზეს პარ-  
ტია ერთ-ერთი შესანიშნავი იყო ვოკალურად და სცენიურა-  
დოც. აქ სრულ გაქანებას პოულობდა მისი არტისტული წვა  
და უსაზღვრო ტემპერამენტი. თვითონაც ბევრჯერ უთქვამს—  
„კარმენი“ ყველაზე მეტად მზიბლავს და მიტაცებსო. ამას მისი  
პარტნიორებიც მშვენივრად გრძნობდნენ.

ვანოს ერთ-ერთი შესანიშნავი პარტნიორი იყო კარმენის როლის განთქმული შემსრულებელი ფატმა მუხტაროვა. ეს თავისებური და მახვილი სცენიური ნერვით დაჯილდოებული მსახიობი თითქოს საგანგებოდაა ზეგამოჭრილი კარმენისათვის. საამისოდ მას ხელს უწყობს საერთო იერა: მცხუნვარე თვალები, შავგვრემანი სახე და სამხრეთის მზით გამთბარი ტემპერამენტი. სხვა მომღერალთაგან განსხვავებით, მუხტაროვა ქმნის კარმენის რეალისტურ სახეს მთელის ვნებათა ლელვითა და სწორობითა მისწრაფებით. თავისი პარტნიორებისგანაც ფ. მუხტაროვა ასეთსავე დამოკიდებულებას მოითხოვს როლისადმი, რათა გამოწვეულმა რეაქციამ უფრო აღაგზნოს იგი კარმენის ლალი ბუნების გამოსავლინებლად.

სავსებით ბუნებრივია, რომ ვანო სარაჯიშვილის მსგავს ხოზეს იშვიათად შეხვდებოდა ფატმა მუხტაროვა. აქ თითქოს მართლაც ცეცხლზე ნავთი დაესხა, თითქოს ერთმანეთს შეხვდა ქვა და რკინა. ვანო სარაჯიშვილისა და მუხტაროვას მონაწილეობით „კარმენის“ დრამატიული სიმძაფრე კულმინაციურ წერტილს აღწევდა. ამ სპექტაკლში ბობოქარ ტალღებით ასკდებოდა ერთმანეთს ამ ორი მსახიობის ხალასი მღელვარება, თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებოდა მათი შინაგანი წვა და სულიერი დაძაბულობა.

ფატმა მუხტაროვას აქამდე არ დაევიწყებია თავისი პირველი შეხვედრა სცენაზე ვანო სარაჯიშვილთან. თითქოს ახლაც წინ უდგას ხელდაკდობილი, გაფითრებული ხოზე, რომელსაც პროექტორის ორი შუქივით მიუნათებია მისთვის ელვარე თვალები და გასაქანს არ აძლევს. ეს ცქერა თითქოს გამქვირვალეს ხლის მთელს სულსა და გულს, სასიამო ერუანტელს იწვევს და ნაპერწკალივით მისდევს ძარღვებში სისხლს. მუხტაროვა გრძნობდა თავის წინ დიდი ნებისყოფის მქონე ხელოვანს და მთელი ძალღონით უპირისპირებდა მას თავის აქტიორულ ოსტატობას, თავის სტიქიას. შესანიშნავი პარტნიორის სიმღერითა და თამაშით მოხიბლული, იგი მოჯადოებულივით მიჰყვებოდა ვანოს, ხელჩაკიდული, ფარდის წინ და თავს უკრავდა ტაშით აბობოქრებულ აუდიტორიას.

ერთხელ, თბილისში, „კარმენს“ დაესწრო ლეონიდ სობინოვი. იგი ზაქარია თალიაშვილთან იჯდა. ღონ-ხოზეს ვანო მღეროდა. როდესაც ვანომ მეორე აქტის ცნობილი არია დაიწყო, სობინოვი ადგილზე ველარ ეტეოდა. მან წონასწორობა დაჰკარგა და ისე მაგრად ჩასკიდა ზაქარიას ხელი, რომ კინალამ ააყვირა.

— რა წარმტაცია! არ შემძლია, ვერ გავუძლებ ამის მოსმენას!

მაგრამ ვანოს წონასწორობიდან გამოჰყავდა უცხოელებიც, რომლებსაც აგრეთვე შესანიშნავი მომღერლებისათვის მოესმინათ ამ პარტიაში. ერთ-ერთ „კარმენს“ დაესწრნენ იტალიელი და ფრანგი სტუმრები.

— არა, ეს ღონ-ხოზე ჩვენია, ნამდვილი იტალიელია, თითქოს სამშობლოში ვართ და ვისმენთ „კარმენს“ — იძახოდნენ იტალიელები. ფრანგი სტუმრები, პროფესიით მხატვრები — კულისებში შეიკრნენ და ვანოს გაეცვენენ. მათ გადასწყვიტეს ამ როლში ვანოს დახატვა. შემდეგ, მის ყოველ სპექტაკლზე დადიოდნენ. ნაირფერ ჰალსტუხებს და თაიგულებს უგზავნიდნენ შინ.


„კარმენის“ შემდეგ ვანომ თავდავიწყებით მიაშურა ახალ მწვერვალებს: „აიდას“, „პიკის ქალს“, „ჰუგენოტებს“, „ოტელოს“...

ეს უკანასკნელი არ დასცალდა.

### „ღალატნი“

კომპოზ. იპოლიტოვ-ივანოვის ოპერა „ღალატნი“ საფუძვლად დაედო ა. სუმბათაშვილის (იუჯინის) ამავე სახელწოდების განთქმული დრამა. ბუნებრივია, რომ ქართულ მასალაზე აგებულ ნაწარმოებისათვის კომპოზიტორმა უხვად გამოიყენა ქართული მუსიკალური ფოლკლორი, რაც მან 80-იან წლებში თბილისის სამუსიკო სასწავლებელში მოღვაწეობის პერიოდში ჩასწერა<sup>1</sup>.

<sup>1</sup> იხ. М. М. Ипполитов-Иванов. „Грузинская народная песня и ее современное состояние — с приложением 12-ти народных мелодий и романсов“. 1895 г., журн. „Артист“. მოიპოვება ცალკე ამონაბეჭდიც. შ. 4.



საპარტიველოს სსრ სახალხო არტისტი  
ს ა ნ დ რ ო ი ნ ა ზ შ ი ლ ი

„ლალატში“ მ. იპოლიტოვ-ივანოვს გამოყენებული აქვს ცნობილი სიმღერები:

„პოი, ვითარ ვსტევი“.

„მკრთალი ნათელი სავსე მთვარისა“.

„კინტოური“.

„ორთავ თვალის სინათლე“.

ოპერა „ლალატის“ ტექსტი გადმოთარგმნა კოტე ფოცხვერაშვილმა, მანვე მოახდინა დაორკესტრებაც.

ქართული მელოდიების ქარგაზე აგებულმა „ლალატმა“ თავიდანვე მიიქცია ვანოს ყურადღება. მშობლიურ ჰანგთან ერთად ამ ოპერაში მას ნიბლაჟდა ერეკლეს წარმტაცი იერი, რაც თითქოს ვანოს პიროვნებაზე იყო ზეგამოჭრილი.

1911 წლის 17 აგვისტოს თბილისის ქართულ კლუბში ვალ. გუნიას საღამოზე, საკონცერტო განყოფილებაში, ვანომ შეასრულა ქართულად მის მიერვე ნათარგმნი ერეკლეს არია. მიუხედავად იმისა, რომ ამის წინ მანვე არაჩვეულებრივი ოსტატობით ორჯერ შეასრულა კაშვეაროვის განთქმული რომანსი „სიჩუჟე“, რითაც იგი მუდამ ტაშის ქუხილს იწვევდა ხოლმე, ერეკლეს არია ისე შესანიშნავად იქნა შესრულებული, რომ დამსწრე საზოგადოებაში სიჩუმის აღდგენა შეუძლებელი შეიქნა, ვიდრე ვანო კიდევ რამდენიმეჯერ არ ამღერეს. რეცენზენტი აღნიშნავს—ერეკლეს არია ამ საღამოს „სული და გული“ გახდა, ოვაციას და გამოწვევას ბოლო არ ჰქონდაო.

თბილისის ოპერის თეატრში „ლალატი“ ქართულად პირველად დაიდგა 1920 წლის 19 ნოემბერს. დადგმა განახორციელა ალ. წუწუნავამ, დირიჟორობდა კ. ა. სტოლერმანი. ზეინაზის პარტია შეასრულა ოლეშკომ, ოთარ-ბეგისა—ნ. ელიოზი-შვილმა<sup>1</sup>, ერეკლესი—ვანო სარაჯიშვილმა, რუქაიასი—ცეხანოვსკაიამ, სულეიმანისა—საბინინმა, ბესოსი—კურბატოვმა, დათოსი—გულიმოვმა, ანანიასი—დემიანენკომ, ისახარისა—ერმოლინსკაიამ.

ქართულად „ლალატის“ დადგმას ვანო დიდი სიყვარულით შეეგება და ერეკლეს დაუფიწყარი სახე შეჰქმნა, დიდი წარმატებით იმეორებდა განთქმულ არიას:

— ეზით სავსე ღამე,  
ჩემი ტრფობა იწამე;  
შენს კალთებში დამმალე,  
დამფარე, შემობრალე...

ნამდვილ ქრუანტელს იწვევდა მისი მკვეთრი შექაბილი ოპერის ფინალში:

— მეფე ვარ, მეფე!

როცა ერეკლესთვის ცხადი გახდება ყველაფერი და მეტეხისკენ გარბის მტრის შესამუსრად.

ა. სუმბათაშვილის „ლალატს“ მუდამ უდიდესი წარმატება ჰქონდა ქართულ სცენაზე. ვანო სარაჯიშვილის წყალობით არც ოპერა „ლალატს“ რგებია ნაკლები დიდება.

<sup>1</sup> შემდეგ სპექტაკლებში ოთარ-ბეგის პარტიას ასრულებდა სანდრო ინა-შვილი. შ. კ.



მანო სარაჯიშვილი რადამისის როლში  
(ოპ. „აიდა“ — ვერდი)



## საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი წლები

1921 წლიდან საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ საოპერო ხელოვნება უდიდესი აღმავლობის გზას დაადგა. ვანო დიდი ხალისით ჩაება გაცხოველებულ საზოგადოებრივ საქმიანობაში. იგი მუშაობდა თბილისის ოპერის თეატრის კომისიის თანაშემწედ, ილწვოდა თეატრალური საქმის გაჯანსაღებისათვის. ამასთან, როგორც მომღერალი, ვანო მულამ „გაქირვების ტალკევისი“ იყო დასისათვის. საბედნიეროდ, ხმაც ზედმიწევნით უწყობდა ხელს. თეატრის წარმატებისთვის თავდადებული, არაფითარ ანგარიშს არ უწევდა არც დადლილობას, არც ჯანმრთელობას და ხშირად ზედიზედ მიყოლებით მღეროდა ლირიკულ და დრამატიულ პარტიებს რომელიმე მსახიობის ავად გახდომის შემთხვევაში. დღეს—„ფაუსტი“, ხვალ—„ჰუგენოტები“ ან „პიკის ქალი“. „აბესალომი“ ხომ ყველაზე წინ მიდიოდა და უდიდეს ძალას ართმევდა ვანოს. დიდი ვოკალური კულტურით აღჭურვილი მომღერალი უყოყმანოდ ეგებებოდა ამგვარ სახიფათო ცდებს, რასაც იზვიათად თუ იკისრებს დასში პირველ პარტიებზე მუდმივად მომუშავე ტენორი. მაგრამ თეატრი ვანოს სტიქია იყო და ამ სტიქიის გარეშე მას არარად მიაჩნდა ჯანმრთელობაცა და სიცოცხლაც.

აი, ორიოდე შემთხვევაც.

„... აგრონომის ავადმყოფობის გამო ჩადამესის როლში გამოვიდა ვანო სარაჯიშვილი. რალა თქმა უნდა, ამ შენაცვლებით წარმოდგენამ არა წააგო რა. ვანო სარაჯიშვილი ხმაზე იყო და თავისებური, სარაჯიშვილისებური იერით მოასვენადა ჩადამესის როლი. ცალკე ფრაზებს ვინ იტყვის; თვით მეორე სურათის გრანდიოზულ ანსამბლშიც კი გაისმოდა მისი მკვეთრი დაძახილი...“ (გახ. „ლომისი“, 1922 წ. 3 დეკემბერი).

ან კიდევ:

„... ვანო სარაჯიშვილის (ჩაუღ) ხმას დადლილობა ეტყობოდა პირველ ორ მოქმედებაში (წინა ღამეს „ფაუსტში“ მღეროდა ხხვა მომღერლის ავადმყოფობის გამო)“, ხოლო ორ უკანასკნელ მოქმედებაში გამოსწორდა

<sup>1</sup> ხახი ჩენია. შ. კ.

და ღონე მოიცა. მესამე მოქმედების სექტეტში ისეთი ძლიერი ხმა-ანიდულობით დასტეკა უმწვერვალესი სი-ნატურელ, რომ აუდიტორია ტაშით აგრგვინდა. რასაკვირველია, დიდის გრძნობით და სიტკბოთი მღეროდა მეოთხე მოქმედების დუეტს..." (გახ. „ლომისი“, 1922 წ. 24 დეკემბ.).

1923 წლის მაისის დამდეგს გაიმართა ივანე ფალიაშვილის ბენეფისი. დაიდგა ოპერა „ლოენგრინი“.

„... ნათელი რაინდის ლოენგრინის მშვენიერ სახეს ჰქმნის მოქ. სარაჯი-შვილი.. შისი სიმღერა განსაკუთრებით მუსიკალურია: ნიუანსებიც, ბელ-კანტოცა და, უმთავრესად, დამთავრებული ფრაზირებაც...“ (გახ. „კომუნისტი“, 1923 წ. 15 მაისი).

ასე ნაყოფიერად და თავდადებით მუშაობდა ვანო თავის და სხვების მაგიერად: „ლოენგრინი“, „ფაუსტი“, „აიდა“, „ჩუგენოტები“, „კარმენი“, „პიკის ქალი“, „აბესალომ და ეთერი“, „დაისი“... ლირიკული თუ დრამატიული პარტიები მაისის ნათელ დღეებივით სცვლიდნენ ერთმანეთს.

### მეასე „აბესალომი“

1923 წლის 21 თებერვალს თბილისის ოპერის თეატრში მე-ასეჯერ დაიდგა ზაქ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“.

მეასეჯერ ოთხი სეზონის განმავლობაში და ყოველთვის ხალხით გაქედნილ დარბაზში, ყოველთვის ბრწყინვალე წარმატებით!

უადგილო არ იქნება გავიხსენოთ ყველაზე პოპულარული რუსული ოპერის „ევგენი ონეგინის“ წარმატება დადგმის პირველ წლებში. მოსკოვის დიდ თეატრში „ევგენი ონეგინი“ პირველად დაიდგა 1881 წლის 23 იანვარს (ახალი სტილით). იმავე თეატრში 1889 წლის 18 სექტემბერს ეს ოპერა დაიდგა მე-51-ჯერ. 9 წლის განმავლობაში 51-ჯერ.

„აბესალომი“ კი—4 წლის განმავლობაში 100-ჯერ..

მთელი ჩვენი საზოგადოებრივობა უდიდესი ენტუზიაზმით შეეგება ამ საზეიმო ამბავს.

„... ეს იშვიათი მოვლენაა თვით დიდი ერების ხელოვნების მატრიანეში“,—სავსებით სამართლიანად სწერდა გაზეთი „ლომისი“, რომელმაც სპეციალური ნომერი მიუძღვნა ქართული

მუსიკალური კულტურის ამ დღესასწაულს. „ლომისის“ რედაქციამ საგანგებოდ მიმართა თბილისში მყოფ ქართველ და არა ქართველ მუსიკოსებს. ამ გაზეთის მოწინავეში ვკითხულობთ:

„... არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ ის სულიერი კმაყოფილება, რაც გვაგრძობინა მიღებულმა წერილებმა. ყველა სპეციალისტი და არა სპეციალისტი ხმაშეწობილად „ჭალოხს ტაბილსა საგალობელსა“—„აბესალომის“ სიდიადესა და სიტურფეზე.. არა ქართველი ავტორების წერილებში გამოთქმულია კიდევ სხვა „საპერსპექტივო“ აზრიც, რომ „აბესალომ და ეთერს“ მოელის ნათლესლება მსოფლიო ხელოვნების ემბაზში, როგორც ქართული ხელოვნების გამარჯვების წინამორბედს“.

ამავე აზრს გამოსთქვამდა მაშინ თბილისში მყოფი, სიმღერის პროფესორი ემილიო ვაგიც (იტალიელი).

„... რაც შეეხება იმ საკითხს, თუ რამდენად შეეგუება „აბესალომი“ ევროპის საზოგადოებას, გადაპრით შემოიღია ვთქვა, რომ ეს ოპერა დიდ გულხმიანობას გამოიწვევს ევროპაში, როგორც მეტისმეტად ორიგინალური და ახალი მუსიკალური სახეების მქონე“.

პროფესორი ჩემოდანოვი სწერდა:

„... ჩვენ, რუსები, ვისმენთ „აბესალომს“ არა იმ სულიერი კრთომით როგორც საქართველოს ნამდვილი შვილნი, რადგანაც არ შეგვიძლია ისე ღრმად ჩაეწვდეთ ქართველი ხალხის სულიერ იდუმალებას, როგორც ეს მის სისხლსა და ხორცს შეუძლია. მაგრამ, ამისდამიუხედავად, ოთხი წლიე განმავლობაში ჩვენც შევიყვარეთ ეს ოპერა წარფელისა და მხურვალე სიყვარულით, გვესმოდა რა მასში მშვენიერი ქართველი ხალხის მგზნებარე სულის გამოძახილი. და ჩვენ სულით და გულით გუსურვებთ „აბესალომს“ რომ რაც შეიძლება ჩქარა გაედგას ფეხი თავისი ქვეყნის ფარგლებიდან და ავლადიდება გამხდარიყოს ყველა ერისთვის...“

კოტე მარჯანიშვილი თავისებური ეშხით მიესალმა მებასე „აბესალომს“.

„დიდი დღესასწაულია  
დღესასწაული ნამდვილი ხელოვნებისა  
დღესასწაული კულტურული გამარჯვებისა  
სარკმელია ევროპისკენ

გასაოცარი ლეგენდაა სამშობლო ქვეყნის ჰანგებით მოსევადებულო, ევროპული ოსტატობით შემუშავებულო.

მელანდება და მგონია—ხორცს ისხამს ჩვენი მესიანობა ხელოვნებაში, მსოფლიო ხელოვნებაში...

„აბესალომის“ გარჩევა მე არ შემიძლია, ჯერ-ერთი იმიტომ, რომ მუსიკოსი არა ვარ. მეორედ, და უმთავრესად იმიტომ, რომ მოტრფიალეს არ ძალუძს თავისი სატრაფოს ავ-კარგის აწონ-დაწონა. მე კი ნამდვილი ტრფიალი ვარ „ეთერისა“.

სამწუხაროდ, „ეთერი“ მითია; არც მუსიკაა შენივთებული რამ და ამიტომ არ შემიძლია მათ ჩემის ბაგით შევებო.

სამაგიეროდ, სულითა და გულით ვეამბორები ზაქარია ფალიაშვილს“.

ოპერის თეატრი საზეიმოდ მოემზადა მემსე „აბესალომისათვის“.

ა. წუწუნავამ საგანგებო სამკერდე ნიშანი გააკეთებინა ამ თარიღის უკვდავსაყოფად და დააჯილდოვა მსახიობები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ყველა ას წარმოდგენაში.

ამ ნიშნის დარიგების დროს პარტერში პროტესტი გაისმა:

— რას მერჩით მე? ასივე წარმოდგენას დავესწარი!—ერთი მაყურებელი, ვინმე სიამაშეილი სცენაზე ავიდა და ა. წუწუნავას წარუდგინა „აბესალომის“ ასი ბილეთი.

გასინჯეს. შეუძლებელი გახდა ფაქტის უარყოფა. ნიშანი მასაც მიეცა. მაგრამ... შეუძლებელი გახდა იმ ფაქტის უარყოფაც, რომ პირველი სპექტაკლები ზალიპსკის ჰქონდა ნამღერი, და ვანო სარაჯიშვილის ბრწყინვალე რაზნს რამდენიმე რაინდი დააკლდა,—ასი „აბესალომი“ არ შეესწრო, ნიშანი არ მიეცა. გული დაწყდა.

ვანო დუ სანდრო ინაშვილი უჩვეულო განწყობილებით ასრულებდნენ მემსე „აბესალომს“.

რამდენი გულისძგერა განაცდევინა მათ ამ ხნის განმავლობაში „აბესალომმა“ და რამდენჯერ გადასცეს მათ ეს გულისძგერა უამრავ მაყურებელს.

რამდენი რეპლიკა—საზიზღარი!!—ერგო მურმანს—სანდრო ინაშვილს ამ მცირე ხნის განმავლობაში.

რამდენჯერ დაემსხვრა აბესალომს სიყვარულის საკურთხეველი და რამდენჯერ ბავშვივით განიცადა გაბრუებულმა ვანომ... „რომ თურმე სცენაზე იყო ყოველივე ეს და უზარია, რომ მართლა არ მოკვდა“.

იეთიმ გურჯის დროშის წარწერა:

მიხარიან, არ კი მჯერა!

ზედგამოკრილი იყო მასზე.

## იუბილე

1922 წელს თბილისის კარიბჭესთან უზარმაზარი ვეფხვი მოჰკლეს. დიდმეღმა მონადირეებმა დიდის ამბით მოიტანეს იგი თბილისში. ურემს ხალხი მოსდევდა.

ჯომარდი მონადირე—ვანო სარაჯიშვილიც გააოცა ამ ამბავმა. გლახებს სიმარჯვე უქო.

ყველაფერი ვანოს „დაბრალდა“:

რუსთველი ბრძანებს:

„რა ესმოდის მღერა ყმისა, სმენად მხეცნი მოვიდიან,  
მისევე ხმისა სიტკბოსაგან წყლით ქვანიცა გამოსხდიან...“

— შენ ქართული ჰანგის ავთანდილი ხარ და ეს ქირვეული მაყარი გვაწვიეო.

\* \* \*

1923 წლის 16 მაისს თბილისის ოპერის თეატრში ვანო სარაჯიშვილის მოღვაწეობის 20 წლისთავის აღსანიშნავი იუბილე დაინიშნა. ხალხი მოუთმენლად მოელოდა დიდი მომღერლის შესანიშნავ დღეობას. მთელი პრესა ალაპარაკდა. შესდგა საიუბილეო კომისია. გაზეთმა „ლომისმა“ სპეციალური ნომერი მიუძღვნა ამ შესანიშნავ თარიღს.

ამ ნომრის მოწინავე სტატიაში—„ტკბილი ყრმა“ ვკითხულობთ:

„...უსიერ მთების, უძირო ტბაში ტყის დედოფალი სცხოვრობდა—ტანაყრილი, ნატიფი, თვალგიშვრა.

ის იყო ჯადომპყრობელი: ვინც მოეწონებოდა, მოჰხიბლავდა, მონად გაიხდიდა, დააჩუყვებდა და შემდეგ გულს ამოაცილდა. მისი სრა-სასახლე მოქედელი იყო ადამიანთა გულებით.

ერთხელ ტბის პირას ნებივრობდა დედოფალი და თავისი ჯადოთი ცდილობდა მზის დატყვევებას.

შველივით გამოხტა თმახუტუკა ყრმა, დასტაცა ხელი ჯადოს და სწრა, ფად გამოტრიალდა. მშვენიერი დედოფალი გომბეზოდ გადიქცა და დიდ ლოდს ამოეფარა.

დადის მას აქეთ თმახუტუკა ყრმა და თავისი ჯადოთი ყველას ჰხიბლავს-ატყვევებს, იმონებს.

ვინ არის ეს ყრმა?  
ჩვენი ვანო სარაჯიშვილი.  
რა არის ეს ჯადო?  
მისი მომხიბლავი ხმა.

ჩვენ ვამაყობთ ვანო სარაჯიშვილით, მარტო იმიტომ კი არა, რომ ის ხმის ჯადოსანია. იმიტომ კიდევ, რომ ის ჩვენია, რომ მასში ქართველი ერის ნიჭი სჩქედს...“

სხვა სტატიაში ვკითხულობთ:

„...ვანო სარაჯიშვილი ნამდვილი პოეტია მუსიკალურ მეტყველებაში, მისი მუსიკალური განცდა ნაზია და ფაქიზი, გრძობა—მომრევი, მისი ლამაზი ტენორი საესეა ალფრისით და იმ შეგზნებით, რომელსაც უწოდებენ: ნიუნანსებს, შოპენის ნოქტიურნებით რაღა არიან მიზნდელილები... ვანო სარაჯიშვილს აქვს ტექნიკაც, აქვს ვოკალური კლტურაც, მაგრამ მასში საინტერესოდ არის განსახიერებელი მეორე მხარე არტისტიულობისა: სულიერი განცდა და დიდი ნებისყოფა, ნამდვილი სცენიური ნერვი... ვანო სარაჯიშვილის იუბილე არის იუბილე ქართული ოპერისა“.

„ლომისის“ ამავე ნომერში დაიბეჭდა ვანოსადმი მიძღვნილი ი. გრიშაშვილის, ვ. რუხაძისა და სხვების ლექსები.

„სალამი ჩვენი მუსიკის ნათელ სვეტს—ვანოს!“

„დიდება ჩვენს უკვდავ შოთას, აბესალომს, ქართული ოპერის გუმბათს და ჩუქურთმოვან თაღს!“

„მრავალჯამიერ საქართველოს ბულბულს!“

ვინ მოსთვლის, რა არ დაიწერა მაშინ ვანოზე!

ვანო დიდი მორიდებით შეხვდა ამ „ზეიმსა და ზარს“.

— რა დროს ჩემი იუბილეა! ვის გაუგია 20 წლის არტისტული მოღვაწეობის იუბილე! 25 წლისა მაინც უნდა იყოს. ძალიან ახალგაზრდა იუბილარი ვიქნები, სირცხვილია...“

\* \* \*

16 მაისს თბილისის ოპერის თეატრში, რომ იტყვიან, ნემსიც კი არ ჩავარდებოდა. არასდროს არ ღირსებია ამ კედლებს არც ამოდენა ზღვა-ხალხი, არც ასეთი ჟრუანტელი და აღფრთოვანება. არა ნაკლები ჟრიაშული იყო ქუჩაში. რა გულმოკლული იცქირებოდა გარეთ დარჩენილი და რარიგ უბრწყინავდა სახე მას, ვისაც ბილეთი ეჭირა და გული საგულეს ჰქონდა.

თითქოს ბუნებამაც თავისი მიუზლო. იმ სალამოს არაჩვეულ-ბრივად ჟღერდა ვანოს წარმტაცი ხმა: იგი კვლავ ხიბლავდა მსწენელს თავისი ხავერდოვანი სინაზით, მკეჭარე მალღებით, მომაჯადოებელი ტემბრითა და სიმსუბუქით; თავისუფლად ლივლივებდა, მორაკრაკებდა— ხან ნიავივით აისხლეტდა ფრთას, ხან კი იღუმლად მისწყდებოდა, გარინდებოდა.

ვანო საგანგებოდ შერჩეული პროგრამით წარუდგა საზოგადოებას. დაიდგა: „აბესალომის“ პირველი აქტი, „ტოსკას“ მესამე აქტი და „კარმენის“ მეოთხე აქტი. „აბესალომს“ ზაქარია ფალიაშვილი დირიჟორობდა. ვანოს კვლავ მხარს უმშვენიებდა თავისი ძვირფასი მეგობარი სანდრო ინაშვილი. იგი გაათქეცბული აღგზნებითა და სიხარულით მღეროდა ამ საზეიმო დღეს. სპექტაკლში მონაწილეობა მიიღეს ბოკოვამ, კარპოვამ, მუხტაროვამ.

ვანომ ერთხელ კიდევ ნათლად გამოააშკარავა თავისი დიდებული ხმის ყველა თვისება, ვირტუოზული ოსტატობა, არტისტული ბუნება და მგზნებარე ტემპერამენტი.

განსაკუთრებული მღელვარებით და ენტუზიაზმით ჩატარდა „კარმენი“. საზოგადოების აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა.

\* \* \*

საზეიმო განყოფილება ვასო აბაშიძემ გახსნა. სცენაზე ასზე მეტი ადამიანია. შუა ადგილას ამაღლებული ადგილია იუბილარისთვის.

ფრაკით მორთული ვანო სცენაზე შემოჰყავთ ვასო აბაშიძეს, საფაროვ-აბაშიძისას, ბოკოვას, ალ. წუწუნავას. დარბაზში ტაში გრიალებს. ყველა ფეხზე დგება და მთელი სულითა და გულით მიესალმება თავის საყვარელ ადამიანს. დიდი გუნდი „მრავალყამიერით“ ეგებება ქართული ხალხური სიმღერის ჯადოქარ ოსტატს.

იწყება წისალმებები.

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს სახელით ცხადდება, რომ მშობლიური კულტურის წინაშე უდიდესი დამსახურების მქონე იუბილარის აღნიშვნა სახალხო არტისტის წოდებაზე დასაყდრად გამოდიან. აბაშკავკასიის სახალხო კომისართა

საბჭოს წარმომადგენელი, ხელოვნების მთავარი სამმართველოს, თბილისის და ქუთაისის აღმასკომების, აკადემიური თეატრების, ქართული, რუსული, სომხური და აზერბაიჯანული დრამის, მოძმე რესპუბლიკათა განათლების სახალხო კომისარიატების, საქართველოს მწერალთა კავშირის, პირველი და მეორე კონსერვატორიებისა და მთელ რიგ ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

გამოქვეყნდა, რომ ვანო სარაჯიშვილს ეძლევა სამუდამო უზრუნველყოფა და სახელმწიფო კონსერვატორიაში წესდება მისი სახელობის სტიპენდიები. სიმღერით მიულოცეს თარხნიშვილის, მაისურაძისა და კავსაძის გუნდებმა.

გრძნობიარე მილოცვით მიმართა საქართველოს მონადირეთა კავშირმა:

„სრულიად საქართველოს მონადირეთა კავშირი საქართველოს ყველა მონადირის სახელით, გულითად მოლოცვასა და თავის მონადირულ საღამს მოგიძღვნისთ 20 წლის იუბილეს დღეს, რაც თქვენი—როგორც ხელოვანისა და მომღერლის—განსაკუთრებული ნიჭის წყალობით, არის არა მარტო საქართველოსი, არამედ მთელი მსოფლიო ხელოვნების დღესასწაული.

ვამაყობთ, რომ თქვენ ჩვენი კავშირის წევრი ბრძანდებით.

შეუძლებელია იყო ხელოვანი, პოეტი, მომღერალი, თუ შენი სული არ არის შერწყმული ბუნებასთან.

დაე, უკეთილშობილესი სპორტის—ნადირობის ტრფიალმა, კურთხეული საქართველოს მომავადობეგელი ბუნების, მისი მოწიბველელი მზისა და ოქროვანი ხობების ტრფიალმა ალაგზნოს თქვენში დიდი ნიჭი ხელოვნების საკეთილდღეოდ, კეთილშობილი ქართველი ხალხის საკეთილდღეოდ.

მრავალგამიერ და მაღალი „ვაშა“ საყვარელ მომღერალ-მონადირეს ვანო სარაჯიშვილს!

გამგეობის თავმჯდომარე ლ. ისეციკი“.

ამაღელვებელი ნობათი გამოგზავნა ბაქოში მყოფმა სამუელ სტოლერმანმა, რომელიც ვერ დაესწრო იუბილეს:

„...როდესაც თქვენ სცენაზე ხართ, მღერით თუ უბრალოდ დგხართ—პარტნიორისათვის, თქვენ სცხოვრობთ, თქვენ იწვიით; ეს კი ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველაზე ძვირფასია მსახიობისათვის, რასაც ყველა ვერ აფასებს. ვწერ ამ სტრიკონებს და მეტად მიმიძმს, რომ თქვენთან ვინმე მსახიობმა მთელი ჩემი გონება, სული და გული თქვენსაკენ მიმართა.“



ერთი „საყვედურიც“ გამოითქვა: მეორე სახელმწიფო კონსერვატორიამ განაცხადა. \*

„...რა თქმა უნდა, დღეს შენ თვალნათლივ ჰხედავ. თუ რა ალტაცებიც იგებება ყველა შენი ოცი წლის იუბილეს. შენს ქება-დიდებას არ აქვს სახლვარი, მაგრამ რა დაგიშავა ახალგაზრდობამ? ასწავლე მათაც, როგორ უნდა იმღერონ, ჩაუნერგე, გაუადვილე ეკლიანი გზა, რომელიც წინ უძევთ...“

ვანოს საჩუქრად მოართვეს სანადირო კოსტიუმი, თოფი და ბევრი ძვირფასი ნივთი. კახელ მევენახეთა არტელმა „ძმობამ“ რუმბით მოართვა ღვინო. ძლივს მოჰქონდა მუშას. იუბილარი სწრაფად მიიქრა მასთან და ძმურადვე ჩამოაღებინა ტვინი იატაკზე.

ტაშის გრიალი გაათქეცდა.

აუარება მისალოცი დეპეშა წაიკითხეს. მათ შორის იყო სობინოვის, სუმბათაშვილ-იუეინის, მოსკოვისა და ლენინგრადის განთქმული მოღვაწეების, საქართველოსა და მოძმე რესპუბლიკათა ორგანიზაციების მილოცვები.

„მხურვალე სალამი ძვირფას იუბილარს—საქართველოს ბულბულს. სულით და გულით თქვენთან ვარ“,—სწერდა სუმბათაშვილი.

ამ სალამოს წარმოთქმულ სიტყვებსა და მისალმებებს მთელი ტომი ვერ დაიტევდა.

\* \* \*

დაფნის გვირგვინი, სიყვარული და დაფასება ვანოს თან სდევდა მუდამ, სცენაზე ფეხის შედგმის შემდეგ. მაგრამ ამ სალამოს, ევროპის დიდი ცენტრების სცენაზე ნაწრობი ვანო სარაჯიშვილი თითქოს ბავშვით გახდა. მოზღვავებულ განცდებს ველარ გაუძლო. სუნთქვა ეკვროდა, თვალები ცრემლით უბრწყინავდა. უზომოდ აღელვებულმა ძლივს მიმართა საზოგადოებას:

— სიტყვის ოსტატი არა ვარ. ჩემი სიტყვა სიმღერაა, ამიტომ...

ღარბაზში ისევ ტაშმა იგრიალა, მაგრამ ვანომ ნაბიჯი წარსდგა, ჩვეულებრივ გვერდზე მოიღო ტუჩი და ხუჭუჭა თავი გადასწია. სიჩუმე ჩამოვარდა.

— მადლობელი ვარ...—ეს ტრადიციული ქართული ჰანგი ძვირფას ჩუქურთმად განიფანტა მთელს დარბაზში.

ბევრი ამღერეს ვანო. ღამის 2 საათი გახდა. ხალხს მაინც არ უნდოდა დაშლილიყო.

უზომოდ აღელვებული ვანო თავისიანებს ეუბნებოდა:

— ნუთუ მართლა ასე ვუყვარვარ ყველას? ეს რომ მცოდნოდა, უფრო მრევულიდი თავს...

### „მამის მკვლელი“

კინოხელოვნებას ვანო სარაჯიშვილი დიდი სიმპატიით ეპყრობოდა. ნახულობდა ყველა თვალსაჩინო სურათს. ნაცადი სცენიური თვალთ უკვირდებოდა კინომსახიობის მუშაობის თავისებურებას. ძალიან მოსწონდა განთქმული მსახიობის კონრად ფეიდტის თამაში. ერთხელ, კინოდან შინ დაბრუნებისას, ვანო ფეიდტივით მოირთო—ჩაიცვა ფრაკი, შემოიბურა თავზე ჩაღმა და ოთახში ისე განასახიერა კიბეზე ასვლა, თითქოს იატაკზე კი არაა, მართლაც კიბეზე აღისო.

რეჟისორი ბექ-ნაზაროვი „მამის მკვლელის“ დადგმას შეუდგა. გადაღება სწარმოებდა 1923 წლის ნოემბერში თბილისის მიდამოებში. ონისეს როლის შემსრულებლად მან ვანო სარაჯიშვილი მიიწვია.

ვანომ კაბუკური ხალისით დაიწყო ფუსფუსი კინოაპარატთან. მას თამაში მოუხდა კინოში ახლად მოსულ ნატო ვაჩნაძესთან. საქვეყნოდ სახელმოხვეჭილ მსახიობთან ნატო ვაჩნაძეს მორიდებით ეკირა თავი, მაგრამ თვით ვანო არავის არ აძლევდა არავითარი მოკრძალების საშუალებას. იგი ისევე უბრალო, გულწრფელი და საყვარელი იყო აქაც, როგორც ოპერის სცენაზე: ბავშვივით უგონებდა რეჟისორს ყველაფერს, ემორჩილებოდა ყოველ წვრილმანში; კინომსახიობებს ვანო ხშირად ეხუმრებოდა:

— ხომ ხედავთ, ყველასა გჯობნით. თქვენ არ იცით—მე ძველი კინომსახიობი ვარ, იმ დროინდელი... როცა სრულებით არ იყო კინო!

კინოს სპეციფიკური ბუნება ლაგამსა სდებდა ამ დაუცხრომელი ტემპერამენტის ადამიანს, და ხშირად ვანო ისე აბობო-



მანო სარაჯიშვილი კინოფილმ „მამის მკვლელები“.

ქრდებოდა ხოლმე, როგორც ეს მას სისხლსა და ხორცში ჰქონდა გამჟღარო ოპერის სცენაზე. ამ შემთხვევაში აჩერებდნენ...

„მამის მკვლელები“ მონაწილეთ სამუდამოდ ჩარჩათ გულში შესანიშნავ ადამიანთან, ზრდილ და თავაზიან ვანოსთან თამაში. მათ გვერდში ედგა არა მედიდური დიდი მომღერალი, არამედ ლექსანდრე ყაზბეგის გმირი—კეთილშობილი ქართველი ვაჟკაცი: გულლია, სადა, გამტანი და თავდადებული.

„მამის მკვლელში“ ვანოს მონაწილეობა ხალხმა თავისებურად შემოინახა: ამ ფილმის გადაღება ფასანაურის მიდამოებში სწარმოებდა. ვანოს ერთი გორაკი ჰქონდა ამოჩემებული იქ, საცა თეთრი და შავი არაგვი ერთდებიან. გათავდებოდა თუ არა მუშაობა, წამსვე ამ გორაკს მიაშურებდა, წამოწვებოდა და მშვენიერი ბუნებით მოხიბლული, ღიმმორეული ღიღინებდა. ამ ადგილს დღესაც „ვანო სარაჯიშვილის გორაკს“ ეძახის ხალხი.

„მამის მკვლელი“ ერთადერთი კინოსურათია, სადაც შენახულია ვანოს სახე. სამწუხაროდ—ერთადერთი და ისიც მუნჯი!

ვანო და მუნჯი?!

აი, მართლაც ბედის დაცივნა!

ვანოს დანახვისას ისე ენატრება ადამიანს მისი სიმღერა, როგორც მგზავრს პაპანება სიციხეში ჩრდილი და წყარო.

### „დაისი“

„დაისის“ ლიბრეტო ზაქ. ფალიაშვილს ვალერიან გუნიამ მიაწოდა. თავდაპირველად მას „ღამის თევაზე“ ერქვა. „აბესალომის“ შემდეგ ზაქარია გულმოდგინედ შეუდგა ახალ ოპერაზე მუშაობას. გამოყენებულ იქნა „აბესალომიდან“ ამოღებული ადგილები, კერძოდ მაროს არია „შუქურ ვარსკვლავო“, რაც „აბესალომში“ მარიხის პარტიაში იყო. რა თქმა უნდა, გამოყენებულ იქნა აგრეთვე ის უმდიდრესი მასალა, რაც უხვად მოეპოვებოდა ზაქარიას ხანგრძლივი მუშაობის შედეგად.

ისე როგორც აბესალომისა, მალხაზის პარტიაც ზაქარიამ ვანო სარაჯიშვილის არტისტულ ყალიბზე ააგო.

1921 წლის ზაფხულში ზაქარია ფალიაშვილი აბასთუმნის სანატორიუმში გაგზავნეს დასასვენებლად. მაშინ სანატორიუმის გამგედ იყო ზაქარიას ყოფილი მოწაფე თბილისის ქართული გიმნაზიიდან, ექიმის (ახლა სტომატოლოგიური ინსტიტ. პროფესორი) ზაქარია ნიკოლოზის-ძე მანისურაძე.<sup>1</sup> ზაქარია მაშინ „დაისის“ მეორე აქტზე მუშაობდა. ხელმძღვანელ ორგანოთა

<sup>1</sup> ძმა განსვენებული ლოტბარის ალექსანდრე მანისურაძისა, რომელიც აგრეთვე ზაქარიას მოწაფე იყო (გალობაში) იმავე გიმნაზიაში. შ. კ.

მითითებით ზაქარია მაისურაძემ მუშაობის შესანიშნავი პირობები შეუქმნა თავის საამაყო მასწავლებელს: განსაკუთრებული ოთახი დაუთმო, გაძლიერებული კვება დაუნიშნა და სამი თვით გაუგრძელა სანატორიუმში ყოფნის ვადა. ზ. ფალიაშვილმა აქ იენისიდან სექტემბრის დამდეგამდე დაჰყო. სანატორიუმში რამდენიმე ფორტეპიანო იყო. ზაქარია ფალიაშვილმა ამოარჩია ერთი მათგანი, საკუთარი ხელით შეაკეთა, წესიერად ააწყო და დაიდგა სამუშაოდ. მთელი ამ სამი თვის განმავლობაში ზაქარია თავაუღებლად მუშაობდა დილიდან დღის ორ-სამ საათამდე. მუშაობას განაგრძობდა ნასადილევისა ც. აქ დაიწერა „დაისის“ მეორე აქტი. სანატორიუმის თვითშემოქმედების საღამოებში იგი ხშირად ასრულებდა და წაქცეულებს თავისი ახალი ნაწარმოებიდან, რასაც აღფრთოვანებით ეგებებოდა დამსწრე საზოგადოება. თვით ზაქარია დიდ იმედებს ამყარებდა თავის მომავალ ოპერაზე. სანატორიუმში მაშინ ისვენებდა განთქმული პროფესორი პეტრე მელიქიშვილი, რომელსაც, ისე როგორც ზაქარიას, ცალკე ოთახი ჰქონდა დათმობილი. შუადღის დასვენების საათებში ზაქარია ასმენინებდა პ. მელიქიშვილსა და ზ. მაისურაძეს ადგილებს ჯერ დაუმთავრებელი ოპერიდან. შემდეგ მცირე ხნით გაისეირნებდა მეგობრებთან და კვლავ ფორტეპიანოს მიუჯდებოდა. იგონებდა თავის შესანიშნავ აბესალომს—ვანო სარაჯიშვილს, ეთაყვანებოდა მის ნიქს, მის დამსახურებას ქართული მუსიკალური კულტურის წინაშე. ამ საუბრის დროს ზაქარია ქაბუკივით აღინთებოდა, მაგრამ ზოგჯერ საშინელი ექვი შეაყენებდა და შუბლს შეუკრავდა. მაშინ, ტუჩმოკუმული ზაქარია ჩუმად იტყოდა:

— „დაისი“, „დაისი“, მაგრამ რა ეშველება ამ ჩემს „დაისს“... ვანოს რომ რაიმე მოუვიდეს?! დიახ, ვეკვობ ვინმემ შესცვალოს. ჰორიზონტზე მსგავსი ვინმე აღარა სჩანს...

საქართველოს სახელმწიფო თეატრალურ მუზეუმში ინახება ზაქ. ფალიაშვილის ავტობიოგრაფია. ამ მასალაში ვკითხულობთ:

„...„დაისი“ კომპოზიციის ხასიათით თვალსაჩინოდ განსხვავდება „აბესალომ და ეთერის“—ამ ოპერა-ლეგენდის მონუმენტალური სტილისაგან. „დაისი“ არის ტიპური ოპერა არიების, დუეტებისა და ანსამბლების დამ-

თავრებული ფორმებით. ქართული ჰანგების გვერდით იქ გვხვდება აღმოსავლური ნომრებიც.

ოპერაში ყურადღება აქვს მიქცეული სიმღერის პარტიებს, ამ პარტიებს მისწრაფებაც აქვთ და შესაძლებლობაც გააჩნიათ გაფართოვდნენ და დრამატიული ძალა მოიხვეჭონ, და ეს თვისებები განსაკუთრებით მიმზიდველად ზდიან ოპერას ვოკალისტებისათვის. ოპერის შესავალი დამახასიათებელი მგლოდით გვიხატავს განთიადის (აისის) რელიეფურ სიმფონიურ სურათს. აქ მოცემულია ზურნის ჰანგი — „სარი“. შემდეგ, მესამე მოქმედებისათვის დამუშავებულია ინტერმეტო—ქალაქური იერისა, კავკასიურ მოსახლეობაში მეტად პოპულარული ქართული თემა—„თავო ჩემო“...

მაგრამ თავდაპირველად „თავო ჩემო“ არ ჰქონდა ზაქარიას შეტანილი ოპერაში. ვანოს თუმცა მოეწონა მალხაზის პარტია, დეტალურად გაცნობის შემდეგ მაინც არ დაეთანხმა ზაქარიას.

— სატრფოს მართმევენ. კაბუკური ზეშთაგონება მომეწამლა. შენ კი... ფარდა დაუშვი და სცენიდან მაგდებ, შხამს თან მატან, არ მაძლეე ბოღმა-ვარამის განქარვების საშუალება!

— როგორ არ გაძლეე! მაშ რა არის მუქარა კიაზოს მიმართ; სხვა რაღა გინდა?

— განა ეს საკმაოა ესოდენ გულმოკლული კაბუკისათვის, როგორც მალხაზია? რა ვქნა პირველი აქტის შემდეგ, — რუსთაველის პროსპექტზე გავიქრე და ვინმე გამვლელს ყელში ვსწვდე? აი, თუნდაც ხალხური „თავო ჩემო“. გადაამუშავე შენებურად; მომეცი, დაეჯდე, დარდიანად დავალიდინო. ცანგალას პარტიაც მშრალია, ზაქრო! უფრო მეტი ხალისი შეიტანე შიგ.

შეთანხმდნენ.

ვანო აგარაკზე გაემგზავრა. ზაქარია თბილისში განაგრძობდა მუშაობას „დაისზე“. რამდენიმე ხნის შემდეგ იგი ვანოსთან ჩავიდა და უთხრა, რომ დანაპირები შეუსრულა — მალხაზს დაუწერა „თავო ჩემო“.

— აი, ეს მესმის! ახლა ჩემზე იყოს...— მიუგო ვანომ.

1923 წლის 19 დეკემბერს თბილისის ოპერის სცენაზე პირველად დაიდგა „დაისი“. მალხაზის პარტიას ასრულებდა ვანო სარაჯიშვილი, კიაზოსას—კრიტიანოვსკი, მაროს—პოპოვა,

ცანგალას—ლ. ისეცკი, ტიტეს—გ. თუმანიშვილი. ოპერა დას-  
დგა კოტე მარჯანიშვილმა, მხატვრულად გააფორმა ვ. სილა-  
მონ-ერისთავმა, ღირიჯორობდა ივანე ფალიაშვილი.

ჩვენ ახლაც თვალწინ გვიდგას პირველი აქტის წარმტაცი  
სურათი: ბანიანი ქართული სახლი, მოოქროვილი შემოდგომა  
და პირდაპირ პოეტურად აღმგზნები ფერები. მალხაზის უნა-  
ბისფერი ქულაჯა, ცისფერი შარვალი და თეთრი წაღებიც კი  
ჩარჩა მაყურებელს მეხსიერებაში. იქნებ ვანო სარაჯიშვილის  
ტანკენარობისა და ეშხიანი მიხვრა-მოხვრის ბრალია ეს.

კრიტიკოსებმა და პოპოვამ ქართული არ იცოდნენ, მაგრამ  
დიდი მუშაობის შედეგად შესანიშნავად ჩაატარეს საპასუხის-  
მგებლო პარტიები. ისინი მშვენიერი მომღერლები იყვნენ. შე-  
იგზნეს კიდევაც ქართული კილოს ჩუქურთმა და შუქფენილო-  
ბა. ერთი კია: კოტე მარჯანიშვილის და ფალიაშვილების  
ხელში ვინ გავიდოდა იოლად ფონს?

ვანო სარაჯიშვილმა ახალი დღესასწაული გაუთენა იმ დღეს  
ქართულ ოპერას. კულისებიდანვე ხმაშეკიდებით დაწყებულმა  
„ურმულმა“ მსმენელის გულს აუწერელი ნეტარება მოჰგვარა.  
აი, უკანასკნელი ასამაღლებელი და სცენაზე შემოიქრა წარმ-  
ტაცი სანახაობის ჭაბუკი. იწყება მაროსა და მალხაზის სატრ-  
ფიალო დუეტი:

— ქალო, რად შეჰკრთი,  
იწამე ღმერთი ..

ყოველ მუსიკალურ ფრაზას ვანო სარაჯიშვილი თავის სულ-  
ში ატარებს, ნაირფერ ეშხით აჩუქურთმებს და მომხიბლავ  
ჩანჩქერად აფრქვევს. ღამისთევა დამთავრდა. მარო გაიქცა.  
მალხაზი წყვილიაღში დარჩა. მის ბედნიერებას ძლიერი მეტოქე  
გასჩენია კიაზოს სახით, მაგრამ მანინც ვერ დასთმობს სატრ-  
ფოს.

რა აღტაცებით შემოვიდა მაროს ეზოში, რამდენი სიხარუ-  
ლი შემოიტანა და როგორ გულმოკლული მიატოვა ახლა  
მარომ.

ორკესტრმა ნიავევით ამოისუნთქა, თითქოს სცენაზე მალხა-  
ზის სევდა ამოჰყარაო, და დაიწყა:

— თავო ჩემო, ბედი არ გიწვრია...

ელდანაცემი მწუხარებით ღიღინებს ვანო. ეს ღიღინი თითქოს სასიამო ჟრუანტელს იწვევს, მაგრამ... სულსა და გულს ჭფლეთს, ცეცხლს უკიდებს. გრძნობათ ჭიდილში ითენთებით და რაღაც ფანტასტიკურ ბურანში ხართ.

— ჩანგო ჩემო, ეშხით არ გიჟდვარია...

ვანო ფალიაშვილს მორიდებით მიჰყავს ორკესტრი. ჩელოს ჭეითინს ფიანდაზად ექსოვება ვანოს წარმტაცი ხმა, მისი სიმივით იფერფლება, კენესის, ვალალებს. ხშირად ძნელი ხდება მათი განცალკევება, მაგრამ ფრაზის დასასრულს ვანოს ფალცეტი ნიავევით გადაუფრენს ხოლმე მთელს ორკესტრს, და მაშინ ნათელი ხდება მათი სხვაობა.

— გულო ჩემო, გრძნობით არ გიძვერია...

თვალნათლივ გრძნობთ, რომ სწორედ გულზეა ლაპარაკი, — შეურაცხყოფილი და მწუხარე ვაეკაცი გულზე. იმ გულზე, რომელზედაც ვანოს ახლა ხელი უძევს, და თქვენს გულზედაც, რადგან თქვენც ისეთი ადამიანი ხართ, როგორც მალხაზი.

„თავო ჩემო“ ფინალს უახლოვდება. ვანოს ხმა ახლა ჩელოს გამოეთიშა და ვიოლინოთა კრინს აედევნა, სადღაც ეთერში შთაინთქა და მიიბნინდა. დაეშვა ფარდა. თქვენ კი თითქოს მიუწვდომელი სიშორიდან მოგესმით საოცარი ბგერა და ადგილიდან ვეღარ იძვრით.

უძლიერეს შთაბეჭდილებას ახდენდა ვანო ბოლო აქტში, როდესაც კიაზოს ხმლით განგმირული მალხაზი კვდება.

— დამშვიდდი, მარო, გადამივიწყე...

- ჩემი სიკვდილით იჯერე გული.

ყოველი სიტყვა აქ ისეთი გრძნობით ამოჰქონდა ვანოს გულის სიღრმიდან, ისეთი სევდით, მწუხარებით და გულდაწყვეტით იყო გამსჭვალული მისი ყოველი ამოკენესა, რომ მართლაც ქვის გული უნდა ჰქონოდა ადამიანს, რომ ცრემლი არ მორეოდა.

ვანო სარაჯიშვილის „თავო ჩემო“ და მალხაზის მთელი პარტია უძვირფასეს სამკაულად გაჰყვება „დაისს“ საუკუნეთა მანძილზე და ლეგენდასავით გადაეცემა შემდგომ თაობებს.



ზაქარია ფალიაშვილი გაოცებით ამბობდა:

— ნუთუ ასეთი რამ დაეწერე?..

„თავო ჩემოს“ შესახებ ჩვენს პრესაში ოპერის დადგამდე გამოითქვა ასეთი აზრი:

„დაისში“ შეტანილია ისეთი ხალხური სიმღერები, როგორც არის „თავო ჩემო, ბედი არ გიწერია“, „სულო ბოროტო“, გურული ფერხული, „ალი-ფაშა“ და სხვა. აქ შეიძლება გავეკამათოთ ავტორს, თუ რამდენად მისაღებია მუსიკალურ ნაწარმოებში ისეთი მოძველებული და ბანალური სიტყვებით ამღერებული „თავო ჩემოს“ შეტანა, რომელსაც საქართველოს ყოველ კუთხეში მღერიან და დასულია უკანასკნელ შაბლონამდე. მაგრამ ზ. ფალიაშვილის ოსტატობამ ამ შაბლონს სძლია და „მოძველებული“ ჰანგი აამეტყველა დიდი მუსიკალური ელვარებით“.

„დაისის“ დადგმის შემდეგ განწყობილება უფრო შეიცვალა:

„...პირველ რიგში შემსრულებელთა შორის უნდა დავაყენოთ ივ. სარაჯიშვილი (მალხაზი)... ჩვენ კიდევ ვიტყვი, რომ სარაჯიშვილის მაგიერობას დღეს (და შეიძლება დიდხანსაც) ვერაინ ვასწევს. მისი გრძნობა, მუსიკალობა ისევ დიადად სჩქეფს, როგორც კასკადი.

მალხაზის პარტიის შესრულებით მომღერალმა კიდევ ერთხელ ნათელჰყო თავისი დიდი მუსიკალური ნიჭი. სცენაზე შემოსულის უმაღლეს სარაჯიშვილმა მსწრაფლ აპკრიბა ზ. ფალიაშვილის გაბნეული მარგალიტები, შეისუნთქა ყოველი მუსიკალური სულის ბგერა და გააბა თავისი ხმით ჯადოსნური ძაფი სცენასა და მაყურებელს შორის.

მიზნდელი, ლირიზმით აღსავსე გრძნობით წაიყვანა პირველი მოქმედების არია „თავო ჩემო, ბედი არ გიწერია“.

მე მგონია, ეს სიმღერა მხოლოდ ვანო სარაჯიშვილის ხელში იპოვის ესთეტიურ სახვას. აქ მომღერალმა დიდი ხელოვნებით წაიყვანა დაბალი ნოტები და—მიუხედავად იმისა, რომ აქ ორკესტრი არ არის ისე გამპკირვალე, როგორც სხვა ადგილებში, სარაჯიშვილმა მაინც სძლია ამას და თავისი დიდი ვოკალური კულტურით არია შეასრულა მხატვრულად და ყოველი ფრაზა დაამთავრა ჰარმონიულად. ასეთი ვირტუოზული შესრულება და გადმოცემა რჩეულთა ხვედრია.

აღსანიშნავია მალხაზის სიკვდილის სცენის გადმოცემა: „დამშვიდდი, მარო, გული იჯერე“ სარაჯიშვილისებურ ფრაზიობით იყო გამართული.

ერთი დიდი ღირსება ამ მომღერლისა, სხვათა შორის, ისიც არის, რომ მშვენიერ სკოლასთან ერთად მას აქვს სცენიური ნერვი და დრამატიული მომენტების შეგრძნება. სარაჯიშვილმა იცის ლამაზი ფრაზების მოცემა. ამას ხელს უწყობს მისი მშვენიერი სუნთქვა; მან იცის აგრეთვე მხატვრუ-



საქართველოს სსრ სახალხო არბიტრი  
ივანე ზალიაშვილი

ლი ზომიერება, ისეთი ნიუანსების გამოყოფა, რომელსაც სხვა მომღერალი იშვიათად თუ შეამჩნევს. მუდამ და ყოველთვის სარაჯიშვილს თან ახლავს დიდი მუსიკალური ექსპრესია და ტემპერამენტი.

ფეფტიანი გარეგნობით კი, სარაჯიშვილი ჰგვანდა გრაალის კოშკიდან ჩამოსულ ბრწყინვალე რაინდს...“ (ე. „თეატრი და ცხოვრ.“, 1924 წ., № 2).

„დაისზე“ ვერცელი წერილი გამოაქვეყნა შაშინ ია კარგარეთელმა ეურნ. „სახიობაში“. მან საყვედურით მიმართა ზოგიერთ „მოწუწუნეთ“ და „დაისი“ ბიზეს „მარგალიტის მაძიებლებს“ შეადარა. ია კარგარეთელი სწერდა: „ჩვენთვის რომ ვსთქვათ, რა არის ბიზეს ოპერაში ნადირისა და სოპრანოს არიის მეტი მოსასმენი? და განა შეიძლება „მარგალიტები“ შევადაროთ „დაისს“ მუსიკის ფაქტურით? მაგრამ არა, ის რადგან ბიზესია ამიტომ კარგიც არისო,—ასე მსჯელობს მხოლოდ უზომო პრეტენზიის მქონე და უნიადაგო მკოდნე ამ დარგისა“. მაინც, კარგარეთელმა არც ზ. ფალიაშვილი დასტოვა უსაყვედუროდ: კარგი იქნებოდა, მალხაზის გამოსასვლელ არიად ნამდვილი ხალხური ურმული შემოეტანაო; აღნიშნა აგრეთვე რამდენიმე სუსტი ადვილი და განსაკუთრებით ყურადღება მიაქცია ზოგიერთ სიტყვაში ასამაღლებელ მარცვლებს („აქცენტის ისარს“), რაც ქართული ენის ბუნებას ეწინააღმდეგებაო (მაგალითად: „დამ-შვიდ-დი“, „ნუ ჯავ-რობ“, და-მის-ხი“ და სხვ.). რამდენიმე ასეთი მაგალითი მოიყვანა „აბესალომიდანაც“. მაგრამ ეს მცირე ნაკლი ვერ დაჩრდილაფდა მიღებული შთაბეჭდილების გრანდიოზულობას.

დიდი პატრიოტი და ქართული მუსიკალური კულტურის ქეშმარიტი გულშემატკივარი ია კარგარეთელი, ყოველგვარ შურსა და მტრობას განრიდებული ადამიანი იყო. მას, როგორც მომღერალს, კომპოზიტორს, შესანიშნავ ეურნალისტსა და ქართულის კარგად მკოდნეს უფლება ჰქონდა ალალი გულით ეთქვა ეს ზაქ. ფალიაშვილისათვის. მაგრამ მთავარია ის, რომ ამ ნათქვამში ღვარძლის ნაცვლად მშობლიური აღტაცების ცრემლი ციმციმებდა.

„დაისმა“ მთელი საბჭოთა საზოგადოებრივობა აალაპარაკა. იგი მიჩნეულ იქნა დიდ მხატვრულ ნაწარმოებად არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი საბჭოთა კავშირის მასშ-

ტაბით. ანტონ ეიხენვალდი თბილისის ოპერის დირექციას სწერდა:

„შემთხვევით დავესწარი რა ოპერა „დაისის“ პირველ წარმოდგენას, არ შემიძლია ეს მოვლენა უყურადღებოდ დავტოვო და არ მივესალმო დირექციას ამ ყოველად მშვენიერი დადგმის გამო.

ზაქ. ფალიაშვილს ხალხურ სიუჟეტზე და ხალხურ სიმღერებზე შეუქმნია მშვენიერი ოპერა, რომლის მუსიკა გზიბლავთ თავისი სიახლით, ბრწყინავს ნაციონალური კოლორიტის სილამაზით და თავისი გულწრფელობით იყვრობს მსმენელს.

დიდება და პატივი ზაქარია ფალიაშვილს ასეთი მშვენიერი ნაწარმოების შექმნისათვის, მაგრამ მისი უფრო დიდი დამსახურება გამოიხატება იმაში, რომ იგი ნიჭიერად სწერს და მხატვრულად ამუშავებს ქართულ ხალხურ სიმღერებს... მის მიერ მშვენიერად გადამუშავებული ხალხური ქართული სიმღერები მომხიბლავია თავისი სილამაზით, მათი მშვენიერი ჰარმონიზაცია და დამახასიათებელი ორკესტრირება უფრო მეტი კოლორიტით არის აღსავსე და უშუალოდ ნათელჰყოფს ხალხურ სიმღერათა სილამაზეს...“

ა. ეიხენვალდის ეს შეფასება მშვენიერად გამოჰხატავს მთელს საზოგადოებრივ აზრს „დაისის“ შესახებ.

ოდესღაც პოპულარული „თავო ჩემო“ ზაქარია ფალიაშვილამდე ჩამქრალ ბუხარსა ჰგავდა: ჩაიფერფლა, ეშხი მოაკლდა და გადაივიწყეს. ზაქარიამ ააცალა მას ეს ქამთა ფერფლი. ვანო სარაჯიშვილმა კი მგზნებარე სული შთაბერა და განაბრწყინა. ზაქ. ფალიაშვილს გარდა „თავო ჩემო“ სხვა კომპოზიტორებსაც აქვთ დაწერილი, მაგრამ... აბა ვის მოუვა აზრად მათი შესრულება?

„დაისის“ პრემიერის შემდეგ თბილისის ქუჩებში „თავო ჩემოს“ ლილინი ისმოდა. ეს დიდებული ჰანგი ელვასავით მოედო მთელს საქართველოს. ცოცხალს ვინ მოსთვლის; მიცვალებულსაც კი უკანასკნელ სულთათანად ატანენ ხოლმე.

\* \* \*

ერთი შემთხვევა „დაისზე“ არასოდეს არ ამოიშლება ჩემი მეხსიერებიდან: „ურბულის“ შემდეგ სცენაზე შემოსულ მალხაზს მაროს სახლში იწვევენ. ბანიან სახლს კარგა მოზრდილი კიბე ჰქონდა გარედან. ვანო სარაჯიშვილი სხარტად აღიმართა კიბეზე. მოულოდნელად უკანასკნელი საფეხური მოუტყდა

და ამოდენა ვაჟკაცი ალვის ხესავით განერთხო იატაკს. ხალხი შეშფოთდა. მაგრამ, თითქოს აქ არაფერი მომხდარაო, ვანო სწრაფად წამოხტა, მოტეხილი საფეხური გადალახა და კვლავ აივანზე გაჩნდა.

სხვა რომ ყოფილიყო, აუცილებელი იქნებოდა ფარდის დაშვება და ხანგრძლივი ანტრაქტი.

დღეს რალაც საბედისწეროდ მეჩვენება ეს მოტეხილი საფეხური: აქი „დაისი“ ვანოს „გედის სიმღერა“ გახდა... მან თითქოს საკუთარ სიცოცხლეს უმღერა „თავო ჩემო“ ჩვენგან საშუალოდ განშორებისას.

### პოლუსები

ვანო სარაჯიშვილი და ლეონიდ სობინოვი, როგორც აღვნიშნეთ, ჯერ კიდევ 1912 წელს შეადარეს ერთმანეთს. გამოკვეყნდა საკმაოდ დიდი წერილი:

სობინოვი აპოლონია; მას შეუძლია დიონისოდ გახდომა, მაგრამ მჩქეფარე დიონისო—სარაჯიშვილი დიდად დაშორებულია აპოლონისგანაო.

სობინოვი და ვანო სარაჯიშვილი საუცხოო მეგობრები იყვნენ მთელი სიცოცხლის მანძილზე.

როგორ აფასებდა სობინოვი თავის ქართველ მეგობარს?

1923—24 წლის სეზონში სობინოვი საგასტროლოდ მოიწვიეს მოსკოვიდან. მის პატივსაცემად დაიდგა ოპერა „დაისი“. მალხაზის პარტიას ვანო ასრულებდა. ლეონიდ სობინოვის ალტაცებას საზღვარი არა ჰქონდა. სპექტაკლის შემდეგ კოტე მარჯანიშვილმა დიდი ბანკეტი გაუმართა ლ. სობინოვს.

— მუდამ სხვათა სასიამოვნოდ ვმღერით, ახლა ჩვენს თავსაც ვასიამოვნოთ,—მიმართა კოტემ თავის სტუმრებს.

სობინოვი ქართული კულტურისა და ხალხურ სიმღერის მოყვარული ადამიანი იყო. ეხერხებოდა „მრავალყამიერიც“. სუფრაზე თავისებურად შემოსძახა კიდევაც და დიდად ასიამოვნა საზოგადოებას.

— ვანო, გთხოვ შენი ძველი მეგობარი, მიმღერე „თავო ჩემო“!

ვანომ უყოყმანოდ შეუსრულა თხოვნა.

სობინოვმა მაინც ვერ მოისვენა.

— ვანო პეტროვიჩ! გემუდარები, მიმღერე ისევ, მე მიმღერე...

კვლავ უმღერა ვანომ.

გაოცებული სობინოვი ვანოს ბაგეს თვალს ვერ აშორებდა.

— საიდან ამოდის ეს ჯადოქრული ბგერა? რას შერებია ხოლმე სიმღერის დროს, რას აკეთებ სცენაზე გამოსვლის წინ?.. აი, ამ ნოტს, სიმღერის ამ ყაიდას მთელი სიცოცხლის მანძილზე ვეძებ. მოვხუცდი, მაგრამ ვერ დავეუფლე. შენ კი ბუნებრივად გაქვს მონიჭებული... ენის წვერზე გაქვს, ბაგეზე გაქვს ყველაფერი.

შემდეგ მიუბრუნდა ერთ დამსწრეთაგანს და უთხრა:

— არ იფიქროთ, რომ ეს სუფრა და პურმარილი მალაპარაკებს. მე გეკითხებით—რად გვიწვევთ აქ სასიმღეროდ, როდესაც ვანო სარაჯიშვილი გყავთ, დიდებული ვანო სარაჯიშვილი, ასეთი დიდი ოსტატი!

როგორც მკითხველი ხედავს, „პოლუსები“... გადანაცვლებულა.

ვანო სარაჯიშვილი „აპოლონი“ გახდა სიმღერაში, მაგრამ „დიონისობა“ არასოდეს არ დაუკარგავს.

ამიტომ აღიარა ეს საჯაროდ სიმღერის „აპოლონმა“—ლეონიდ სობინოვმა და ამასვე იმეორებდა სიკვდილამდე, ყველგან, სადაც კი ვანოზე ჩამოვარდებოდა საუბარი.

### უკანასკნელი „აბესალომი“

1923—24 წლის სეზონი თბილისის ოპერაში „აბესალომი“ დაიხურა. კოტე მარჯანიშვილის ახალ დადგმას აუარება ხალხი მიაწყდა. ვანო განსაკუთრებული მღელვარებით მღეროდა ამ დღეს. მის გამოძახებას ბოლო არ ჰქონდა. მოხიბლული საზოგადოება თეატრის გამოსასვლელთან ელოდებოდა, რომ ერთხელ კიდევ კარგად ენახა დიდი მომღერალი და მომავალ სეზონამდე დამშვიდებული ყოფილიყო. ერთ მოგონებაში ვკითხულობთ:

„... გამოსვლისთანავე გადავეხვიე და მოსკოვის ქუჩამდე გავყევი გახარებული. უამრავი პარტიების მცოდნე, მომავალი სეზონისათვის კიდევ ახალ რილს— „ჭოფმანის ზღაპრებს“ ამზადებდა. რა იცოდა საბრალომ, რომ „აბესალომის“ დასჯილი სულით სიცოცხლის უკანასკნელი დღე უახლოვდებოდა. შეიძლება გულის სიღრმეში ჰქონდა წინაგრძნობა, რომ ისე შეჰანიშნავი „აბესალომი“ დაგვიხატა უკანასკნელად. არ ვიცი რატომ, მაგრამ კი ვწუხდი, რომ მთელი ერი ვერ უსმენდა ვანოს ამ ღამეს...“

1924 წლის მაისში თბილისს ეწვია რუსეთის სუსრ განათლების სახალხო კომისარი ანატოლ ლუნაჩარსკი. ძვირფას სტუმარს ბანკეტი გაუმართეს ხელოვნების სასახლეში. წვეულთა შორის ვანოც იყო. ა. ვ. ლუნაჩარსკი გულთბილად ესაუბრებოდა მას: ეკითხებოდა ჯანმრთელობის, თეატრის პერსპექტივების შესახებ. ვანო უგუნებოდ გრძნობდა თავს. ძლივს დალია ორიოდ სანძისი ღვინო. მაინც სტუმრების თხოვნით თავისებურად შემოსძახა და სულ სხვა ელფერი მისცა სუფრას, ვანოს სიმღერით აღტაცებული ანატოლ ლუნაჩარსკი ზეზე წამოიჭრა და ქართული ხელოვნების სადღეგრძელო წარმოსთქვა: ილაპარაკა ქართული ოპერის აღორძინებაზე და, კერძოდ, ვანო სარაჯიშვილის უდიდეს დამსახურებაზე ამ საქმეში.

ლუნაჩარსკიმ მეტად გულთბილად მოიხსენია ვანო და ხზვასმით აღნიშნა მისი დიდი მუსიკალური კულტურა, არაჩვეულებრივი ხმა, მუსიკალობა, ბრწყინვალე გამარჯვება პეტერბურგისა და იტალიის სცენებზე. აღნიშნა, რომ ზაქარია ფალიაშვილმა და ვანო სარაჯიშვილმა მკვიდრი საფუძველი ჩაუყარეს ქართულ ოპერას და მას უდავო ზეიმი ელის მსოფლიო მუსიკალური კულტურის ასპარეზზე.

ვანო მაინც წარბეჭკრული იჯდა. თავს ცუდად გრძნობდა. არათფერი არ ახარებდა.

## ქართული რომანსის უოკრეული სათავეები

ქართულ რომანსს წინ უსწრებს ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ხალხური საგუნდო და ცალფა სიმღერები, აგრეთვე—სალამურის, გუდასტვირის, ლარკემის (სოინარის) და ჩონგურის დაკვ-

რის ვირტუოზების შემოქმედება. მრავალლულიან სალამურის დაკრა ისეთ მაღალ დონეზე იდგა, რომ გურულ ოსტატებს ბულბულიც კი შეჭყავდათ შეცდომაში. თუ იმ არემარეზე სადმე ბულბული იყო, უსათუოდ გამოეხმაურებოდა ხოლმე ლარკემს თავის ჯადოქრულ სტეენით<sup>1</sup>. ლარკემს ახლაც შესანიშნავად უკრავენ გურია-სამეგრელოში, თუმცა ეს ოსტატობა, სამწუხაროდ, თანდათან ქვეითდება.

ვინ მოსთვლის, რამდენ ოჯახში ღიღინებდნენ „ვეფხის-ტყაოსანს“.

რამდენიც აკვანი დარწეულა, იმდენი „იავ-ნანა“ თქმულა ჩვენს სამშობლოში.

იაკობ გოგებაშვილის ნაწარმოებში „იავნანამ რა ჰქმნა“ — ასახულია მშობლიური ჰანგის სწორუპოვარი ძლევამოსილება.

ჩვენი ჩონგური?.. ეს სულში ჩამწვდომი ჯადოქარი, სნების მკურნალი, მშვიდ ბაგეზე ვარდის მთოველი.

რამდენ ერთს მოსთვლით:

ხალხური მომღერლის ქიონია აკობიას დედამ ბევრი დიდებული კილო შემოუნახა ჩვენს თაობას თავისი ჩონგურით. ცნობილმა მეჩონგურემ, სოფ. ნაესაკოვოს მცხოვრებმა ეზოფინა ჩაჩავამ ბევრი შესანიშნავი სიმღერა ჩააწერინა დიმიტრი არაყიშვილს, რომელიც მას „ნამდვილ ოსტატს“ უწოდებს.

ჩვენს განკარგულებაში იმდენი მასალაა, რომ მარტო ამ ოსტატთა გვარების ჩამოთვლას მთელ წიგნი მოუნდებოდა.

ძველი საქართველოს მთა-ბარს უხეად ჰფენდნენ ათასგვარ ჰანგს ქართველი მინეზინგერები და ტრუბადურები.

აკაკი წერეთელი თავის ლექსს — „ირაკლის საფლავეზე“ ასე იწყებს:

„სტირის გუდა მაქვს ბლიძის,  
კამანჩა კებაძისაო,  
დაბლა ქვიცნის ვარ მღერალი,  
შემაჰკობელი ცისაო“.

<sup>1</sup> ამ ფაქტმა თავის დროზე გამოხმაურება ჰპოვა ჩვენს პრესაშიც. მრავალლულიანი სალამურის კულტურას საქართველოში საფუძვლიანი გამოკვლევა მიუძღვნა ვ. კ. სტეშენკო-კუფტინამ. იხ. მისი „ქართული ხალხური მუსიკის უძველესი ინსტრუმენტალური საფუძვლები. I. პანის სალამური“, საქართველოს სახელმწ. მუზეუმის გამოცემა. 1936 წ. გვ. 280. შ. კ.



ბლიაძე და ქებაძე იმდენად განთქმული ოსტატები ყოფილან, რომ:

„... მესტირესა ახლა ბლიაძეს ეძახიან, მაგრამ ბლიაძე გვარია და არა მესტირე, რადგან საგანგებო მესტირე ყოფილა რომელიმე ბლიაძე და იმის სახელი მესტირესთვის დაურქმევიათ...“ (ალ. ორბელიანი. „ცისკარი“ 1861 წ.)

არა ნაკლებ განთქმულნი იყვნენ: კაქიაშვილი (იხ. „კალმა-ლობა“), ახალციხელი კოტაშვილი, გორელი იმედაშვილი, საზანდარი მაჩაბელი, რომელიც სიმღერით გაუძღვა ქართულ ლაშქარს 1795 წელს კრწანისის ველზე და თავი დასდო სამშობლოსათვის; მეთარე ასლან ხანდაყულიშვილი და მრავალი სხვანი. ჩონგურს შესანიშნავად უკრავდა ალექსანდრე ქავეჭავაძე. იგი პირველი ქართველი პოეტია, რომელმაც ლექსი უძღვნა ქართულ ცეკვას („მეგრულ ფერხულზე“).

სამშობლოდან გადახვეწილმა დავით გურამიშვილმა სიკვდილამდე ვერ დაივიწყა მშობლიური სიმღერა და ბევრი ლექსი ხალხურ სასიმღერო კილოზე დასწერა. ბესიკის ლექსებს გატაცებით მღეროდა ხალხი. დიმიტრი თუმანიშვილის თითქმის ყველა ლექსი ხომ სხვადასხვა სასიმღერო კილოზეა დაწერილი. საქვეყნოდ ცნობილია გრიგოლ ორბელიანის ეშხიანი მუხამბაზები და ბოლოს აკაკი წერეთელი!

აკაკის თითქმის მთელი ლირიკა ჩვენმა ხალხურმა კილომ „შთანთქა“. ქაბუკი აკაკი ზვითონ „ალილინებდა“ ბესიკის ლექსებს— „ტანო ტატანო“, „შავნი შაშვნი“ და „სევედის ბაღს შეველ“.

1893 წელს გამოვიდა აკაკის სასიმღერო ლექსთა კრებული, სადაც ბლომად მოიპოვება „შიქასტა“, „მუხამბაზი“, „ვარდის ხმაზე“ და მრავალი სხვა ამ ყაიდის სასიმღერო ლექსები.

\* \* \*

ბრწყინვალე პოეტი და მომღერალი საიათნოვა ქალაქურ კილოზე სასიმღერო ლექსის წყაროს თვალია. ეს იშვიათი

ვირტუოზი თვით სწერდა სასიმღერო ლექსს, თვით „იღებდა“ მის კილოს და თვითვე მღეროდა.

„ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემის“ პერსონაჟები: ჰაზირა, გივიშვილი, სკანდარნოვა, იეთიმ გურჯი, ბეჩარა, განჯისკარელი და სხვანი ნაირ კილოზე სასიმღერო ლექსებსა ჰქმნიდნენ, მღეროდნენ და ხალხსაც ამღერებდნენ.

ი. გრიშაშვილმა პირველმა შეალო „ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემის“ კარი და მათი ეშხი დაგვანახვა.

\* \* \*

ჩვენს ქალაქურ კილოს ორი ნაკადი აქვს: აღმოსავლური და დასავლური. თბილისში ოდითვე ჰპოვა ბინა ირანულმა და სხვა ნარევემა მელოდიათ, რაც ზოგჯერ დამპყრობთა სისხლიან ხმალს შემოჰყვავს, ზოგჯერ—საეაქრო ქარავანს, ბოლოს კი—იტალიური ოპერის დასს. მწვადის ბოლით დანისლულ თბილისის სარდაფებში ამ კილოებს ქართული ღვინო, ბროწეულით მოოქვილი კერძი, ჩვენი საკრავები და მარიფათი შეეგებნენ. ქალაქელმა უცხო ჰანგს თავისი სიტყვიერი მასალა შეუგუთა: ზოგს—ხალხური ან რომელიმე პოეტისა, ზოგსაც—საკუთარი გემოვნებით შემუშავებული. მაგრამ არც ეს უცხო ჰანგი დარჩა უცვლელი. იგი თბილისის მკვიდრის ყაიდაზე გადასხვაფერდა. ამრიგად, ჟამთა ვითარებაში წარმოიშვა ქალაქური კილო: იმდენად ნახევრად ხალხური, რამდენადაც მასში უცხო ჰანგთან ქართული ჰანგიცაა შენაკადებული, და იმდენად ნახევრად ინდივიდუალური კომპოზიციისა, რამდენადაც ცალკეულ შემსრულებელთა ნიქსა და მუსიკალურ გემოვნებაზე დაფუძნებული „კუპაჟი“ განიცადა.

არსებობს კიდევ ქალაქური მუსიკალური ფოლკლორის ერთგვარი ნიმუში, რომელსაც ავტორი ჰყავს და, ამრიგად, ორიგინალური მუსიკალური ნაწარმოების პრეტენზიას აცხადებს. ასეთთა რიცხვს ეკუთვნის ქართველი პოეტების ტექსტებზე აგებული სხვადასხვა სიმღერები გიტარის ან თარის თანხლებით. ზოგი ასეთი სიმღერა დიდად გავრცელდა და ქართულ მუსიკალურ საუნჯეში შესვლას ლამობს, როგორც მეტად პოპულარული და ხალხის საყვარელი სიმღერა. მაგრამ ეს ქალაქური კილო უმეტეს შემთხვევაში ქალაქის ბულშივე ჩარჩა. თუ ქალაქურ სუფრაზე მოხვედრილმა ქართ-

ველმა გლეხმა ცალი ყბით ააყოლა ხმა თავის თანამოსუფრეს, სოფლის შარაზე რომ გავიდა, ქალაქის მტვერი ჩაიფერთხა და თავისებურად შემოსძახა:

„ჰეი, წუთისოფელი ასეა:  
დღეს ღამე უთენებია.  
რაც მტრობას დაუნგრევია,  
სიყვარულს უშენებია...“

დღემ თუმანიშვილის „ახალ აღნაგომ“ ქართული რომანისის ერთ-ერთი შორეული წინაპარია. 1829 წლის გაზ. „თბილისის უწყ.“ 29 აპრილის ნომერში ვკითხულობთ:

„...წარსულ კვირას მოყვარულთა მიერ გამართული იყო მუსიკალური საღამო ღარიბთა სასარგებლოდ. ითამაშეს შემდეგი პიესები: (მგორე განყოფ.). უფერტიურა ოპ. „ღონ-ტუანიდან“, კონცერტი ფლეიტაზე დიულონისა, ვარიაციები ვიოლინოზე, ქართული სიმღერა „ახალ აღნაგომ“...“

„თბილისის უწყებების“ რედაქტორი პ. სანკოვსკი თავის ერთ ლექსში სწერდა:

„Среди радушного веселья  
они поют и далеко  
протяжно эхо, вдоль ущелья  
уныло вторит Ахало...“

„ახალ აღნაგომ“ მთელი XIX საუკუნის განმავლობაში იბოგინა ზეპირი გადაცემით. იგი პირველად ზაქ. ფალიაშვილმა ჩასწერა და ფილარმონიული საზოგადოების დახმარებით გამოსცა კიდევაც 1900-იან წლებში.

1820-იან წლებში თბილისში მყოფმა კომპოზიტორმა ი. ა. სოკოლსკიმ გადაამუშავა რამდენიმე ქართული კილო საცეკვაო მუსიკისათვის.

გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან „ახალს“ გარდა სხვა სიმღერებიც ჩნდება. მომღერალი ფერარი ოპერის ანტრაქტებში მღეროდა საგინაშვილის მიერ ერისთავის სიტყვებზე დაწერილ რომელიღაც „ქართულ სიმღერას“. 1855 წელს ანტონოვის კომედიის „მინდა კნეინა გავხდე“, სხვათა შორის მონაწილეობდნენ მსახიობი ქალები აბრამიძე და უზნაძე. ქართული ეროვნული საკრავების თანხლებით ისინი ასრულებდნენ ქართულ სიმღერებს.

განსაკუთრებით, უზნაძისა, შესანიშნავად ასრულებდა თურქე სიმღერას „ოდეს მზებრ აღმობრწყინდები“. ნ. ბარათაშვილის ლექსებს: „სულო ბოროტო“, „ცისა ფერს“, „როს ბედნიერ ვარ“ და სხვ. ხშირად მღეროდნენ. პოეტს ყველა ჩვენი ხალხური საკრავები ჰქონია შინ. მისი ხშირი სტუმარი ყოფილა ცნობილი მომღერალი სათარა.

შემდეგ წლებში სამოღვაწეო ასპარეზზე ჩნდება ევროპაში განთქმული პიანისტი ალოიზ მიზანდარი, მაგრამ მან თითქმის მთელი სიცოცხლე ზოანდომა პედაგოგიურ მოღვაწეობას და ცოტა ორიგინალური ნაწარმოები დაგვიტოვა.

70-იან წლებში დ. გ. ერისთავმა შეკრიბა და გამოსცა ქართული ხალხური სიმღერები (ფორტეპიანოსათვის). სხვათა შორის, კრებულში მოხვდა მაშინ პოპულარული სიმღერა „ბუნდოვან გულსა“, რომელიც კომპოზ. რუბინშტეინმა გამოიყენა ოპერა „დემონში“.

1891 წელს მელიტონ ბალანჩივაძემ გამოაქვეყნა რომანსები: „ნანა“, „შენ გეტრფი მარად“, „ოდესაც გიციქერ“ (ექიმ ი. გოპაძის გამოცემა), რომლებიც დღესაც წარმატებით სრულდება. იმავე წელს კორნელი მალრაძემ დასწერა დუეტი „ჩემს ვარსკვლავს“. ამავე პერიოდს ეკუთვნის ფილ. ქორიძის „ვაჰ დრონი, დრონი“, „შავი შაში“ და სხვა ხალხურ კილოზე შემუშავებული ცალფა სიმღერები. შემდეგ მოსდევს დ. საწყალი-შვილის (დიმ. არაყიშვილის ფსევდონიმი), ზაქ. ფალიაშვილის, ი. კარგარეთელის და სხვათა ნაწარმოებნი. აქედან მოკიდებული დღემდე ასობით რომანსი დასწერეს და გამოაქვეყნეს ჩვენმა კომპოზიტორებმა.

მელიტონ ბალანჩივაძე აღიარებულია ქართული რომანსის დამწყებად და ფუძემდებლად.

ჩვენი მრავალხმიანი მუსიკალური ფოლკლორი უთვალავ საგუნდო სიმღერას ითვლის თავის უმდიდრეს საუნჯეში, ცალფა სიმღერა კი შედარებით ბევრი არ მოგვეპოვება...

„ურმული“ „იავ ნანა“, „ოროველა“, „ინდი-მინდი“, „ახალ-აღნაგო“, „სულო ბოროტო“, მრავალგვარი ქალაქური ცალფა სიმღერა, ვირტუოზ მესტირეთა, მეჩონგურეთა, ლარქემის დამ-

კვრელთა გასაოცარი ოსტატობა ქართული რომანსის შორეული წინაპორბედია.

ქართული რომანსის უბადლო ოსტატი—ვანო სარაჯიშვილი უფრო მეტი ოსტატობით ასრულებდა „ურმულს“, „ოროფელს“, „ინდი-მინდის“ და სხვა ხალხურ ცალფა სიმღერებს.

თუ მგლიტონ ბალანჩივაძე ქართული რომანსის ფუძემდებელია, ვანო სარაჯიშვილი ამ რომანსის მიმრქმელი და უკვდავ-მყოფელი ოსტატია.

### ვანო სარაჯიშვილი და ქართული რომანსი

პოეტი იოსებ გრიშაშვილი ხშირად მართავდა თავის საღამო-კონცერტებს.

ვანო სარაჯიშვილი გრიშაშვილის საღამოების ქურუმი, მისი ეზნი და მშვენება იყო...

კამერულ ვოკალურ ნაწარმოებთა გადმოცემაში ვანოს იზვიათად თუ ვინმე გაუწევდა მეტოქეობას. ამაში მას შეველოდა თავისი პოეტური ბუნება, სასიმღერო ფრაზის თავისებურად გააზრებისა და ქართული ჰანგის გასაოცარი ბრწყინვალეობით წარმოქმნის უნარი.

ქართულ რომანსს და ცალფა სიმღერას ვანო იმგვარი ნიუანსებით შეამკობდა, რაც სხვა მომღერლებისათვის „საიდუმლო ცხრა ბეკდით იყო დალუქული“. ყოველი რომანსისთვის მას თავისი საკუთარი ჩარჩო ჰქონდა, ჩარჩო იდუმალი ოსტატობით სრულქმნილი და განუმეორებელი. ვერც ერთი სხვა ოსტატი ვერ დაამსგავსებდა მას თავის ნამღერს ვერც ჩუქურთმით, ვერც ბგერათა აჩანჩქერებით, და რაც მთავარია—ხალასი განცდით, სულით, გულით...

ვანო სარაჯიშვილი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ისე შედიოდა ყოველი „რომანსის როლში“, როგორც რომელიმე უძნელესი პარტიის შესრულებისას. ამიტომ, ეს რომანსები როდი კვდებოდნენ უდღეურ პეპელას მსგავსად ფორტეპიანოს ჟიანასკნელ აკორდთან ერთად. ისინი თეთრ მარმარილოს ქანდაკებებივით გამოკვეთილან ჩვენს მხესიერებაში, დღესაც ხელოვნებისათვის აღგვაგზნებენ, დღესაც გვხიბლავენ.

იტალიიდან ვანომ ბევრი რომანსი ჩამოიტანა, მათ შორის: დენცის, ბონჯიოვანის, დი'კაპუას და სხვა ავტორთა ნაწარმოებნი — „ო, ჩემო მზეო“, „ლამის პეპელა“, „მარი“ და ბევრი სხვა რამ, რომლებსაც დიდი მხატვრული წარმატებით მღეროდა იგი იტალიის სხვადასხვა ქალაქებში.

ახლა კი მათ გაქართულებაზე ოცნებობდა, რადგან ორიგინალური ქართული რომანსი ჯერ ისევ აკვანში იწვა.

ი. გრიშაშვილის ლექსმა „გენაცვალე“ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ვანო სარაჯიშვილზე. მან იგი ბონჯიოვანის რომანსს „ლამის პეპელას“ მიუყენა, მაგრამ მისამღერი აკლდა და ავტორს ეწვია. გრიშაშვილმა დამატებით მიუწერა:

„რა დაგიშავე, რისთვის გამცვალე, ტურფავი;  
ქირიმე შენი, შენთვის ვსტირი, შემობრალე გენაცვალე...“

მაშინ სიტყვიერი მასალა მუსიკის ჩარჩოში ჩაწვა. ცოტა ხნის შემდეგ ვანო სარაჯიშვილის ბაგეზე სულ სხვა ეშხით აელერდა

გენაცვალე...

მსმენელმა იგრძნო, რომ თუმცა ამ სიტყვაში ქართველი ადამიანი მთელს სულსა და გულს აქსოვს, მაინც მის ჯადოსნურ შეგრძნობას რაღაც ჰკლებია დღემდე. ეს „რაღაც“ ვანოს საიდუმლოებას შეადგენდა, და აი მან „მოსტაცა ბულბულს ენა, ვარდს—სინაზე“, „შიგ თავისი გული ჩაჰფერფლა და სულ სხვა ეშხით განაბრწყინა—გენაცვალე! ახალი ძალა მიანიჭა ამ პაწია, განაბულ სიტყვას. მაგრამ ყველაზე მეტად დაისაჯა აქ გრიშაშვილი: ვანო ისეთ შთაბეჭდილებას ჰქმნიდა ამ რომანსით, რომ ჩვენს პოეტს ამის შემდეგ თავისი ეს ლექსი სცენაზე აღარ წაუკითხავს. და თითქოს გამართლდა პოეტის სიტყვები:

„გენაცვალემ“ ვანოზე გასცვალა გრიშაშვილი...

დი'კაპუას რომანსი — „ო, სოლე მიო“ (ო, ჩემო მზეო) კ. ანდრონიკაშვილმა და ი. გრიშაშვილმა უთარგმნეს ვანოს. „გენაცვალესთან“ ერთად „ჩემი ვარსკვლავიც“ მთელს ქვეყანას მოჰქვინა მან. ეს ორი რომანსი ვანოს დამღერებელი აქვს ფირფიტებზე.

ვანოს შესრულებით სხვაგვარად ბრწყინავს და კიაფობს „ჩემი ვარსკვლავი“. მოულოდნელად მოსხლეტილი მქექარე მალელები ვანოს ვირტუოზული ოსჯატობით გადაჰყავს ქრუანტელის მომგვრელ ლირიზმში, გულის სიღრმეშივე აბრუნებს და შიგვე სწვავს ბგერას. კარუზოს დიდებულ შესრულებაში მოზღვაებულ ბგერის ძაბვა იგრძნობა. ვანოს ტემპერამენტი კი აქ მერცხლის ფრთასავით ცელქობს.

„ჩემი ვარსკვლავი“ და „გენაცვალე“ ხალხმა თავის ემბაზში გაატარა და გადაივიწყა მათი იტალიური წარმოშობა. საქმე იქამდე მივიდა, რომ ერთხელ „გენაცვალეს“ ნოტები მარტო გრიშაშვილისა და ვანოს სურათებით დაიბეჭდა, მუსიკის ავტორის აღუნიშნავად. ამის გამო ზაქარია ფალიაშვილმა ხეობით უთხრა გრიშაშვილს:

— ბიჭო, ახლა კომპოზიტორობა დაიწყე? .

ქართული რომანსის ოჯახში მკვიდრად სხედან ეს უცხო სტუმრები და მსმენელიც არ ამტკრევს თავს მათი სადაურობის გამორკვევას.

\* \* \*

„ჩემი ვარსკვლავი“ და „გენაცვალე“ მეტად დაახლოვა ვანო და გრიშაშვილი. მათ ერთად იწვევდნენ სხვადასხვა საღამო-კონცერტებში. ხშირად გამოდიოდნენ მათთან ერთად: ბანი სოსო ტომაშვილი, სანდრო ინაშვილი, დავით აკოფაშვილი და სხვანი. 1919 წლის 24 მარტს თბილისის ოპერის თეატრში გაიმართა ი. გრიშაშვილის საღამო.

საზოგადოების მთავარი ყურადღება ვანოსკენ იყო მიპყრობილი. გამოწვევებს ბოლო არ ჰქონდა. ბევრი ამღერეს. სხვათა შორის, აქ პირველად შეასრულეს ვანომ და სანდრო ინაშვილმა საკონცერტო ნომრის სახით დუეტი „აბესალომ და ეთერიდან“. ამისათვის ვანომ საგანგებოდ გადააწერინა ნოტები ზაქარია ფალიაშვილს.

კონცერტში პირველად ფართო საზოგადოების წინაშე გამოიყვანეს შესანიშნავი ბანის მქონე დავით ლეჟავა<sup>1</sup>, რომელიც

<sup>1</sup> ამ კაბუჯ მომღერალს დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ. იმ ხანად ტრადიციულად დაიღუპა თბილისში. შ. კ.

კონსერვატორიაში სწავლობდა და შემდეგ ოპერის დასში მიიწვიეს. საზოგადოებას წარუდგა აგრეთვე თბილისში ახლად ჩამოსული დები თარხნიშვილების გუნდი და ღირსეული ქება დაიმსახურა.

1920 წლის 10 ივნისს ამავე თეატრში გამართული საღამო გრიშაშვილისა, მართლაც რომ გრანდიოზული იყო.

იმ საღამოს პირველად შეასრულა ვანო სარაჯიშვილმა ახალგაზრდა კომპოზიტორ თამარ შავერზაშვილის რომანსი და მთელი ქარიშხალი ასტეხა ხალხით გაქედილ დარბაზში. აკომპანეჟენტს ავტორი ასრულებდა. ვანომ იქვე ჩაავლო მას ხელი და აღფრთოვანებულ საზოგადოებას წარუდგინა. ამის შემდეგ „ლერწამი ხარ“ მეტად პოპულარული რომანსი გახდა.<sup>1</sup>

ამგვარი საღამოები, ჩვენის ფიქრით, ცალკეულ მხატვრულ ეპიზოდებად უნდა შევიდეს ჩვენი თეატრის ისტორიაში.

ვ. სარაჯიშვილისა და ი. გრიშაშვილის მაშინდელი მხატვრული ზეგავლენის დასახასიათებლად აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მათ ოფიციალური მიმბაძველებიც კი გამოუჩნდნენ. განთქმული კინო-რეჟისორი მიხ. კიაურელი „სარაჯიშვილისებურად“ მღეროდა სცენაზე „გენაცვალეს“, ს. დაროშვილი „გრიშაშვილისებურად“ კითხულობდა ლექსებს. მათ გამოსვლას მუდამ დიდი წარმატება ჰქონდა. მიხეილ კიაურელმა ვანოს წინაშე მოიხადა თავისი მოქალაქეობრივი მოვალეობა, როგორც მოქანდაკემაც. მან წარადგინა მისი ძეგლის ესკიზი, როცა კონკურსი გამოცხადდა.

\* \* \*

გაქართულებული იტალიური რომანსები სრულებით არ ახასიათებენ ვანო სარაჯიშვილის ღვაწლს ქართული ცალფა (Solo) სიმღერისა და რომანსის განვითარებაში. ეს, ასე ვთქვათ, მისი ხარკია საერთაშორისო მუსიკალური კულტურის წინაშე.

<sup>1</sup> რომანსის პოპულარობას ი. გრიშაშვილის ტექსტიც უწყობდა ხელს. მიმღერალმა მიშელ დარიალმა შეასრულა ამ საღამოზე დოლიძის რომანსი „შენ ხარ ღვთაება ამქვეყნიური“ (ტექსტი ი. გრიშაშვილისა). რომანსი შეტანილი იყო „ქეთო და კოტეში“ როგორც კოტეს არია. ახლა ეს ადგილი გამოტოვებულია ოპერაში შ. კ.



ქართული რომანსის მიმართ კი ვანოს ისტორიული დამსახურება მიუძღვის. მისი სახელი ისევეა შესისხლხორცებული ჩვენი ცალფა სიმღერის განვითარებასთან, როგორც ქართული ოპერის განვითარებასთან.

ქართულ რომანსს და ცალფა ხალხურ სიმღერას ვანომ არნახული ბრწყინვალეობა მიანიჭა, გაიტანა იგი ჩვენი სამშობლოს გარეთ და უკვდავყო მისი პრესტიჟი. ხალხური კილოს ნაირფერი ქარგულობა უდიდესი შთამაგონებელი ძალით ამეტყველდა მის ბაგეზე და თანაბრად გასაგები გახდა როგორც ჩვენი გლეხისათვის, ისე რომელიმე უცხო ტომის ინტელიგენტისათვის:

არც ერთ ქართველ მომღერალს არ განუცდია ისე ღრმად ხალხური სასიმღერო ფრაზის ჩუქურთმა, როგორც ვანოს სარაჯიშვილმა განიცადა და შიგ თავისი მგზნებარე სული ჩააქსოვა. რა ხალასი გრძნობა ცელქობდა ვანოს „ურმულში“, რამდენი მშობლიური სიმი ეღერდა ერთად ამ წარმტაც ჰანგში!

„ურმულს“ ისე არ ახსენებენ, რომ ზედ „სევდა, კაეშანი“ არ მიაყოლონ. არ არის ეს მართებული. „ურმული“ იმედისა და წინსვლის ჰიმნია:

— გასწიე, ხარო, გასწიე,  
საცაა გათენდებო...

ტყვილა ეძებენ აქ ქვეთინსა და ცრემლს.

— აღზევანს მივალთ, ნიკორა,  
მარილს მოვიტანთ ბროლსაო,  
ჯერ დედას გადავებვევი,  
მერე შვილსა და ცოლსაო...

სად არის აქ უიმედობა ან კენესა-ვაება, რომ მოჰრერალმა იქვეთინოს? იქნებ სთქვან—თვით მელოდიაში და არა ტექსტშიო. მაგრამ ტექსტი ხომ მელოდიის აღნაგობას განსაზღვრავს. გარდა ამისა, „ურმულის“ სასიმღერო ქარგულობა აღმოსავლეთ საქართველოს შრომისა და ყოფა-ცხოვრებითი ჰანგების ღვიძლი ნაკადია, მთელი თავისი ვრცელი ხმაშეკიდებითა და მელიზმებით.

თუ ვანო სარაჯიშვილი უდიდესი გრძნობითა და გატაცებით

ასრულებდა ამ დიდებულ სიმღერას, მის ხმაში როდი გამო-  
ჰკრთოდა მარტოოდენ სევდა-კაეშანი. თვალს მილულავდით, და  
ფრაკით მორთული ვანოს ნაცვლად წარმოგიდგებოდათ ქოჩ-  
რინი ქართელი ვაჟკაცი—კუნთმაგარი, ხალისიანი. მის ჯა-  
დოქრულ ღიღინში თვალნათლივ იგრძნობდით, რომ საცაა  
მალე გათენდება, ნიავე შუბლს გააგრილებს და ხარიც ფეხს  
აუჩქარებს.

ჩენი „ურმული“ ვანომ პეტერბურგისა და იტალიის სცენებ-  
ზე გაიტანა. შესრულება კი ისეთი ბრწყინვალე იყო, არა სჯე-  
როდათ, რომ ეს ჩენი ხალხური კილოა და არა რომელიმე  
დიდი შემოქმედის ხელოვნური ნაწარმოები.

„ურმულზე“ არა ნაკლები გატაცებით მღეროდა ვანო ლე-  
ვან ქვაბულიძის არიას („დაიგვიანეს..“) ნ. სულხანიშვილის  
ოპერა „პატარა კახიდან“, რომელიც ასე მზაკვრულად მოს-  
ტაცა ვილაც საზიზლარმა ქართულ მუსიკალურ კულტურას.

„ურმულის“, „ოროველას“ და საერთოდ ხალხური სიმღერე-  
ბის შესრულებაში ვანოს მარტოოდენ სანდრო კავსაძე თუ  
შეედრებოდა, რომლის გუნდშიც ის წინათ მღეროდა. ნ. სულ-  
ხანიშვილიც დიდებულად მღეროდა „ურმულს“ თავისი ხავერ-  
დოვანი ბარიტონით.

ჩენს მუსიკალურ ფოლკლორში „ურმულის“ რამდენიმე ვა-  
რიანტი მოიპოვება. ბევრმა კომპოზიტორმა ჩასწერა და გადა-  
ამუშავა იგი. ვანოც ხშირად ასრულებდა მათ ჩანაწერს, მაგ-  
რამ უპირატესობას ხალხურ კილოს ანიჭებდა. მღეროდა ბუ-  
ნების წიაღში, თავისთვის, სადმე, სოფლად ურემზე მჯდომი,  
პოეტური განწყობილების შედეგად და ყოველგვარი თხოვნის  
გარეშე; ისე როგორც მოხიბლული ბულბული მოულოდნელად  
დაუსტვენს ხოლმე და თავის ჰანგშივე ჩაიფერფლება.

ვანოს ერთმა მეგობარმა მიამბო:

აივანზე სუფრას ვუსხედით. წინ წარმტაცი მიდამო გადა-  
შლილიყო. საიდანღაც გლეხის ღიღინი მოისმოდა. ვანო ოცნე-  
ბამ გაიტაცა. დიდხანს სდუმდა. უცებ ბორცვთან მიიჭრა და  
თავდავიწყებით გადასძახა მშობლიურ მღელოს:

გასწიე, ხარო, გასწიე,  
საცაა გათენდებაო...

შავი მიწის სუნი ვიგრძენი: თითქოს მღეროდა არემარე, ველი, ბალახი, ვანო კი მათი განუყრელი ნაწილი იყო...

აი, უბრალო, მაგრამ მეტად დამაფიქრებელი დახასიათება; სამშობლოს მიმართ თქმული ჰიმნი, რომელიც თავისი სისპეტაკით და ძლიერებით იქნებ ბევრ უდიდეს ნაწარმოებს აღემატება. განა ცხადი არაა, რომ ვანოს ხმის ტემბრი „თვით ბუნება იყო“, რომ მის სიმღერაში ისე მეტყველებდა ქართული მიწა და ბალახი, როგორც ვაჟას გენიალურ პოეზიაში? და ვინ იცის, რამდენჯერ დაუჩოქა მორალურად თავის აკვანსოქროს კერპების წინაშე მდგარმა ვანო სარაჯიშვილმა, რათა თავიდან აეცდინა ცთუნება და შეშინებულ ბავშვივით გამოქცეულიყო დედისაკენ...

ვანოს „ურმულის“ შესახებ ბევრი რამ ითქმის. ნებას მივცემ ჩემს თავს ცოტა კიდევ შევჩერდე ამაზე.

დრამატურგ ავქსენტის ცაგარლის ძმა, ივანე, ვანოს კარგი მეგობარი იყო. ერთხელ სწებამ დარია ხელი. ხანგრძლივად ჩავარდა ლოგინად. დადარდიანდა. ნატრობდა ვანოს. მოულოდნელად „ურმული“ მოესმა. ლოგინზე ველარ ეტეოდა.

— ვანოს ხმა შესმის. ალბათ არ იცის, რომ ავად ვარ. ივანე გომართელისას იქნება სტუმრად (მეზობლად ცხოვრობდნენ).

მაგრამ ხმა უფრო მოძალდა, და მკლავგაშლილი ვანო „ურმულით“ შემოვიდა მეგობართან.

— ვაივო, რომ ავად ყოფილხარ. აბა, წამოდეგ ზეზე!

ავადყოფს ცრემლი მოერიო. ლოგინში წამოჯდა.

— არა გრცხვენია?.. ამდენ ხანს დამავდე მარტო! ხომ იცი, შენი „ურმული“ ჩემი მკურნავი მალამოა.

დიდხანს არ მოშორებია მეგობრის საწოლს. სუფრა გაშალეს, ვანომ იუარა და იქვე, სკამზე მოატანინა პურ-მარლილი.

მაგრამ ვანო სხვებზე უკეთ საკუთარ თავს ჰკურნავდა ხოლმე „ურმულით“ და, როცა ათასი ჯურის ხელოვნურ ნაწარმოებთა შესრულებით ყური ამოეჭედებოდა, მაშინ მშობლიურ ჰანგს შემოსძახებდა და სულიერ წონასწორობას აღიდგენდა.

ქართულ, რუსულ, იტალიურ, ფრანგულ, აზერბაიჯანულ ენებზე მომღერალ ვანოს დიდი საკონცერტო რეპერტუარი ჰქონ-

და. ჯერ მარტო იტალიურ ენაზე შეეძლო მას ჩაეტარებინა რა გინდ საპასუხისმგებლო კონცერტი არ ყოფილიყო. ეს რეპერტუარი მხოლოდ შესანიშნავ ნაწარმოებთ შეიცავდა, რომლებსაც ვანო დიდი გემოვნებითა და სიმკაცრით შეარჩევდა ხოლმე. ქართული კომპოზიტორებიდან ვანო ასრულებდა ბალანჩინაძის, არაყიშვილის, ყარაშვილის, ი. კარგარეთლის და სხვათა რომანსებს, „მხოლოდ შენ ერთს“, გ. ჩუბინიშვილის „ვარდს“, ხალხში გავრცელებულ პოპულარულ კილოებს. რუსი კომპოზიტორებიდან—კაშეგაროვის, გლინკას, დარგომიჩსკის, ჩაიკოვსკის რომანსებს, ერეკლეს არიას „ღალატიდან“, ნაწყვეტებს სხვადასხვა ოპერებიდან. ევროპელი კომპოზიტორებიდან—ნადირის არიას, ნეპოლურ სიჰლერებს. დამსწრე საზოგადოება ერთიმეორეზე წარბაცი ჰანგით სტკებოდა, მაგრამ ტაშის გრიალში მაინც დაჟინებით გაისმოდა:

ურმული, ურმული

ამას ყოველ კონცერტში სთხოვდნენ.

ერთხელ „ქართულ კლუბში“ ვანომ გადამუშავებული „ურმული“ შეასრულა. რა თქმა უნდა, დიდი ტაშით დააჯილდოვეს, მაგრამ თვითონვე არ იყო კმაყოფილი—იგრძნო, რომ ვერ დასტოვა ჯეროვანი შთაბეჭდილება. გაჯავრებულმა ნაკუწ-ნაკუწად დაჭლიჯა ნოტები კულისებში.

— აქლემი და გალია? ურმული და ნოტები?!

სცენაზე გაიქრა და უაკომპანემენტოდ შემოსძახა ნამდვილი ხალხური კილო. უფრო მეტი წარმატება ხვდა. ფირფიტაზეც უაკომპანემენტოდ აქვს დამღერებულ. ვანოს განაჩენი გასაგებია, ვინაიდან „ურმული“ ქართული ხალხური მუსიკის განსაკუთრებულ თავისებურებას წარმოადგენს.

\* \* \*

ვანოს საკონცერტო ტურნე საქართველოში ნამდვილი ზეიმის სახეს იღებდა. ყოველი მისი გამგზავრება ვარდ-ყვავილით მოფენილი ტრიუმფი იყო.

დასავლეთ საქართველოსკენ ერთ-ერთი მგზავრობის დროს ვანომ ვაგონ-რესტორანში მიიწვია ამხანაგები. მთელი მატა-

რებლის მგზავრებმა რესტორანისკენ მოაშურეს. ერთი ჩოჩქო-  
ლი და ბრძოლა ასტყდა. რკინიგზის გულმოდგინე მოხელეებს  
ვანოს სიმღერამ ანგარიში დაუბნია—მატარებელს ველარ უშვებ-  
დნენ სადგურიდან.

ჩელოს დამკვრელი ემილ კაპელნიცკი ხშირად მგზავრობდა  
ვანოსთან კონცერტების ჩასატარებლად ქუთაისს, ბათუმს,  
სოხუმს, ფოთს, ხონსა და სხვა ადგილებში. ხშირად ეწვეოდ-  
ნენ ხოლმე ქუთაისს ილია ქავეჭავაძის ხსოვნისადმი მიძღვნილ  
საღ-მოებში მონაწილეობის მისაღებად.

კონცერტს ვანო ისე განიცდიდა, როგორც რომელიმე დიდ  
სპექტაკლში მონაწილეობას; ნერვიულობდა, არ მოსწონდა თა-  
ვისი შესრულება. ამ შემთხვევაში ემილ კაპელნიცკი იყო მისი  
პირველი მსაჯი. ბავშვივით არწმუნებდა, რომ ყველაფერი  
რიგზეა და ტყვილა ყოყმანობს. ზოგჯერ ვანოც ულოლიავებ-  
და ხოლმე თავის მეგობარს. ქუთაისში, ერთ ოჯახში, ბევრი  
რამ დაუკრა კაპელნიცკიმ. უცხო წრეში იგი უხერხულად  
გრძნობდა თავს, თითქოს არც ემორჩილებათ თავისი ნაცადი  
ჩელო.

— ემილ, იცი, ახლა როგორ უკრავდი?!—ჰკითხა ვანომ.

კაპელნიცკის ფერი ეცვალა.

— ალბათ ცუდად, რა ვიცი... შენ იცი თუ?

— ვიცი!

— მადლობა ღმერთს.

ორთავემ თავისუფლად ამოისუნთქა.

ემილ კაპელნიცკიმ ბევრი საინტერესო რამ გვიაზნო ვანოს  
შესახებ:

ვანოს კონცერტები—ეს რაღაც ფანტასტიკური ტრიუმიფი  
იყო. ქალაქ ხონს ახლაც ვერ ვიგონებ უცრემლოდ. დარ-  
ბაზი უზომოდ გაიქედა. სცენას წრე დაარტყეს თეთრად  
მორთულმა ქალწულებმა, და წამოვიდა ვარდ-ყვავილის თქეში.  
მე... ჩელოს გადაგვეარე—მეშინოდა არ დაემტვრიათ ყვაე-  
ლებით. არ ვიცი თუ სადმე მოიპოვება რომანსის ასეთი ოსტა-  
ტი. პატარა მუსიკალური პიესიდან უდიდეს ესთეტიკურ განწყო-  
ბილებას და იდეალურად გამოკვეთილ ქანდაკებასა ჰქმნიდა.  
მე და ვანო ხშირად ვასრულებდით კომპოზ. სახნოვისკის

დუეტს — „სალამოს ვარსკვლავს“. ვანოს შემდეგ ბევრმა მომღერალმა მოხოვა დამეკრა, მაგრამ... ვერ შეეძელი. რა დააბრუნებს იმ გულის ძვერას!

\* \* \*

ვანოს რეპერტუარიდან ძალიან ცოტა რამ შემოგვრჩა ჩაწერილი და ისიც ძალზე დაზიანებული. ვანოს დამღერებული აქვს ფირფიტებზე:

„ურმული“ — ხალხური (უაკომპანემენტოდ).

„ოდესაც გიცქერ“ — მელ. ბალანჩივაძისა.

„ისევ შენ და ისევ შენ“ — ანდრია ყარაშვილისა.

„მზე აღარ ბრწყინავს“ — დიმ. არაყიშვილისა.

„მხოლოდ შენ ერას“ — კ. სარჯველაძისა, სიტყვ. კარევის, თარგმ. შ. დადიანისა.

„ჩემი ვარსკვლავი“ — დიკაპუასი, ი. გრიშაშვილისა და კ. ანდრონიკაშვილის თარგმანი.

„დავრდომილი სნეული“ — ა. ყარაშვილისა.

„გენაცვალე“ — ბონჯიოვანისა („ღამის პეპელა“). ი. გრიშაშვილის სიტყვ.

1915 წელს ვანომ, საზოგადოება „ამუროს“ თხოვნით ბევრი ფირფიტი დამღერა თბილისში, ამ საზოგადოების იგენტის ტაბლიაშვილის მეშვეობით: „ერეკლეს არია“, „ახ, მთვარევ, მთვარევ“, „ურმული“, „ბუნდოვან გულსა“, „ო, მარი“, „მშვენიერთა ხელმწიფავ“, „გენაცვალე“ (მეორედ) და მრავალი სხვა. ეს ჩანაწერები უცხოეთში გაიგზავნა გასამრავლებლად, მაგრამ ომიანობის ვითარებაში სადღაც გაჰქრა. მოსკოვის საცავში. ისინი არა სჩანს. დაკარგული საუნჯე ბევრი ეძება ვანოს დიდმა პატივისმცემელმა ტენორმა კოზლოვსკიმ. არსად არ აღმოჩნდა.

1938 წელს, თბილისში, სიმღერისა და ცეკვის რესპუბლიკური ოლიმპიადა ჩატარდა. ამასთან დაკავშირებით გაზ. „კომუნისტის“ 17 №-ში გამოქვეყნდა ჩემი პატარა სტატია — „ვამღეროთ ვანო სარაჯიშვილი“. ვწერდი: მოსახლეობაში იქა-იქ აქვთ ვანოს ფირფიტები, გავამრავლოთ, ვიდრე მთლიანად არ დაზიანებულან. თქო.

ვისაც ოჯახში ვანოს ფირფიტა აქვს, აბრეშუმში ხვევს, ნიავს არ აკარებს. ემინია, მაგიერს ვერა ხედავს. ვანოს ფირფიტები დაზიანებულია და მის ჯადოსნურ ხმაზე მხოლოდ დაახლოებითს წარმოდგენას იძლევა. მაგრამ ხმის ჩაწერისა და ძველი ჩანაწერების აღდგენის ტექნიკა ახლა ძალიან წინ წავიდა. ოდესღაც ამერიკელმა გამოგონებელმა ედისონმა ლევ ტოლსტოის ფონოგრაფა მიაჩრავა ძღვნად. მაშინ დიდებულმა მწერალმა თავისი ხმა ჩასწერა. ლ. ნ. ტოლსტოის გარდაცვალების 30 წლისთავთან დაკავშირებით ეს ძველი, დაზიანებული ჩანაწერები მოსკოვის ფაბრიკაში დახვეწეს და თითქმის აღადგინეს ხალასი ბგერა. ისტორიული პასუხისმგებლობა გვიკარნახებს, რომ ჩვენც მივხედოთ ვანოს ფირფიტებს.

\* \* \*

ვანო სარაჯიშვილი არ ფრიდებოდა ხალხში გავრცელებულ მაშინდელ სიმღერებსაც. მაგრამ, რა თქმა უნდა, იგი ამ სიმღერებს ასრულებდა ვიწრო, ინტიმურ წრეში, მეგობრულ სუფრასთან, სალაღობოდ და გასართობად. სანდრო ინაშვილის ხავერდოვანი ბარიტონიც აჰყვებოდა ხოლმე ზოგჯერ ვანოს დაწყებულ „ორ ქოთანს“, „სადაც არ უნდა ვიყო მე...“ და სხვა ამგვარ სიმღერებს.

მომღერალმა ა. იშხნელმა თავისი მოგონება გამიზიარა:

„ვანო სარაჯიშვილი იცნობდა ჩვენს ოჯახს, რადგან ყველანი ვმღეროდით, და ეს მეტად სასიამოვნოდ მიაჩნდა მას. განსაკუთრებით კარგად იცნობდა ჩემს უფროს დებს. 1918 წელს ქუთაისს ეწვივნენ ვანო სარაჯიშვილი და მიხ. ქიაურელი. საღამოს დიდი კონცერტი იყო დანიშნული, რომელშიც ჩვენც უნდა მიგველო მონაწილეობა. ვანოს ოჯახში სადილი გაუუმართეთ. ძალიან მოიღხინა, გიტარას დაავლო ხელი და დაამღერა „ო, მარი“, „მხოლოდ შენ ერთს“, „შემიყვარდა ეგ ხმა ტკბილი“, „გიმნაზისტი გიმნაზისტკას“ და სხვა სიმღერები. თავბრუდასხმულნი ვიყავით სიხარულით. გარეგნულადაც საუცხოო სანახავი იყო, მეტად შეგნოდა ფაფახი.

ვანო რალაც თავისებურად ჯდებოდა ხოლმე სკამზე: ცალ გვერდზე გადიწეოდა, ცალ ხელს სკამის ზურგს მოხვევდა, თი-

თქოს ადამიანს კისერზე გადახვია ხელიო, და ისე მღეროდა. მას აჯავრებდა ჩემი და თამარი, სიმღერითაც და ამპოზითაც. ვანო მთელი გულით ხარხარებდა, სთხოვდა ერთხელ კიდევ გაეჯავრებინა. იმ საღამოს ვანოს არაჩვეულებრივი წარმატება ჰქონდა. გვაქებდა, ძალიან უხაროდა, რომ ჩვენც რაღაც ნიჭი გვქონდა და შეწყობილად ვმღეროდით“.

ამრიგად, თავისუფლად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ არ გაქაქანებულა ჩვენში ისეთი ბრალიანი თუ უბრალო სიმღერა, რომ ვანოს არ ეთქვას. ამ უბრალო წყალწყალა კილოებშიც კი მას თავისი მიუბაძველი ელფერი შეჰქონდა.

ვანო ცხოვრების მხარდამხარ მიმყოლი კაცი იყო. ჩვენში ახალი სიმღერა გაეგონა და არ ეთქვა?

## ვანო — შემოქმედი

შემოქმედება ზოგათთვის სიცოცხლის მიზანია, ზოგათთვის — პროფესიულ მოვალეობათა გაზეპირება.

„მძულს უფულო სიყვარული,  
ხვევნა-კოცნა, მტლამა-მტლუში...“

ბრძანებს რუსთველი. სცენის უფულო მსახური მარტოოდენ ბაგითა ჰკოცნის, — „მტლამა-მტლუში“ ქანდარის უკანასკნელ რიგებში ისმის; ცრემლსაცა ღვრის... ზოგჯერ, თითქოს ლამაზია ყოველივე ეს. მაინც არავის სჯერა, რადგან ჰკოცნის მისი ბაგე და არა გული.

ჩვენს სცენაზე ბობოქრობდნენ ლადო მესხიშვილი, კოტე მარჯანიშვილი, ვანო სარაჯიშვილი და სხვანი. მათი ცხიკრება ვეებერთელა შუქის სვეტივით შერჩება საუკუნეებს, რადგან ხელოვნების სიყვარულში დაჰფერფლეს გული.

\* \* \*

ვანო — როგორც შემოქმედი...

აბა, რა უნდა ითქვას ადამიანზე, რომელსაც უხაროდა, რომ „მართლა არ გათავდა სცენაზე და თურმე ტყუილი ყოფილა



აბესალომის სიკვდილი“. რამდენს ვესაუბრე ვანოს შესახებ ამ ოცი წლის მანძილზე.

ერთმა მუსიკოსმა მითხრა: როგორ შეიძლება ვიმსჯელოთ მომღერლის შემოქმედებაზე, იგი ხომ კომპოზიტორი არ არისო.

დიახ, მოიპოვებიან ამგვარი მუსიკოსები...

და ერთ ქართულ გლეხს ვესაუბრე, უბრალო გლეხს, რომელსაც არა ერთხელ უსმენია ვანოსათვის და მასთან პურ-მარილიც მიუღია.

— როგორი ხმა ჰქონდა ვანოს?

— რა უნდა გითხრა შენებურად... მე მის სიმღერას ვერ ვუძღვებდი. ე, რაღაც ჯადო ჰქონდა ჩადგმული ყელში. განა ცოტა ამბობს სიმღერას, მაგრამ არა, შვილო. სა, გულით არ ამბობს, არა სწვავს ხმას. ეგრე, სახრესავით გიტლაშუნებს რაღა, ბეჭებზე.

მე დავეუპატე: ვანოს ხმას ჰქონდა მეთქი: ზაფხულის სითბო, სიკეკლუცე, შემოდგომის ეშხი და სიღარბაისლე, მთვარის ნათელი, ღაჟღაჟა ბუხრის ნაპერწკალი...

გლეხს წარბი გაეხსნა.

— ო, დედის ქირიმე, რა ვიცი, მე კი მათრობდა და...

მოიპოვებიან ამგვარი ქალამნიანი ესთეტიებიც!..

თურმე აქაც გულის ბრალი ყოფილა — განცდა უნდა და გაიგებ „შემოქმედებას“.

ვანოს სიმღერა, უწინარეს ყოვლისა, ხალასი გული და განცდა იყო. შემდეგ — ვირტუოზული ტექნიკა, წარმტაცი ტემბრი, ჯადოქრობა, „ბელ-კანტო“ და ყოველივე, რაცა გნებავთ.

\* \* \*

ყოველგვარ ნაწარმოებს თავისი ოსტატის დალი აზის. ყველგან მშობლის იერი სჩანს. ნიჭიერ ადამიანს შეუძლია უამრავი ენერგია დახარჯოს და მიჰბადოს ამა თუ იმ შემოქმედს, დაამსგავსოს სხვის ქვნილებას საკუთარი ნაწარმოები. მაგრამ ხელოვნების არც ერთი სფერო არ არის ისე ვიწრო-სუბიექტური, როგორც სიმღერა. ასე, შეუძლებელია იმის განმეორება, ან წინასწარ განჭვრეტა, რასაც მომღერალს სთავაზობს ხოლ-

მე თავისი პოეტური შთაგონება უშუალოდ სიმღერის პროცესშივე.

ვანოს მრავალჯერ უმღერია ერთი და იგივე, მაგრამ ჩვენ ყოველთვის ვამჩნევდით ახალ რაიმეს, მომხიბლავს, ჯერ არსმენილს, განუმეორებელს. მაგალითად, რამდენჯერ იტყოდა ადამიანი „აბესალომში“ ვანოს მოსმენისას — ნუთუ დახშული მქონდა ყური, რომ აქამდე არ შემინიშნავს ეს დიდებული ჩუქურთმა?

სცენაზე ვანო რაღაც განსაკუთრებულ აღზნებას და წვას განიცდიდა. იგი „თითონაც იწოდა და სხვასაც სწვავდა“, მაშინაც კი, როდესაც უბრალოდ იდგა პარტნიორთან, როგორც ეს შესანიშნავად აღნიშნა ღირიყორმა ს. სტოლერმანმა.

ვანო სარაჯიშვილი ერთ ფოკუსში აერთიანებდა მუსიკას, სიმღერას, სპექტაკლის დრამატიულ განვითარებას, აქტიორულ ოსტატობას. ამიტომ ძნელია ცალკე განიხილოთ იგი როგორც მომღერალი და ცალკე, როგორც მსახიობი. მუსიკა და ექსტიმისთვის მთლიან ერთარსს წარმოადგენდა.

\* \* \*

სხვადასხვა მომღერლის მიერ შესრულებული ერთი და იგივე მუსიკალური ფრაზა შეესაბამება იმას, რაც კომპოზიტორს დაუწერია, მაგრამ თავისი შინაგანი ბუნებით ეს ნამღერი იმდენად განსხვავდება ერთმანეთისაგან, რამდენადაც მათი შემსრულებელი. ყოველ შესრულებას ექნება ის ერთადერთი და პირადი „საიდუმლო“, რაც ბუნებას ყოველ ჩვენგანში შთაუნერგავს და „ცხრა ბეჭდით“ დაუბეჭდია. აკი მსმენელიც სხვადასხვაგვარია: ზოგს ცრემლსა და სასიამო ერუანტელს მოჰგვრის სმენილი, ზოგის „გრილ“ გულს მყისვე გაეცლება, ზოგამდე კი არც აღწევს...

ბუნებამ ვანოს უხვად მიანიჭა ყველა ის თვისება, რაც საჭიროა დიდი მომღერლისა და მსახიობისათვის: აბსოლუტური სმენა, უაღრესი მუსიკალობა, მომაჯადოებელი ტემბრის ხმა, იშვიათი დიქცია და უსაზღვრო ტემპერამენტი.

გამოთქმა — „სარაჯიშვილის ტემბრი“ — სამუსიკო ტერმინის

სახით დადიოდა მომღერალთა შორის. პრესამაც ბევრჯერ აღიარა ვანოს ეს თავისებურება.

მაგრამ ყველა ეს შესანიშნავი თვისებანი როდი განსაზღვრავენ ვანო სარაჯიშვილის ღვაწლს ქართული მუსიკალური კულტურის წინაშე. ვანოს ერთ-ერთი მთავარი ისტორიული დამსახურება ისაა, რომ მან ქართული საოპერო მღერადობის განსაკუთრებული სტილი შექმნა. რა თქმა უნდა, ეს „სტილი“ არ არის ქალაქზე დაწერილი რამ, რომ მისი დეტალური ანალიზი და თვალნათლივ გარჩევა შეიძლებოდეს. როგორც მომღერალმა ზალიპსკიმ აღნიშნა, ამას ხელს უწყობდა „სარაჯიშვილად დაბადება“.

სიმღერის იტალიელი ოსტატები — პროფ. ბარერო და ემილიო ვაგი, რომლებიც თბილისში მოღვაწეობდნენ, ვანოს დიდი პატივისმცემლები იყვნენ.

— აქ, საქართველოში, ჩვენ მხოლოდ ვანო სარაჯიშვილის მეშვეობით განვიცდით ჩვენს სამშობლოს — იტალიასო.

ამის მიზეზი იყო ის, რომ ვანო შესანიშნავად ჰვლობდა იტალიური ყაიდის მღერადობის სიადრულყოფას.

მაგრამ ქართული სული და თანამედროვე მაღალი მუსიკალური კულტურა გენიალურად შერწყმულიყო ვანო სარაჯიშვილის პიროვნებაში. როდესაც ხალხურს და ორგინალურ ქართულ ნაწარმოებებს ასრულებდა, იგი ყოველ მუსიკალურ ფრაზას მშობლიური კილოს მინანქრით აჩუქებდა. ამიტომ შესძლო ვანო სარაჯიშვილმა ეროვნული კოლორიტის გატარება მთელ თავის შემოქმედებაში. ქართული კილოს ეს შეგრძნობა ვერ გამოაცალა ვანო სარაჯიშვილს ვერავითარმა უცხო კულტურამ და ვირტუოზულმა ოსტატობამ. პირიქით, ყოველივე ის, რაც კი შეიძინა მან ვოკალური განათლების შედეგად, მშობლიური კილოს უკეთესად წარმოქმნას დაუქვემდებარა.

აქედან იწყება ვ. სარაჯიშვილის ძალა და ამასვე ემყარება მისი, როგორც განსხვავებული სტილის ქართველი ვოკალისტის ნიდაგიც.

ანტ. რუბინშტეინის გარდაცვალების 50 წლისთავზე გამოქვეყნებულ სტატიაში (იხ. „კომსომოლსკაია პრავდა“, 1944 წლის 22 ნოემბ.) ამხ. ვ. გოროდინსკი სწერდა:

„...ანტ. რუბინშტეინმა ერთხელ ფრანც ლისტს მისწერა: „ხელოვნება მოითხოვს დიქტატორს, „მბრძანებელს“, ნაწარმოები — კანონია, ვირტუოზი კი — აღმასრულებელი ხელისუფლება“... ასე მკაფიოდ არ ჩამოუყალიბებია შემსრულებლის შემოქმედებითი ამოცანა თვით ფრანც ლისტს, რომლის ისტორიული მისია გენიალურად დაამთავრა რუბინშტეინმა, რომელმაც მიუთითა, რომ ვირტუოზი-არტისტი კომპოზიტორის მარტოოდენ რუპორი და მის ბრძანებათა ბრმა შემსრულებელი როდია.

ჩარიგ დიდად არ უნდა ეთაყვანებოდეს კომპოზიტორის გენიას შემსრულებელი, იგი გამოადის როგორც მისი გააზრების თავისუფალი მლაღადებელი და ზოგჯერ ამუღვენებს ნაწარმოებში იმასაც კი, რაც თვით კომპოზიტორს არ შეუმჩნევია...“ (ხაზი ჩვენია.) შ. კ.

რა თქმა უნდა, ანტ. რუბინშტეინი და ვ. სარაჯიშვილი ორი საესებით სხვადასხვა ხელოვანია, მაგრამ ეს ამონაწერი მოვიყვანეთ ერთხელ კიდევ იმ ფაქტის ნათელსაყოფად, თუ რად მიიღო ასეთი მხურვალე მონაწილეობა ვანომ „აბესალომ და ეთერის“ შექმნაში, რად შეატანინა „დაისში“ ზაქ. ფალიაშვილს „თავო ჩემო“, და რად ამბობდა „დაისის“ შემდეგ ზაქარია: ნუთუ „თავო ჩემო“ მე ასე დაეწერეო.

აი, ქართული ჰანგის ეს თავისებურად შეგრძნობა და ამეტყველება, ნაწარმოებში იმის შეტანა, რაც თვით „კომპოზიტორს არ შეუმჩნევია“, იყო ვანო სარაჯიშვილის სიმღერის სტილი, რომლის შექმნა მას პირველად მოუხდა ქართული ოპერის შექმნასთან ერთად.

გოგოლის შემოქმედების გარჩევასას ბ. ბელინსკი დაასკვნინდა: ლამაზად წერა ყველა უნიკოს შეუძლია დიდი შრომისა და ოფლის ღვრის შედეგად, მაგრამ ყოველ დიდ მწერალს საკუთარი სტილი აქვს; სტილი კი — თვით აზრია და ნიჭიო.

მსგავსი პარალელი ეოკალურ კულტურაშიც მართებულა. თავისი დიდი ნიჭის წყალობით, ვანო სარაჯიშვილმა ბგერის წარმოქმნის თავისებური სტილი შექმნა.

ბუნებრივია, რომ ვანო სარაჯიშვილის ნიჭის ამ თავისებურებამ მშობლიურ კილოს მიმართ უფრო მკვეთრად იჩინა თავი. ქართული სასიმღერო ფრაზა ვანომ საკუთარ სულის წილში გაატარა და ისეთი ელფერიტ ამოაქდერა, „რომლის წარმოქმნის საიდუმლოება მხოლოდ მან იცოდა“.

აი, ეს გახლავთ მისი სტილიც.

და კიდევ ერთი რამ.

პროფ. დიმ. არაყიშვილი თავის ნაშრომში „ქართული მუსიკა“ (ქუთ., 1925 წ., გვ. 22—23) სწერს:

„...ცნობილია, რომ უოველ ერს, მისი მეტყველების აგებულების წყალობით, განსაკუთრებული რიტმული თავისებურებანი ახასიათებს, რომელიც მელოდიათა შინაგანობაში გამოხატვის. ხანდახან ადამიანი შეხვდება ერთი ერის მელოდიას, რომელიც თითქოს მეორე ერის მელოდიას ემსგავსება. მაგრამ თუ ჩვენ ტექსტის რიტმიკას დაეუყვირდებით, დაკონხავთ, რომ ეს მსგავსება მხოლოდ გარეგნულია. რომ გავარჩიოთ მელოდია ტექსტთან დაკავშირებით, ჩვენ დაკონხავთ, რომ მეორე ერის მელოდიას განსაკუთრებული აგებულება აქვს, სულ სხვა ქვეყნები და მათთანადაც, განსაკუთრებული თავისებურებანი. ამრიგად მელოდიაში საგულისხმოა ტექსტი, მისი რიტმიკა. აქ გადამწყვეტი სიტყვა ენის ეკუთვნის, და ჩვენ ვხედავთ, რომ ქართულ რიტმიკას მელოდიასთან დაკავშირებით თავისი კანონები აქვს. რომელიც, მართალია, ნაკლებ დამუშავებულია, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ზოგიერთ ნაწილებში განსხვავებულია თუნდაც, მაგალითად, ძველი ბერძნულიდან. ავიღოთ, მაგალ., სიმღერა „ჩემო თავო“. ამ სიმღერაში ჯერ ამალელებულია „მო“, შემდეგ კი — „ჩემო, ე. ი. პირველ შემთხვევაში მღერის „ჩემო“ თავო“, ხოლო მეორეში „ჩემო გულო“. ანდა მეორე მაგალითი: „დიდება — დიდება“; მესამე — „გლეხავე — გლეხავე“, „ჭერიო! — ჭერიო“ და სხვ.

ყველაფერი ეს მოწმობს ქართული ენის რიტმიკის ერთობ დიდ მოქნილობას და განასხვავებს მას სხვა ენების მეტყველებიდან“. (ხაზი ჩენია. შ. კ.).

ქართული საოპერო შემსრულებლობის სტილის შექმნაში ვანო სარაჯიშვილს ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ მან შესანიშნავად იცოდა ქართული ჰანგის „განსაკუთრებული რიტმიული თავისებურება“ და ის გარემოება, რომ — „ქართულ რიტმიკას მელოდიასთან დაკავშირებით თავისი კანონები აქვს“. ეს თავისებურება მას თავიდანვე ჰქონდა გამჟღარო სისხლსა და ხორცში, რადგან ქართული ხალხური სიმღერა ბავშვობაშივე ისწავლა და სიკვდილის დღემდე შეინახა სახეუცვლელად. ამიტომ სავსებით გასაგებია, რომ ქართულ ოპერებში მისი ფრაზიობა თავანკარა ქართული იყო, მშობლიური კილოს ჩუქურთმით იყო მოსევალებული. ამიტომ ასე განსაცვიფრებლად შეეძლო მას ხალხური ჰანგის შუქფენილობა საოპერო მღერადლო-

ბასთან შეერწყო და ბგერისთვის წმინდა ეროვნული ელფერი მიეცა; გაემდიდრებინა ყოველი სასიმღერო ფრაზა ისეთი ნიუანსებით, „განცდათა ობერტონებით“, რომელთა ქაღალდზე დასაწერად არავითარი ტექნიკური შესაძლებლობა არ არსებობს და ვერც ერთი კომპოზიტორი ვერ დასწერს.

ქართული ჰანგის ამ განსაკუთრებული სიმდიდრისა და თავისებურების გამომვლადენება ოპერაში დამოკიდებული იყო მხოლოდ ვანო სარაჯიშვილის ინდივიდუალურ თვისებათაგან. სწორედ ამიტომ იგონებენ ძველი მოზღერლები — ქართულ ოპერაში „ვანოს მიერ შესრულებული ყოველი ფრაზა საგანძური იყო“. აი, ამ თავისებური „საგანძურის“ შექმნა-გამომუშავებაში გამოიხატება კიდევ ვანო სარაჯიშვილის სიმღერის სტილის თავისებურება.

მაგრამ, ყოველივე ეს იქნებ ჩვენ, ქართველებს, გვეჩვენება და მიკერძობებითს ხასიათს ატარებს, როგორც ეროვნულ ნიადაგზე აღმოცენებული განდიდების სურვილი. ამ შემთხვევაში დიდ სამსახურს გაგვიწევს არა-ქართველ ოსტატთა აზრი. ჩვენ ხელთა გვაქვს ბევრი ასეთი წერილობითი დოკუმენტი. ამ შემთხვევაში მოგვეყავს მათ შორის მხოლოდ ერთი.

სსრ კავშირის სახალხო არტისტმა, განთქმულმა მომღერალმა ბიულ-ბიულმა დიდი სიამოვნებით მოგვაწოდა მოგონება ვანო სარაჯიშვილზე.

„... თავის ხალხს უსაზღვროდ უყვარდა მომაჯადოებელი მომღერალი ვანო სარაჯიშვილი, რომელიც მთელს სულსა და გულს აქსოვდა სიმღერაში. ვანო სარაჯიშვილი არის წარმტაცი ქართული ფოკალური ხელოვნების ფუძემდებელი, დიდი ოსტატი, რომელმაც სინთეზურად შეურწყო სიმღერის იტალიური ოსტატობა თავის მშობლიურ, ქართულ კოლორიტს. ვანომ ისეთი წარუშლელი შთაბეჭდილება დასტოვა, რომ 22 წლის შემდეგაც კი არ ძალმიძს დაეფიწყო ეს დიდებული ხმის მქონე გულთამხილავი მომღერალი. როდესაც კი არ უნდა ჩამოვარდეს ვანოზე ჯლაპარაკი, მე თვალწინ მიდგას იგი „თავო ჩემოს“ შესრულებისას. გულის სიღრმიდან ბუნებრივად მორაკრაკე ხმამ და მისმა მკაფიო დიქციამ მომაჯადოვა. პირველად ვანო 1911 წელს ვნახე (მაშინ 14 წლისა ვიყავი). ბულ-

ბულს ვბაძავედი და ისებურად ვარაკრაკებდი ხოლმე ხმას. ამის გამო თბილისში მიმიწვიეს. შევეამჩნიე, რომ კიდევ ვილაცას ელოდნენ, და დავინტერესდი. მიპასუხეს — სპექტაკლის შემდეგ, მოწვეული ბულბულის მოსასმენად მსახიობი სარაჯიშვილი მოვაო. ვინ არის ეს მსახიობი-მეთქი. ამაზე, იმ დროს განთქმულმა მეთარემ ბალა გრიქორმა მიპასუხა: იგი საქართველოს ბულბულიაო. ღამის პირველ საათზე მოვიდა ვანო. შავი კოსტიუმი ეცვა. პირველ შეხედვისთანავე ძალიან მომეწონა. რადგან მომღერალი იყო, მინდოდა ჩემი სიმღერაც მოესმინა. აღზნებული ვიყავი. ვიმღერე. ვანომ მადღებდა; შემდეგ მომიახლოვდა, ცალი ხელი მხარზე დამადო, მეორე ყელზე მომიხვდა და რალაც ქართულად სთქვა, რაზედაც ყველას გაეცინა. როგორც შემდეგ გადამითარგმნეს, ვანოს ეთქვა: თუ ყელი არ გაუსინჯა ადამიანმა, იფიქრებს — მართლაც ბულბული უზის შიგო. როდესაც საპასუხო სასმისი ავიღე, ვანომ მკითხა — ვსვამ თუ არა ღვინოს. არა-მეთქი, ვუპასუხე. მაშინ ვანომ დამარიგა — არასდროს არ მესვა ღვინო და არც თამბაქო მომეწია (რასაც, რა თქმა უნდა, თვითონ არ ასრულებდა). დიდი თხოვნის შემდეგ იმღერა „თავო ჩემო“ უაკომპანემენტოდ. სიმღერის დროს მეთარემ სწრაფად შეუწყო ვანოს ჰანგი და აპყვა მას. მეორეჯერ ვნახე ვანო 1924 წელს ჩემი იტალიაში გამგზავრების წინ. მას თეთრი, გადახსნილ-საყელოიანი ხალათი ეცვა. კონფერანსიე დამსწრეთ გაეხუმრა: ნუ გაიკვირებთ. ვანომ ფრაკი დააგირავაო. ვანოს გაამეორებინეს „თავო ჩემო“.

სამწუხაროდ, ვანოს ეგზომ ლამაზი, ნათელი და ხალასი ხმის შემდეგ მე არ მომისმენია რუსეთში არცერთი ტენორი (გარდა სობინოვისა)...

ბევრჯერ ვუთხარი ჩემს კოლეგებს — საქართველოს დღევანდელ ოსტატებს — თუ ვანოს ტრადიციას გააგრძელებთ, ამით ქართული ვოკალური ხელოვნების ორიგინალობას დაცვა-მეთქი. ისწავლეთ იმგვარად განსხვავება, მაგალითად, ნადირის არიისა („მარგალიტის მძიებლები“) მალხაზის არიისაგან („დაისი“), როგორაც ვანო ანსხვავებდა, რადგან რუსული, ევროპული და ქართული კრეპერტუარის შესრულება

ერთი და იმავე იტალიური ყაიდის ბგერით, ქართული სიმღერის სტილის ორიგინალობის დარღვევას იწვევს, რითაც ზიანი მოსდის ქართული ენის ფონეტიკურ თავისებურებას და დამახინჯება გამოდის-მეთქი.

ვანო სარაჯიშვილი მსგავს რაიმეს არასდროს არ სჩადიოდა. ეს არის მისი სილიაღე.

ხალხი ეთაყვანებოდა ვანოს, რადგან იგი ხალხისათვის გასაგები და მშობლიური კოლორიტით მღეროდა...“

აი, რაოდენ ნათელი შექმნილა, ვანო სარაჯიშვილის მეოხებით, ამ უცხო ტომის კაცისათვის ჩვენი ვოკალური კულტურის საარსებო პრინციპი. რაოდენ მწვავედ წამოქრილა იგი მის წინაშე და ისევე თავსატეხი გამხდარა, როგორაც ჩვენთვის.

მშობლიური კოლორიტის შეგრძნობისა და გამომჟღავნების ბრწყინვალე უნარი, ქართული ენის ფონეტიკური თავისებურების ცოდნა, საშუალებას აძლევდა ვანო სარაჯიშვილს ეროვნული სიმი აება თავისი ვირტუოზული ოსტატობისათვის და დიდებული იტალიური ბელ-კანტო ქართული სულით გაეჟღინთა, ქართულად აეჟღერებინა. აი, ეს გახლავთ საფუძველი განსხვავებული სტილის ქართული საოპერო შემსრულებლობისა, რასაც საფუძველი ჩაუყარა ვანო სარაჯიშვილმა.

ზოგიერთი ჩვენი მომღერალი ნაკლებად იცნობს ხალხურ სიმღერას. ამიტომ მისთვის უცხოა ჩვენი კილოს ბუნება, ამიტომ ქართულ ოპერაში ისე გრძნობს თავს, როგორც იტალიურ, რუსულ და სხვა ოპერებში.

ასეთი მომღერალი, რაგინდ ჩინებული ხმა ჰქონდეს, ვერც ერთი ახალი ნიუანსით ვერ გაამდიდრებს თავის პარტიებს ქართულ ოპერაში. ამიტომ იგი ვერასგზით ვერ შეაღწევს ჩვენი ვოკალური კულტურის საგანძურში, ქუხილით რომ აპხადოს კიდევაც სახურავი ოპერის თეატრს.

ძველი მომღერლების დახასიათებით, ვანოს, პარტიების შესწავლის განსაკუთრებული უნარი ჰქონდა. ვერც კი ამჩნევდა ადამიანი, როდის ამზადებდა პარტიებსაო. მისი პირველი პერიოდის რეპერტუარიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია:



„რიგოლეტო“, „ტრავიატა“, „ტოსკა“, „ლოენგრინი“, „ფაუსტი“, „ლაკმე“, „ვერტერი“, „ტანჰეიზერი“, „ტაისი“, „მარგალიტის მადიებელი“, „სიყვარულის სასმელი“, „მინიონი“, „მანონი“, „რომეო და ჯულიეტა“, „ფრა-დიავოლო“, „კამორა“, „ჩიო-ჩიო-სანი“, „თავადი იგორი“, „დუბროვსკი“, „სადკო“, „ბორის გოდუნოვი“, „სნეგუროჰკა“, „ოქროს მამალი“, „ევეგენი ონეგინი“, „დემონი“, „სევილიელი დალაქი“, „დალაქი“ და მრავალი სხვა ოპერა.

მთელ რიგ ოპერებში, როგორც, მაგალ., „მარგალიტის მადიებლებში“, „აბესალომში“, „კარმენში“, „რიგოლეტოში“, „ტრავიატაში“, „ტოსკაში“ და სხვ. ვანო უდიდეს მხატვრულ სიმალლეს აღწევდა.

ბოლო დროს ვანოს ხმაში ძირითადი გარდატეხა მოხდა. მას დრამატიული ტენორის სიმძლავრე და მკვეპარე შალღები განუვითარდა. ვანო დრამატიულ პარტიებს დაეწაფა. ეს პარტიები ვანოს ტემპერამენტისათვის „ცეცხლზე ნავთის დასხმა“ და ზედმეტი დაძაბვა იყო. მაგრამ სწორედ ასეთ გასაქანს ეძებდა დიდი მომღერალი. მას დიდი ხანია მოსწყინდა ლირიკული ტენორის „ღვთაებრივი სინარნარე“ და სასწაულებრივი თვითგარდაქმნა მოახდინა — სულიერი და ფიზიკური წვა დუდილის წერტილამდე აიყვანა. ასეთი შემოქმედებითი ძიება მარტოოდენ ხელოვნების ქურუმთა ხვედრია: „ტენორების მეფე“ — ენრიკო კარუზო გულით დაავადებული ადამიანი იყო. თავისი შესანიშნავი ხმის უგრცესი დიპაზონის წყალბით კარუზო ასრულებდა ყოველივეს, რაც ტენორისათვის იყო განკუთვნილი. მაგრამ დრამატიული პარტიები და უკიდურესი ხმადაძაბულობა მეტად ვნებდა მის დაავადებულ გულს. ექიმები უკრძალავდნენ ამ პარტიებში გამოსვლას, ადრე დალუპვას უქადიდნენ. კარუზომ მაინც ვერ უარპყო თავისი სტიქია და მოისწრაფა კიდევაც სიცოცხლე.

ვანოს რეპერტუარი შესანიშნავი პარტიებით გამდიდრდა. „პიკის ქალი“, „აბესალომ და ეთერი“, „კარმენი“, „აიდა“, „დაისი“, „ჰუგენოტები“ — აი ოპერები; რომლებსაც ზედიზედ მიყოლებით მღეროდა ვანო მთელი ენერჯის, ტემპერამენტისა და შემოქმედებითი უნარის გამოვლინებით. ამავე

დროს ლირიკულ პარტიებსაც არ ივიწყებდა. განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო ვანოს მუშაობა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში, როდესაც მისი ხმა განსაკუთრებული სიმძლავრით და სილამაზით აჟღერდა. რამდენჯერ გამოსულა ვანო ავადმყოფი დრამატული ტენორის აგრონოვისკის მაგიერად „აიდაში“, „ჰუგენოტებში“, მაშინ როდესაც წინა ლაქებს „ფაუსტი“ ან სხვა ოპერა ჰქონდა ნამღერი.

ღღეს „ფაუსტი“, ხვალ — „აიდა“ ან „ჰუგენოტები“! ადვილად ითქმის, მაგრამ ბევრ ტენორს ამის წარმოდგენაც კი შიშის ზარს მოჰგვრის. თავის ვრცელ რეპერტუარში ვანო სარაჯიშვილი „აბესალომს“ უძნელეს პარტიად სთვლიდა. ეს გასაგებიცაა, რადგან ამ პარტიაში ყოველი გამოსვლა თითქოს რაღაც ძვირფასსა და განუმეორებელს ჰგლეჯდა მის სულსა და გულს. მოვიყვანთ რამდენიმე ნაწყვეტს დამახასიათებელ რეცენზიებიდან ვანოს შესახებ:

„ვანო სარაჯიშვილი დაბადებული იყო დიდებისათვის, რაც საქართველოს და რუსეთის საზღვარს უნდა გასცილებოდა. ყველაფერი ჰქონდა: იშვიათი გარეგნობა, საკვირველი მუსიკალობა და თილისმა ხმა, რომლის ტემბრიც, თამამად შეიძლება ითქვას, მსოფლიო მომღერალთა შორისაც მხოლოდ რჩეულს თუ მოუპოვება. გარდა ამისა ჰქონდა კიდევ ერთი რამ თვისება, რაც იმ რჩეულთაც არ გააჩნდათ. ეს იყო ნიჭი განცდისა, ეს მადლი სკარბობდა ყველა დანარჩენ თვისებას: უნარს, სკოლას, ზომიერების ალღოს, გამოცდილებას. და ეს იყო გრძნეული ძალა, რითაც ვანო აუდიტორიას იმონებდა: მიბნედილი თვალები, წარბშეკრული შუბლი, უცნაური ღიმილი — იმავე წამს ნეტარებისა და კავშნის მმოსავი, სივრცეში გაწვდილი ხელები, მთრთოლვარე თითები. ეს შინაგანი წვა არტისტისა, განცდის ნიჭით გამოწვეული, იყო ვანო სარაჯიშვილის შემოქმედების საიდუმლოება, ამ შემოქმედების წამში მთლად მისი არსება სიმღვივით იყო დაკვიპული და მცირე შეხებითაც აჟღერდებოდა...“<sup>1</sup>

ვანო სარაჯიშვილმა თითქმის ასჯერ იმღერა აბესალომის პარტია. გარდა ამისა, ვინ მოსთვლის, რამდენჯერ შეასრულა კონცერტებში ცალკეული ადგილები ამ ოპერიდან, ვიდრე იგი სცენაზე დაიდგმებოდა, და აგრეთვე დადგმის შემდეგაც. ზაქარია ფალიაშვილი მაინც უკმაყოფილო იყო, ვანოს უსაყვედურებდა — უფრო ხშირად რად არ მღერო.

<sup>1</sup> იხ. ე. „ხელოვნ. დროსა“ № 6, 1924 წ.

— შენ ჩემი სისხლის სასმელად დაგიწერია ეს ოპერა. არც კი იცი, რა ტანჯვა-წამებას მაყენებს მე „აბესალომი“. როგორ განადგურებულია ჩემი ნერვები, ჩემი სული და გული მთელი კვირის განმავლობაში აბესალომის პარტიის შესრულების შემდეგ, — უპასუხებდა ხოლმე ვანო შექარხალეზულ ზაქარიას. მაგრამ, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ვანო მეგობრებსაც ხშირად ეუბნებოდა:

— როდესაც სცენაზე ბინდი ჩამოწვება და აბესალომი სულსა ლევს, მას შემდეგ გონება მიბნელებს და აღარაფერი აღარ მახსოვს. როცა სპექტაკლის დამთავრების შემდეგ დარბაზში სინათლეს ანთებენ და ხალხი ტაშს უკრავს, მიხარია, რომ თურმე ტყუილი ყოფილა ყველაფერი, მართლა არ გავთავდი და ცოცხალი ვარ...

აბა რაღა უნდა ილაპარაკოს აღამიანმა ასეთი განცდის შესახებ, როგორი სიტყვები უნდა მოუძებნო ასეთი აქტიორის შემოქმედების დახასიათებას?

ვანო სარაჯიშვილი არ იყო კარიერისტი და პოზიორი, არც კერძო ცხოვრებაში და არც ხელოვნებაში. პირიქით, იგი მუდამ ეჭვის თვალით უცქეროდა თავის შემოქმედებას.

განსახიერებული გმირის სვე-ბედის ასე შეცნობა, ასეთი ძარფსვიანი თვითგარდაქმნა სპექტაკლის დრამატიული კვანძის გაწვითარების მიხედვით, დამახასიათებელი იყო ვანო სარაჯიშვილისთვის არა მარტო „აბესალომ“ და ეთერში“, არამედ ყველა ოპერაში.

ამის შემდეგ სავსებით ბუნებრივი და მართებულია ერთი რეცენზენტის მოხდენილი დახასიათება, 1906 წლის 20 ოქტომბერს „რიგოლეტოში“ ვანოს გამოხედვის გამო რომ გამოაქვეყნა:

„...მაინც რაში მდგომარეობს ბ. სარაჯიშვილის, როგორც მომღერალ-ხელოვანის მომაჯადოებელი ძალა? იმ ძლიერებაში, რომელიც მას თვით ბუნებამ მისცა და რომელსაც ნიქი ეწოდება... ვერავითარი ანალიზი, ვერავითარი მოგონებანი ვერ დაგვიბრუნებს იმ ესთეტიკურ აღტაცებას, რომლითაც შეპყრობილ იქნა საზოგადოება...“

ეს სტრიქონები დაიწერა ვანო სარაჯიშვილის არტისტულ კარიერის დასაწყისში და ძალაში იყო მთელი მისი სიცოცხლისა და შემოქმედების მანძილზე. ძალაში რჩება ახლაც, როდესაც ვანო აღარა გვყავს, ხოლო მისი სახელი ლეგენდასავით დადის ხალხში.

უაღრესი მუსიკალობით დაჯილდოებულ ვანოს, რა თქმა უნდა, სმენაც შესანიშნავი ჰქონდა. შესაძლოა ზოგჯერ ორკესტრს რომელიმე ყალბი ტონი მოეცა, გზას ამცდარიყო, მაგრამ ვანოს ვერაფერი ვერ შეიყვანდა შეცდომაში. ამიტომ იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ორკესტრი მიჰყვებოდა მას და არა პირიქით—იგი ორკესტრსა და ლოტბარის წკეპლას.

სმენა—სიმღერის გულია, სინიღისია. იგი ამავე დროს ტემბრის სრულყოფით გამომქლავნების საშუალებასაც იძლევა. და განა შეიძლება ხმის სილამაზეზე ლაპარაკი, თუ მომღერალს სმენა ჰქონდა? რამდენი შესანიშნავი ხმის მქონე მომღერლისათვის გისმენიათ, მაგრამ მოულოდნელად თითქოს ყურს ეკალი სჩხვლიტესო, მწუხარედ გითქვამთ—აფსუს!

მაესტრო ფერნი-ჯირალდონის „სიმღერის ღმერთას“ უწოდებდნენ. მისი ლოზუნგი იყო — „მომეცი ყური, მე მოგცემ ყელს“. ასეთ მოთხოვნას უყენებდა ის თავის მოწაფეებს. ჰიპერბოლაა, მაგრამ არც ისე შორს დგას ქეშმარიტებისაგან.

გოეთე ამბობდა: თარგმანი შუშის ხუფქვეშ მოთავსებული თაიგულიაო. ე. ი. ნაირფერ ყვავილს უცქერით, სურნელს კი ვერა გრძნობთ. თუ უადგილო არ იქნება, ასეთ თაიგულს ჩვენ არამუსიკალურ მომღერალს შევადარებდით: ქუხილი გესმით, თვალებიდან ელვა გამოჰკრთის, მაგრამ... ყური გტკივთ, გული კი არ ძგერს ნეტარებით. რა გამოვიდა? სიმღერა ხომ უწინარეს ყოვლისა, გულის ყვავილია, მოხიბლული სულის ღაღადისია და არა ქაღალდზე დაწერილის მარტოოდენ „ცივი გონებით“ შესრულება. თუ მომღერალი ბუნებით არაა მუსიკალური, ვერავითარი გენიალური ნაწარმოები ვერ მოხიბლავს მის სულსა და გულს. მაშასადამე, ვერც თქვენ მოგხიბლავთ მისი სიმღერა.

ვანო სარაჯიშვილის სიმღერას ნაირფერ ბგერათა თაიგულის მომჯადოებები სურნელზე მოჰქონდა თქვენთან.

„...ვანო უნახესი გრძნობის ამღვრელი მომღერალია, — ვკითხულობთ ერთ წერილში, — ხან ნექტარივით მოსალბუნე, ხან კაეშანივით მწვავი, მაგრამ მაინც ესთეტიკურად დამტკბობი.

ისმენ ვანო სარაჯიშვილის სიმღერას და გრძნობ, რომ მოალერსე ხმის გარდა, იგი იძლევა თავისი სულიერი არსების რაღაც იდუმალ ნაწილს, და სწორედ ეს იდუმალება შემოქმედებისა ასევედებს უცნაურის შეგრძნობით მისი სიმღერის მეტყველებას: გრძნობ, რომ შენცა გწვავს და თვითონაც იწვის...“

რა გასაკვირია, რომ ჩვენს პრესაში ვანოს იტალიიდან დაბრუნების შემდეგ ხმის გენიოსი უწოდეს.

\* \* \*

ვანო სარაჯიშვილი იშვიათი გარეგნობით შემკული ვაჟკაცი იყო: მაღალი, მხარბეჭიანი, თმახუტუტა, უაღრესად მიმზიდველი და ეშხიანი. სცენაზე სხარტად იცოდა შემოქრა და ოდნავ მარცხნივ გადახრა, თითქოს ამ მხარეზე მეტი სიმძიმე აწევსო. სიმღერის დროს თავისებურად, გვერდზე მოჰღრეცდა ხოლმე ბაგეს. ეს მის სურათებზედაც ნათლად სჩანს ხოლმე, თუ დააკვირდება ადამიანი.

ეს თავისებური ბაგე ვანოს აუხსნელი საიდუმლოებაა.

გამოჩენილი მუსიკოსები ახლაც იკვლევენ — როგორ ეკირა ხელში ვიოლინო ნიკოლო პაგანინის, რომელიც ადამიანის ხმის მსგავსად აქვითინებდა ამ საკრავს. საქმე იქამდე მივიდა, რომ ერთმა განათლებულმა კაცმა დასწერა: ღმერთმანი, მე თვითონ შემინიშნავს ეშმაკი პაგანინის ზურგს უკან, როცა ის უკრავდაო.

პაგანინის დაკვრის ოსტატობა დღემდე შეუცნობელია.

ვანო სარაჯიშვილის ბგერათა ჯადოსნური წარმოქმნაც შეუცნობელია. ალბათ გენიალურმა ალლომ ბავშობიდანვე მოჰკუთმა მისი ბაგე იმგვარად, რომ ხმოვანების ეფექტს რაღაც არაჩვეულებრივ სილამაზემდე მიეღწია.

გრიმს მაინცადამაინც არა სცემდა ვანო დიდს პატივს; ერთი-ორი ხაზის გადასმით ძირითად სახეცვლილებას აღწევდა. მისი მოხდენილი სახის კუნთები ბევრ თითხნას არ საქირობდნენ. სამაგიეროდ მიმიკას დიდ ყურადღებას აქცევდა და გან-

ცდის მთელი სიმძიმე სახის პლასტიკით გადაჰქონდა. არტისტული ოსტატობის მხრივ, როგორც აღვნიშნეთ, ვანომ ბევრი რამ შეიძინა ლადო მესხიშვილთან მეცადინეობის შედეგად. მაღაზნის სცენიური სახე (ოპ. „დაისი“) ვანომ კოტე მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით შეჰქმნა. კოტე დიდად აფასებდა ვ. სარაჯიშვილს არა მარტო როგორც მომღერალს, არამედ სცენის ოსტატსაც. ვანოს სიკვდილის შემდეგ, კოტეს ვერც კი წარმოედგინა, თუ ვის უნდა შეეცვალა ოპერის სცენაზე იგი როგორც არტისტი.

უმდიდრესი რეპერტუარის მქონე ვანო კვლავ ახალი მწვერვალების დასაპყრობად ემზადებოდა, თითქოს მას „რიგოლეტოდან“ მოკიდებული „ჰუგენოტებამდე“ კიდევ აკლდა ქარიშხლიანი გაქანება და ამობოქრება.

ბოლო დროს ვანომ „ოტელოს“ პარტიაზე დაიწყო მუშაობა. საათების განმავლობაში ავარჯიშებდა სახეს სარკესთან, შინაურებს ეხუმრებოდა: ერთ მსუბუქ მურს გადავისობ და თვალის თამაშით ისეთ „ოტელოს“ წარმოგიდგენთ, რომ ყველა ცოლითავისი ქმრის შიშით კვდებოდესო.

„ოტელოს“ პარტიის შესრულება მას არ დასცალდა.

\* \* \*

საფუძვლიან სცენიურ და ვოკალურ მომზადებასთან ერთად ვანო ლიტერატურულადაც სწავლობდა განსასახიერებელ გმირს. მაგალ., „ჰუგენოტების“ მომზადების პროცესში მან ბევრი წიგნი გადაიკითხა და ღრმად გაეცნო ისტორიულ მასალას. შესანიშნავად ასრულებდა ვანო რაულ დე ნანეის უძნელეს პარტიას ამ ოპერაში.

მუსიკალური ნაწარმოების ტექსტს ვანო დიდი ყურადღებით ეპყრობოდა; იბრძოდა მუსიკალურ ნაწარმოებთა ქართულად თარგმნისათვის. ამ მხრივ მის ლიტერატურულ დამსახურებაზედაც კი შეიძლება ლაპარაკი. მაგალითად, როგორც აღვნიშნეთ, ვანომ სთარგმნა ერეკლეს არია (ოპ. „ღალატი“), რასაც დიდი მხატვრული წარმატებით ასრულებდა. ვანომ თვითვე მიუყენა გრიშაშვილის ლექსი „გენაცვალე“ ბონჯიოვანის რო-

მანს და ახალი სტრიქონები დააწერინა ჩვენს პოეტს. მანვე შესცვალა ნადირის არიაში („მარგალიტის მამიებლები“) სათანადო ადგილი, რადგან წამოწოლილი მღეროდა ამ არიას. ყოველივე ეს არც ისეთი წვრილმანია, როგორც შეიძლება ზოგს მოეჩვენოს.

ბევრ მომღერალს ფიქრადაც არ მოსვლია მსგავსი რამ მთელ თავის სიცოცხლეში.

ხაზგასმით აღსანიშნავია ერთი გარემოება: ბევრი ლირიკული ტენორის ხმა ეგზომ „თაფლივით მონარნარებს“, რომ შიგ ქალის ხმის იერი უფრო სჩანს, ვიდრე ვაჟკაცისა.

რამდენი დიდი მომღერალია დაავადებული (ბუნებრივად თუ ხელოვნური მანქვა-გრეხის წყალობით) ამგვარი „სინარნარით“.

მსგავსი რამ ვანოს მაშინაც კი არ ახასიათებდა, როცა მართლაც „ვარდის წყლის შადრევანივით“ სცემდა მისი მოჩანჩქერე ხმა, როცა მსოფლიოში, განთქმული მომღერლები საჯაროდ აღიარებდნენ—ვანო სარაჯიშვილი ერთ-ერთი თვალსაჩინო ლირიკული ტენორიაო.

ვანოს უნაზესი ხმა მუდამ ვაჟკაცური იერით ღღერდა. ცრემლიც ერია შიგ, მაგრამ არა ქალური. ისეთი ცრემლი ერია, რაზედაც გენიალურად არის ნათქვამი:

-ვაჟკაცს ცრემლსა რად უძრახვენ?  
რკინაც სტყდება, როს სცემს გრდემლი...  
კაცთ და პირუტყვთ გასარჩევად  
ღმერთმა შეჭქმნა მარტო ცრემლი“.

ავთანდილსა და ტარიელს განა ვინმე ლაჩრობას დაწამებხ?  
დიდებული ბეთჰოვენი დაყრუვდა, მაგრამ გულით ესმოდა.  
ზოგ ხელოვანს ყურთა სმენა აქვს, მაგრამ... გულით არის ყრუ.

აი, სიყრუეე რასა ჰქვიან!

ვანო სარაჯიშვილის სიმღერა ხალასი „გულის ხმა“ იყო. იგი უშუალოდ გულის სიღრმიდან სჩქეფდა და მუდამ უტყუარი ელფერი ამოჰქონდა თან. ამიტომ ასე ნათლად მგლავნდებოდა მის ბგერაში განსახიერებული გმირის განცდა: ვნებათა ღელვა,

ადამიანური ტკივილები. ვფიქრობ, საქმეში ჩახედულ ადამიანს თვალდახუჭულს რომ ესმინა ვანოსათვის, სიმღერითაც კი დაინახავდა მგონი მის სახეს სცენაზე.

ვანოს სიმღერაში მთელი მისი ადამიანური ბუნება მონაწილეობდა: თანდაყოლილი ტემპერამენტი, დამახასიათებელი ჟესტი და პლასტიურობა, სიღარბაისლე, სიფიცხე, სიამაყე და თავმოყვარეობა; ალალი და ფაჭიზი სული, მთელს არსებაში ღრმად გაჟღადარი ქართული ჰანგიც. ამიტომ იყო ეს სიმღერა წმინდა ეროვნული კოლორიტის მატარებელი, ისე როგორც მისი ოსტატი, რომელიც არსად არ ჰკარგავდა თავის კოლორიტს.

აქედან მოდის განსხვავებული ქართული საოპერო შენსრულებლობის სტილიც.

ჩვენი მუსიკალური კულტურის ისტორიაში ვანო სარაჯიშვილი დარჩება, როგორც იდეალური ქართველი მომღერლის უმწიკვლო განსახიერება.

## ვანო სარაჯიშვილის ადამიანური იმარი

ვანო!

ასე უბრალოდ ეძახდნენ მას სობინოვი და შალიაპინი, იტალიელი, ესპანელი, ფრანგი და სხვა ტომის მომღერლები. საქართველოდან ჩასულთ ისინი პირველ კითხვას აძლევდნენ— რასა იქმს ის მშვენიერი ქართველი?

ძველი მეგობრები ვანო სარაჯიშვილს ახასიათებენ როგორც „დიდი, ნათელი სულის მქონე ადამიანს, ზრდილ, კეთილშობილ და რაინდ ქართველს“.

და მართლაც, ვანო სარაჯიშვილი შესანიშნავი ადამიანი იყო. სამშობლოს სიყვარული ისე გაჯმდარიყო მის არსებაში, რომ მშობლიურ ზეცის ლაქვარდს არავითარ დიდებაში არ გაცვლიდა. უცხოეთში ვანო მუდამ ამაყად ატარებდა ქართველი ვაჟკაცის სახელს. ძველი დარბაისელი ოჯახის შვილს მთელი სიცოცხლის განმავლობაში ახასიათებდა ჟალრესი ზრდილობა, თავაზიანობა და რაინდული სისპეტაქე. უდიდეს პატივს სცემდა ჭალარას, მანდილოსანს. უხამს მოქცევას და ცუდ სიტყვას მათ მიმართ არვის აპატიებდა.



თავმდაბალი და ადამიანის მოყვარული ვანო უმწიკვლო მეგობრობის განსახიერებას წარმოადგენდა. ამ მხრივ ვანო არ ანსხვავებდა მდიდარსა და ღარიბს, ნასწავლს და უსწავლელს. ყველასთვის ერთი საზოგადოება ჰქონდა, და ვინც ასეთივე სისპეტაკით უპასუხებდა, თან გადაჰყვებოდა, გვერდში ამოუდგებოდა და მის გულისთვის არავითარ ხიფათს არ მოჭრიდებოდა.

— მე მეგობრობას სიყვარულზე მაღლა ვაყენებ. სიყვარული წარმავალია, მეგობრობა მარადიულია, — ხშირად იტყოდა ხოლმე ვანო. გული ყოველი სიყვარულის საწინდარია, და ვანოს არ სწამდა „უგულო სიყვარული“, ვის მიმართაც კი არ უნდა ყოფილიყო. ანგარიშმიუცემელი ლტოლვა ნამდვილი მეგობრობისა და გამტანობისადმი, ორგანიული ზიზღი ფლიდობისა და ორპირობისადმი — ვანო სარაჯიშვილის პიროვნების დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენდა. როგორც ხშირად ხდება ხოლმე, გულწრფელობამ ვანოს შხამიც ბევრი არგუნა. რუბილეს შემდეგ საკმაოდ დიდი თანხა გაუფლანგა ერთმა „მეგობარმა“ და ჩაუფუჭა განზრახული მკურნალობის გეგმები. ერთხელ ვანო თავის მეუღლესთან და მომღერალ გ. ქურხულთან ერთად საზაფხულო კინო „ეთერში“ იყო. ეს ადამიანი შემოვიდა. ვანომ დაიკენესა და გულზე იტაცა ხელი. შემფოთებულნი შეეკითხნენ — რა მოგივიდაო.

— არ შემიძლია ამ საძაგელის დანახვა! — მიუგო ვანომ.

აი, ასეთი გულის პატრონი იყო.

ვაკაცური ხასიათის მქონე ვანოს გამტანობა ცხოვრების მიზნად მიაჩნდა, არ იცოდა შური და მტრობა.

პარიზის „გრანდ ოპერის“ პრემიერი, განთქმული ტენორი მიხეილ ნანობაშვილი ჩვენში საგასტროლოდ ჩამოდიოდა. უკანასკნელად 1920 წელს მღეროდა თბილისში. მის სპექტაკლებს დიდძალი საზოგადოება ესწრებოდა. აღფრთოვანებული ვანო გატაცებით უკრავდა ტაშს, სცენაზე იწვევდა და ხმამაღლა იძახოდა:

— ვაშა, მიშელ!

ერთხელ ნაძალადევში გაჰყვა მას კონცერტზე. აქ ერთ მეგობართან საუბრის დროს ვანომ სთქვა:

— ხომ იცი მე ვინცა ვარ... ჰოდა, ეგ ათი თაბახითა მჯობს.

ვანო დაფიქრდა და შემდეგ დაბალი ხმით დასძინა:

— მაგრამ ნანობაშვილმა არ იცის რა ესაქიროება ჩვენს ერს, მე კი ვიცი ეს და ესაა ჩემი უპირატესობა. მან უღალატა ქართულ კილოს, სამშობლოს ჩემისთანა კაცი სჭირია...

ამის თქმაც მეტად გაუჭირდა. „ააი თაბახის“ ამბავიც, რა თქმა უნდა, გაზვიადებულია.

ვანოსთან ერთად მღეროდა განთქმული ტენორი ზალიძესკი, რომელმაც პირველად შეასრულა აბესალომის პარტია. ვანო აფასებდა მას, დიდად აფასებდა ლეონიდ სობინოვს და სხვა მომღერლებს, რომლებიც საგასტროლოდ ჩამოდიოდნენ. არამც-თუ შურდა მათი წარმატება, არამედ ყოველმხრივ უწყობდა ხელს, რომ ჩამოსულ ადამიანს ცუდი რამ არ შეხვედროდა. აი, თუნდაც ეს ერთი ფაქტი:

იტალიიდან თბილისს ტენორი ემილიო ვაგი ეწვია (ეს მომღერალი შემდეგ აქვე დარჩა და პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა). თავისი პირველი გამოსვლისათვის ვაგიმ „ტოსკა“ გამოაცხადა. ცნობილია, რომ ვანო დიდი წარმატებით მღეროდა ამ ოპერას. იგი მოუთმენლად ელოდა ვაგის გამოსვლას, არ მოესმინა, აინტერესებდა.

პრემიერის დღეს ადრე წავიდა თეატრში და გაეცნო სტუმარს, რომელსაც ბევრი რამ გაეგო მის შესახებ. ვაგიმ მოწიწებით მიიღო ვანო.

— ბატონო ჩემო, მე ვერ ვაგიშვებთ სცენაზე ამ სახით...— მოკლედ მოუქრა ვანომ უცხო მომღერალს.

— რადა?

— იმიტომ, რომ სრულებით არ მომწონს თქვენი მორთულობა. კავარადოსი და ასეთი?

— ქეშმარიტებაა; სამწუხაროდ, ჩემი ბარგი ჯერ კიდევ გზაშია. თეატრისა ჩავიცვი და...

— ახლავე გაიხადეთ!— უპასუხა ვანომ და იქვე გააღო თავისი კარადა, საკუთარი ხელით ჩააცვა თავისი კოსტიუმი, გრიმიც გაუკეთა და გამოსასვლელად მოამზადა.

— ახლა კი პარტერში გეახლებით და მოვისმენთ.

ემილიო ვაგი მოჯადოებული იყო ვანოს კეთილშობილებით, მას უჩვეულოდ ეჩვენა ვანოს საქციელი. პირიქით, ხელშეშლას და მტრობას მოელოდა. განუყრელად ვანოსთან იყო, ვერ სცილდებოდა. მაგრამ ზურგს უკანაც ქომაგად ედგა ვანო სპეტაკ მეგობრულ გრძნობას.

თბილისის ოპერაში მღეროდა ერთი პაწია ტენორი კ-ი. იგი ლეკვივით დასდევდა ვანოს. ერთხელ საგასტროლოდ ჩაზოვიდა დრამატიული ტენორი კიპორენკო-დომანსკი, რომელსაც ვანო კარგად იცნობდა. კ-სთან შედარებით კიპორენკო-დომანსკი ვეებერთელა მომღერალია. კ-მა ვანოს მიულაქუსა და მედიდურად უთხრა:

— რა საჭირო იყო მისი ჩამოსვლა, როდესაც ჩვენ აქ ვართ!

ვანო აენტო, ზიზლით მიანათა თვალი და მიატოვა. შემდეგ ამბობდა—ძლივს შევიკავე თავი, რომ სილა არ ვაჭამე მაგ უტიფარსო.

\* \* \*

სანდრო ინაშვილი და ლეონ ისეცკი ვანოს უახლოესი მეგობრები იყვნენ. სანდროს ვანო არ იშორებდა, მასთან ერთად იყო სცენაზე და სცენის გარეთაც. სადაც კი ვანოს მიიწვევდნენ კონცერტში, უსათუოდ სანდროსაც თან წაიყვანდა.

საუცხოო სანახავი იყო ჩოხა-ახალოხში ეს ორი მეგობარი. ვანოს ეღალი კრაველის ქუდი საქვეყნოდ ცნობილი გახდა. ქუდის შეკვეთისას ოსტატებს მოკლედ მოუპირიდნენ—„ვანოს ქუდი“ შემიკერეო. ვანოს პატივისცემად ასეთსავე ქუდს ატარებდა ემილიო ვაგიც.

მომღერალი ლ. ისეცკი თავისი შემოქმედებით დაკავშირებული იყო თბილისის ოპერის თეატრთან. საჭიროდ მიგვაჩნია ორიოდ სიტყვით შეეჩერდეთ მასზე:

ლ. ნ. იოანესიანი (ლ. ისეცკი) დაიბადა თბილისში 1890 წელს.<sup>1</sup> სწავლობდა კომერციულ სასწავლებელში ვიქტორ დოლიძესთან ერთად. დაამთავრა კოლეჯი ქალ. ნევეშატელში (შვეიცარია), შემდეგ—ბრიუსელის უნივერსიტეტის სოციალურ

<sup>1</sup> გარდაიცვალა 1946 წლის 10 მაისს. შ. კ.

მეცნიერებათა ფაკულტეტი. ბრიუსელში იგი ცხოვრობდა ანარქისტ ვარლამ ჩერქეზიშვილის ოჯახში (ვარლამი ბრიუსელის უნივერსიტეტში კითხულობდა ლექციებს). მის ოჯახშივე ცხოვრობდა თავისი და-ძმით განთქმული პიანისტი ირაკლი ჯაბადარი, რომელიც დიდი წარმატებით მართავდა კონცერტებს ბერლინში, ვენაში, პარიზსა და სხვა ცენტრებში. ვარლამ ჩერქეზიშვილის ოჯახში კარგად ასწავლეს ქართული იოანესიანს.

1912 წელს ირაკლი ჯაბადარი და ლ. იოანესიანი გაეცნენ ბრიუსელში ანატოლ ლუნაჩარსკის. ა. ლუნაჩარსკიმ ისინი მოლდაველ კომუნისტ ექიმს (ლენინის მეგობარს) გიორგი ალექსანდრეს-ძე ისეცკის გააცნო. ლეონ იოანესიანს რუსულ ენას ასწავლიდა გ. ა. ისეცკი. იმ ხანად ბრიუსელს საგასტროლოდ ეწვია შალიაპინი. ქართული და რუსული კოლონიის წევრებმა შალიაპინს ნადიმი გაუმართეს. ბევრი იმღერეს „მრავალეზმიერიც“. შალიაპინმა ყურადღება მიაქცია ლ. იოანესიანის ბანს და გაგზავნა თავისი ბარათით ბრიუსელის კონსერვატორიაში. (შემდეგ, 1915 წელს, მან თბილისის კონსერვატორია დაამთავრა). თავისი მოამაგის გ. ა. ისეცკის პატივსაცემად და მისივე თხოვნით დაირქვა ლეონ იოანესიანმა ფსევდონიმად ისეცკი.

ვანო სარაჯიშვილს ისეცკი გაეცნო თბილისში 1913 წელს „ინვალიდთა საღამოზე“. შემდეგ ისინი საუცხოო მეგობრები იყვნენ.

ვანო სარაჯიშვილს „არაამქვეყნიურ ადამიანს“ უწოდებენ კიპორენკო-დომანსკი, ლ. ისეცკი, სანდრო ინაშილი და სხვა მისი ძველი ამხანაგები. ეს სავსებით გასაგებია.

ვანოსადმი მიძღვნილ უამრავ ფოტოგრაფიულ სურათებზე ამ შესანიშნავი ადამიანობის გამომხატველ წარწერებს ვხვდავთ.

ვანოსთან, როგორც თავის ჭეშმარიტ დამცველთან მოდიოდნენ საჩიველლად გულნატკენი მომღერლები და მოსამსახურეები. ვანო არ არჩევდა დიდსა და პატარა მსახიობს, განსაკუთრებით კი სწორედ „პატარებს“ იცავდა, ბევრს ფულითაც ეხმარებოდა.

ხმა დაგროვილ კაპიტალსა ჰგავს. უაზროდ „გაფლანგულ“ სიკაბუჯესთან ერთად, ისიც იოლად იფლანგება. ზოგი, როგორც ამბობენ ხოლმე, „პროცენტებით“ მღერის ბოლომდე, ზოგი სიკაბუჯეშივე ხარჯავს ამ „ძირითად კაპიტალს“ და დროზე აღრე იშრიტება. ამიტომ არცერთი ქანრის მსახიობს არსპირდება ნორმალური რეჟიმის ისე სასტიკად დაცვა, როგორც მომღერალს. ეს აქსიომაა. დაუდევრობამ ამ მხრივ არა ერთ მომღერალს აწვნია მწარე გაკვეთილი. ქამთა ვითარებაში ჩამოყალიბდა ოპერის არტისტის ტიპი, საკმაოდ განსხვავებული სხვა ქანრის მსახიობთაგან.

ვანო სარაჯიშვილი ამ მხრივაც იშვიათ გამოჩაყლის წარმოდგენდა. იგი არასდროს არ ყოფილა ჩაკეტილი ვოკალისტის ვიწრო ჩარჩოში, არასდროს არ განრიდებია ცხოვრების მრავალფეროვან მღელვარებას, მის ყოველდღიურ ინტერესებს. ვანო სისხლქარბი, შეუზღუდავი კაცი იყო; შეუზღუდავის სულიერი მღელვარებით, ადამიანური ბუნებითა და სასიცოცხლო წყურვილებით. იგი ისევე ეტრფოდა ცხოვრებას, როგორაც სცენას. ვანოს უსაზღვროდ უყვარდა ნორჩი თაობა. ელოლია ვებოდა ბავშვებს, უმღეროდა ათასგვარ ჰანგებს, ზურგით ატარებდა. ჩვენ ბევრ ქალარამოსილ ადამიანს ვიცნობთ, რომლებიც ცრემლმორეულნი იგონებენ თავიანთ ამ შესანიშნავ გულთამბილავს. ადამიანისა და ბუნების მოტრფიალეს, მას არასდროს არ მოსდუნებია სასიცოცხლო იმპულსი, ვიდრე ფეხზე დგომა შეეძლო. და თვით სასიკვდილო სარეცელზედაც ისე ხალასად ჰქრებოდა როგორც მისივე კრინი სიმღერაში—დაპირქვავებული თაფლის ქილა, როცა თანდათან იკლებს ქავლი და შემდეგ უკანასკნელი ძაფიც აღმასივით მოსწყდება ქურქელს. ჩვენ არაფერს არ ვუსაყვედურებთ ამ ბუნების პირმშოს: თვით ბუნების მიერ საზეიმოდ იყო განწყობილი ლაღდისი მისი სულისა, მიუხედავად იმისა—იქნებოდა ვანო სარაჯიშვილი ჯადოქარი ოპერის არტისტი თუ ქალამნიანი გლეხი და გლეხურადვე „ურმულის“ მთქმელი.

ვანოს სწორუპოვარი სიყვარულით აინტერესებდა მეცნიერე ბაცა და ტექნიკაც, სპორტიცა და ავიაციაც, ცირკიცა და თეატრიც, მუსიკაცა და პოეზიაც.

პოეზიისა და მუსიკის ნათესაობა შესანიშნავად ესმოდა ვანო სარაჯიშვილს. იგი პოეზიაში მუსიკას ეძებდა, მუსიკაში კი პოეზიას, და ამ პოეტური ექსტაზით იყო გაელენთილი ყოველი მისი სასიმღერო ფრაზა სცენაზე და აგრეთვე—მისი ადაპიანური ბუნებაც სცენის გარეშე. ვანო ქართველი პოეტების უახლოესი მეგობარი იყო. და განა მართო ქართველებისა? ი. ფალიაშვილის დასის ციმპირში გასტროლების დროს გაიცნო ვანომ რუსი პოეტი ვასილ კამენსკი, რომელიც ესწრებოდა ვანოს სპექტაკლებს და გაოცებული იყო მისი უჩვეულო წარმატებებით. ამ ორიგინალურმა პოეტმა არა ნაკლებ ორიგინალური ცხოვრების გზა განვლო. კამენსკი ავიაციიდან მოვიდა პოეზიაში. იგი საერთაშორისო კლასის მფრინავი იყო. ფრინავდა ინგლისში, საფრანგეთში, პოლონეთში, ავსტრია-უნგრეთში. იმ ხანად მთელს ურალში იგი ერთადერთი მფრინავი იყო. მაშინ დაიწყო ლექსების წერაც. როგორც ცნობილია, ვას. კამენსკი ვლ. მაიაკოვსკისთან ერთად ფუტურისტთა კორპორაციის წევრი იყო. ამ ახალმა ლიტერატურულმა ჯგუფმა ბევრი „დაფრთხო“. ვანო კი მეტად დააინტერესა და დაუახლოვდა კიდევაც კამენსკის, მაიაკოვსკისა და სხვა მათ მეგობრებს. მფრინავად ყოფნის დროს კამენსკიმ კატასტროფა განიცადა 1912 წელს პოლონეთში. მაშინ ახლად ფეხადგმული იყო ავიაცია. ვანო ავიაციის ენტუზიასტი გახდა. იგი მოსვენებას არ აძლევდა კამენსკის ათასნაირი შეკითხვებით: როგორ ყოფა-ცხოვრებას ეწევიან მფრინავები, რას განიცდიან ფრენის დროს, როგორი განწყობილება შეგექმნა, როცა მიწაზე ვარდებოდიო, და სხვ. აღტაცებული იყო მფრინავთა ვაგაკობითა და გამბედაობით. შემდეგ ხშირად უხდებოდათ ვანოსა და ვ. კამენსკის კონცერტებში ერთად მონაწილეობა. ვანოს მოსწონდა მისი ლექსი—„თბილისი“ და ხშირად სთხოვდა მის წაკითხვას. მეგობრული შეხვედრების დროს თვითონ ვანოსაც ბევრჯერ უთქვამს ეს ლექსი ზეპირად. 1916 წელს ვ. კამენსკი გამოდიოდა თბილისის ცირკში ცხენზე შემჯდარი და თავის პოემა

„სტეპან რაზინს“ კითხულობდა მომღერალთა გუნდის მონაწილეობით. ვანოს ძლიერ მოსწონდა მისი ასეთი ორიგინალობა.<sup>1</sup>

ვაჟაკობისა და სპორტის დიდი პატივისმცემელი ვანო ცირკის ხშირი სტუმარი იყო. განთქმული მოქიდავეები ზაიკინი, ვახტუროვი, პოდლუბნი და სხვები მისი უახლოესი მეგობრები იყვნენ. წარმოდგენის დამთავრების შემდეგ მასთან ატარებდნენ დროს და მეგობრულ სუფრასაც უმართავდნენ.

ვასილ კამენსკის მეხსიერებაში წარუშლელი კვალი დასტოვა „მზიურმა ვანო სარაჯიშვილმა“.

აი, ვ. კამენსკის პატარა მოგონება, რომელიც სიამოვნებით მოგვაწოდა:

„საერთო მოღვაწეობის სარბიელზე ბევრი არტისტული შეხვედრა მქონია სარაჯიშვილთან ხელოვნების ჯადოქრულ პროექტორებს ქვეშ. როგორც განსაკვიფრებელი მომღერალი, იგი გატაცებით უყვარდა ყველას რუსეთსა და საქართველოში; ყველა გატაცებით აღმერთებდა. სარაჯიშვილის სახელი ზემთაგონებით ბრწყინვალედა. მასზე თავდავიწყების აღტაცებით ლაპარაკობდნენ. იგი იმონებდა ყველას ერთხელ და სამუდამოდ. ვინც კი პირადად იცნობდა სარაჯიშვილს, ყველა ამაცობდა. ვამაცობდი მეც, მისი დამატყვევებელი, თილისმა ხმის მოტრფიალე, შეყვარებული მის მომაჯადოებელ პიროვნებაზე, მის კობტა, ლერწამივით ასხმულ ტანადობაზე, მის სრულყოფილ არტისტულობაზე, მის ნათელ კკუა-გონებაზე, უსაზღვრო სულის მქონე შესანიშნავი ადამიანისა და გულხმიერ, მხსნელი ამხანაგის პიროვნებაზე.

ამასთან, მას გატაცებით უყვარდა პოეზია და ავიაცია. მე კი პოეტიც ვიყავი და მფრინავიცა. ამიტომ ჩვენი მეგობრული შეხვედრები მუდამ საზეიმო, სადღესასწაულო ხასიათს ატარებდა. იგი მზად იყო მთელი საათობით ესმინა მფრინავთა თავგადასავალი, დაწვრილებით გამოეკითხა, რას განიცდიდნენ

<sup>1</sup> იმ ხანად ერთმა ცნობილმა რუსმა სატირიკოსმა ვასილ კამენსკის ამ ონებს მეგობრული შარტი მიუძღვნა: კამენსკი ესტრადას არ დასჯერდა, ახლა ცირკში ცხენით გამოდისა; ცხენიც „რიკაა“, თვითონაც „რიკა“ და ვერ გაიგებ—რომელია ცხენი, რომელი კამენსკიო („Где конь, где Камешский“). შ. კ.

ისინი ფრენის დროს. რალაც განსაკუთრებული, შინაგანი ალტაცებით ისმენდა ხოლმე ვანო ლექსებს, თითქოს ცდილობსო ცალკეული მკვეთრი სტრიქონების დამახსოვრებას.

ვანოს მეტად აინტერესებდა ამაღელვებელი პიროვნება მიაკოვსკისა, რომელსაც დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდა და „მოქმედ ვულკანს“ უწოდებდა.

დიდად სასიამო იყო ვანო სარაჯიშვილთან კონცერტებში მონაწილეობა, თვალყურის დევნება გამოსვლის წინ კულისებში მისი მღელვარებისათვის, ხოლო შემდეგ ნეტარებით სულგანაბული სმენა გულის სიღრმეში ჩამწვდომი მისი წარმატცი სიმღერისა.

განა შეიძლება გენიალური სარაჯიშვილის დავიწყება? არა, არასდროს! იგი—მარადისობის ბრილიანტია“.

რა გასაკვირია, რომ „ვულკანური ტემპერამენტის“ მქონე ვანომ მიაკოვსკის „მოქმედი ვულკანი“ უწოდა. განა ბევრი მოიძებნებოდა მაშინ, თუნდ ხელოვანთა შორისაც, დიდი პოეტის ასეთი შემფასებელი?

\* \* \*

თბილისში მოწვეულ მსახიობ ქალებს ოპერის დირექცია პირობად უყენებდა ვანოსთან სიმღერის აუცილებლობას. ერთ დროს მასთან „ტრავიატაში“ მონაწილეობდა მსახიობი ხ—ნა. გამოუცდელი მომღერალი ხშირად სცდებოდა ტონს. ვანო მას სცენაზევე ჩასჩურჩულებდა, უსწორებდა. ერთხელ სპექტაკლის დროს ხუმრობით კინალამ თავში ჩაარტყა ხელი.

ვანო იშვიათად ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას. ეს იუბილეზედაც „უსაყვედურეს“. ბევრსა სთხოვდნენ, მაგრამ მუდამ უარს ამბობდა; ხმას გაუსინჯავდა და თუ მოეწონებოდა, ვერ ისვენებდა, ვიდრე არ მოაწყობდა პროფესორთან. ხშირად ამბობდა—როგორ აწამებენ კონსერვატორიაში ახალგაზრდებს. თავიანთ ნებაზე ამღერონ, უკეთესიაო.

რა გაეწყობა. დიდებული მომღერალი საკუთარი პოეტური ბუნებიდან გამომდინარეობდა: უძნელდებოდა თავისი ტემპერამენტის ჩაკეტვა პედაგოგის გარკვეული სისტემის ჩარჩოებში.



1919 წელს ი. აბაშიძე მუსიკალური სასწავლებლის ინსპექტორად დანიშნეს. მან ვანოს სკოლაში მოღვაწეობა სთხოვა.

— ჯერ სანამ ხმა შემწვევს, სცენას ვერ მოვშორდები,—უპასუხა ვანომ,—პედაგოგობა კი ერთ ადგილას ყოფნას და სისტემატურ შრომას მოითხოვს. მსახიობი ვარ, დღეს საქართველოში ვმღერი, ხვალ იქნებ რუსეთში ან იტალიაში ამოვეყოთავი. ამის გამო პედაგოგობას ხელს ვერა ვკიდებ. მაგრამ როდესაც სცენისათვის აღარ ვიქნები გამოსადეგი, მაშინ პედაგოგობას შევუდგები და კვებნად არ ჩამომართვა, თუ ვიტყვი, რომ კარგ, ნამდვილ იტალიურ სკოლას გადავსცემ ჩემს მოწაფეებსაო,

ეს არ დასცალდა.

ვანო უდიდესი სიხარულით ეგებებოდა ყოველი ქართველი მომღერლის გამოჩენას. 1922 წელს რუსთაველის სახელობის თეატრში რიადნოვის სტუდიის მოწაფეთა კონცერტი იყო. კულისებში ხმას ავარჯიშებდნენ. ვანო მოწაფეებში შეიპრა და ღიმილით იკითხა—ვინ იყო, ახლა რომ მღეროდანო.

— მე გახლდით, ბატონო ვანო!—მორცხვად მიუგო ერთმა.

— რა გვარი ბრძანდებით?

— ქუმსიაშვილი...

— თქვენ იმღერებთ სცენაზე, უსათუოდ იმღერებთ!

ვანომ ბინაზე დაიბარა ნიკო ქუმსიაშვილი, ფორტეპიანოს მიუჯდა და აბესალომის არია ამღერა. გამოუცდელ ნიკოს შიშით მკვდრის ფერი დაედო, მაგრამ ვანომ გაათამამა, ნელინელ აპყვა აკომპანემენტს და თავისი შესანიშნავი ხმის მთელი სიმძლავრე გამოააშკარავა.

ვანოს სახე გაუბრწყინდა, თავისიანებს მიუბრუნდა:

— ასეთი ხმითა და ჩემი ოსტატობით მთელს მსოფლიოს დაიპყრობდა ადამიანი!

ვანო ახალისებდა და ათამამებდა ახალგაზრდა მომღერლებს, აჩვენებდა მათ სცენას, აცნობდა ფართო საზოგადოებას.

თბილისის ოპერის თეატრში აკაკი წერეთლის გარდაცვალების წლისთავის აღსანიშნავი საღამო გაიმართა. მონაწილეობას იღებდნენ: ვანო სარაჯიშვილი, სანდრო კავსაძე, ს. ტომაშვილი, ა. ქუმბურაძე და სხვანი. ახალგაზრდა მომღერალი

ა. ჭუმბურიძე ძალზე უღელავდ ა, რადგან ეს მისი პირველი სა-  
პასუხისმგებლო გამოსვლა იყო და ისიც... ვანო სარაჯიშვილ-  
თან.

სალაშოს საკონცერტო განყოფილება ვანომ ა. ჭუმბურიძის  
გამოსვლით გაახსნევინა. საზოგადოებამ კარგად მიიღო. ბოლოს  
გამოვიდა ვანო. მჭუხარე ოვაცია გაიმართა. უცებ კულისებში  
წაავლო ხელი ჭუმბურიძეს და საზოგადოების წინაშე გაიყვანა.  
ვანოს ასეთმა მოქცევამ ტაში გაათაკეცა. ა. ჭუმბურიძეს სად-  
ღაც ზღაპრული მხარეში ეგონა თავი.

ასევე წარუდგინა ვანომ საზოგადოებას კომპოზიტორი თა-  
მარ შავერზაშვილი და მრავალი სხვანი.

დავით ბაღრიძესაც ერგო ვანოს ქება და მოწონება. ბევრი  
რამ სწენოდა ამ ახალგაზრდაზე, თვით მოიკითხა, მოძებნა და  
გაეცნო.

ლადო გერმისაშვილი ხომ ვანოს ხელდასმული და გამოყვა-  
ნილია. ჭაბუკი ლადო აღ. მაისურაძის გუნდში მღეროდა.  
1923 წელს გაიმართა ამ გუნდის კონცერტი, სადაც ლადომ  
გუნდთან ერთად შეასრულა „გუთნური“ და „სამშობლო ხევ-  
სურისა“. ვანო პროფესორ რიადნოვსა და დიმ. არაყიშვილს  
შუა იჯდა. როდესაც გერმისაშვილმა „სამშობლო ხევსურისა“  
დაიწყო, მაშინვე ფეხზე წამოხტა და გადახედა, ვინ მღერისო.  
ჯერ კიდევ სცენიდან არ ჩამოსულიყო გუნდი, რომ გერმი-  
საშვილს მაჯაში ჩააფლო ხელი და განზე გაიყვანა.

— ასეთი ხმის პატრონს რა გინდა გუნდში? ხვალიდან არ  
გნახო აქ, თორემ ყურეპს აგაცლი!

რამდენიმე დღის შემდეგ ვანომ იგი პროფ. კირილოვას კლას-  
ში მოაწყო უსასყიდლოდ. ვანოს გარდაცვალების შემდეგ მი-  
სი სახელობას სტიპენდია ლ. გერმისაშვილს მიენიჭა.

ვანო უდიდეს პატივს სცემდა ხალხურ მომღერლებს. ქ. ხონ-  
ში კონცერტის შემდეგ ვანოს ვახშაში გაუმართეს. მის პატივ-  
საცემად აქ მოიწვიეს განთქმული ხალხური მომღერალი, ებრა-  
ელი „დანიელა“. დანიელს საუცხოო ტემბრის საკმაოდ ძლიე-  
რი ტენორი ჰქონდა. ძმებ კრავეიშვილებთან ერთად იგი შე-  
სანიშნავად ასრულებდა აკაკის ტექსტებზე შემუშავებულ სიმ-  
ღერებს და ათასგვარ ქალაქურ კილოს, რა თქმა უნდა, აქაც

რიგიანად შემოსძახა (მოქეიფე კაცი იყო). აღტაცებულმა ვანომ გულში ჩაიკრა დანიელა, დაჰკოცნა, ფულა შეუგროვა და ძალად ჩაუტენა ჩოხის უბეში.

თავისი არტისტული მოღვაწეობის პირველი დღეებიდანვე უსასყიდლოდ მონაწილეობდა ვანო სხვადასხვა საქველმოქმედო საღამო-კონცერტებში. განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის მას „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ წინაშე, რომლის კონცერტებს მუდამ სიამოვნებით ეგებებოდა. ერთხელ ქუთაისში საგანგებოდ მიიწვიეს ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოდ გამართულ კონცერტში. ბევრი სთხოვეს, მაგრამ არაფრის გულისთვის არ აიღო ფული. ასეთი ფაქტების ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანდა-

ეროვნული თავმოყვარეობა და მაღალი პრინციპულობა ახასიათებდა ვანოს მთელი სიცოცხლის მანძილზე.

მენშევიკების დროს ბათუმის „რკინის თეატრში“ პირველად დაიდგა მთლიანად „აბესალომ და ეთერი“. ლოკები და წინა რიგები ინტერვენტებით იყო სავსე. სცენაზე გამოჩნდა თეთრად მორთული აბესალომ—სარაჯიშვილი და თითქოს მტერს მიექრაო, ლოკებისაკენ მიიწია, სხვაგვარად ანთოთ თვალი, შემდეგ ეთერს მიუბრუნდა და დაიწყო პარტია. ყოველივე ეს ელვის სისწრაფით და იმგვარი მარიფათით მოხდა, რაც მხოლოდ ვანოს შეეძლო. მე დავესწარი ამ სპექტაკლს. ბევრი ვიფიქრე დაუგეშაჟმა ჭაბუკმა, რას ნიშნავდა ყოველივე ეს. ახლა, 25 წლის შემდეგ, ჩემთვის ნათელია ყველაფერი...

ინგლისელებს ძალიან მოეწონათ ვანო. დრედნოუტზე მიიწვიეს და დიდი პატივი სცეს. მათი თხოვნით „აბესალომის“ შემდეგ დაიდგა „რიგოლეტო“, სადაც ვანომ იტალიურად შეასრულა ჰერცოგის პარტია. ამის შემდეგ, მოხიბლულმა ინგლისელებმა კიდევ მრავალჯერ სცეს პატივი ვანოს, მაგრამ მანინკვერ მოიგეს მისი გული. ვანო ინტერვენტების მოსისხლე მტერი იყო.

ერთხელ თბილისში „ქართულ კლუბში“, დიდი საღამო გამართეს. საგანგებოდ შერჩეული პროგრამით „სტუმრებისთვის“ უნდა ესიამოვნებინათ. რა თქმა უნდა, პირველ რიგში ვანო სარაჯიშვილი და სანდრო ინაშვილი მიიწვიეს. ისინი ჩოხა-ახა-

ლოხით მორთულნი გამოცხადდნენ. დიდხანს ალოდინეს; „სტუმრები“ ვახშობდნენ და ვანო კულჩებში უნდა მდგარიყო ვიდრე ნიშანს არ მისცემდნენ—გამოდი და იმღერეო. ლოდი-ნმა ყოველგვარ საზღვარს გადააქარბა.

— წამო, სანდრო, შინ, მათი ლაქია ხომ არა ვარ, აქ იქე-იფონ და დერეფანში ველოდებოდე!

წავიდნენ, მაგრამ... საწყენი ჰკადრეს და რევოლვერითაც დაემუქრნენ. ვანომ სატევარი იშიშვლა. სანდრომაც ხელი გამოიღო. ქალებმა იწივლეს და შუაში ჩადგნენ. საქმე უსისხლოდ დამთავრდა. ვანოს მუდამ ეკალივით ესო გულს ყოველი „არამკითხე მოამბეს“ პარპაში ჩვენს სამშობლოში.

ამასთან, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ადამიანურ გრძნობებში ვანო ნამდვილი ინტერნაციონალისტი იყო. სამართლიანობისა და მეგობრობის დასაცავად მისთვის არ არსებობდა უცხო ტომობა. აი, თუნდაც ერთი ფაქტი ამის ნათელსაყოფად.

ეს მოხდა პეტერბურგში 1909—10 წლის სეზონში ვანოს ყოფნის დროს. სპორტის უსაზღვრო მოყვარული ვანო, თავისუფალ დროს, ვ. ი. ყანჩელთან და სხვა ქართველ მეგობრებთან ერთად ესწრებოდა ფრანგულ ქიდაობას, რომელიც „მანეჟში“ იმართებოდა. ჩემპიონატში შედიოდნენ განთქმული მოქიდავენი ვახტურავი, ლურიხი და სხვანი. მათ შორის იყო შესანიშნავი ხასიათის ადამიანი, ზანგი ვილლი ჩეზე. იგი ძლიერ უყვარდა ვანოს. ქიდაობის გარდა მანეჟში სხვადასხვა გასართობებიც იმართებოდა, მაგალ., „სკეტინგ-რინგი“, რომელიც ახლახან იდგამდა რუსეთში ფეხს. იმ დღეს მაყურებელთა შორის იყო ვილლი ჩეზეც. იგი ვანოსთან იდგა. სიცოცხლით სავსე ზანგი გულუბრყვილო ღიმილით ადევნებდა თვალს ვირტუოზ ოსტატთა ფიგურულ სირბილს გორგოლაქებით. ცოტა ხნის შემდეგ ვილლი ჩეზეს ახალგაზრდათა ერთი ჯგუფი მიუახლოვდა. ღვიწრო ეტყობოდათ. მათში ერთი გოლიათი ერია. მან აბუჩად აიგდო ზანგი, საჯაროდ დასცინოდა, „შავ მანქანას“ უწოდებდა და უროსავით შეკრული მუშტი მის სახესთან მიჰქონდა.

ვანო სარაჯიშვილი აღაშფოთა ამ უმსგავსო საქციელმა. იგი მიიწვიდა ვილლი ჩეზეს დასახმარებლად და მზად იყო შებმო-

და მის მოწინააღმდეგეს, მიუხედავად იმისა, რომ იგი მართლაც გოლიათს ჰგავდა. მეგობრები ამწვიდებდნენ ვანოს. უცნობმა ზანგს შემოჰკრა. ვილლი ჩეზემ მაინც არ გასცა ხმა, რი თაც მეტი სიმპატია დაამსახურა მთელს ხალხში. მეორედ შემოკვრა მოუნდომეს. მაშინ ვილლი ჩეზემ კრივის კლასიკური დარტყმით ძირს გაშხლართა ეს ვაჟკაცი. პოლიციამ საქმის გაურკვეველად მოისურვა ზანგის დაპატიმრება. ვანო საქმეში ჩაერია და კატეგორიულად მოითხოვა წაეყვანათ საპოლიციო უბანში ნამდვილი დამნაშავე და მისი ამაღა. ვანო თან გაჰყვა და სათანადო ჩვენება მისცა. ვილლი გაათავისუფლეს, ისინი კი დაპატიმრეს. გამოიკვია, რომ ეს „გოლიათი“ და მისი ამხანაგები იყვნენ ბანკის „იუნკერსი და კომპ.“ მოსამსახურენი. ისინი გერმანელთა „არიულ რასას“ ეკუთვნოდნენ და, რა თქმა უნდა, ვერ ითმენდნენ ზანგს თავიანთ გვერდით.

შეიძლებოდა კიდევ ბევრი ფაქტის მოყვანა, მაგრამ მგონი ესეც საკმაოა ვანოს ადამიანური იერის დასახასიათებლად.

სხვათა შორის, ვანოს ხელშეწყობით დაწინაურდა ამჟამად მოსკოვის დიდი თეატრის დირიჟორი მელიქ-ფაშაევი. იგი პირველად ვანომ წაიყვანა აკომპანიატორად თავის საკონცერტო მოგზაურობაში. დაბრუნების შემდეგ დაახასიათა, როგორც შესანიშნავი მუსიკოსი, და კონცერტმეისტერად მიაღებინა თბილისის ოპერაში. ცოტა ხნის შემდეგ „ქეთო და კოტე“ მიაცემინა სადირიჟოროდ. ნიკიერმა კაბუკმა ამის შემდეგ საქვეყნოდ გაითქვა სახელი.

## ვანოს პომეტური ცხოვრების ნამსხვრეები

ილია ქავჭავაძის თქმისა არ იყოს, ვანო „ნადირობის ტრფიალი“ იყო. საქართველოს მონადირეთა კავშირი მას თავის საპატიო წევრად სთვლიდა, „ჯომარდ მონადირეს“ ეძახოდა. ნადირობის დროს ერთიანად მიმზიდველი ხდებოდა ვანო, მეგობრების სულისჩამდგმელი იყო. ზედმეტი სიხალისე შეჰქონდა ამ ისედაც ხალისიან და წარმტაც სპორტში.

აი, ეს ყველასთვის ძვირფასი ამხანაგი და ჯომარდი მონადირე ყარაიას და ციფა-წყაროს ტყეებში, კოჯორში, ნატახტარში,

მუხრანში, სართიქალაში აღამებდა და ათენებდა. უნაზესი ხმის პატრონი ვანო არად აგდებდა გაციებას და ქაობში წოლას, ოღონდ ბუნების წიაღში გაჭრილიყო, თავისუფლად ამოესუნთქა. ნადირობას ვანო ბავშვური სიხარულით განიცდიდა; წინა ღამეს ლოგინში ველარ ეტეოდა, ვერ იძინებდა. რა თქმა უნდა, მის ნაცვლად რომ ვინმე სხვა ყოფილიყო, თავის ხავერდოვან ყელს სუფთა ჰაერზე სალაპარაკოდ არ გაიმეტებდა. მუდამ საუცხოო ჯიშის, პრემირებული ძაღლები ჰყავდა. ძალიანაც უყვარდა. ერთ მათგანს თავისი საამაყო პარტიის გმირის სახელი—„ნადირ“—დაარქვა. ძაღლი ავად გაუხდა. ვანო ღამეებს უთევდა, ავადმყოფ ბავშვსავით ულოლიავებდა, თავზე ხელს არ ამორებდა. როგორც კი წუთით დასტოვებდა, გონიერი პირუტყვი სწუხდა და შფოთავდა. მოკვდა „ნადირ“; ვანომ იგი აღამიანივით იგლოვა.

ვანოს დაუცხრომელი ტემპერამენტი ნადირობაშიც მკლავნდებოდა. მუდამ თოფშემართული დადიოდა და ელვისებური დამიზნებით ესროდა ხოლმე, ნანადირევიც ბლომად მოჰქონდა. მაგრამ ეს ტრფიალი ზოგჯერ ძვირად უჯდებოდა ვანოს,—ცივდებოდა, ავადმყოფობდა. ოპერის მსახიობის ნაქუქში მაინც ვერ ჩაიკეტა, ვერ აიღო ხელი ნადირობაზე. მასთან ერთად ხშირად ნადირობდნენ სანდრო ინაშვილი, ლეონ ისეცკი, საბინინი, ძველი რკინიგზელი ვიქტორ ბელიკოვი (მონადირეთა კავშირის გამგეობის წევრი) და სხვები.

გიჟმაჟ მონადირეს—ვანო სარაჯიშვილს მოულოდნელად რაღაც სევდა შეიპყრობდა ხოლმე, თოფს გააგდებდა, საღმე მიყრუებულ ადგილას ჩაჯდებოდა და უსაზღვრო ფიქრს მიეცემოდა: განთიადისას სტკებოდა ტყის მყუდროებით, მზის ამოსვლით, ფრინველთა ჟრიაშულით. რამდენჯერ უთქვამს მეგობრებისათვის:

— დასტკბით ჯარემოს იღუმალი მშვენიერებით. მერეც მოჰკლავთ. ძვირფასი წამი კი გაფრინდება, მას ფრინველზე სწრაფი ფრთა აქვს...

მონადირეებს აოცებდათ ეს საკვირველი გარდაქმნა ვანოსი. ლეონ ისეცკი „სოცხალ ბაირონს“ ეძახოდა, თოფს დასდებდა

და მასთან ერთად უნებურად მიეცემოდა ფიქრს. მაგრამ ეს „ბაირონიზმი“ არ იყო ვანოს დამახასიათებელი განწყობილება. ყველასთან საერთო ენას პოულობდა, ყველას ეგუებოდა და ხიბლავდა თავისი უშუალოებით, სულიერი სიმდიდრითა და მეგობრული დამოკიდებულებით.

ერთხელ ვანოს და ლეონ ისეცკის ცივი-წყაროს ტყეში 6 ცხენოსანი შემოეყარა. მოსალოდნელი იყო გაძარცვა, შესაძლოა სისხლიც დაღვრილიყო, რასაც ასე გაურბოდა ხოლმე „მეოცნებე ბაირონი“. ვანომ მათ თავისი ვინაობა გააცნო და თოფს უფრო მაგრად ჩასქიდა ხელი—საბედისწერო შებმისათვის მოემზადა. ისეცკიმ გავლენიანი ადამიანი—სამედი შიხლინსკი ახსენა, მისი სტუმრები ვართო. სამედი მეტყევე იყო, რამდენიმე კილომეტრის მოშორებით ცხოვრობდა. „ქართველი მომღერლისა“ და სამედის ხსენებამ საქმე სწრაფად შეატრიალა. ცხენები დაუთმეს, ისეცკი და ვანო უნებურად უნდა სწვეოდნენ სამედს. ესენიც გაჰყვნენ. სამედი შიხლინსკი სიხარულით ცას ეწია (იგი მშვენივრად იცნობდა ვანოსაც და ისეცკისაც). ცხვარი დაჰკლა, ფლავი მოხარშა, დანაყრდნენ.

— გვიმღეროს ჩვენმა აშულმა,—მორიდებით შესთხოვეს ვანოს.

ვანომ მეგობარს გადაჰხედა; ისეცკი შეიმშუშნა, მაგრამ ვანო წამოხტა და სწრაფად ნაბადი მოასხა.

— შენ მეფისტოფელი ხარ, ნაბდიანი მეფისტოფელი! მე—ფაუსტი. განზე მიდევ, ხელი დაიქვდე და „გამომეცხადე“. მალე, მალე!

ტყის მყუდროება ვანოს სიმღერამ დაარღვია. გაათავა „ფაუსტმა“ თავისი არია, და აგრიალდა ისეცკის ბანიც:

— მე აქ ვარ მუდამ შენს სამსახურად...

შემდეგ ვანომ აზერბაიჯანული კილოც შემოსძახა და მთლად მოაჯადოვა თავისი აუდიტორია. დიდის ამბით გამოაცილეს ძვირფასი სტუმრები.

როდის ეწვევიან კიდევ ყარაიას ტყეს „ფაუსტი“ და ნაბდიანი „მეფისტოფელი“?!

\* \* \*

რკინიგზის სადგურში დიდძალი ხალხი ელოდებოდა მატარებელს. მეტწილად აზერბაიჯანელი გლეხები იყვნენ. მოწყენილობა ჩამოვარდა. ვანო კუთხეში მიდგა, მათებური ლილინი გააბა და თავისებურად ჩაჰფერულა ჰანგი. გაოცებული გლეხები გარს შემოერთყნენ. ერთი მოხუცი ცრემლმორეული არწმუნებდა თავის მეზობლებს—ასეთი სიმღერა თვით ალაჰის მოვლენილ ძე ხორციელს თუ შეუძლიაო, და ბევრი რამ საოცარი ითქვა იქ ვანოს შესახებ. ბოლოს შიშით განერიდნენ, შორი-ახლო უთვალთვალდნენ. ბელიკოვმა განგებ აძაგა ვანოს სიმღერა. კინაღამ მოჰკლეს.

ვანომ შეურაცხყოფილი მსმენელები დააშოშმინა და უფრო განავრცო ლილინი.

\* \* \*

ლეონ ისეცკიმ ვერ მასწავლა ბელიკოვის მისამართი. მითხრა, დიდუბეში უნდა ცხოვრობდესო. ეზო-ეზო საკმაო ხეტილის შემდეგ მე ვიპოვე ვიქტორ არქიპის-ძე ბელიკოვის ბინა.

აი მისი პაწია მოთხრობა:

— ვანო სარაჯიშვილი გამაცნო ისეცკიმ ნადირობის დროს. ხშირად გვინადირნია ერთად. მე გზის მაჩვენებელი ვიყავი. მეტად ფიცხი მონადირე იყო ვანო, მუდამ კუნთდაძაბული დადიოდა, თითქოს ფეხზე შეყენებული ჩახმახიაო. იმპერიალისტურ ომამდე (წელი არ მახსოვს) სადგურ ცივ-წყაროში გადმოვხდით სანადიროდ მე, ვანო, ისეცკი და საბინინი (ცნობილი ბანი. შ. კ.). მეორე დღეს ახალი წელი იყო, და ვანო ოპერაში უნდა გამოსულიყო<sup>1</sup>. სადგურის მოსაცდელ დარბაზში ვანომ ძალად ამღერა ისეცკი. რა თქმა უნდა, თვითონაც თა-

---

<sup>1</sup> ეს იქნებოდა 1912 წლის 31 დეკემბერს, რადგან 1913 წლის 1 იანვარს თბილისის ოპერაში დაიდგა „ტრაგიატა“ ვანოს საბენეფისოდ. ალფრედის პარტიას ვანო ასრულებდა, ვიოლეტასას—საბანევეა. აბა, რომელი მსახიობი გაბედავდა ტყე-ღრეში წაწიალს და ნადირობას ასეთი საპასუხისმგებლო გამოსვლის წინ? შ. კ.



ვისებურად შემოსძახა. აზერბაიჯანელი გლეხები თვალცრემლიანნი და პირდაღებულნი უსმენდნენ ამ საოცარ დიდებულებას.

ამის შემდეგ სადგურის უფროსმა მიგვიწვია. ისეცკიმ ფორტეპიანო დაუკრა, ვანო მღეროდა. საზოგადოდ, ვანო დაუცხრომელი ადამიანი იყო. სადგურის უფროსის ბინიდან მეტყვევებარავკოვისას გადავედით. მან თავის ბინაში გადაატანინა მუშებს ფორტეპიანო. იქ მეორეჯერ შევხვდით ახალ წელს. მატარებელი წავიდა. შეგვპირდნენ, სატვირთო მატარებლით გაგამგზავრებთო. მე სადგურში წაველ ამბის გასაგებად. მოისმოდა დიდებული სიმღერა: „მზე ჩადის და კვლავ ამოდის, ჩემს საკანში მაინც ბნელა“. ხშირად მისმენია ხოლმე ტყეში ვანოსაგან ამგვარი კონცერტები, მაგრამ ალტაცებისაგან აღგილხვევ გავიყინე. ვიმგზავრეთ პირუტყვის ვაგონით. ვანო კისერზე დავისვი და ვაგონში შევაგდე. იგი განუწყვეტლივ ხარხარებდა: — აი სალონი, დიდებული სალონი!

თბილისამდე არ შეწყვეტილა მისი სიმღერა. სპეციალურად მოწყობილი ღრეობა და სმა ვანოს არ უყვარდა, მაგრამ ამხანაგების წრეში უსაზღვროდ მხიარული იყო.

ხშირად მიწვევდა ვანო თავის სპექტაკლებზე ოპერაში. ალტაცებული ვიყავ მისი სიცოცხლით სავსე, რაღაც განსაკუთრებული თამაშით, ხმაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია.

ვანო იყო მომხიბვლელი, სულსა და გულში ჩამძვრომი ამხანაგი, გიჟმაჟი, ხალისიანი. რაც მთავარია—ზედმიწვენით სადა და თავმდაბალი. ყოველგვარ პირობებს ეგუებოდა—არც მოიწყენდა, არც მოგაწყენდა. მე დიდ პატივსა მცემდა, ნამდვილი მეგობრული გრძნობით ვუყვარდი.

\* \* \*

ვანოს იუბილეს დროს დაიწერა:

„... როცა ვანო იძულებული იქნება სცენას ჩამოშორდეს, მისდამი ხსოვნა და სიყვარული ლეგენდასავით დარჩება და შედარების სიმბოლოდ გადაიქცევა სხვა მომღერალთა დასაფასებად. და ექვი გვებადება, მომავალში ბევრმა გაუძლოს ამ

შედარებას. ალბათ ბევრჯერ გავიგონებთ: „კარგია, მაგრამ სად ვანო, სად ეგ?“

ვანო სარაჯიშვილი მომღერალთა შორის გამონაკლისს შეადგენდა არამცთუ ჩვენში, არამედ იქნებ მსოფლიოშიც. იგი მთლიანად „ლირიკული გადახვევა“ იყო, სცენაზეც და ცხოვრებაშიც. მის პოეტურ წვას მომღერლის თბილი ყელსახვევი ვერა ჰფარავდა<sup>1</sup>.

სიცოცხლის სიყვარული და ხელოვნებით აღფრთოვანება თანაბრად აღაგზნებდა მას აბესალომის პარტიაშიც, ყარაიას ტყის ჭაობშიც, და ქართველი გლეხის სუფრასთანაც.

ამგვარ ადამიანს თვით ბუნება ჰქმნის და აკი ვანო პოეტის გაშიშვლებული გულით მიდიოდა ამ ბუნებასთან.

\* \* \*

ერთხელ ვანო აგარაკზე ისვენებდა ნათესავებთან. მშვენიერი სალამო იყო. სასიამოდ სთვლემდა ბუნება. ეზოსთან წყარო ჩუხ-ჩუხებდა. ვანომ მას ფიჩხი დაუწყა, რომ მომეტებული სინაზით დაეტკბო სმენა; კაშვეაროვის „სიჩუმე“ დააკრეფინა, გარეთ ჰამაკში ჩაწვა და კრინით იმღერა ეს რომანსი. ოთახში სთხოვეს. იუარა.

— ზოგჯერ მეც მინდა ხოლმე ვუსმინო ჩემს თავს, ჩემს სულსა და გულს. მამღერეთ ჩემთვის...

ეს „თავისთვის“ სიმღერა ხშირად ხდებოდა.

\* \* \*

ერთმა მეგობარმა ვანოს ნალიმი გაუმართა. განთიადზე ვანო თავისი მეგობრებით ეტლით ბრუნდებოდა შინ. ელბაქიდის აღმართზე, ხევის ციცაბოდან მტკვარი და ქალაქის მარცხენა ნაწილი რომ სჩანს, ეტლი გააჩერა და აწითლებულ აისს შეაფლო თვალი.

<sup>1</sup> ერთხელ, თბილისში საგასტროლოდ ჩამოვიდა მთელს საბჭოთა კავშირში განთქმული მომღერალი №. საქმე მქონდა მასთან, დილის 10 საათზე ვეწვიე. სიამოვნებით მიმიღო და ჩურჩულით მითხრა: ბოდის ვიხდი, მმ დღეს მუნჯი ვარ, რადგან სალამოს კონცერტი მაქვსო. წამოველი, ვანო სარაჯიშვილი გამახსენდა... შ. კ.

მომღერალ-პოეტის სულსაც ალი მოედო; მოულოდნელად შემოსძახა:

მთაო, გადმიშვი, გადმიშვი,  
რა ნისლი მოგიხვევია...

მთელი ხალხი გამოეფინა, თვალს იფშენეტდნენ, ტაშის გრი-  
ალი მოისმა სახლებიდან.

მეგობრებმა მაინც შეჰკადრეს:

— ვანო, ხმას გაუფრთხილდი...

— შე ბუნებრივი ხმა მაქვს, ეს ვერას მანებებს. არ არსებობს  
ამაზე უფრო ბრწყინვალე სპექტაკლი და ბედნიერება!—უპა-  
სუხა მან.

მაგრამ განთიადს მომეტებული მღელვარებით ხვდებოდა  
ვანო სოფლად, ბუნების წიაღში.

\* \* \*

„...კახეთში ერთი კონცერტის შემდეგ ვახშამი გაიმართა.  
ნადიმი გაგრძელდა.

— ნუ დავიძინებთ, ვანოს ვაჩვენოთ, როგორია განთიადი —  
გათინება ალაზნის ველზეო, — წარმოსთქვა ერთმა.

ითქვა — აღსრულდა.

მზიარულება დაუღეველი იყო: ქეიფი კახური, სიმღერა —  
არაჩეულებრივი. განთიადისას ფრინველთ დაიწყეს შეხმატკბი-  
ლებული გალობა. ბაღში იაღონი აკენესდა, თითქოს დიდს  
ნომღერალს ეჯიბრებო, ეგოდენ ძლიერი იყო გალობა მისი.

ვანომ ყური ცქეიტა, მერე შეჰმღერა და... ირგვლივ ყოვე-  
ლავე მიყურდა, ყოველნი სულდგმულნი სმენად გადაიქცნენ.  
თითქოს ფრინველთაც შესწყვიტეს გალობა, იაღონმაც ხმა  
გაკმინდა... ღრმა ძილისაგან გამოღვიძებული სოფელი სულ-  
განაბული უსმენდა ჯადო სიმღერას.

თითქოს ვანომ დასძლია ეშხით დამთვრალი გაჯიბრებული  
იაღონი“<sup>1</sup>.

<sup>1</sup> ი. იმედაშვილი, ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“ № 16, 1924 წ.

\* \* \*

ყოფილა შემთხვევა, რომ ვანო „გაჯიბრებულ“ ბუნებასაც კი შეებნია.

თბილისის ერთ ბაღში ვანო მეგობრულ სუფრასთან იჯდა. სწრაფად დაიკავეს მის ირგვლივ განლაგებული მაგიდები. თითქოს მშვენიერი ამინდი იყო, ცოტა ხნის შემდეგ კი ფოთლებზე ზაფხულის წვიმის წვეთები ახმაურდა. ხალხი შეიშშუშნა, ბევრმა ხის ძირში მისწია სუფრა, მაგრამ ტოტებმა ყველა ვერ შეიფარა, წვიმამ დაუშვა. აფორიაქდნენ... ამ დროს ვანოს კრინი გაისმა, და ყველა გაქკავდა, გაიწუწუნენ.

\* \* \*

1922 წელს თბილისის ოპერის თეატრში „აბესალომ და ეთერი“ მიდიოდა. დარბაზი გაქედილი იყო. უცხო სტუმრებიც ესწრებოდნენ. ხალისიანად დაიწყო ვანომ აბესალომის პარტია. ეს სპექტაკლის სხვა მონაწილეებსაც გადაედო, — ისინიც ხალისით თამაშობენ. მაგრამ... ვანო რაღაც არაჩვეულებრივ მიზანსცენებს აკეთებს: მურმანისაკენ მიისწრაფის. გულჩათხრობილი ვეზირი კი გაურბის უფლისწულს. ცდილობს მისგან განცალკევებით გამოსთქვას თავისი ბოღმა. ახლოვდება ეთერისადმი აბესალომის ფიცის სცენა. დარცხვენილ ეთერსაც განრიდებული პოზიცია უჭირავს. ვანო კი, თითქოს ჭადრაკს თამაშობსო, სცდილობს არც ეთერს დასცილდეს და მურმანთანაც ახლოს მოხედეს. მდგომარეობა თანდათან მძაფრდება. ყოველ წამს უფრო ნათლად ემჩნევა ვანოს ეს მისწრაფება. აი, დრო იხელთა და მურმანთან გაჩნდა. თითქოს ალლო აულო მის მტრულ განზრახვასო; წარბი შეჰკრა და თვალი მიანათა:

— დავიღუპე! საპირფარეოში დამრჩა ეთერის დანა... — ჩასჩურჩულა მურმანს — ელიოზიშვილს და კვლავ ელვის სისწრაფით განერიდა. ნ. ელიოზიშვილმა უცებ გაართვა თავი შექმნილ ვითარებას. თითქოს ნადირს გამოედევნაო, სწრაფად გაჰკრა იგი სცენიდან, როცა სამღერი არა ჰქონდა; ისევ შემოიქრა, ვანოს ჩაუქროლა და განაგრძო თავისი პარტია.

აბესალომმა ერთგულების ნიშნად თავის სატრფოს დანა გა-

დასცა. პარტერიდან კი მხოლოდ შესანიშნავი თამაში სჩანდა.

ვანომ თავის მეგობარს სცეხიური უნარი უქო.

იმ ღამეს, ნ. ელიოზიშვილთან ერთად, ვანომ ზაქარია ფალიაშვილიც მიიწვია მეგობრულ სუფრაზე.

\* \* \*

ზამთარია. შუალამე გადასულა. ნელი პირით თოვს. მეგობრებთან ნასიამოვნები ვალერიან გუნიას შინ ბრუნდება. ახალგაზრდები მოჰყვებიან. ზემელთან, რესტორან „გემოდან“ ვანო ამოვიდა. ევაზშმა. შეგვიანებიყო.

გუნიამ გზა გადაუქრა, მკერდზე მიიკრა და ჩაჰკოცნა.

— რა გინდა ახლა აქ? რად მიღუპავ სამშობლოს... ვანო!

— სამშობლოს ვენაცვალე, თქვენ ვენაცვალეთ... რას წარმოვადგენ?

ვანო შინ გაისტუმრეს. გუნიამ გზა განაგრძო და ვილაც გაბლენძილ პოლიციელს შეუტია, თითქოს ჯაგრი იმაზე იყარაო. ბევრი რამ მომაწოდა კიდევ თავისი დღიურიდან ამ სცენის მონაწილე ვალ. ავალიანმა, მაგრამ ეს ვალერიან გუნიას ბობოქარ გზას შეეხება.

\* \* \*

სუფრასთან ვანო სარაჯიშვილი მიჰყავდა ქართველი კაცის ლალ ბუნებას, ადამიანის სიყვარულს და არა ღვინოს. ქალამნიან გლესსაც რომ მიეწვია, პურ-მარილს არ დაუწუნებდა, დაილოცებოდა, გადაჰკრავდა; სიმღერაშიც აიყოლებდა. უშნო ღრეობა, როცა პირიქით — ღვინო სვამს ადამიანს, მას არ უყვარდა. რაინდულ ჩვევათა ტრადიციის კვალობაზე კი, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო, კაცს არ გაექცეოდა. ზოგჯერ განმარტოებითაც უყვარდა ჰიქა ღვინო, ისე როგორც „სიმღერა თავისთვის“.

ვანოს გარდაცვალების პირველ წლებში ერთი სარდაფი გვექონდა ამოჩემებული „ზემელთან“. შესანიშნავ ღვინოს ინახავდნენ. იმ დღესაც სახელდახელოდ ჩავედით. ერთი მეტად

ფაქიზი ამხანაგი გვერია; კობტად ეცვა, ბეჭს არ იტარებდა. სარდაფის პატრონი მოიხმო, უსუფთაობა უსაყვედურა — აქ პური როგორ იქმევაო. ოდნავ ნაღვინევი მოხუცს სახე უფრო აუჭარბალდა. მოგვიახლოვდა, რაღაც გაბზარული ხმით დაიწყო.

— ერთი უსწავლელი კაცი ვარ. პატარა რამე უნდა გკდროთ. ვანო სარაჯიშვილი ჩემი მუტშაოი იყო. გვიან, თვამტარიდან გამოსვლის შემდეგ, მომიკაკუნებდა. ერთი ვანო ყოველთვის ახლდა, ზოგჯერ მარტოც ჩამოდიოდა. თონას ჰქონდა კარგ საუბრეს ჩამოიტანდა. უჩემოდ ქიქას არ აწევდა. ცოტა ხნის შემდეგ კრინით მოქარგავდა აქაურობას. ეს ნერვული ქერი მაშინ ოქროს ვარაყით მოხატული მეჩვენებოდა. სწორედ აი, ეს ადგილი უყვარდა მუდამ. ვაჰ, ამ კედლებს რომ ენა მისცა!.. ღმერთო, სული გაუნათლე, თუ არის რამე ქვეყანაზე!..

მოხუცმა თვალში ხელი ამოისვა, ქიქას თავი წაუქცია და ღვინო დალია. შემდეგ უფრო ბეჯითად და ხმამაღლა სთქვა.

— კარგი ჯეელები ხართ. რა უნდა, შვილო, აქ თეთრ სუფრას? აქ სარდაფია. თუ ამის ეშხი არ იცით, რად ჩამოდიხართ?

სირცხვილით დავიწვით. ჩვენც დავლიეთ შესანდობარი.

\* \* \*

1917 წლის ივლისი იღვა. ცხელოდა. „სამხედრო კავშირ-მა“ ქართულ კლუბში საქველმოქმედო საღამო გამართა. მოზღვავებული ხალხი ძლივს ეტეოდა საზაფხულო თეატრის დარბაზში. უსასყიდლო მონაწილეთა შორის ვანოც ერია. მოუთმენლად მოელოდნენ მის გამოსვლას. და, აი, იგრილა მქუხარე ტაშმა. კონფერანსიემ ვანო სარაჯიშვილი გამოაცხადა. ბევრი ამღერეს. ღამის პირველ საათამდე გასტანა კონცერტმა. ბაღში ყველგან სუფრა იყო გაშლილი. სხვადასხვა ორკესტრები ათასნაირ ჭანგებს უკრავდნენ. ერთ-ერთი სუფრა მწერალმა პეტრე მირიანიშვილმაც გაშალა. ბაღში ვანო შემოვიდა. ყოველ მხრიდან სთხოვდნენ, მაგრამ თავის ყოფილ მასწავლებელთან — პეტრესთან ჯდომა არჩია. მთელი ყურად-

ღება ამ სუფრისაკენ იყო მიპყრობილი. ირიყრაყა. შალვა მი-  
რიანიშვილმა მანქანით გაისტუმრა შინ ოჯახის წევრები. ვა-  
ნომ სურვილი გამოსთქვა ლხინი ვერის ბაღებში გაგრძელებუ-  
ლიყო. ახალგაზრდები შეიკრიბნენ. ცოტა ხნის შემდეგ რესტო-  
რან „ფანტაზიას“ ეწვივნენ.

საამო და წარმტაცი იყო ეს ბალი-რესტორანი, მეტადრე  
გათენების ჟამს. ვანოს პოეტური ბუნება აქ ერთითად მოი-  
ხიბლა. სახელდახელოდ გაშალეს სუფრა კაკლის ხის ქვეშ. იქ-  
ვე გაჩნდა მეზურნე ზუბიაშვილი თავისი დასტით. ლხინი გა-  
ჩაღდა. მზის პირველი სხივი გაერთხო მთებს. პეშვით მიმობ-  
ნეულ ბრილიანტივით აელვარდა ბალახში ცვარი. ვანომ მომც-  
რო ტანის ზუბიაშვილს ხელი დასტაცა.

— აბა, ბიჭებო, მეზურნეები ხეზე შევსვათ.

ყოყინით მისცვივდნენ და ერთი წუთის შემდეგ დაბურვილ  
კაკლის ტოტებში საარი აელერდა. ვანო სადღაც წავიდა,  
ყურადღება არ მიაქციეს..

ცოტა ხნის შემდეგ მისი სიმღერა შემოესმათ:

— ჰარალო, ჰარიარალო...

თითქოს ზეცის კამარიდან მოფრინავდნენ ჯადო ბგერები.  
ერუანტელის მომგვრელი ხმა ოქროს სოლივით მოაპობდა  
მტრედისფერ სივრცეს.

— ჯერ დედას გადავხვევი,  
მერე შვილსა და ცოლსაო...

მზის სხივებში გახვეული ვანო კაკლის კენწეროს მოვლებო-  
და. ცალი ხელი ტოტისთვის მოეხვია, მეორე ცის კამარაში  
გაეწვდინა და სამშობლოს „ურმულს“ უგალობდა. ბიჭებს თავ-  
ბრუ დაესხათ.

თბილისში მომავალმა გლახებმა ჩამოიარეს. ეწვივნენ, სუფ-  
რას თავიანთი პურმარილი უთავაზეს და დაილოცეს. ისინი  
მოჯადოებულებით შესცქეროდნენ ვანოს და სიტყვას ვერ  
პოულობდნენ, რომ რაიმე ეთქვათ.

\* \* \*

მაგრამ ბუნების წიაღში, მალღობზე სიმღერა ვანოს პოეტურ ბუნებას სიკაბუკიდანვე თანა სდევდა. იგი თითქოს მართლაც იადონივით ეძებდა განმარტობას, რომ არავის შეეზღუდა მისი ოცნება და მთელს მიდამოს მოჰყენოდა ტკბილი გალობა. „ვარდის ბუჩქსაც“ არ გაუარბოდა ეს იადონი...

მხცოვანმა მწერალმა ნინო ნაკაშიძემ ერთი მოგონება გაგვიზიარა:

— 1903 წელს ჩემი და სწავლობდა ქალთა ინსტიტუტში, რომელიც ერმოლოვის (ახლა შიო ჩიტაძის) ქუჩაზე მდებარეობდა. დის სანახავიდ დავდიოდი. ბავშვები მეუბნებოდნენ, აქ მთის კალთებზე გადმოდგება ხოლმე შესანიშნავი ხმით დაჯილდოებული ჭაბუკი ვანო სარაჯიშვილი და მღერისო. ერთ შემთხვევას მე თვითონ შევესწარი. ვანო სარაჯიშვილს მართლაც გასაოცარი, რაღაც მომაჯადოებელი ხმა ჰქონდა. ის გორაკზე გადმომდგარი მღეროდა სხვადასხვა სიმღერებს. მიუხედავად იმისა, რომ მას შემდეგ თითქმის ნახევარი საუკუნე გავიდა, ახლაც უდიდეს სიამოვნებას და ხელოვნების ნამდვილ ჟრუანტელს მგვრის ეს ღვთაებრივი სიმღერა...

\* \* \*

აი, კიდევ ერთი კაკლის ხე.

ერთ ზაფხულს ქარელში კონცერტი გაიმართა. ამ კონცერტის სულისჩამდგმელი ვანო იყო. სუფრა გაშალეს. გარიჟრაჟზე ვანომ კაკლის ხე შეაჩინა. თვალის დახამხამებაში კეწე-როში მოექცა და მშობლიურ მდელოს „ურმული“ გადასძახა. ქვევით ერთი ყიეინა და ჟრიაშული ასტყდა. ზიდრე კიდევ რამდენიმეჯერ არ ამღერეს, ძირს არ ჩამოუშვეს.

\* \* \*

ვანოს ბორჯომში დასვენება უყვარდა. ერთხელ შინ მარტო დარჩა. მშვენიერი საღამო იყო. ნაძვის დაბურვილი ტოტებიდან მთვარის სხივები იღვრებოდა მის აივანზე. ნელი ღიღინით



შეესიტყვა მშვენიერ ბუნებას. ფიქრმა გაიტაცა. თვითონაც ეყო შეამჩნია, როგორ გაძლიერდა ეს ლილინი და მიდამოს მისი წარმტაცი ხმა მოედო. გამოერკვა მხოლოდ მაშინ, სახლის წინ ტაშის ქუხილი რომ გაისმა და აივანზე სეტყვასავით წამოვიდა ყვავილები.

\* \* \*

1920 წლის ზაფხულში, ბორჯომში მოსკოვის სამხატვრო თეატრის მახიობები ისვენებდნენ: აქ იყო ნ. ნ. ხოდოტოვი (კომისარევესკაიას ყოფილი მეუღლე), თბილისელი ანა ივანეს-ასული ორლოვა (ბოშური სიმღერის ცნობილი შემსრულებელი), პოეტი ვასილ კამენსკი, იყვნენ ხელოვნების სხვა მუშაკებიც. საღამოობით ერთად იკრიბებოდნენ და სტკებოდნენ მშვენიერი ბუნებით. ბორჯომს ეწვია ვანოც. ეს წრე ერთიორად გაიზარდა. სულში იძვრენდნენ, უმისოდ ფეხს არ ადგამდნენ. ერთ საღამოს „შვიდი ხიდისაკენ“ გაისეირნეს. კაშკაშა მთვარე ანათებდა. ვანომ ერთი ლოდი აითვალთვალა. ზედ ახტა, ლენსკის პოზა მიიღო, დუელის წინ რომ ზღერის ხოლმე, და დაიწყო ცნობილი არია. შემდეგ ამას მთელი კონცერტი მოჰყვა. ზედიზედ იმღერა „სადაც არ უნდა ვიყო მე“, „ო, მარი“, „სიჩუმე“, „მშვენიერთა ხელმწიფავ“, „გენაცვალე“ და მრავალი სხვა რომანსი. ორლოვაც ამღერა. ერთხმად სთხოვეს: გვეყოფა ამდენი სიამოვნება, ასეთ ღვთაებრივ ხმას გაუფრთხილდით.

— არა, ახლა არასგზით არ შემიძლია არ ვიმღერო. ხვალ რა იქნება — არ ვიცი, არ მაინტერესებს...

ასე ნიაღვარივით მოსკედბოდა ხოლმე ვანოს მკერდს პოეზია, მაშინ როდესაც ხშირად თან გადაჰყვებოდნენ და კრინტს არა სძრავდა. თხოვნა საერთოდ სძულდა ვანოს. მხოლოდ საკუთარ შთაგონებას ემორჩილებოდა.

\* \* \*

ქუთაისის წმ. ნინოს სასწავლებლის პანსიონის ზედამხედველ მანდილოსანს უჩვეულო ერიამული შემოესმა. თვალში



მანო სარაჯიშვილი მებობარტა წარუი

(ქვემოთ: ზის—ვანო სარაჯიშვილი, დგას—პოეტი ვასილ  
კამენსკი, მის ზემოთ—ზის სანდრო ინაშვილი. გადაღე-  
ბულია ბორჯომში 1920 წელს).

ელვამ ინათა, სწრაფად ლორნეტი მოიმარჯვა და დამნაშავეთა დასატუქსად გაეშურა. ქალიშვილები ქორის მომლოდინე წიწილებივით დაფრთხნენ. მაგრამ კარი გაიღო, და მკაცრი გუშაგი... ვანოს სიმღერამ გააშეშა. ბაგეს ღიმილი შეეპარა, დამკვნარ ლოყას — ლაჟღაჟა ფერი. ლორნეტი მშვიდად დაეშვა ძირს.

— ბრავისსიმო! ბატონო ვანო, გთხოვთ!.. ბრავისსიმო! თქვე კულრაქებო, რა სტუმარი მოგიწვევიათ!

\* \* \*

ერთხელ, იტალიაში ყოფნის დროს ვანო ვენეციას ეწვია როგორც ტურისტი. თან ახლდა თავისი მეგობარი ნიკო ყანჩელი. სეირნობდნენ, უცხო ქალაქს ათვალეობდნენ. უცებ, ქუჩაში მშვენიერი სიმღერა გაისმა. ვანომ ყურები სცქვიტა, აფორიაქდა. ჩამოძონძილ ქაბუქს ძლიერი, ლამაზი ტემბრის ხმა ჰქონდა: იგი შესანიშნავად ასრულებდა არაებს იტალიური ოპერებიდან.

ვანოს ცრემლი მოერია. იგი აღელვებული მივარდა ქაბუქს და რამდენიმეჯერ მაგრად ჩამოართვა ხელი. უჩვეულო საქციელმა წამსვე შეჰკრიბა ირგვლივ ხალხი. ვანო შეჰკრთა, შეუშინებლად ჩაუღო ხელში მათხოვარს თავისი თანხის ნახევარი, რაც უცხოეთში მყოფ ხელმოკლე კაცის მთელი თვის საზრდოს შეადგენდა.

— გარეგნობით მათხოვარია, სულით კი — დიდი ხელოვანი! ვაი მას, ვინც გარეგნობით „ხელოვანია“, სულით კი მართლა მათხოვარი... — ეუბნებოდა გაფითრებული ვანო ნიკო ყანჩელს და უკან რჩებოდა თვალი.

\* \* \*

1923 წელს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში მოსწავლეთა შემოწმება ჩატარდა. დაინიშნა კომისია ვანო სარაჯიშვილის, პროფ. ჯაყელის, ვაგის, ბარეროსა და სხვათა მონაწილეობით. გაფითრებული მოსწავლენი ზედიზედ გადიოდნენ გამოცდაზე. მარიამ მაკარის-ასული კვიტინაძე გულისფანცქა-

ლით მიუახლოვდა ფორტეპიანოს, ვოკალური კულტურის ასეთ ოსტატთა სამსჯავროს წინაშე გამოუცდელი მოსწავლე კი არა, კარგად დახელოვნებული მომღერალიც კი შედრკებოდა. წახალისებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ვანოს მშვენივრად ესმოდა ეს.

კვიჩინაძემ დაიწყო ტოსკას არია:

— იქ ჩვენი პაწია სახლი გველოდება,  
რაოდენ შვება-სიხარულს გვაპირდება  
სიყრმის სავანე...

წკრიალა ხმა პაერს მიაპობდა. გაბედულად წარმოქმნილმა პირველმა ფრაზამ სითამამე შეჰმატა ქაბუკ მომღერალს. გულწრფელმა მღელვარებამ გაიტაცა, და გადალახული აღმოჩნდა ყოველგვარი უხერხულება. ვანოს ბაგეს ღიმილი შეეპარა. ერთი შეიშმუშნა, თვალში ელვამ გაჰკრა და სტიქიურად აღმოსკდა მკერდიდან:

— მეც თან მოგდევ, კვლავ შენთან ვარ, ჩემო ღვთაებაჲ!

მკაცრი მსაჯი კი არა, თითქოს კავარადოსის როლშია ოპერის სცენაზე და სიყვარულის ჰიმნს უგალობს თავის სატრფოსო.<sup>1</sup>

ღარბაზში ჟრუანტელი დატრიალდა. მარო კვიჩინაძეს რეტი დაესხა, სიხარულის ცრემლმა მოუსწრო. თითქოს ნიადაგი შეერყა ფეხქვეშ და ბობოქარ ზღვაში მყოფი გემივით აყირავდა მთელი შენობა.

\* \* \*

ერთ-ერთი პასუხისმგებელი მუშაკი ივანე თურქია ვანოს კარგი მეგობარი იყო. ხშირად ეწვეოდა ხოლმე მას ვანო და მეგობრულ სუფრასთან მასლაათობდა. იმ დღესაც მშვენივრად ატარებდნენ დროს, მაგრამ მასპინძლის პაწია ასული ზომამზე მეტად ქირვეულობდა. აკვანიც ბევრი ურწია დედამ, ბევრი

<sup>1</sup> კავარადოსი ამ არიაში მარტო საოპერო შესრულების დროს მონაწილეობს. შ. კ.

ელულუნა კიდევაც, მაგრამ ამაოდ. ბავშვი სულმოუთქმელად სტიროდა.

ვანო აკვანს მიუჯდა, ბავშვს გაეთამაშა და ნანა დაუწყყო. ტირილი თანდათან დასცხრა, ყმაწვილმა თვალი შეაშტერა საოცარ ძიას, გაულიმა და მალე ხმა გაკმინდა. ღეთაებრივ ჰანგში ჩაიფერულა მისი ღიმილი, წამწამი ნეტარებით დაეფარა მილულულ თვალს და ჩაეძინა.

— იცოდეს მაინც ამ კულრაქამ, ვინ უგალობა. ეჰ, ჩვენ მივდივართ, ეს კი მოდის, ვინ მოაგონებს!..

ფატმან თურქია ახლა ექიმი. იგი სიამაყით იგონებს მშობლების ნაამბობს, მაგრამ... გული ეთუთქება, რომ თავისი ბულბული აღარ ახსოვს.

\* \* \*

სოფ. ტყვიავში ვანოს ერთი ახლო მეგობარი ჰყავდა. ერთ ზატხულს ვანო თავის მეგობარს ესტუმრა. ცხელია. ვანო მდინარეზე წავიდა საბანაოდ. ბანაობის შემდეგ იქვე ბუჩქებში შიშველი მიწვა, თავზე ტანისამოსი გადიფარა და „ურმულის“ ღიღინი დაიწყო. ხალხი მოგროვდა, საოცარ მომღერალს ძებნა დაუწყეს. იპოვეს, შორიახლო დასხდნენ და ყური დაუგდეს. დაამთავრა თუ არა ვანომ სიმღერა, ერთმა კარგი ხმის პატრონმა გლეხმა ხმამალლა შემოსძახა იგივე „ურმული“. ვანომ ყური სცქვიტა, სწრაფად ჩაიცივა. გლეხმა მიაცხა: აი, ეგრე უნდა და არა ისე, შენ რომ ღიღინებო.

— მაშ, თუ აგრეა, აი როგორ უნდა ჩემო კეთილო! — უპასუხა ვანომ და ახლა მთელი თავისი წარმტაცი ხმითა და შესანიშნავი ოსტატობით შემოსძახა „ურმული“. გლეხებს სიზმარში ეგონათ თავი. იქვე გაეცნო და დაუმეგობრდა მათ, შემდეგ თავის მასპინძლისას წაიყვანა ისინი და მამაპაპურად სცა პატივი.

ადამიანის მოყვარულ და თავმდაბალ ვანოს უდიდეს სიამოვნებას ჰგვრიდა გლეხებთან პურის ჰამა და სიმღერა. ზოგჯერ ასეთი „შეჯიბრება“ იცოდა ხოლმე. როგორც აღვნიშნეთ, თხოვნა ვანოზე იშვიათად სჭრიდა, მაგრამ თუ ადამიანი რითიმე გამოიწვევდა, უკან არ დაიხევდა. ვინც კი იცოდა მისი

ეს ხასიათი, ამ ხერხს მიმართავდა, და ვანოც ალალი ბავშვი-  
ვით დაჰყრიდა ფარხმალს, მაშინვე დააევიწყებოდა, რომ აქა-  
მდე იუარა. ერთ სუფრაზე ვანოსთან პოეტი გიორგი ქუჩიშვი-  
ლი მოხვდა. ვანოს თან გადაყენენ, მაგრამ არასდიდებით არ  
იმღერა. გიორგი ქუჩიშვილმა ლექსი უთხრა სახელდახელოდ.  
საპასუხოდ ვანომ იმ წუთშივე შემოსძახა.

\* \* \*

1924 წლის გაზაფხულზე გაიხსნა ანაგის სახალხო სახლი.  
დიდი კონცერტი გაიმართა. ვანოც მონაწილეობდა. ორი  
დღის შემდეგ ამხანაგებით ბრუნდებოდა თბილისში ღია ვაგონ-  
ნით. ვაგონში, როგორც სჩვევია, პურ-მარილი გაიშალა. გარ-  
მონიც გაჩნდა. ვანომ მეგობრებს გადახედა.

— გინდათ, წამსვე ავატყეკო მთელი ვაგონი?

ლილინი დაიწყო. შემოესივნენ. ხალხი მისწი-მოსწია და თა-  
ვისებურად დაუარა. ბევრი იქ მყოფი ატყევა. ერთ მსახიობს  
სადღაც კარაბადინი ეპოვა და თან მოჰქონდა. ამან მთელი  
დავიდარაბა გამოიწვია. ვანომ ქალ-ვაჟი შეარჩია და ჯვრის  
წერა გააჩაღა. ემუდარებოდნენ—ღია ჰაერზე ხმა გაეფუჭდე-  
ბაო. არაგის ყური არ ათხოვა. ნავთლულამდე არ შეწყვეტილა  
მისი სიმღერა.

ეს ვანოს უკანასკნელი მგზავრობა იყო კახეთში. ასე დაემ-  
შვიდობა იგი ძვირფას სამშობლოს, იმ იმედით, რომ კვლავ  
მრავალჯერ ინახულებდა მის ზვრებსა და დაკლანკილ ორლო-  
ბეებს, სადაც ასე უყვარდა სეირნობა და ლილინი მთვარიან-  
ღამეებში.

ვაგლახ, ეგ „თ ურმე გედის სიმღერა“ იყო. იქნებ გრძნობდა  
კიდევაც ამას.

ჩვენ ხელთა გვაქვს ერთიმეორეზე უფრო წარმტაცი და მოუ-  
ლოდნელობით აღსავსე ფაქტები, რომლებიც ზღაპრულ ფე-  
რებით გვიხატავენ ვანოს ბუნებას. ვინ იცის, რამდენი ადა-  
მიანი დაუტკბია მას თავისი „ურმულით“, ისე როგორც დაავა-  
დებულ ცაგარელს სნება განარიდა, ან „მიწის სუნი“ აგრძნო-  
ბინა ხალხს თავისი სიმღერით. რამდენი „ოროველა“ და „მთაო

გადმიშვი“ სმენია მისგან ჩვენს მშობლიურ მთებსა და მინდ-  
ვრებსი.

უსაზღვრო იყო ხალხის სიყვარული ვანოსადმი. რამდენი  
თაიგული დახვედრია მას დილით, სახლის კარებთან, მაგრამ  
ვერ გაუგია, ვის მოჰქოდა, რადგან... ყვავილს ბარათი არ  
ახლდა თან.

ვანო სარაჯიშვილის ცხოვრება და შემოქმედება აღვზნებუ-  
ლი პოეტური წვა იყო. ეს ცხოვრება ძვირფას სამშობლოს  
შეეწირა. ბროლივით დაიმსხვრა და ყოველი ნაფლეთი ოქრო-  
ვან ზეავად ჩაილექა ქართველი კაცის ოცნებაში.

### შქანასკნელი „თამო ჩემო“

საგასტროლოდ ჩამოსულ სობინოვს თბილისის ოპერის დას-  
ში დარჩენა შესთავაზეს, უარი განაცხადა. პირიქით, მან ვანო  
მიიწვია მოსკოვის დიდ თეატრში.

— ვანო პეტროვიჩი!<sup>1</sup> თქვენ ყველაფერი გააკეთეთ საქართვე-  
ლოსათვის. წამოდით ახლა ჩვენთან, გვაჩვენეთ თქვენი უბაღლო  
ხმა, ტემპერამენტი, მშვენივრად მოგაწყობთ და დაგაბინავებთ.

ვანომ ავადმყოფობა მოიმიზეზა. სობინოვმა კურორტიც  
აღუთქვა.

— მაპატიეთ, დიდად მიყვარხართ და ვაფასებ თქვენს მე-  
გობრობას, მაგრამ სამშობლოში უკეთ ვისვენებ. ზამთრის სე-  
ზონში კი გეწვევით.

\* \* \*

ვანო თავის თავს ნაკლებ ყურადღებას აქცევდა. როგორც შემ-  
დეგ გამოირკვა, კარგახანია ავად ყოფილა. ესპანური სნების მოხ-  
დის შემდეგ ცუდად გაუხდა გული. „გულკანურ ტემპერამენტს“

---

<sup>1</sup> ასე ეძახდა სობინოვი ვანოს. შ. კ.

და სიცოცხლის სიყვარულს მაინც თავისი ვაჰქონდა. ვანო კაბუჯურად გიჟმაეობდა, ქედს არ იხრიადა.

1930 წელს ბორჯომის სანატორიუმში ექიმმა გრიგოლ ნასარიძემ გვიამბო:

— საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში ვანო ამ სანატორიუმში გვეწვია. მეგრძე მილი დავადე და კინალამ ცრემლი წამსკდა: რალაც აწეწილი საშინელება და ღმუილი მოვისმინე. ვანო მაინც სანატორიუმში ვერ გაეაჩერე — ნიადაგ სანადიროდ დადიოდა, ბუნების წიაღი უფრო მკურნავსო.

მიუხედავად ასეთი დაავადებისა, ვანო სრულებით არ სტოვებდა რაიმე ექვის გამომწვევ შთაბეჭდილებას. უკანასკნელი სეზონი დიდი მხატვრული წარმატებით დაამთავრა.

1924 წლის გაზაფხულზე ერთობ მოღუნდა, უჩვეულოდ იცვალა ჩირი. ხშირად ეტყოდა საუბარში თავის მეუღლეს:

— მინდა მოგვდე ქაბუკი, რომ მოულოდნელად ძოგსწყდე სცენას და ხალხს ჩემზე გული დაეწვას, ალალი ცრემლი დამეფრქვიოს. მინდა ჩემს კუბოს თეთრ ყვავილებს უფენდენ გზაზე, შორიდან კი ისმოდეს როიალის ქვითინი და ჩვენი ძველი ხალხური გუნდის გუგუნე, შორიდან... შორიდან...

ამგვარი მსჯელობა „ბაირონის სეედის“ გამომქლავნება ეგონათ, და საუბარი ხუმრობით თავდებოდა.

ვანოს სიცოცხლე თითქოს მართლაც ციკაბო კლდიდან მოსწყდა.

1924 წლის 23 ივნისს, ოპერის ბალში ვანო ცუდად გახდა. მეუღლე მხარში შეუდგა და ძლივს მიიყვანა შინ. ლოგინში ჩაწვა. ნაშუადღევს 3 საათიდან ღამის 3 საათამდე სიცხე არ ეშვებოდა. ყოველ მეორე, მესამე დღეს კონსილიუმში იმართებოდა.

მთელი ზაფხულის განმავლობაში ვეღარ წამოდგა ლოგინიდან. აღსასრულის მოახლოვება იგრძნო. განერვიულდა. უძნელდებოდა შერიგება იმ აზრთან, რომ მართლა ასე მოულოდნელად უნდა გამოთხოვებოდა წუთისოფელს. მაგრამ ზოგჯერ მიყუჩდებოდა სატკივარი, და ვანოს იმედი ეძლეოდა. ნიადაგ



ხმას ისინჯავდა — ლილინებდა ნაწყვეტებს სხვადასხვა ოპერე-  
ბიდან. ხმას მანკი არ ჰქონდა.

— მოვრჩები, ერთხანს კიდევ ვიმღერებ და დავტოვებ სცე-  
ნას. ისევ ჩემს საყვარელ ჩელოს დავუბრუნდები, კონცერტებ-  
ში დაუუკრავ, სიმღერას ვასწავლი ახალგაზრდებს.

\* \* \*

ზაფხული მიიწურა. შემოდგომამ ოქროსფრად შეღება არე-  
მარე. სასიამო დარები დადგა. ვანოს მშობლიურ მინდორ-  
ველზე ნეარდი მოენატრა. რა სჯობდა ახლა ნადირობას!

ვანო კი ლოგინში ბორგავს. მკერდზე ლეკვი ჰყავს, ულო-  
ლიავენს. ვერ ეყრება სული სამშობლოს, სიცოცხლეს და მშვე-  
ნიერებას.

ლენ ისეცკიმ მორიდებით შეალო კარი. კვლავ გაიხსნა  
ძველი იარა.

— ლენ, ძვირფასო, ჩემს თოფს მგონი ჩახმახი გაუფუქდა,  
წაიღე, გეთაყვა, ოსტატს შპაგინს მიაბარე, გამოგვადგება.

— და მერე როგორ! — სიხარულით მიაგება ისეცკიმ, მაგ-  
რამ ეს სიხარული მის არტისტულ ნიღაბს იქით არ მიდიოდა.  
ბაგე იცინოდა — გული კი მწარედ ქვითინებდა. ნათლად ხე-  
დავდა, რომ ხელიდან ეცლებოდა უსაყვარლესი მეგობარი.

ისეცკიმ ხალისიანად წაავლო თოფს ხელი, — გასინჯა, სხარ-  
ტად შეატრიალა. დაემშვიდობა, თოფიც წაიღო, მაგრამ... იქვე  
დერეფანში დასტოვა და გაბრუებული გავიდა ქუჩაში.

ვანოს ძარღვებში მშობლიურმა სიომ გაინაფარდა. ლოგინ-  
შივე შეიშმუნა.

— თოფი წაიღო, მამ მოვრჩები!

\* \* \*

კვლავ ექვმა შეიპყრო სული. მოკვეთილივით დაეშვა და კედ-  
ლისაკენ იბრუნა პირი. მაინც მომავლისკენ იცქირებოდა:

— თმა გადამპარსეთ!

— თმა?

— ჰო, თმა... რა მოხდა მერე?

— ამოდენა მნახველი მოდის, ძალიან გშვენის...

— გადამპარსეთ! ავადმყოფობა დამიზიანებს და სცენაზე უშნო ვიქნები, უკეთესი ამომივა.

კიდევ რაღაც მოიმიზეზეს და უარი უთხრეს.

ვანომ თვალები მიანათა. პირი ააჩრდეს. მწარედ ჩაიციხა, ბაგეს კბილი დაადგა და წარბი შეჰკრა.

...რად მოხვდათ ასე ლახვარივით? პირიქით, მათ უნდა ეთხოვათ, რომ შევლელი ამ ჩემს ხუჭუჭ თმას. ნუთუ, მართლა ეძნელებათ, კუბოში... უთმოდ! არა! — სასოწარკვეთილი დონ-ხოზეს მუჭარა უნებურად აღმოხდა ბაგეს:

— „თუნდაც სიცოცხლე რომ გავსწირო, ვფიცავ აქედან არ წავალ, აარ წავაალ!“

ბედისწერას არ დაემორჩილა. დრო იხელთა, ოსტატი დაიბარა და თმა გადიპარსა. ამით თითქოს სიკვდილს ხელთათმანი გადუგლო.

\* \* \*

— სიღნაღში რომ თავგატეხილას წყაროა, ის მასვით, უეჭველად მომიხდება, — დაავალა უფროსი ძმის, ანდროს მეუღლეს. დოქით მოაწოდეს. სასთუმალთან ედგა და სულს იბრუნებდა. უკვდავების ცხრა წყაროს წყალი თუ ეგონა სასიკვდილოდ განწირულ აბესალომს.

ნოემბერი დადგა. შეუპოვარი სინამდვილე სცელავს სიხარულს. სეზონი უკვე დაიწყო. სწუხს, შფოთავს ვანო, შემოაკლდა სცენის ჰაერი. ზაქარია ფალიაშვილის ყოველი მოსვლა მისთვის აუტანელი წამებაა, რადგან:

თავო ჩემო...

უნებურად ღიღინებს ბაგე. გულდათუთქული ზაქარია ცრემლს ძლივს იკავებს. ეშინია, სიტყვა არ დასცდეს, ენას კბილს ადგამს, სულში თაკარა ედება და სტანჯავს ფიქრი — რად დაუწერა თავის მალხაზს ეს ბედკრული გედის სიმღერა... არა, თვით ვანომ რად დააწერინა — საკუთარ თავის სულთანად? როგორი ჯოჯოხეთური საყვედურით მოესმის ახლა მას ვანოს ნამღერი:

... ბედი არ გიწერია

და რა ძნელია ყოველივე ამის ატანა!

— სად არის სანდრო ინაშვილი, ჩემი სანდრო. რა უნდა ამდენ ხანს იტალიაში? აცნობეთ, მალე ჩამოვიდეს. აკი ვუთხარი — შენ მდიხარ, მე კი აქ უშენოდ მოვკვდები-თქო.

ნათესავი ექიმი მოვიდა. ავადმყოფი გასინჯა. გაიხურა თუ არა კარი, ვანო ლოგინზე წამოჯდა, სტიქიურად მოიცა ძალა.

— აბა ერთი, ნეტავ ჩვენი ოპერის ხელმძღვანელები იყვნენ ახლა აქ!

მთელი გულმკერდით შემოსძახა 'ლფრედის არია „ტრაგია-ტოდან“:

„მაშ, დავსტოვოთ ჩვენ ეს მხარე...“

ქუჩაში ხალხი მოგროვდა. კანკალებდნენ, ალტაცების ცრემლი სდიოდათ.

— ჩვენი ვანო მლერის, ვანო მლერის... მორჩება, მორჩება უეჭველად.

\* \* \*

გახშირდა ექიმთა სჯა-ბაასი, თათბირები, კონსილიუმები. თანდათან დაბლა მოიწეეს მწუხრის ბინდი. ვანო თითქოს დაჰნებდა ბედსო — ~~ბინდულად~~ გაუსწორა აღსასრულს თვალი.

— თუ არაფერი მეშველება, მოკლედ მოსჭერით. ანდრო დამიბარეთ, უკანასკნელი სურვილი უნდა გამოვუცხადო.

დაიბარეს. შემოაღო თუ არა კარი, ვანომ ერთი შეჰყვირა ვაი! და შუბლში ხელი დაირტყა. ივალალა, შემდეგ ძმას გამოესაუბრა:

— ხომ იცნობდი ჩემს მკერავს ჩახიროვს? ახლა მკვდარია... ჰო და, წუხელ მესიზმრა — ვერ იპოვა ჩემი ზომა, ვერ შემიკერა, რაც მინდოდა. სხვათა შორის, დღეს მგონი ექიმი ვორობიოვი გყავთ მოწვეული. არ მოვა იგი... და, საერთოდ, ამაოა ყველაფერი. შესანიშნავი ნიჭი აქვთ, ანდრო, შენს ბავშვებს, უსათუოდ უნდა ისწავლონ სიმღერა. დამილოცნია კოტესაძვის ჩემი გრიმის კოლოფი... ვგრძნობ, არ შემარცხვენს.

საოცარი თანამთხვევა:

ზარი დარეკეს. ექიმი ვორობიოვი ბარათით იხდიდა ბო-  
ლიშს — ვერ გეახლებითო.

— გასაგებია...

მწარე ღიმილით დასძინა ვანომ.

\* \* \*

მოულოდნელად წასკდა სისხლი. შველივით ყელი მოიღერა,  
საწოლს არიდა. წამოეშველნენ, სასწრაფოდ მიართვეს თასი.  
წვეთ-წვეთად მოეონავს სისხლი და თან მოჰყვება:

თავო ჩემო, ბედი არ გიწერია...

აღმოდებული გულის ნაფლეთია ყოველი ბგერა. უკანასკნე-  
ლად მღერის ვანო, რათა ძვირფას სამშობლოს დაუტოვოს  
რაც აბადია და არარა ჩაჰყვეს სამარეში.

თითქოს წვეთ-წვეთად ჩამოიწრიტა გულიც და მკერდში  
არარა დარჩა. სანდლაც შორს, მიუწვდომელ სულის ქვითინში  
მისწყდა უკანასკნელი ბგერა და ჩამოიღველფა ოქროპირი. ვალ-  
მოხდილმა თავისუფლად ამოისუნთქა.

ეს იყო სამშობლოზე და სიცოცხლეზე გულდაწყვეტის ლა-  
დადისი, მარადიული მღუმარების გადალახვის ცდა და საში-  
ნელ ნაპრალთან ბრძოლა „თავო ჩემოთი“.

ეს იყო ცრემლი სასოებისა, პაწია მზესავით რომ სწყდება  
ხოლმე დახრილ წამწამს.

— შალვა, რად უნდა მოგკვდე... ცოდო არა ვარ? ხმა ისევე  
მაქვს... — ნაღვლიანად უთხრა ანდროს ცოლისძმას შ. ტატი-  
შვილს.

და მართლაც, ვანოს დიდებული ხმა კვლავ თავისუფლად  
ქლერდა ყველა ფარდებში.

\* \* \*

ამის შემდეგ მხოლოდ სამი დღე გავიდა. იმ ღამეს საშინელი  
ქარი გრიალებდა. გააფთრებული ისკლებოდა მთა-ბარს, ჰგლეჯ-  
და ყველაფერს. ასევე გააფთრებით ებრძოდა ვანო თავის ბლ-  
სასრულს.

ლიბრი გაეკრა ცისკროვან თვალს.

შეწუხდა ქართული ჰანგის უფლისწული—აბესალომი.

ენა წაერთვა, გრძნობა მაინც არ დაუკარგავს: წამწამიდან ცრემლი სწყდებოდა და ეშხიანი სახის კუნთებზე მოგორავდა, მოსრიალებდა.

11 ნოემბერს დილის 5 საათზე და 30 წუთზე ჩადგა ქარი, მაგრამ შხაპუნა წვიმასავით წასკდა ხალხს ცრემლი.

ვანოს ბინაში გულგამგმირავი ქვეთინი გაისმა.

## ბადატეხილი სალამური

ვანოს გარდაცვალების ამბავი გლოვის ზარივით გაისმა მთელს საქართველოში. თუმცა გაზეთებში ვერ მოასწრეს იმ დღეს ცნობის გამოქვეყნება, მაგრამ თავზარდამცემი მწუხარება ელვის სისწრაფით მოედრ ხალხს.

გაზ. „კომუნისტი“ სწერდა:

«... ვანო სარაჯიშვილი

იგი იყო ჩვენი ქვეყნის სილამაზე და სიამაყე... ჩვენი ხალხის უნახესი და ულამაზესი ჰანგები სადღესასწაულოდ ახმაურდნენ სარაჯიშვილის არსებაში..

სარაჯიშვილი იყო ნამდვილი ჯადოქარი სულისა.

იგი ხან ნახი და მიზნული იყო შემოდგომის მზესავით, ხან კი ატეხილი მოვარდნილ მთის ნაკადივით.

ვანო სარაჯიშვილი იყო სულიდან სული და ხორციდან ხორცი თავისი ხალხისა.

მასში ირეკებოდა მონაპურე ზარივით ოფლით შეთხზული „ჰოროველა“ და „ნამგლური“, პურმარილითა და დარბაისლობით განდიდებული „სუფრული“, შორს გადამწვდომი „მრავალ-ჟამიერი“ ან ცხოვრების სევდით მოქარგული „ურმული“.

ჩვენს ისტორიას არ ახსოვს ქართველი მომღერლის დიდება.

ამიერიდან ვანო სარაჯიშვილის სახელიც ჩაიწერება ქართველი ერის ისტორიაში, როგორც დიდება და სილამაზე ჯერ არ ხილული.

ვანოს შემოქმედება, მისი სიმღერე და სამსახური ქვეყნისადმი განისაზღვრებოდა მისი სიტაცხლით. სიკვდილის შემდეგ კი რჩება მხოლოდ ზღაპრული მოგონება მისი ან დამატური ხმისა...“<sup>1</sup>

<sup>1</sup> ხახი ყველგან ჩვენია. შ. კ.

11 ნოემბერს, თბილისის თეატრების მსახიობთა კრებამ ამოირჩია დამკრძალავი კომისია. საერთო ხელმძღვანელობა კოტე მარჯანიშვილს დაევალა. ხარჯები სახალხო კომისართა საბჭომ იკისრა. ოპერისა და დრამის თეატრებმა გლოვის ნიშნად 11 ნოემბერს მოხსნეს თავიანთი სპექტაკლები.

დაკრძალვა დაინიშნა კვირას, 16 ნოემბერს, დღის 12 საათზე, ოპერის თეატრის ბაღში.

პრესა განაგრძობდა ვანოზე წერილების მოთავსებას. ჟურნალ-გაზეთების ფურცლები სავსე იყო ცალკეულ პირთა მოგონებებით.

გაზ. „ზარია ვოსტოკა“ სწერდა:

„...ჯერ კიდევ თვალწინ გვიდგას მისი იუბილე. მას ყველა ეძახდა ვანოს, იგი ყველას მეგობარი იყო... ვანო სარაჯიშვილის იშვილთი ვოკალური ნიჭი გამშვენებული იყო საუკეთესო ძველი იტალიური „ბელ კანტოს“ სკოლით... იგი იყო კემშარიტი ლირიკოსი, მომღერალი, რომელიც თავის სულსა მღერის. ამგვარი გულწრფელობა, ამგვარი ამალღელებელი აღტყინება არ შეიძლება დარჩეს უპასუხოდ. მისი ხმის ხავერდოვანი ტემბრი, მსუბუქი და მოქნილი ბგერა, სითბო და სულში ჩამწვდომი ძალა ლირიკული ტეხორის გზას უმზადებდნენ მას. მაგრამ ამ მომღერლის შესაძლებლობა გაცილებით უფრო მდიდარი იყო, ვიდრე ამის წარმოდგენა შეიძლებოდა...“

სცენიური კარიერის წრთობის პროცესში ამ ხმაში გამოუმკლავნდა დრამატული ტენორის ლითონისებური მკექპარობა, გმირული ძლევამოსილება, ვაჟკაცური ძალა.

ამ ვოკალურ შექვენობასთან ერთად მომღერალი დაჯილდოებული იყო მომაჯადოებელი არტისტული გემოვნებით, მხატვრული აღღოს უნარით და სტილის იმ ცხოველმყოფელი შერგძნობის დიაპაზონით, რაც მოიცავდა აღმოსავლეთის, დასავლეთის, რუსეთისა და საქართველოს მუსიკას.

სობინოვმა შესძლო იტალიური „ბელ კანტოს“ საწყისების ნაციონალიზირება და ამ გულწრფელ ტექნიკურ-ოსტატობას შთაბერა რუსული სული. ისე, როგორც სობინოვი არის პირველი რუსი ბელკანტიისტი, ვანო სარაჯიშვილი დარჩება ქართული მუსიკის ისტორიაში, როგორც საუკეთესო ქართველი ბელკანტიისტი, რომლის ტექნიკა გამთბარი იყო ტკბილ-მათრობელა ვახით დაფარული საქართველოს მდელის სითბოთი.

დაბოლოს, სცენა აღანთებდა მას, როგორც კემშარიტი, შთაგონებულ მეზობლოს. სცენაზე იგი ცოცხლობდა და ყველა მისი სცენური სახეები აღსავსენი იყვნენ ნერვიული, წარმტაცითრთოლვითა და ტემპერამენტით, რომლის გულახდილობას ვერ უძლებდა მაცურებელი.

ვანო სარაჯიშვილმა შექმნა ქართული ოპერის უხრწნელი ტრადიციები.

ნახი და ვნებით აღსავსე—ლარიკაში, გმირი და ვაჟკაცური—დრამატულ სულისკვეთებაში, იგი რჩება ქართული ოპერის ხველაზე უტყუარ, ხველაზე შექმოსილი სიმბოლოდ ამ ოპერის ბრწყინვალე აღმავლობის დროს. მისი საოცარი სიმღერის ცხოველი სხივები მთელს სამშობლოს ეფინებოდა. მას იცნობდნენ საქართველოს ყველაზე მიყრუებულ კუთხეებშიც კი, და ამ სავალალო დღეებში ყოველი მხრიდან დაიძვრის მწარე სევა, უსასრულო მწუხარება...”

ზედიზედ გამოაქვეყნეს წერილები სხვა ჟურნალ-გაზეთებშიც.

...გარდაიცვალა ვანო სარაჯიშვილი

რამდენი ტრაგედია და ცრეპლია ამ სიტყვებში... იზვიათა არტისტი ისეთი ღვთიური ტექპერამენტი და პოეტური ექსტაზით, როგორც იყო ვანო სარაჯიშვილი... იგი შემოქმედებაში დამწვარი ადამიანის სული იყო. ქართული ოპერის ისტორია არ დაიწერება ვანო სარაჯიშვილის სახელის გარეშე...

ქართულ ოპერას და ქართველ საოპერო მომღერალს მსოფლიო მოქალაქეობა დაუმკვიდრა, მშობლიური ხელოვნების დროშა მაღლა ააფრიალა! ("სა. და ცხ." № 16; 1924 წ.).

...ქართულ ეროვნულ მუსიკას მოსწყდა ვარსკვლავი.

გაწყდა სიმი, რომელიც ახალისებდა და აფერადებდა ქართულ ჰანგთა ჩანჩქერს... ძნელია იმ პორტრეტთა გალერეის გადაშლა, რომელიც შექმნა ვანო სარაჯიშვილმა, ძნელია იმ ძვირფასი სურათების გახსენება, რომელიც ნემსივით გაკემსამს გულს, როდესაც დარწმუნებული ხარ, რომ ყოველივე ეს სამუდამოდ დაგზოვდა და აღარ განმეორდება.

ჩვენი მწუხარება უზომოა, მით უფრო, რომ ვანო სარაჯიშვილში ვხედავდით დიდ ბუმბერაზობას, რომელსაც ჯერ კიდევ ბევრი იმედი შეეძლო აღედრა.

ვანო სარაჯიშვილი პირველია ჩვენში, რომელიც ეხიარა ვოკალური ხელოვნების მაღალ კულტურას, რომელმაც ქართული ჰანგი აიყვანა უმაღლეს კეთილშობილებამდე და გაუტოლდა ევროპის გამოჩენილ ვოკალისტებს.

იგი იყო წინდა წყლის ქართველი მომღერალი, ქართული ტექპერამენტი და განცდით. მის ხელში ქართული, მელოდია ჯადოქრად იქცა, ჩვენი ეროვნული ჰანგთა კამარა მოსდგა, როგორც მზის სიცილი, როგორც ადიდებული წყალ-ჩანჩქერი.

ამბობენ: სარაჯიშვილს ჰქონდა დიდი გრძნობაო, მაგრამ მას ჰქონდა უფრო დიდი გრძნება, რომელშიც ჩამარხული იყო მისი შემოქმედების რაობა და იდუმალობა. მართლმეტყველებით „აბესალომი“ საჯ-

მაოა, რომ ჩვენმა ხალხმა იგი გააზღაპროს, როგორც  
რამ დაუვიწყარი ლეგენდა.

ვ. სარაჯიშვილი იყო ვულკანური ტემპერამენტის ადამიანი. მისი არ-  
ტისტული დიაპაზონი გაცილებით უფრო დიდი იყო, ვიდრე ჩვენ ამას  
წარმოვიდგენდით...“ (ე. „ხელოვნ. დროშა“, XI—1924 წ.).

კომპოზ. დიმიტრი არაყიშვილი სწერდა:

„...რით იყო მიმზიდველი ვანო სარაჯიშვილი? მასში იყო დაუშრეტელი  
წყარო შინაგანი ძალისა, მუსიკალური ნიჭი განკერძოებისა და  
ყველა ფრის გაკეთილშობილებებისა, რასაც კი მისი ხმა  
შეეხებოდა. ვის არ ახსოვს მისი „ურმული—შალაური“, სადაც მისი  
გული უერთდებოდა ხალხის გულს და ყოველთვის უდიდეს შთაბეჭდილ-  
ებას ახდენდა. ვის არ ახსოვს მისი ყოველი გამოხვევა, როცა მისი გული  
შეთანხმებულად სცემდა ათას სხვა გულთან ერთად.

და მართლაც, ვანო იყო არა მარტო მომღერალი, არა  
მარტო არტისტი, ის იყო თავისი ხალხის მგოსანი, ხა-  
ლხის გენია, ეს იყო ხალხის ლამაზი სული.“

გულმოკლული ზაქარია ფალიაშვილი თავის საამაყო აბესა-  
ლომს ჰგლოვობდა:

„აღარა გვყავს ვანო სარაჯიშვილი! მოკვდა დიდი ხელოვანი, დიდი მომ-  
ღერალი და იშვიათი კეთილი გულის ადამიანი. დაობლდა და ბურჯი შეე-  
რყა ახლად ფეხადგმულ ქართულ ეროვნულ ოპერასაც. დავკარგეთ ის ადა-  
მიანი, რომელმაც თავისი არაჩვეულებრივი ბუნებ-  
რივი ნიჭით მთელი ეპოსი შექმნა ქართული ეროვნ-  
ული სიმღერის დარგში.

ის იყო ერთი იმ იდეალთაგანი, რომელიც თავისი მომხიბლავი სიმღერით  
ქართველ მუსიკოს-კომპოზიტორებს სულს გვიდგამდა და გვაქე-  
ზებდა ჩვენს შემოქმედებითს მუშაობაში. ის იყო ერთი  
იმ ბედნიერ მიზეზთაგანი, რომელმაც ჩვენში ისე მოულოდნელად, ერთბა-  
შად თავი წამოაყოფინა იმისთანა უმაღლეს და რთულ მუსიკალურ ფორ-  
მას გოკალური ხელოვნებისას, როგორც არის ოპერა...“

გამოკვეყნებულ წერილებში ყოველმხრივ ახასიათებდნენ  
ვანოს უდიდეს დამსახურებას ქართული მუსიკალური კულ-  
ტურის წინაშე:

„...რადღუნ ბედნიერები ვართ ჩვენ—ვანოს შემსწრენი—მომავალ თაო-  
ბაზე. ჩვენ ვიხილეთ ვანო, ჩვენ განვიცადეთ იგი და ჩვენ დაგვატკბოა.“

გაზეთებში მთელი გვერდები დაეთმო სამგლოვიარო განცხა-  
დებებს: „განუმეორებელი ნიჭი“, „ხელოვნების



იშვიათი ოსტატი“, „ოპერის მშვენიება და სიამაყე...“ და რა მხრივ გნებავთ, რომ არ იყოს დახასიათებული ვანო ამ განცხადებებში.

დამკრძალავი კომისიის სახელზე მიღებულ სამძიმრის დეპეშების ბოლო არ სჩანდა. დეპეშები მიღებულ იქნა საქართველოს და საბჭოთა კავშირის ყოველი კუთხიდან, უცხოეთიდან. გულდათუთქული სანდრო ინაშვილი იტალიიდან გამოეთხოვა ძვირფას მეგობარს. ლეონიდ სობინოვმა დეპეშით სთხოვა თბილისის ოპერის დირექციას—მიერთმიათ გვირგვინი ვანოსათვის მისი სახელით. დიდ მომღერალს გამოეთხოვენ სუმბათაშვილი-იუენი, ლუნაჩარსკი, და სხვა განთქმული მოღვაწეები. ცნობილი რეჟისორი ბოგოლიუბოვი თავის სამძიმრის ტელეგრამაში სწერდა:

„ცეცხლმა, რომელიც ვანოს გენიალურ სულში ენთო, დაე, გაუნათოს გზა ქართული ოპერის განვითარებას. გულწრფელ ცრემლსა ვღვრი დიდი საფლავის წინაშე“.

ხალხი უწყვეტი მდინარებით აწყდებოდა ხელოვნების სასახლეს, სადაც ესვენა ვანო. თუმცა სასახლეში შესვლა ნებადართული იყო დილის 9 საათიდან ღამის 10 საათამდე, ხალხი არც ნაშუალამევს იშლებოდა.

\* \* \*


მუხის კუბოში განაბულა „ტკბილ ჰანგთა მეფე“. ფრაკითა და ქათქათა პერანგით ალფრედივით მორთული ვანო თითქოს სცენაზე გამოსასვლელად ემზადება.

ღარბაზში ახალგაზრდა ქართველ მუსიკოსთა ორკესტრი უკრავს.

სტუდენტები და მოწაფეები რიგში ჩამწკრივებულნი მოდიან, ყვავილებით ამკობენ ცხედარს.

არასდროს არ ყოფილა ამ ჰერქვეშ ამდენი ყვავილი და ასეთი სევდა.

მომღერალი პოპოვა ფარვანასავით დასტრიალებს ვანოს გვირგვინებს, ფრთხილად ალაგებს, რომ ერთი ყლორტიც არსად მოტყდეს.



ვანო სარაჯიშვილი გალახვის რეზიდენციაში

(იხ. "დღის" — ზაქ. ფალიაშვილის; პირველი აქტის ფინალი — "თავი ჩემო...")

საპატიო ყარაულში ერთმანეთს სცვლიან მწერლები, მსახიობები, მუსიკოსები, მუშები, მეცნიერები, საზოგადო მოღვაწენი. და განა მარტო ქართველები არიან აქ?

გაფითრებული ვასო აბაშიძე ლანდივით უახლოვდება ვანოს სასთუმალს. დიდხანს ჩასცქერის იგი შესანიშნავი მომღერლის სახეს, თვალს ვეღარ აშორებს და დამტკნარ ლოზებზე დაპალუპით ჩამოსდის ცრემლი. დარბაზში ემილ კაპელნიცის ჩელო აქვითინდა:

„თავო ჩემო“...

ვინ მოსთვლის, რამდენჯერ აუკვნესებია ვანოს თავისი მეგობრის ეს საკრავი. ამიტომ ასე გულსაკლავად ღღერს ახლა იგი პატრონის ხელში.

ვანომ უკვდავება მიანიჭა ამ დიდებულ ჰანგს და ამავე ჰანგმა გაისტუმრა ის უკვდავებაში: „დაისში“. პირველად შეასრულა ვანომ „თავო ჩემო“ და პირველად ვანოს გასვენებაზე გაისმა იგი ჩელოს ცალფა შესრულებით.

\* \* \*

ოცზე მეტი წელი გავიდა ვანოს გარდაცვალების შემდეგ. რამდენ პანაშვიდს დავსწრებივართ ამ ხნის განმავლობაში, რამდენი სამგლოვიარო ჰანგი მოგვისმენია. ცრემლიც ბევრი გვიღვრია და სხვის თვალზედაც გვინახავს ცრემლი. ბევრი გულცივად დგას, მაგრამ როდესაც „თავო ჩემოს“ პირველი აკორდი აქლერდება, რაღაც სხვაგვარი ჟრუანტელი დაუვლის ხალხს და ამ აკორდთან ერთად ყველა ფეხს მოინაცვლებს, შეიშმუშნება და ყველას ერთბაშად მოსწყდება ცრემლი.

ეს საერთო სინანული და გულდაწყვეტა ვანოს მოგონებიდან მომდინარეობს. ეს ცრემლი ვანოდან მოდის, რადგან ვანომ დაიწყო „თავო ჩემო“ ოპერაშიც და პანაშვიდზედაც. დაიწყო და დაამთავრა კიდევაც... თავისი სიცოცხლე.

კუბოსთან დგანან ძმები ფალიაშვილები.

ზაქარია თვალს ვერ უმაგრებს „გრაალის კოშკიდან ჩამოსულ ბრწყინვალე რაინდს“. თითქოს კუბოში ასვენია არა ვანო სარაჯიშვილი, არამედ მისი „დაისი“ და „აბესალომი“

ხვალ მიწა დაჰფარავს ამ მუხის კუბოს და დაიმარხება ზაქარიას პოეტური ოცნებაც.

სევდით გაელენთილ ჰაერში კვლავ „თავო ჩემოს“ ჰანგი გაისმა. ზაქარიამ მწუხარებით მოჰკუმა ტუჩი. ლაელაეა ნიკაპთან ცრემლი გაესკვნა.

ველარ გაუძლო... განერიდა.

ძმები ფალიაშვილები დავით კლდიაშვილმა და კოტე მაყაშვილმა შესცვალა. „ქართველ სერვანტესს“ უსაზღვრო სევდა ჩაღეჭია ჰკვიან თვალეებში. თითქოს უფრო მოხრილა...

ხვალ ვანოს გამოთხოვების დღეა. ნაშუალამევის მესამე საათი დაიწყო. ხალხი მაინც აწყდება სასახლის კარებს. დარბაზში ზედიზედ გამოდიან სხვადასხვა გუნდები და ორკესტრები. უკრავენ, გალობენ და ცრემლი სდით. მხატვრები, მსახიობები, ნათესაეები, მეგობრები თავს დასტრიალებენ მიცვალებულს. გულმოდგინედ აკვირდებიან სახის ყოველ ნაკვთს, რათა არცერთი დამახასიათებელი წერტილი არ დარჩეთ შეუნიშნავე—სამუდამოდ ჩაიმარხონ გულის სიღრმეში.

ქართველმა პოეტებმა უდიდესი გულისტკივილით გამოიტირეს ვანო სარაჯიშვილი, მშვენიერი ლექსები მიუძღვნეს მას. და განა მართო პოეტებმა? ერთ მოზრდილ წიგნს გაავსებდა ვანოსადმი მიძღვნილი ლექსები.

\* \* \*

ვანოს გამოსვენება დანიშნული იყო კვირას 12 საათზე, მაგრამ იმ დღეს მტკვარი ახალ კალაპოტში გადაუშვეს და მთავრობის წევრები ზაქესში გაემგზავრნენ. გამოსვენება 3 საათისათვის გადაიდო.

ამისათვის კაცს არ მიუქცევია ყურადღება: ხალხის ტალღა დილიდანვე მიაწყდა ხელოვნების სასახლეს.

3 საათისათვის ახლომახლო ქუჩებში გავლა გაკვირდა, ხოლო მარჯაბლის ქუჩაზე აღგილიდან დაძვრაც კი არ შეიძლებოდა. შენობები წითელ-შავნარევი მატერიით და მწვანით შოურთავთ. შიგადაშიგ ვანოს დიდი პორტრეტებია. ბევრგან ვანოს სურათს ჰყიდიან, მაგრამ ვინ მიუღდება?

კოტე მარჯანიშვილი დამხმარეთა მთელი რაზმით დაჰქრის წესრიგის აღსადგენად. რა გაარღვევს შეგროვილ ზღვა ხალხს! ყველა ცდილობს უკანასკნელად მოჰქრას თვალი ადამიანს, რომელიც მთელი სიცოცხლის მანძილზე ხიბლავდა მის სულსა და გულს.

მილიციის დამხმარედ ჯარის ნაწილებიც გამოიწვიეს.

ხელოვნების სასახლეში შესასვლელად კომისიამ საშვები შემოიღო. სასახლე ვერ იტევს გვირგვინებსა და თაიგულებს, ამიტომ ისინი მაჩაბლის ქუჩაზეა დაზღვავენული.

\* \* \*

დარბაზში სამარისებური სიჩუმეა. ეს უფრო სწეწს ადამიანის სულსა და გულს. მოულოდნელად ვილაც აქვითინდა... და თითქოს ხალხმა შეება იგოდნო, წამსვე საერთო ქვითინი გაისმა.

ვანოს კუბოს მისი შეუღლის გვირგვინი ამკობს. ირგვლივ ოპერის, საოპერო სტუდიისა და ლეონიდ სობინოვის მიერ მორთმეული გვირგვინებია. თავთან არის შესანიშნავი ყვავილოვანი ქნარი სახელმწიფო კონსერვატორიისაგან.

ა. ჩუგუნოვი, ი. ბროდსკი და ე. კაპელნიცკი ასრულებენ ჩაიკოვსკის შესანიშნავ ტრიოს—„დიდი არტისტის ხსოვნას“. შემდეგ პიანისტი ვლადიმერ გოროვიცი უდიდესი განცდითა და ოსტატობით ასრულებს ლისტის „გასვენებას“. თითქოს ფორტეპიანოს აკორდები ცრემლით გაქლენთილი ბელტებივით სცივია კუბოზე.

მოვიდნენ მთავრობის წევრები. მოაწია გამოსვენების დრომ.

საპატიო ყარაულში დგანან: ვასო აბაშიძე, ი. ფალიაშვილი, ნ. გოციირიძე, კ. მყაშვილი. ხელოვნების მთავარი სამმართველოს სახელით სიტყვას ამბობს ი. გედევანიშვილი. შემდეგ გამოდის კომპოზიტორი მ. მ. იპოლიტოვ-ივანოვი. ხელოვნების სასახლესთან დგანან ორგანიზაციათა დელეგაციები, ჯარის ნაწილები, მომღერალთა გუნდები და სასულე ორკესტრები. შეერთებული გუნდისა და ორკესტრის სამგლოვიარო ჰიმნი გულამოსკენილ ქვითინს იწვევს მთელს ხალხში.

გამოასვენეს.

კუბო ვარდ-ყვავილთა ტბაში მოსცურავს, სწორედ ისევე, როგორც ნატრობდა ვანო. მაგრამ მსგავსი რამ არასდროს ფიქრად არ მოსვლია—ყვავილმა გზა გადაუღობა და სამარისკენ აღარ უშვებს.

ათი ორკესტრი ერთად უკრავს. დროშები წითელ ტალღებით იხრებიან და გზას უთმობენ დიდ მომღერალს.

უთვალავ ხალხში ერთი-კაცი ამალღებულა და გრძელი მკლავები გაუწვდია. ისლივით მიმდგარ ყანაში ტოტებგაშლილ კაკლის ხესა ჰგავს: მაგიდაზე შემდგარი კოტე ფოცხვერაშვილი აკადემიურ გუნდს ლოტბარობს. გუგუნით ისმის „სულთანა“.

ქალაქის საბჭოს, მთავრობის სასახლის, რუსთაველის თეატრისა და კონსერვატორიის წინ შეჩერდა პროცესია. პროცესია კი არა... კუბო.

ხალხი ზღვასავით დგას—კუბო თავების ზემოთ მისცურავს.

— გამიშვიო, თქვენ თუ არ მიდიხართ, მე გამიშვიო წინ!— ბობოქრობს ერთი.

— სად გაგიშვათ, აქ ასაფლავებენ.

— აქ რა უნდა, ერეენის მოედანი არაა?

— ოპერის თეატრთან ვართ.

— რამ მიმიყვანა, ფეხი არ გამიდგავს!

ადამიანი—მასას მიჰყავს. მასა კი თითქოს მიწაშია ჩალურსმულა: ხელოვანთა სასახლიდან ოპერის თეატრამდე ნემსი არ ჩავარდება. თითქოს დედამიწიდან უთვალავი ქიანქველა ამოხეთქილა და წარღვნასავით მოსდებია ქუჩებს, ფანჯრებს, აივნებს. ხეებს შესევია, სახლების სახურავზეც აღღლებულა. და ამ ორომტრიალში თოვლის ფანტელივით ელვარებენ ცხვირსახოცები, პეპლებივით ფარფატებენ გაქათქათებული ლეჩაქები.

რამდენი ცრემლი დაიღვარა! რამდენი ბავშვი ასცდა მშობელს, რამდენს გული შეუღონდა.

სალამოს ექვსი საათია, და მხოლოდ ახლა მიაღწია ვანომ თავის სამუდამო ქავეანეს—ოპერის თეატრის ბაღს.

უკანასკნელ სიტყვას ეუბნებიან ვ. შარაშიძე და ს. ევლახი-  
შვილი.

აივანზე ორკესტრი ასრულებს ნაწყვეტებს „აბესალომ და  
ეთერიდან“. ამ დიდებულ ჰანგს უკანასკნელად ისმენს ახ-  
ლა აბესალომი.

მისწყდა „აბესალომის“ ჰანგი. გაისმა „დაისის“ მელოდია—  
„მწუხრი დაიწყო“. მომღერალი პოპოვა ასრულებს მაროს ტი-  
რილს. იგი ახლა სამუდამოდ ეთხოვება საყვარელ მალხაზს:

„...მწუხრი დაიწყო, ბედმა რა მიყო,  
სიცოცხლე ჩემი მან თან წაიღო...“

რალაც აუწერელი გულთბობით გაისმის ახლა ეს სიტყვე-  
ბი. პოპოვას ცრემლი სდის, სული ეხუთება და მაინც მღერის.  
უკანასკნელად გადმოჰხედა გაქვავებულ ვანოს და გული წაუ-  
ვიდა.

თბილისში შემთხვევით მყოფ პოეტ სერგეი ესენინს სიზმარ-  
ში ჰგონია თავი. გარეტებულა გრანდიოზულ სანახაობით.

კუბო საფლაგში ჩაუშვეს.

ხალხმა დაიჩოქა. !

ყვავილის ზეინმა დაჰფარა მიწა.

საფლაგზე გადატეხილი სალამური დაადეს.

დაბინდდა—მწუხრი დაიწყო.

### შარლ კვლავ აიწვია

კოტე მარჯანიშვილი არ დაეთანხმა კომისიის დადგენილ-  
ბას ვანოს ხსოვნის აღსანიშნავი სპექტაკლის გადადების შესა-  
ხებ. მაგრამ რადგან გასვენებამ სალამომდე გასტანა, სპექტაკ-  
ლი 22 ნოემბრისათვის გადაიდო.

— „აბესალომი“ უნდა დავდგათ,—გამოაცხადა კოტემ.

განცვიფრდნენ. სიტყვა შეჰკადრეს.

— უაბესალომოდ?

— ისტორიას არ ახსოვს მსგავსი რამ!

— რა ვუყოთ... კაპელნიცკი დაუკრავს აბესალომის პარტიას  
სცენაზევე...

კაპელნიცკის ფერი ეცვალა.

— ბატონო კოტე, მე ისეც განადგურებული ვარ...

— მით უფრო!

— მოგახსენებთ, ზაქარია ფალიაშვილმა საგანგებოდ დასწერა „თავო ჩემო“ ჩელოსათვის და მე მხედა წილად უბედურება...

— მით უფრო!

— სიზმარში მგონია თავი... გთხოვთ ამაცდინოთ ეს წამება. ვერ გავუძლებ, ბატონო კოტე, ღმერთს გეფიცებით, ვერ გავუძლებ.

— ვერც მე ვუძლებ... ვანო სულ ვერ უძლებდა!

კაპელნიკი ახალი განსაცდელის წინ აღმოჩნდა. მეგობრები შემოეხევივნენ.

— ემილ, რას სჩადი, არ დასთანხმდე! იცი, რას ნიშნავს ეს?

— რა ვიცი... აი, მან იცის!—და სწრაფი ნაბიჯით მიმავალ მარჯანიშვილზე მიუთითა.

\* \* \*

22 ნოემბერს კაპელნიკი ზღაზნვით შევიდა თეატრში. დარბაზში ტევა არ არის.

ტანჯვის სპექტაკლი დაიწყო.

აი, ეთერმა დაამთავრა „დედინაცვალი“ და ახლა თეთრად მორთული ვანო სცენაზე უნდა შემოიქრას.

მის ნაცვლად სინათლის შუქი დადის.

ბეგრმა უნებურად წამოიწია ადგილიდან.

პარტერში ქვითინი ისმის.

სცენაზედაც დაპალუპით ჩამოსდით ცრემლი.

კაპელნიკიმ მიმოიხედა. გააჟრჟოლა. მწვავე ფიქრი ნემსივით ესოზა ტვინს, სულსა და გულს:

— ფალიაშვილმაც მე მაწამა—„თავო ჩემო“ დამაკვრევინა ვანოსათვის. თითქოს ჩემს სიკბაბუკეს ვუგალობე უკანასკნელი სულთანა. ახლა... ნეტავ ჩაინგრეს ეს თეატრი და თან ჩამიტანოს, ოღონდ გადავრჩე. ირგვლივ ქვითინია—სცენაზეც და პარტერშიც. როგორ დავუკრა?! მართლა ჯამბაზი ხომ არა ვარ...



მაგრამ ფიქრის დრო აღარ არის. ლოტბარმა წკეპლა უჩვენა. ძველმა ოსტატმა მთელი ძალ-ლონე დასკიმა, მოკუმულ ტუჩს კბილი დაადგა და აი, ვანოს ნაცვლად ამღერდა ჩელო:

„მე ბანი-ბანად გეძებდი!..“

ხალხი შეირბა.

კაპელნიციმ თვალი შეაფლო ამას და... შედრკა.

„ბეწვის ხიღზეა“ ახლა მისი წონასწორობა. საკრავის ნაცვლად თითქოს ვანოს გული უჭირავს ხელში.

— ემილ, ნაცადო მეგობარო, არ შემარცხვინო!—ჩასჩურჩულა იღუმალმა ხმამ. თითქოს... ვანომ ღიმილით გამოსტაცა საკრავი და განაგრძო თავისი პარტია:

...შენ ბალი-ბაღად გეძინა,  
გაგეხსნა ოქროს საკინძი;  
ბროლის გულ-მკერდი გეჩინა...“

დარბაზში სამარისებური სიჩუმეა. ხალხი თითქოს ეკალზე ზის.

კულისებში ბორგავს მარჯანიშვილი. პაპიროსს ეწევა, ბოლთასა სცემს.

მესამე აქტის შემდეგ კაპელნიცი კუდად გახდა. თეატრში მყოფმა ექიმმა აღმოუჩინა დახმარება. კოტემ ერთხელ კიდევ შემოუძახა. ძალა მოიცა.

კოშმარულ სიზმარს და საშინელ სინამდვილეს ჰგავდა ეს სპექტაკლი.

თაფაქინდრული ხალხი უხალისოდ გავიდა თეატრიდან.

## ვანოს შემდეგ

მილანიდან დაბრუნდა სანდრო ინაშვილი. მუხლი მოიყარა ვანოს საფლავზე და მის გადატეხილ სალამურს ცრემლი აფრქვია.

წლისთავზე კვლავ განიმეორა კოტემ „აბესალომი“ უაბესალომოდ. ემილ კაპელნიცი ახლა უფრო ვაჟკაცურად შეხვდა თავის ხვედრს და შესანიშნავად ჩაატარა მთელი პარტია. უჩვენეს ნაწყვეტები „მამის მკვლელიდან“, რომელშიც ვანო მონაწილეობს.

პრესამ დიდი გულსიტკივილით აღნიშნა საამაყო მომღერლის წლისთავი. ბევრი შესანიშნავი მოგონება გამოქვეყნდა. სახელმწიფო კონსერვატორიაში კვლავ დაარსდა ვანოს სახელობის სტიპენდიები. ხალხმა წარმტაცი სიმღერები შეჰქმნა ვანოზე. მეტად პოპულარული გახდა სიმღერა:

„ოპერის ბაღში ვარსკვლავი ბრწყინავს,  
ცივს სამარეში ვანოსა სძინავს...“

ვანოს სიკვდილის შემდეგ კიდევ ეწვია თბილისის ქართველი ხალხის მეგობარი, დიდი მომღერალი ლეონიდ სობინოვი.

ემილ კაპელნიცი დაესწრო ერთ შეკრებას, სადაც ეს მომღერალი იყო მოწვეული. ჩამოვარდა საუბარი ქართულ ოპერებზე, მომღერლებზე. კაპელნიცი შეეკიათხა სობინოვს — რა აზრისა ხართ ვანო სარაჯიშვილის მიერ ნადირის პარტიის შესრულებაზეო. სობინოვმა უპასუხა:

ვანო სარაჯიშვილს ნადირის პარტიაში ტოლი არ ჰყავდა, იგი უნიკუმი იყოო.

კაპელნიცის ბევრჯერ მიუღია მონაწილეობა ამ ოპერაში მსოფლიოში განთქმულ მომღერლებთან ერთად, მათ შორის სობინოვთანაც. იგი კატეგორიულად იცავდა ვანო სარაჯიშვილის უპირატესობას.

ძველი მუსიკოსი ბედნიერად სთვლიდა თავს, რომ მისი შეხედულება დადასტურა ისეთმა დიდმა ავტორიტეტმა, როგორც სობინოვი იყო.

ვანოს შესახებ უცხოეთშიც დიდხანს არ შეწყვეტილა სუბაასი. საქართველოდან ჩასულ პირთ თანაგრძნობით ესაუბრებოდნენ იტალიელი და სხვა ტომის მუსიკოსები „საუცხოო ქართველი ქაბუკის“ — ვანო სარაჯიშვილის შესახებ. იგონებდნენ მის მომაჯადოებელ ხმას, გრძნობიერ სიმღერას, იშვიათ ტემპერამენტს. ხმების ჩამწერი საზოგადოების ძველმა თანამშრომელმა ბარბარინიმ, მილანში, სანდრო ინაშვილს პირველად „ხუჭუქთმინი და შავგვრემანი ტენორი“ ჰკითხა. სიკვდილი რომ გაიგო, გული დაეწვა.

1927 წელს, ამსტერდამში, ლ. ისეცკის შალიაპინმა ჰკითხა: — როგორაა შესანიშნავი მომღერალი ვანო სარაჯიშვილი?

ძალიან ეწყინა მისი სიკვდილი. დიდხანს იმწუხარა და ბევრი რამ მოიგონა.

— ჯერ კიდევ აქ რომ მეცადინეობდა და მღეროდა, მაშინვე ვუწინასწარმეტყველე დიდი არტისტული კარიერა და აკი არც შეგვცდარვარ. რა წარმტაცი ხმით, უბადლო მუსიკალური სმენით და ტემპერამენტით დაჯილდოებული ჰაბუკი იყო!

მსგავსი მოგონებები ძალიან შორს წაგვიყვანს.

მომღერალს ეამთა ვითარებაში გაქრობა ელის, მაგრამ უკვდავია ზაქარია ფალიაშვილის შემოქმედება და მასთან ერთად უკვდავი იქნება ვანო სარაჯიშვილიც. მის სახელს „ეთერიანის“ ზღაპარივით შემოინახავს გულში ხალხი და რაც უფრო მეტი დრო გავა, რაც უფრო აყვავდება ქართული მუსიკალური კულტურა, უფრო მეტი შარავანდედით შეჰმოსავს მას.

მომღერლის წიგნი მისი ვოკალური ჩანაწერებია. ამ წიგნს სათუთი მოგვია ესაჭიროება. თავი უნდა გადავსდოთ, შევავროვოთ და გავამრავლოთ ვანოს მიერ დამღერებული ფირფიტები, რომლებიც ჩვენთვის ახლა განუმეორებელ განძს წარმოადგენენ. სანდრო ინაშვილმა ვერ აღმოაჩინა მილანის ოფიციალურ საცავებში ვანოს ფირფიტები. ჯერ ერთი, გულდასმით უნდა ძებნა და მეორეც—შეუძლებელია რომ ოჯახებში არა ჰქონდეთ. ვანოს იტალიური ფირფიტები მე თბილისშიაც მეგულდება. მივაწოდოთ შთამომავლობას. მიახლოებული წარმოდგენა მაინც იქონიონ ვანოზე.

\* \* \*

კოტე მარჯანიშვილის მიერ აწეული ფარდა არ დაშვებულა. ქართულ ოპერას ბედმა გაუღიმა. ვანოს დაკრძალვიდან სწორედ ათი დღის შემდეგ „დაისში“ პირველად გაისმა ნიკო ქუმსიაშვილის შესანიშნავი ხმა. დაობლებულ სცენას იმედის შუქმა მოანათა. ჰაბუკ ნიკოს ვანო სარაჯიშვილმა დაულოცა გზა ოპერისაკენ. მჭექარე ფორტე და ლირიზმით აღსავსე პიანისიმო ნიკოს შესაძლებლობას აძლევდა უშიშრად გასულყო ისეთ „ბეწვის ხიდებზე“, როგორიც არის „თავო ჩემო“, რადამენისა და აიდას დუეტი ბოლო აქტში და მრავალი სხვა ადგილები. დიდი ენერგიით მღეროდა ნიკო „აბესალომს“ და დრამატიული

ტენორის მთელს უკრცეს რეპერტუარს. მისი მეტად ორიგინალური და დიდი დიაპაზონის შემცველი ხმა „ქართულად ელერდა“, ქართული მელიზმების წარმოქმნის უნარით იყო აღჭურვილი. ვანოს ხსოვნისადმი მიძღვნილ საღამოებზე ნიკო შავი ჩოხა-ახალოხით მორთული გამოდიოდა; ასრულებდა „თავო ჩემოს“ და სხვა ქართულ სიმღერებს. სამშობლოს გარეთაც დიდად გაითქვა სახელი. მოსკოვში ერთმა პროფესორმა მიქო—რადიოთი ყოველთვის დიდი სიხარულით ვისმენ თქვენს შესანიშნავ ტენორს ქუმსიაშვილსო. ლენინგრადში გასტროლების დროს პრესა სწერდა: გერმანიის ბოლო არიის შესრულებით (ჩაიკოვსკის „პიკის ქალი“) ნ. ქუმსიაშვილმა ლენინგრადის საზოგადოებრივობის ყურადღება მიიქციაო. შესანიშნავად გამოვიდა ნ. ქუმსიაშვილი „ოტელოში“. მთელი წლების განმავლობაში ნიკო ერთგულად ემსახურებოდა მშობლიურ სცენას. ბევრჯერ შეუცვლია ავადმყოფი ამხანაგი და სპექტაკლი არ ჩაუშლია. სამწუხაროდ, ეს მშვენიერი მომღერალი ადრე დაეკარგეთ (გარდ. 20 სექტ. 1942 წ.).

\* \* \*

ვანოს შემდეგ დაობლებული ოპერის სცენა დაამშვენა აგრეთვე ჩვენმა საამაყო მომღერალმა, სახალხო არტისტმა დავით ანდლულაძემ. ხელოვნების უსაზღვრო სიყვარულის გავლენით ამ ადამიანმა პირდაპირ სასწაულის მოხდენა შესძლო: ძირფესვიანად გარდაქმნა და სულ სხვა გზით წარმართა თავისი ცხოვრება. დიდი ნებისყოფითა და პრინციპულობით მიაღწია ბუნებრივი ნიკის აყვავებას. სწავლობდა პროფესორ ვრონსკისთან, შემდეგ დიდი დახელოვნება მიიღო სტანისლავსკის სტუდიაში. შესანიშნავი წარმატებით ასრულებდა დრამატიული ტენორის წამყვან პარტიებს მოსკოვის დიდ თეატრში. ბევრჯერ გვასახელა მოძმე რესპუბლიკებშიც. დავით ანდლულაძეს პროფ. ევგენი ვრონსკიმ მიუძღვნა საკმაოდ დიდი ნაშრომი— „როგორ აღიზარდა მომღერალი“.

დავით ანდლულაძე იშვიათი ვოკალური კულტურით აღჭურვილი მომღერალია. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი დიაპაზონი და ლამაზი ბგერა. თავისი მდიდარი ვოკალური მასა-

ლა მომღერალს სავსებით დამორჩილებული და კულტურულად ათვისებული აქვს. დიდი განცდით ასრულებს „აბესალომს“. იგი ამ პარტიაში ალალ ცრემლის ღვრამდე მიდის და თავის სცენიურ მეგობრებშიც ასეთსავე გულწრფელ ცრემლს იწვევს. უბაღლოა მთელ რიგ ფრიად საპასუხისმგებლო პარტიებშიც, რომელთა ჩამოთვლას აქ არ შევუდგებით. რაც მთავარია, დავით ანდლულაძე სისტემატურად მუშაობს თავის თავზე, და ამ მომღერალს ჩვენ ყოველ სპექტაკლში ვამჩნევთ წინსვლას.

\* \* \*

ნიკო ქუმსიაშვილსა და დავით ანდლულაძესთან ერთად სცენაზე გამოვიდა განთქმული ლირიკული ტენორი დავით ბაღრიძე, რომელმაც მთელს საბჭოთა კავშირში მოიხვეჭა სახელი. იგი მრავალმხრივი ბუნებრივი ნიჭით დაჯილდოებული ადამიანია: ისე კარგად ეხერხებოდა ხეზე ამოკრა—მეჩუქურთმეობა, რომ მამამ უცხოეთიდან გამოუწერა ხელსაწყო. მშვენივრად უკრავდა ვიოლინოს, ძერწავდა ქანდაკებებს და თვალსაჩინო სპორტსმენი იყო. გარდა ამისა, დავით ბაღრიძე არის პირველი ქართველი ექიმი, რომელიც შემდეგ პროფესიონალი მომღერალი გახდა.

დავით ბაღრიძეს ნამღერი აქვს საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა თვალსაჩინო სცენაზე. ისეთ თეატრებში გამოსულა, სადაც ქართველ მომღერალს ფეხი არ დაუდგამს. დამღერებულნი აქვს რამდენიმე ათეული ფირფიტა, რომელთა შორის ბევრი დიდი წარმატებით სარგებლობს უცხოეთშიაც. ამ მხრივ იგი ყველაზე ნაყოფიერი და პოპულარული ქართველი მომღერალია.

\* \* \*

არას ვამბობთ ჩვენ აქ იტალიაში განსწავლილ მომღერალ ვალერიან ქაშაკაშვილზე და ვანოს შემდეგ გამოსულ სხვა მომღერლებზე, რადგან ამ შემთხვევაში მხოლოდ ვანო სარაჯიშვილის რეპერტუარის პირველი მემკვიდრეები გვანტერესებს.

საბჭოთა ხელისუფლების დროს უჩვეულოდ აყვავდა ჩვენი მუსიკალური კულტურა, დაიწერა შესანიშნავი ოპერები, სიმფონიები, მშვენიერი მომღერლები დაწინაურდნენ.

რაოდენი სიხარულით აღივსებოდა ვანოს ალალი გული, ჩვენი ნიჭიერი ახალგაზრდობა ასე გუნდ-გუნდად რომ ენახა სცენაზე. იგი სულსა და გულს ლევდა ყოველი ნიჭის გამოჩენისათვის.

ჩვენი სამშობლო ვაჟკაცური ტრადიციების, მეგობრობისა და გამტანობის ქვეყანაა. სიმღერა ისე სჭირია ქართველი ადამიანის სულს, როგორც თვით ჰაერი და სიყვარული. სიმღერა ჩვენს სისხლ-ხორცში გამჯდარი ნიჭია. ვანო ამ ნიჭის გვირგვინია, სინიღისია.

\* \* \*

გაივლის ხანი. გარდუვალ მარადისობას ჩაჰბარდება ჩვენი შურეში... საქართველოს გზატკეცილებზე ხარების ნაცვლად კიდევ უფრო მეტი აუტომანქანები ისრიალებენ, მაგრამ რა მოჰკლავს ჩვენს დიდებულ ხალხურ სიმღერას, რა მოჰკლავს „შურ-მულს“?

და აი, ლაზათიან ქართულ სუფრასთან ადგება ლაქიდა, ბრგე თამადა, თეთრ ულვაშს გადიგრებს და მოკლედ მოსკრის:

— სამარადისო დიდება ჩვენს განთქმულ წინაპარს, რომელსაც ხალხი საქართველოს ბულბულს ეძახდა. სწავლულებიც მოგახსენებენ და სხვადასხვა წიგნებშიც ამოგვიკითხავს. ნეტარება მის აკვანს, მის იაენანას. დიდება ჩვენს მშობლებს, რომლებმაც დაგვიბარეს და გაგვაგებიინეს. ვანო სარაჯიშვილის ხსოვნისა იყოს...

ყველა მყისვე წამოიქრება და სასმისს აივსებს. ერთ-ერთი მაინც ალბათ შესთხოვს თამადას სიტყვას და იქნებ წვეთი ცრემლიც ჩაგორდეს შვინდისფერ თასში.

დასცლიან, დააყირავებენ და სასმისებს ეამბორებიან.

— აბა, ბიჭებო, საკადრისი რამ!

მოხუცი ცალ წარბს შეათამაშებს, და აგუგუნდება ჩვენი დიდებული ხალხური სიმღერა—ბრძნული, როგორც რუსთველის ლექსი, გიჟმაჟი, როგორც ვანო სარაჯიშვილი.

ასე იქნება მუდამ, რადგან ვანოს პიროვნებაში გენიალურად იყო შერწყმული ხელოვანი და მოქალაქე, მისი ხმის ტემპრით

„თვით ბუნება“ მონარნარებდა, ხოლო როცა „ურმულს“ მღეროდა... ქართველი ადამიანი „მიწის სუნს“ გრძნობდა. მიწას კი... მარადიული ქეშმარიტების „სუნი“ აქვს. მიწა სამშობლოა, უკვდავებაა.

\* \* \*

მომავალი თაობა ახალ ვანო სარაჯიშვილებს მისცემს სამშობლოს.

მოვლენ ისინი—ათასი აბესალომები და მალხაზები.

მოვლენ, უბადლო ქართველი მომღერლები და უფრო მაღლა ასწევენ მშობლიური ოპერის დროშას.

ქართველი ერი მთელს მსოფლიოში იამაყებს მათი სახელით. პირველი ბულბული კი არასოდეს არ დაბრუნდება, მაგრამ იმითაც იამაყებს ჩვენი სამშობლო!

\* \* \*

ოპერის თეატრის ბაღს „ეთერი“ ჰქვია. ამ ბაღში ვანოს გვერდზე დამარხეს ზაქარია ფალიაშვილიც. იქვეა ნიში კოტე მარჯანიშვილის ფერფლით.

ამ სამ საფლავს საუკუნეთა მანძილზე შეინახავს თავის გულში ქართველი ერი.

აბესალომი კვლავ... ეთერთანაა. რა გასთიშავს ამიერიდან მათ!

ქართული მიწა არასდროს არ აღმოაცენებს ვანო სარაჯიშვილის გულზე მურმანის ეკალს.

1944 წელი. თბილისი



ഭ ട ഹ ട ങ്ങ റ്റ മ്ബ റ്റ ഹ ട മ്ബ റ്റ ഹ



ძმები

სოლომონ—თბილ. ქალაქის თავი XIX საუკ. 30-იან წლებში. გარდაიცვ. უშვილო.


ივანე—ამის შვილია ალექსანდრე (1851—1914)—მწერალი, მკვლევარი, „ივერიის“ რედაქტორი ილიას შემდეგ.

მიხეილ—ამის შვილია პეტრე (1823—1887)—ვანოს მამა.

ზაქარია—ამის შვილია დავით (1848—1911)—ცნობილი მრეწველი, ქველმოქმედი.

### პეტრე მიხეილის-ძე სარაჯიოზვილის ძმები

(ვანოს ბიძები)



გარდა ამისა—ხუთი და.

პეტრე მიხეილის-ძე სარაჯიშვილი.(1823—1887 წ.)  
(განოს მამა)

პირველი მეუღლე—ნინო, ვაჩნაძის ასული

მიხეილ  
1859-1920

ალექსან.  
1864-1921

კონსტ.  
1868-?

თომა  
7-1943

ჭეთევან  
7-1899

სოლომონ  
1861-1936

აპოლონ  
1866-1939

გლად.  
1869-?

ზაქარია  
7-1907

პეტრე — პროფესორი  
(ნევროპათოლ.).  
დები: წინო, თამარი.

მეორე მეუღლე—ეფემია სოლომონის ასული  
რუსიშვილი-ჟორჯიბაში (1844—1901 წ.)

ანდრო  
1877—1945

ვანო  
1879—1924

გიორგი  
დაიბ. 1881

ილია  
დაიბ. 1883

სოფიო  
1885-1922

კოტე+1925  
მომღერ.

ოლღა  
მომღ.

შ ი ნ ა ა რ ს ი

1. სარაჯიშვილთა გვარეულობა . . . . .	6
2. ვანო სარაჯიშვილის ნათესავთა წრე . . . . .	7
3. ვანო სარაჯიშვილის მშობლები . . . . .	15
4. ვანოს ბავშვობა . . . . .	17
5. თბილისის სამუსიკო სასწავლებელში . . . . .	23
6. სანდრო კავსაძის გუნდში . . . . .	26
7. კავკასიის მესამე ათასეულში . . . . .	28
8. სარაჯიშვილთა გუნდი . . . . .	32
9. სიმღერის პირველი გაცვეთილები. გ. ვ. მაჩაბელი . . . . .	33
10. „რას მიქვიან ტკბილი სიტყვა“, მოხიბლული მოხელე, სახაზინო პალატა. ილია ჭავჭავაძის განაჩენი . . . . .	34
11. „ქართული საღამოები“. რუსეთში მყოფი ქართველობა . . . . .	38
12. პროფესორი პრიანიშნიკოვი. „ფაუსტის ძალა“ . . . . .	46
13. ალექსი აკიკის-ძე წერეთელთან . . . . .	48
14. პროფესორი პანაგევა-კარცევა. მელიტონ ბალანჩივაძის ეპეი. სარაჯიშვილების „დემონი“ . . . . .	52
15. ქართული საოპერო დასის შედგენის ცდა პეტერბურგში . . . . .	58
16. იტალიელებთან . . . . .	61
17. სულთან კრიმ-გირეი. გასტროლები თბილისში . . . . .	63
18. იტალიაში. „სარაჯინი“. კუპრინის ნახტომი . . . . .	74
19. იტალიიდან დაბრუნება. თბილისში. პეტერბურგში. საოცარი ნაძლევი. ნაპოვნი მარგალიტი . . . . .	85
20. რომეოს კრინი . . . . .	102
21. რუსული ოპერის დასში, სარატოვი. თბილ სი. მოსკოვი . . . . .	104
22. „აპოლონი და დიონისო“ . . . . .	111
23. „მარგალიტის მაძიებელი“ . . . . .	114
24. მორეული აღმოსავლეთის ოპერის თეატრებში. ინციდენტი . . . . .	117
25. ბაქოში . . . . .	124
26. ვანო სარაჯიშვილი და ქართული ოპერა . . . . .	126
27. „ქრისტიანე“ . . . . .	133
28. „დემონი“ . . . . .	134
29. „თქმულება შოთა რუსთაველზე“ . . . . .	135

30. „აბესალომ და ეთერი“ . . . . .	136
31. „ქეთო და კოტე“, „ლეილა“ . . . . .	158
32. „კარმენი“. ვლადიმერ მესხიშვილის ცეცხლი . . . . .	159
33. „ლალატი“ . . . . .	164
34. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი წლები . . . . .	168
35. მეასე „აბესალომი“ . . . . .	169
36. იუბილე . . . . .	172
37. „მამის მკვლელი“ . . . . .	177
38. „დაისი“ . . . . .	179
39. პოლუსები . . . . .	188
40. უკანასკნელი „აბესალომი“ . . . . .	189
41. ქართული რომანის შორეული სათავეები . . . . .	190
- 42. ვანო სარაჯიშვილი და ქართული რომანსი . . . . .	196
43. ვანო—შემოქმედი . . . . .	207
44. ვანო სარაჯიშვილის ადამიანური იერი . . . . .	223
45. ვანოს პოეტური ცხოვრების ნამსხვრევები . . . . .	236
46. უკანასკნელი „თავო ჩემო“ . . . . .	254
47. გადატეხილი სალამური . . . . .	260
48. ფარდა კლავ აიწია . . . . .	270
49. ვანოს შემდეგ . . . . .	272
50. სარაჯიშვილთა შტო . . . . .	279

რედაქტორი პ. ხუტუა  
მხატვარი ლ. გრიგოლია

---

ხელმოწერილია დასაბეჭდად 14/V-47 შ. უე 00965, შეკვეთის № 404.  
ანაწყოების ზომა 5,5X9, ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 17,75. ტირაჟი 5.000.

---

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პოლიგრაფიისა და  
გამომცემლობის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, ყორესის 5.